# კვირის პალიტრა

№ 8 (420) ◆ 24 თებერვალი – 2 მარტი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




...დღეს ირკვევა, რომ თურმე ბაზების ლიკვიდაცია 2 წელიწადშიც ყოფილა შესაძლებელი. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მეგობარი ქვეყნები რუსეთში ანალოგიური ბაზების კეთილმოწყობას დააფინანსებენ(?!). ამერიკამ შეიძლება რუსეთის ჯარის საქართველოდან ტრანსპორტირება დააფინანსოს, მაგრამ სამხედრო ბაზების მშენებლობას და კეთილმოწყობას რომ არ დააფინანსებს, ბავშვმაც უნდა იცოდეს.

...უკანასკნელ პერიოდში რუსეთის სპეცსამსახურები საკმაოდ აბსურდულ მიგნებებს აკეთებენ — მაგალითად, როგორ გაიწვრთნა პანკისის ტერორისტულ აკადემიაში ორი არაბი თუ ჩეჩენი კამიკაძე და მექსიკაში გადაიგზავნა...

გვ.3

## არც შევარდნაძეა ბოროტი დედოფალი და არც სააკაშვილი ჰგავს ფიფქიას

გვ.11

## მსოფლიო სკანდალი?!

გვ.8



### სამხედრო თემაზე:

## სად გაქრა ჩეხური ტანკები?!

### რამდენი ტანკი შეიძინა საქართველომ?

საქართველო სკანდალს ვერ გადაურჩება, თუკი დადასტურდა ჩეხი კოლეგების მიერ დაწყებული ჟურნალისტური გამოძიების მთავარი ვერსია — „საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის მოტივით ჩეხური იარაღი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კონფლიქტების ზონებში იგზავნებოდა“(?!).

## საქართველოს პრეზიდენტსაც უსმენდნენ?!

სახელმწიფო მეთაურის და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის ბოლო 11 წლის მანძილზე, ВЧ-ს სამთავრობოგერბიანი ტელეფონი საიდუმლოს შენახვის მხოლოდ ილუზიას ქმნიდა.

გვ.9

## „შეიძლება იძულებით დავთანხმდე სპიკერის პოსტს...“

გვ.7



...ფრიდონ ინჯია ულალატო კაცია და თუ მისი საწინააღმდეგო კამპანია კვლავ გაჩაღდება, საკუთარ თავზე ავიღებ ყველანაირ დარტყმას.

...ყველა საარჩევნო უბანზე ჩვენი აქტივი გვეყოლება მიმაგრებული. ეს იქნება შეუიარაღებელი ხალხი, რომლებიც შეიარაღებულებსაც კი არ შეეპუებიან.

## „ან გამოიძიონ, ან მკვლელი მოგვცენ და ჩვენ მოვკლავთ!“



„ალემ, უთხრა, მე კაი ბიჭი ვარ და ეს გოგონები სახლში მიმყავსო. პოლიციელმა უყვირა: ბიჭო, თანამშრომელი ვარ, გადმოიყვანე, რომ გეუბნებიო და ფეხებში ესროლა. შემდეგ რამდენიმე ტყვია ჰაერში ისროლა, მერე გულში... და გაიქცა.

...ჩემთვის არ დაურტყამთ. მაგინებდნენ, გინდა თუ არა, თქვი, რომ დანა ამოიღეს ბიჭებმაო. მე მაინც არ ვთქვი.“

გვ.13

## „მოსკოვი-99“ ან „ჰონკონგი-2001“

### როგორ ვებრძოლოთ გრიპის ვირუსს ოჯახის პირობებში, ანუ შვიდ დღეში ყველაფერი კარგად იქნება...



„ორგანიზმი საკვებით არ უნდა გადატვირთოთ. თუ თქვენი მენიუ ბოსტნეულითა და ხილით იქნება გაჯერებული, კარგია. უარი თქვით ცხიმიან კერძებზე. შეიძლება მიირთვათ ქათმის ბულიონი. თუ ამ რეჟიმს დაიცავთ, მერწმუნეთ, 7 დღეში ყველაფერი კარგად იქნება.“

გვ.25,27

## ერთი „პატარა კამათი“

### განუკითხაობა ხეტყის ბიზნესში



სომხეთის რესპუბლიკიდან 20-25-კაციანი ბრიგადები შემოდიან ღამით. კალიებივით შეესევიან ჩვენს ტყეს და ერთ ჰექტარს ერთ ღამეში უდაბნოდ აქცევენ.

გვ.6

## შავი მილიონები ქართულ ენერგეტიკაში

იმ ჯგუფის კვალი, რომელსაც თელასის ხელში ჩაგდება სურს, პირდაპირ კანცელარიისკენ მიდის...

გვ.11,27

## „ტარიელ ონიანმა თავისი წვლილი შეიტანა ჩემს გათავისუფლებაში“

გვ.13

## სასამართლო

გვერდი 17-20

## რომელი პიროვნების საპროტესტო ნაბიჯს ამართლებთ ყველაზე მეტად?

გვ.35

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### ვერსია

## ორჯერ გაყიდული ქართველი ბიჭის დაბრუნება

საბურავებმოგლეჯილი ჯავშანტრანსპორტიორიდან გადმოიყვანეს, ხელებზე ბორკილები დაადეს, თვალები აუხვიეს და ერთ ავტომატიანს ჩააბარეს. მან კი ქამარზე თოკით გამოიბა და ორი დღე-ღამე უსაშველო ხევხუვებში ატარა. სროლის ხმა ნელ-ნელა უკან იხევდა.

გვ.10

გვ.34



## ტაისონმა „შავი მარტორქა“ 49 წამში გაანადგურა

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## საქართველოს დაზვერვა ერაყშიც ჰყავს?

პრეზიდენტი შევარდნაძე საგანგებო ბრიფინგზე კიდევ ერთხელ შეეხო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის თემას და ბუშისადმი ერთპიროვნული მხარდაჭერა მორიგი არგუმენტებით „განამტკიცა“. როგორც გაირკვა, ერაყის მზაკვრული ჩანაფიქრები ედუარდ შევარდნაძესაც სცოდნია და მის ხელთ არსებული ინფორმაცია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულს ემთხვევა. ჰუსეინის გარემოცვაში დანერგილი ქართული აგენტურის შესახებ შევარდნაძეს აღარ უსაუბრია. თუმცა ის კი თქვა, რომ ჰუსეინს ტერორისტული აქტები საქართველოშიც ჰქონია დაგეგმილი. პრეზიდენტის არგუმენტაციის მოსმენას საქართველოში უკვე მიეჩვივნენ და აღარც მისი უტყუარობის გარჩევით იწუხებენ თავს. მაგრამ საეჭვოა, ევროკავშირის „მამებმა“ ეს არგუმენტი დამაჯერებლად მიიჩნიონ. მით უმეტეს, რომ ანტიერაყულ კამპანიასთან დაკავშირებით ჟაკ შირაკმა ერთაზროვნად განაცხადა — იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებმაც ერაყთან ომის დაწყებას დაუჭირეს მხარი, ევროკავშირში მოხვედრა გაუჭირდებათო...

## ვითომ რაგოზინს ეს შეაშფოთებს?

ნეოლიბერალურ პარტიას აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით „ახალი“ იდეა დაებადა. პოლიტმიმომხილველ სოსო ცინცაძის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ პერსონა ნონ გრატად უნდა გამოაცხადოს ის უცხოელი დიპლომატები და ბიზნესმენები, რომლებიც არძინბას რეჟიმთან მოლაპარაკებას თბილისის ნებართვის გარეშე გამართავენ. სიტყვა „უცხოელებში“, რასაკვირველია, რუსები მოიაზრება. ცინცაძის აზრით, ანტიქართული ისტერიით ცნობილი რუსი პოლიტიკოსები, მათ შორის, რაგოზინი და ზატულინი ახალგაზრდა ხალხია და თუ მივახვედრებთ, რომ „ცუდად“ მოქცევის შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში აღარ შემოუშვებენ, აუცილებლად გამოსწორდებიან.

რაგოზინს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია და ალბათ არც გააკეთებს.

## ცხვირი ჰგავს? —ჰგავს!

დაახლოებით ამ სტილით წარიმართა სამი ჩეჩენის რუსეთში ექსტრადირების საკითხის განხილვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. გირევის საგუშაგოსთან დაკავებული ჩეჩნების გადაცემას რუსეთი კვლავაც ჯიუტად ითხოვს. ბოლოს გამართულ პროცესზე ბრალდებულთა ადვოკატებმა საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენეს: როგორც აღმოჩნდა, რუს გამომძიებლებს საქართველოდან გაგზავნილი პირადი საქმეებიდან ბრალდებულთა სურათების ქსეროასლები გადაუღიათ და ბრალდებებთან ერთად ქართული მხარისთვის გადმოუგზავნიათ. სასამართლომ ვითარებაში გარკვევა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტს დაავალა.

## თხარეს, თხარეს და...

საცხოვრებელი სახლის უკანა კედლის ჩამონგრევის შედეგად ოთხი ოჯახი თბილისში ღია ცის ქვეშ დარჩა. შემთხვევა არაგვის ქუჩაზე, დაახლოებით 22 საათზე მოხდა. შენობის ფუძის დაზიანება ინკოგნიტო ფირმის მიერ გვერდით მშენებარე ახალი ნაგებობისთვის საძირკვლის ამოთხრამ განაპირობა. მიუხედავად ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან არაერთგზის გამოთქმული პროტესტისა, ფირმა მშენებლობას კვლავაც აგრძელებს და კიდევ 5 ოჯახი სახლის ჩამონგრევის საფრთხის წინაშეა. მობინადრეთა თქმით, ქალაქის არქიტექტურის სამსახური პასუხისმგებლობას თავს არიდებს.

## თურმე ვისი ბრალი ყოფილა...

საქართველოს პარლამენტში ჩვენს თავს დამტყდარ ენერგოუბედურებაში გარკვევის კიდევ ერთი მცდელობა დაფიქსირდა. აღმოჩენა ამჯერად დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარეს ეკუთვნის. დემურ გიორხელიძის განცხადებით, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი შეგნებულად აჭიანურებს ენერგოსექტორის მოდერნიზების პროცესს, რადგან დავით მირცხულავა ენერგოკლანებთან ყოფილა დაკავშირებული. მათ კი ენერგოდეფიციტი საკუთარი ბიზნესისთვის სჭირდებათ.

## რამდენად გაიყიდება „იტერა“?

საერთაშორისო ენერგეტიკულმა კომპანია „იტერამ“ საქართველოში სააქციო საზოგადოება „აზოტის“ სიმბოლური ღირებულება — 500 ათასი დოლარი უკვე გადმორიცხა. გადმორიცხვის ბარათის მიღებისთანავე ქონების მართვის მინისტრი და „იტერას“ პრეზიდენტი ხელშეკრულების გაფორმების თარიღზე შეთანხმდებიან.

ხელშეკრულების პროექტის მიხედვით, ხელმოწერის დღიდან „აზოტს“ ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგება. „იტერამ“ ქარხანას დღე-ღამეში 700-800 კუბური მეტრი გაზი უნდა მიაწოდოს. პროექტის თანახმად, „იტერა“ „აზოტის“ ვალების გასტუმრების შემდეგ, 14 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. რუსული კომპანია თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდისა და მათთვის ხელფასების მომატების პირობასაც იძლევა. ხელშეკრულების სხვა დეტალებს არც ერთი მხარე არ ახმაურებს. „იტერას“ „აზოტის“ კუთვნილი სპორტული და საკურორტო დაწესებულებები არ გადაეცემა. ისინი მუნიციპალურ საკუთრებაში დარჩება.

## გენერალურ პროკურატურაში წმენდა იწყება

გენერალურ პროკურატურაში საკადრო წმენდა იწყება. ნუგზარ გაბრიჩიძე პროკურორების მუშაობას არადამაკმაყოფილებლად აფასებს და ურჩ თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრება. მაღალჩინოსან პროკურორებს გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე კონკრეტული პირების მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დაევალათ. გაბრიჩიძის უწყებამ მუშაობა პოლიციასაც დაუწუნა. ითქვა, რომ დაკავებული ექვმიტანილების გათავისუფლებაზე სამართალდამცველები სერიოზულ ზეწოლას განიცდიან. განზრახ იმალება მომხდარი დანაშაულის კვალი. კვლავ აქტუალურია კორუფცია ძალოვნებს შორის. გაზრდილია აგრეთვე განზრახ მკვლელობების რიცხვიც, რაზეც ბოლო დღეებში თბილისში სამართალდამცველების მხრიდან ჩადენილი დანაშაულებიც მეტყველებს. გენერალური პროკურორი საკადრო ცვლილებებს, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში განახორციელებს.

## მკვლელობა ქვემო ქართლში

დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფელ ქურთაში მკვლელობა მოხდა. 60 წლის აიზენკო ჯიოშვილი შუადღისას საკუთარი სახლის წინ ჩაცხრილეს. თვითმხილველთა თქმით, გასროლა ლურჯი ფერის „ნივიდან“ მოხდა. საკუთარ სახლთან მდგომ ჯიოშვილს მანქანა ნელა მიუახლოვდა, საიდანაც უცნობმა მაყუჩიანი ავტომატით ისროლა. მრავლობითი ჭრილობებით ჯიოშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. მას ექვსი ტყვია აქვს მოხვედრილი. თვითმხილველები თავდამსხმელთა ზუსტ რაოდენობას ვერ ასახელებენ. უცნობია მანქანის ნომერიც. ამ დროისთვის სამართალდამცველებისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მანქანას რუსული ნომრები ჰქონდა და იგი ცხინვალის მიმართულებით მიიმალა.

## მძევალი გაათავისუფლეს

რამდენიმე დღის ტყვეობის შემდეგ ზესტაფონში გატაცებული 14 წლის გიორგი სარდალაძე გაათავისუფლეს. იმერეთის სამხარეო კრიმინალური პოლიციის უფროსის განცხადებით, გიორგი სარდალაძის გასათავისუფლებლად სპეცოპერაცია არ ჩატარებულა. ბავშვი უცნობმა პირმა სახლის ჭიშკრამდე თვალებახვეული მიიყვანა. ოჯახის წევრები გამოსასყიდის გადახდაზე არ ლაპარაკობენ. საქმის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

## თბილისში გრიპი მძვინვარებს

მას შემდეგ, რაც დედაქალაქში გრიპის ვირუსის გავრცელებამ საგანგაშო ხასიათი მიიღო, განათლების სამინისტრომ 28 თებერვლამდე საშუალო სკოლებში სწავლის შეჩერება გადაწყვიტა. რეკომენდაცია კარტოზიას უწყებას ჯანდაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ მისცა. მართალია, ექიმები გრიპის ამ სახით გავრცელებას ეპიდემიის კვალიფიკაციას არ აძლევენ, მაგრამ მაჩვენებელი მაინც საგანგაშოა. ოფიციალური მონაცემებით, 900-მდე კაცია ინფიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ გრიპის ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის ხარჯები ოფიციალური განცხადებით სახელმწიფომ იკისრა, საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში ექიმები აცხადებდნენ, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და რიგებში მდგომ მოსახლეობას ფულს ჩვეულებრივი წესით ახდევინებდნენ! ჯანდაცვის სამინისტრო არაეფექტურობის გამო მასობრივი ვაქცინაციისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და მოსახლეობას მარტივ რეცეპტს სთავაზობს — თავი აარიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და ქუჩაში სამედიცინო ნიღბით იარეთო... (ვრცლად იხ. გვ. 25, 27).

## „ოპოზიციონერებო საქართველოსი...“

„ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციურ ძალებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ორგანიზაცია დიდი ოპოზიციური ერთობის შექმნას გეგმავს. ერთიანი საარჩევნო სიით გასვლას ნაციონალისტები უპირველესად ლეიბორისტებს სთავაზობენ. მათი დახმარებით მოძრაობა მანდატების ორი მესამედის მოპოვებას ვარაუდობს. როგორც ტელედებატებიდან ჩანს, ეს ერთობა არ შედგება, თუმცა ქართულ პოლიტიკაში მოულოდნელი არაფერია. „ნაციონალები“ კონსულტაციებს მართავენ ჯუმბერ პატიაშვილის „ერთობასთან“ და „გაერთიანებულ დემოკრატებთან“. წინასწარი მონაცემებით, ალიანსი არ შედგება „ახალ მემარჯვენეებსა“ და „მრეწველებთან“.

## დენი გაიაფდება?

დენის ახალი ტარიფი ძალაში პირველი მარტიდან უნდა შევიდეს. თუმცა ამერიკული კომპანია საკუთარი წილის 10%-ით შემცირებას კატეგორიულად აპროტესტებს. „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, ტარიფში მისი წილის შემცირებით კომპანიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაირღვა. კონტრაქტის დარღვევის ამგვარი შემთხვევიდან გამოსავლის მოსაძებნად ამერიკულმა მხარემ უკვე დაიწყო კონსულტაციები იურისტებთან. „ეი-ი-ეს“-ი ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილსაც არ გამორიცხავს (ვრცლად იხ. გვ. 11, 27).

## უჩვენოდ რატომ გააიაფეთო...

საქართველოში ჩამოსულმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლებმა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე ძირითადად ენერგეტიკაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. ფონდის მისიამ ენერგოტარიფის ცვლილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა. საუბარი შემოსავლების მობილიზებასაც შეეხო. ვიზიტის დასასრულს სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოს ხელისუფლებას განსახორციელებელი ღონისძიებების პაკეტი დაუტოვა, რომელიც კონკრეტულ ვადებში უნდა შესრულდეს, რის შემდეგაც საქართველოსთვის 30 მილიონი დოლარის გამოყოფის საკითხი გადაწყდება.

## ჯერ რატიფიკაციაზე ეზრუნათ და მერე საჩივარზე...

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა, ზაქარია ქუცნაშვილმა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას მოუწოდა, სასწრაფოდ მოახდინონ „რომის სტატუტის“ რატიფიცირება. ასე ეწოდება ხელშეკრულებას, რომელიც ქვეყანას ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საჩივრის წარდგენის უფლებას აძლევს.

ჰააგის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო ორგანო 1990 წელს ჩამოყალიბდა. რომის სტატუტით ცნობილ შესაბამის ხელშეკრულებას მაშინ 89 სახელმწიფო შეუერთდა. საქართველომ ხელშეკრულებას ხელი 1998 წელს მოაწერა. ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ საქართველოს საშუალება მიეცემა უკონტროლო ტერიტორიებზე მართლმსაჯულება განახორციელოს. ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, დოკუმენტი რატიფიცირებისთვის პარლამენტში საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიტანოს.

## ხალხს რაღას ერჩოდა?

ლეიბორისტების მოწოდებამ „ელექტროგადაუხდელობის“ თაობაზე ბევრი თბილისელი დატოვა დენის გარეშე, რადგან როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, ამერიკული ენერგოკომპანია საკუთარ წესდებას უფრო ემორჩილება, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს. წესდების მიხედვით, ელექტროენერგიის გამორთვა არ შეიძლება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ამერიკის მთავრობა სპეციალური პროგრამით გათბობისთვის დახარჯული დენის ფულს უხდის. უცნაურია, მაგრამ ზემოთ ნახსენებ სოციალურად დაუცველ ნაწილში თბილისის საკრებულოს მდივნის — ლეიბორისტ ზურაბ ჟვანიას ოჯახიც აღმოჩნდა. ლეიბორისტებისგან გაბეზრებულმა „ე-ი-ეს“-მა თხოვნით მიმართა ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს, რათა ჟვანიას ოჯახის დაფინანსების საკითხი გაერკვია. ზამთარში გათბობის პროგრამის დირექტორმა ტატიანა იამოვამ გასულ კვირას ჟვანიასთან სტუმრობისა და მის დედასთან — რუსუდან იმნაძესთან გასაუბრების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ჟვანიას ოჯახს არ შეიძლება მიენიჭოს ის სტატუსი, რომელიც USAID-ის მხრიდან დახმარების გაწევის საბაბს მისცემს. ამდენად, ოჯახს გამოყოფილი დახმარება უნდა გაუუქმდეს. სოციალურად დაუცველ ოჯახებს ამერიკული ორგანიზაცია თვეში 60 ლარის ღირებულების ელექტროენერგიით ეხმარება.

## კი არ ლანძღავდა, მოვალეობას ასრულებდა...

სახალხო დამცველისა და მთავარი სამხედრო პროკურორის დაპირისპირება, როგორც ჩანს, „მარადიული“ ხდება, რადგან მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში დაგეგმილი პროცესი კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო. გია ჯიქია ნანა დევდარიანს მისი ღირსების შემლახველი პუბლიკაციებისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს.

დევდარიანის მხარემ მოსამართლეს სარჩელის შესაგებელი წარუდგინა. მისი მიხედვით, ჯიქიას მხილებისას ომბუდსმენი თავის უშუალო მოვალეობას ასრულებდა. აქედან გამომდინარე, პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები სამხედრო პროკურორის ღირსების შელახვად არ უნდა ჩაითვალოს. თავის მხრივ, ჯიქიას ადვოკატმა პროცესზე მოპასუხე მხარედ იმ გაზეთების ჩართვა მოითხოვა, სადაც ჯიქიას მამხილებელი პუბლიკაციები დაიბეჭდა.

## გაზმა ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, გაზის ექსპლუატაციის წესების დარღვევამ ორი ადამიანის დაღუპვა და შვიდის მოწამვლა გამოიწვია. როგორც გაირკვა, საცხოვრებელ ბინაში ბუნებრივი აირი ნებართვის გარეშე თვითნებურად ჰქონდათ შეყვანილი. კუსტარულად დამონტაჟებულმა მილმა გაჟონა და აირი რამდენიმე ბინაში დაგროვდა.

„თბილგაზის“ განცხადებით, მოსახლეობის მხრიდან გაზის უნებართვოდ გაყვანის ფაქტები შემაშფოთებლად გახშირდა, რაც ტრაგედიის მიზეზი გახდა.

აღსანიშნავია, რომ არანაკლები სიხშირით „თბილგაზის“ მიერ კანონიერი გზით გაყვანილი მილებიც ზიანდება, რაც პერსონალის არაპროფესიონალიზმის, ან მასალის უხარისხობის და სიძველის ბრალია.




## ირანსაც ომს გამოუცხადებენ?

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი მოჰამედ ელ ბარადეი და გაეროს ინსპექტორთა ჯგუფი ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესასწავლად ირანში ჩავიდნენ. ირანის ერთ-ერთმა ოპოზიციურმა დაჯგუფებამ ოფიციალური თეირანი საომარი ბირთვული პროგრამის წარმოებაში დაადანაშაულა. ვიზიტის მიზანი მიღებული ინფორმაციის გადამოწმებაა. ირანი, რომელსაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული, ამტკიცებს, რომ ბირთვული წარმოება მხოლოდ ქვეყნის ენერგეტიკისთვის არის საჭირო. 1998 წელს თეირანმა ათას ორასი კილომეტრის რადიუსის მქონე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოცდა დაიწყო. ვარაუდობენ, რომ ამჟამად ირანი უფრო დიდი რადიუსის რაკეტაზე მუშაობს.

ელ ბარადეი ირანში ორი დღე დარჩება. ვაშინგტონი დარწმუნებულია ირანის ბრალეულობაში და რუსეთს თეირანისთვის ბირთვული რეაქტორების მიყიდვაში ადანაშაულებს.

## ტერაქტი მეტროში

სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუს მეტროში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა უკვე 130-ს მიაღწია. 97 კაცი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. მეხანძრეებს მუშაობაში ხელს ძლიერი კვამლი უშლიდა. თვითმხილველების თქმით, ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის 10 საათზე მეტროს ვაგონში საწვავით სავსე პაკეტით ხელში უცნობი მამაკაცი შევიდა. დაკავებულია 56 წლის ეჭვმიტანილი. ტეგუს მერის განცხადებით, პრაქტიკულად შეუძლებელია დაღუპულთა გვამების ამოცნობაც. პარალიზებულია მთელი ქალაქი. ვიწრო ქუჩები სამაშველო სამსახურებითა და სასწრაფო დახმარების მანქანებით არის ჩახერგილი.

## როგორც იქნა, დათანხმდნენ...

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 19 წევრიდან 18-მა თურქეთში სამხედრო დახმარების გაგზავნაზე თანხმობა განაცხადა.

ჯორჯ რობერთსონმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ეს ერაყთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში მხოლოდ თავდაცვის მიზნით კეთდება. კენჭისყრაში მონაწილეობაზე საფრანგეთმა მაინც უარი განაცხადა. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დომენიკ დე ბილპენი კვლავ ამტკიცებს, რომ თურქეთს საფრთხე არ ემუქრება. საფრანგეთს კი არ სურს ნებისმიერი ფორმით ჩაერთოს ომში ერაყის წინააღმდეგ. ნატოში ამ ბოლო დროს არსებული უთანხმოება თავისთავად გავლენას იქონიებს ევროკავშირის მუშაობაზეც. უახლოეს მომავალში კავშირის წევრი ქვეყნების თხუთმეტივე ლიდერი საგანგებო თათბირზე შეიკრიბება. ისინი ერაყის საკითხზე კონსენსუსის გამონახვას შეეცდებიან.

## ხანძარი ღამის კლუბში

ამერიკის ქალაქ უესტ უორვიკის კლუბში გაჩენილ ხანძარს 95 ადამიანი ემსხვერპლა. გვამების უმრავლესობა ჯერ კიდევ ნანგრევებში რჩება. 150-მდე დაზარალებული საავადმყოფოშია მოთავსებული. ცეცხლი ერთ-ერთი ჯგუფის გამოსვლის დროს ელექტრო აპარატურას გაუჩნდა. თვითმხილველთა თქმით, მთელი შენობა რამდენიმე საათში ბოლომდე დაიწვა. მიმდინარეობს გამოძიება.

# „გაზაფხულის დადგომასთან ერთად პანკისში სიტუაცია დაიძაბება...“



რუსეთ-საქართველოს თითქმის ოთხსაუკუნოვანი ურთიერთობის შემდეგაც კი, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლებისთვის გამოცანად რჩება. რუსი სამხედროებისა და დიპლომატების მთავარი კოზირი, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთან ურთიერთობაში, ისტორიულად, მტკნარ სიცრუეზე აგებული თავხედობა იყო. ასე ხდებოდა ვახტანგ VI-ის ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც რუსების წაქეზებით ქართველმა მეფემ ლამის მთელი აღმოსავლური სამყარო მტრად მოიკიდა, შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე რუსეთში გადახვეწილი, რუსების დახმარებას ელოდა — მისთვის პასუხიც არ გაიმეტეს. მას შემდეგ რუსეთმა რამდენიმე მეფე, „გენსეკი“ და პრეზიდენტი გამოიცვალა. ტყუილზე აგებული პოლიტიკა კი იგივე დარჩა. საბედნიეროდ, როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები თანდათან ჭკუას სწავლობენ — მიუხედავად ორივე მხრიდან ვიზიტის პოზიტიური შეფასებისა, პირველი, რაც თბილისმა მოსკოვიდან სამთავრობო დელეგაციის დაბრუნების შემდეგ გააკეთა, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრის დაცვისთვის გამალებული მზადება და პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად პანკისში მორიგი ანტიკრიმინალური ეტაპის გამოცხადება იყო. აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს ვერც შევარდნაძე-პუტინის შეხვედრამ უშველა, ვერც გაეროს უშიშროების საბჭომ და ვერც ქართული მხარის მუქარამ — თუ რუსეთი კარგად არ მოიქცევა, სამშვიდობო მანდატს გავაუქმებო. ვინ-ვინ და, რუსეთმა ყველაზე კარგად უწყოდა, რომ საქართველო „ტანმაღალი“ მეგობრის იმედით იმუქრებოდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის შეუვალობა საკმაოდ დამაჯერებელი ჩანდა, „ტანმაღალი“ მეგობარი მოუცლელი აღმოჩნდა და მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე შევარდნაძემ, ბუშის წერილზე დაყრდნობით, რუსეთს სამშვიდობო მანდატი გაუგრძელა. დევნილები კი, ამის საჭიროებაში თავად ამერიკის ელჩმა დაარწმუნა — ამისთვის მათთან შეხვედრაც საკმარისი გამოდგა, თორემ რიჩარდ მაილსი არავის არაფერს დაჰპირებია. აღსანიშნავია, რომ ქართული დელეგაციის კვალდაკვალ, თბილისის აეროპორტში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი დაეშვა. ევროპისა და ატლანტის საზღვაო ძალების სარდლის, გენერალ ბრანდტის დახურული შეხვედრა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთან ჯონი ფირცხალაიშვილთან აეროპორტში, თითქმის ერთი საათი გრძელდებოდა. როგორც ჩანს, თბილისში მდიდარი მეგობრების ხშირ სტუმრობას მოსკოვი თავის სასარგებლოდ იყენებს — ახალქალაქისა და ბათუმის ბაზებთან დაკავშირებით იგი არა მხოლოდ შეიარაღების ტრანსპორტირების, არამედ რუსეთში ანალოგიური ახალი ბაზების მშენებლობის დაფინანსებას მოითხოვს! თუ საქართველომ ამისთვის საჭირო 400 მილიონი დოლარი(!) იშოვა, რუსეთი ბაზების ლიკვიდაციისთვის ადრე მოთხოვნილ 11 წელს 2 წლამდე შეამცირებს... პარალელურად კი, რუსული მედია აცხადებს, რომ სოხუმი-სოჭის რკინიგზაზე უკვე სატვირთო შემადგენლობებიც იმოძრავებენ...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შეიძლება ითქვას, რომ თბილისში რუსულ-ამერიკული დიპლომატიური დუელიც მიმდინარეობს — კავკასიის „მოედანზე“ ორივე მხარემ საუკეთესო ფალავნები გამოუშვა — ვლადიმერ ჩხიკვიშვილი წლების განმავლობაში ვაშინგტონში, რუსეთის ელჩის მოადგილედ მუშაობდა და ამერიკასთან ურთიერთობის საუკეთესო ექსპერტად ითვლება. რიჩარდ მაილსი კი, „ექსტრემალურ ვითარებათა ელჩია“ — ბოლო წლებში ის მსოფლიოს ყველა რეგიონში იყო, სადაც კი რუსეთ-ამერიკის გავლენათა გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. თუ როგორი იქნება საქართველოს სტრატეგია, „პეტრეს მოსვლამდე პავლეს რომ ტყავი არ გააძრონ“, ამაზე საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი **თედო ჯაფარიძე** გვესაუბრება:

— ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი გეტყვით, რომ ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობებიდან, ტრადიციებიდან და ელემენტარული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონდეს. მაგრამ რეალობა სხვაგვარია — დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის მანძილზე ბოლო ათი წელია, ქართველი პოლიტიკოსებისთვის რუსეთთან ურთიერთობის „მენიუ“ თუ „პრეისკურანტი“ თითქმის უცვლელია და მასში მთავარი ადგილი აფხაზეთს უკავია. ისიც ფაქტია, რომ თუ არა უარესობისკენ, რუსეთის მხრიდან აფხაზეთთან მიმართებაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. პოლიტიკური ანბანის მიხედვით, ქვეყნებს შორის ურთიერთობის ორი ტიპი არსებობს — ვასალური კონტროლი და სტრატეგიული პარტნიორობა, ანუ ინტერესების გათვალისწინება. რატომღაც, რუსეთში არ ესმით, რომ ვასალური დამოკიდებულების დრო წავიდა, რომ მსოფლიოში არსებობენ ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ურთიერთობის გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ეს ფაქტი რუს პოლიტიკოსებს დაფიქრებისა და ვითარების გაანალიზების ნაცვლად, აღიზიანებს და საქართველოზე ზეწოლას ზრდის. შედეგად კი გვაქვს დაუსრულებელი მოლაპარაკებები, შეხვედრები, საპროტესტო ნოტების გაცვლა-გამოცვლა და ა.შ.

არსებული სიტუაციის გამძაფრება ნამდვილად არ მინდა, მაგრამ დღეს უკვე საერთაშორისო ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ ყველაზე ცუდი ურთიერთობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთს საქართველოსთან აქვს. ალბათ უკვე ბავშვებმაც კი იციან, სოხუმი-სოჭის რკინიგზაზე საქართველოს რა რეაქცია აქვს და სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოს — ამის თაობაზე უარყოფითი კომენტარი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა და, გარკვეულწილად, გაეროს უშიშროების საბჭომაც. შედეგად ის მივიღეთ, რომ ქართული დელეგაციის დაბრუნების მეორე დღესვე სოხუმი-სოჭის მარშრუტზე არათუ ელექტრომატარებლის — სატვირთო შემადგენლობის გაშვებას აპირებენ. რასაკვირველია, ამჯერადაც „უცნობი, კომერციული სტრუქტურები“ იქნება ყველაფერში დამნაშავე... ხომ ფაქტია, რომ ეკონომიკა და ბიზნესი აქ არაფერ შუაშია. ეს არის საქართველოზე ზემოქმედების არც ისე გონივრული და ხანმოკლე ბერკეტები, რომელსაც მომავალი არ აქვს.

— **მარადიულად იქცა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხიც. ბაზების ლიკვიდაციის ვადაზე ქართველი, რუსი და საერთაშორისო ექსპერტები წლების განმავლობაში მსჯელობდნენ — რუსული მხარე მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ გამოთვლების მიხედვით, ბაზების გაყვანა 11 წელზე ნაკლებ დროში შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო. ახლახან კი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, თურმე, ამისთვის 2 წელიც სავსებით საკმარისი ყოფილა...**

— ამის შესახებ დავა მართლაც წლების მანძილზე გრძელდება და რუსული მხარე თავდაპირველად, ყველაზე რეალურ ვადად 25 წელს აცხადებდა. შემდეგ ჩამოვიდა 15-ზე, რომელიც ბოლოს 11 წლამდე შეამცირა. დღეს კი ირკვევა, რომ თურმე ბაზების ლიკვიდაცია 2 წელიწადშიც ყოფილა შესაძლებელი. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მეგობარი ქვეყნები რუსეთში ანალოგიური ბაზების კეთილმოწყობას დააფინანსებენ. ეს გამორიცხულია. ამერიკამ შეიძლება რუსეთის ჯარის საქართველოდან ტრანსპორტირება დააფინანსოს და მსგავსი რამ გაუკეთებია კიდეც სხვა ქვეყნებში, მაგრამ რუსეთში რომ სამხედრო ბაზების მშენებლობას და კეთილმოწყობას არ დააფინანსებს, თავდაცვის მინისტრმა კი არა, ბავშვმაც უნდა იცოდეს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებათა ხარისხზე — თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული დელეგაციის ძალისხმევით ბოლო რაუნდზე საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხებიც შეთანხმდა. წეღანაც აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ — სანამ რუსი პოლიტიკოსები საქართველოსთან ურთიერთობას საფუძვლიანად არ გადახედავენ, ჩვენ შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბარი არასერიოზული იქნება. მხოლოდ ჩემი კი არა, დამეთანხმებით, რომ საყოველთაოდ აღიარებული აზრია — გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიას თანამედროვე მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. საქართველო კი რეგიონში მთავარ კარიბჭედ მოიაზრება. რუსეთს აქვს უნიკალური შანსი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ამ კარიბჭით ისარგებლოს — გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ყველაზე მეტად ეს მას უნდა სჭირდებოდეს. ამაზე ხშირად მისაუბრია ჩემს რუს კოლეგასთან — ლოშინინთან, გუდევთან, ჩხიკვიშვილთან...

არ უარვყოფ, რომ შეცდომები ორივე მხარეს ჰქონდა, მაგრამ ყველაფრის განხილვა და ყველაფერზე მოლაპარაკება შეიძლება, თუ საამისო სურვილი იქნება. რუსეთის მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუხედავად მრავალგვარი პრობლემისა, საქართველო მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ძალისმიერი მეთოდები კი არა, მასთან სტრატეგიული ურთიერთობაა საჭირო. მაგრამ რატომღაც დიალოგის სურვილი მხოლოდ ჩვენ გვაქვს, მეორე მხარე კი კვლავაც პოლიტიკურ დემარშებს ამჯობინებს, თუმცა ზოგადად — ქართველი ხალხისადმი პატივისცემაზე ლაპარაკობს. თუ სიყვარულსა და პატივისცემაზეა საქმე, რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობებს ყველაზე კარგად გამოთქმა, „დათვური სიყვარული“ ესადაგება — დათვი რომ კაცს ჩაიხუტებს, რაც მეტად უყვარს, მით უარეს დღეში ჩააგდებს...

— **დამეთანხმებით, რომ დიალოგისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ელჩმა, ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა ერთ-ერთ ქართველ პოლიტიკოსს საკმაოდ სარკასტულად უპასუხა, — კი, ბატონო, მაგრამ ვისთან უნდა ვილაპარაკოთ, ქართულ პოლიტიკაში ერთიანი პოზიცია არაფერთან დაკავშირებით არ არსებობსო...**

— ბატონი ვლადიმერის მოსაზრება, სამწუხაროდ, რეალობასთან ახლოს არის. როდესაც ქვეყნებს შორის ურთიერთობაზეა საუბარი, მხოლოდ პრეზიდენტის და ხელისუფლების პოზიცია საკმარისი არ არის. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ისტებლიშმენტის საერთო ნება. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ჩვენთან სხვაგვარად ესმით — ერთი ამტკიცებს, რომ პროამერიკელია, მეორე — პრორუსობაზე დებს თავს. არც ამერიკასთან და არც რუსეთთან ურთიერთობას პოლიტიკური ფანატიზმი არ წაადგება. ყველანაირი პარტია, უპირველესად, პროქართული უნდა იყოს. ალბათ პარტიებმა — ძირითადმა ბირთვმა მაინც, ქვეყნის საერთო სტრატეგიის შესახებ უნდა მოილაპარაკონ იმისდა მიუხედავად, ვინ რომელ ქვეყანასთან მიიჩნევს ურთიერთობას პრიორიტეტულად. სულაც არ ვგულისხმობ, ყველა ერთად შევიკრიბოთ და მაინცდამაინც ერთ აზრზე დავდგეთ, ან პრეზიდენტს „ოსანა“ ვუმღეროთ-მეთქი. მრავალ საკითხთან ელემანტარული სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა შემუშავდეს... თუნდაც იმავე აფხაზეთთან დაკავშირებით — რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან ორგანიზებული წესით პასპორტების დარიგებას არანაირი გამართლება არ აქვს. მაგრამ ჩვენმა მხარემ იზრუნა კი, ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომ აფხაზებისთვის ქართული პასპორტების დარიგება გამხდარიყო მისაღები და მომგებიანი, თუნდაც, ეკონომიკური თვალსაზრისით. აფხაზეთში ჩვეულებრივი ომი იყო და მას თანმდევი დანაშაულობებიც ახლავს, სხვათა შორის, ორივე მხრიდან. მაგრამ რატომღაც, ხშირად აფხაზეთის დაბრუნებაზე საუბრისას, თვითონ აფხაზები და მათი ინტერესები გვავიწყდება. რუსეთის ფაქტორიც რომ გამოირიცხოს, ეს ხალხი ხომ იქ რჩება, ხომ მაინც ქართველებთან ერთად უნდა იცხოვრონ? როგორ წარმოგიდგენიათ, მოინდომებს აფხაზი საქართველოს იურისდიქციის აღდგენას, თუკი ეცოდინება, რომ აფხაზეთში შესული პირველივე ქართველი ხეზე ჩამოკიდებს? ან, რით უნდა მოხიბლოს აფხაზური მხარე ქართულმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ, რომელიც ელემენტარულ საკითხებზე ვერ შეთანხმებულა... ამიტომაც ვამბობ, რომ პარტიების ერთიანობა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არის აუცილებელი და საშური.

— **მოსკოვიდან ქართული დელეგაციის დაბრუნებისთანავე უშიშროების საბჭომ პანკისის ხეობაში საგანგებო ვითარება გამოაცხადა. ანტიკრიმინალური ოპერაციის ეტაპებს ბოლო არ უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს ხელისუფლება უალრესად დადებით შეფასებას აძლევს ხოლმე...**

— ყველა ეტაპს პანკისის ხეობაში თავისი ფუნქცია ჰქონდა და მართლაც წარმატებით განხორციელდა. რაც შეეხება დასასრულს, სანამ ჩეჩნეთში ომი იქნება, საგანგებო მდგომარეობა გვექნება პანკისში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ვშიშობ, რომ სიტუაცია უფრო დაიძაბება. პანკისში და სხვაგანაც პროვოკაციების თაოსნებს „რუსეთის გარკვეულ წრეებად“ მოიხსენიებენ ხოლმე. მაგრამ ეს პროვოკაციები იმდენად მაღალ დონეზე იგეგმება და სრულდება, რომ ბევრად უფრო მაღალ და ცენტრალიზებულ, კონკრეტულ თანამდებობებთან უნდა გვქონდეს საქმე. არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა, რომ ამერიკის ერაყში შეჭრის პარალელურად, რუსეთმა საქართველოში „აღმოაჩინოს“ საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე და მასზე მიიტანოს იერიში. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის სპეცსამსახურები საკმაოდ აბსურდულ მიგნებებს აკეთებენ — მაგალითად, როგორ გაიწვრთნა პანკისის ტერორისტულ აკადემიაში ორი არაბი თუ ჩეჩენი კამიკაძე და მექსიკაში გაიგზავნა, საიდანაც თურმე ამერიკაში ფარულად შესვლა ჰქონიათ განზრახული...

— **რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად სამმხრივი მოლაპარაკების გამართვის იდეამ გაიჟღერა — აშშ-ის მონაწილეობით.**

— მოსკოვში, მოლაპარაკებებზე ყოფნისას, ეს საკითხი არაერთხელ დამისვამს. რუსეთის პოზიცია, ძირითადად, ასეთი იყო: რა საჭიროა ჩვენს ურთიერთობებში ამერიკის ჩარევა, ვაშინგტონი ხომ თბილისიდან საკმაოდ შორს არის... თუმცა, ბოლო დროს მოსკოვიდანაც გამოჩნდა გარკვეული დაინტერესება, ისევე როგორც ამერიკის მხრიდან, მით უმეტეს, რომ ერაყის კონფლიქტმა ბევრი რამ შეცვალა. საზოგადოებისთვის ცნობილია საუდის არაბეთის განცხადებაც — ერაყის ომის შემდეგ ამერიკულმა ბაზებმა ამ ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვონო. თუნდაც აღმოსავლეთის მიმართულების გასამაგრებლად ამერიკა საქართველოში დამკვიდრებით არის დაინტერესებული და ამას მოსკოვიც მშვენივრად ხვდება. ვფიქრობ, ამერიკისა და რუსეთის ელჩების პროფესიონალიზმი და მაღალი რანგიც უნდა გამოვიყენოთ და სამმხრივი მოლაპარაკებები მართლაც რეალურ ელფერს შეიძენს.

***დაჩი გრძელიშვილი***

---

**ზურაბ მჭედლიშვილი**
**საკ. კორ. ამერიკიდან**

# ამერიკასა და ევროპას შორის ახალი გადანაწილება დაიწყო...

## საქართველოს სამხედრო აეროდრომებით ამერიკა არ ინტერესდება?!

ბოლო 10 დღის მანძილზე აშშ-ში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ვაშინგტონი დღედღეზე დაიწყებდა ომს ერაყის წინააღმდეგ. ამას ელიან დღესაც, მით უმეტეს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე აშშ-ის ევროპელ მოკავშირეთა, უწინარესად, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენელთა მძლავრმა ოპოზიციურმა გამოსვლებმა და საკუთრივ ამერიკის ქალაქებში გამართულმა ანტისაომარმა მანიფესტაციებმა უფრო გააღიზიანა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია, ვიდრე რაიმე გავლენა მოახდინა თეთრი სახლის პოზიციაზე. ვაშინგტონში დარწმუნებულნი არიან, რომ გაეროს ინსპექტორთა მისია ერაყში უპერსპექტივო საქმეა, ხოლო სხვადასხვა წყაროს გავრცელებული ინფორმაციით, ომი ერაყში შესაძლოა 14 მარტამდეც დაიწყოს.

ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტ ბუშის მრჩევლის, კონდოლიზა რაისის თქმით, „საერთაშორისო საპროტესტო აქციებმა მხოლოდ მოაახლოვა ომი ერაყში, რადგან ანტისაომარი მოძრაობა უფრო აძლიერებს სადამ ჰუსეინის რეჟიმს, რასაც ჩვენ ვერ შევეგუებით“. მანვე უკუაგდო საფრანგეთის წინადადება ერაყის საკითხზე უშიშროების საბჭოს სხდომის 14 მარტს გამართვის შესახებ და ბრძანა, მას შემდეგ, რაც 1-ელ მარტს გაეროს სამხედრო ინსპექტორთა ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი მორიგი ანგარიშით წარდგება უშიშროების საბჭოს წინაშე, ერაყის საკითხებზე გახსნილი დიპლომატიური ფანჯარა საბოლოოდ დაიხურებაო!

აშშ-ის მთავრობამ კი ბოლო ერთ კვირაში უკვე მეორედ წამოიწყო ანტიტერორისტული პროპაგანდისტული კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმაციის თანახმად, ნებისმიერ წუთს მოსალოდნელია ახალი ტერაქტები, — ამჯერად ქიმიური, ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური შეტევა ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის წინააღმდეგ, ამიტომ შინაგანი უსაფრთხოების სამინისტრომ მოსახლეობას თავდაცვითი ზომებისკენ მოუწოდა და დაიწყო ე. წ. „სკოტჩომანია“, — მოსახლეობამ ხელი მიჰყო პლასტიკური ფირების, ანუ სკოტჩების შეძენას და მისით ფანჯრების ღარების ამოქოლვას ბინების „ჰერმეტიზაციისთვის“(!). მოსახლეობამ სამი დღის სასმელი წყალი და სურსათიც მოიმარაგა. ნიუ-იორკში კი ყველაზე დეფიციტურ საქონლად აირწინაღი იქცა! აჟიოტაჟი ერთგვარად ჩააცხრო დიდთოვლობამ, თუმცა კვირის დასასრულს იმავე სამინისტრომ მორიგი პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო სახელწოდებით: „იყავი მზად!“. ტელევიზიის, რადიოს, პრესისა და პლაკატების საშუალებით მოსახლეობას დღედაღამ აძლევენ რეკომენდაციებს, თუ როგორ განასხვავონ ერთმანეთისგან ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური იარაღისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რათა დროულად მიიღონ შესაბამისი თავდაცვითი ზომები. სააგენტოთა განცხადებით, ამ სახეობის რეკლამებს უფასოდ ეთმობათ საეთერო დრო და საგაზეთო ფურცლები (სულ 80 მილიონი დოლარის ღირებულებისა). სისტემატურად ქვეყნდება სოციოლოგიურ გამოკითხვათა შედეგები, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკელთა 52-60% მხარს უჭერს ერაყში ომს! მაგრამ თუ შიდაანტიტერორისტულ ფრონტზე ვაშინგტონს ყველაფერი „რიგზე“ აქვს, ამას, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვით აშშ-ის მიერ წარმოებულ დიპლომატიურ ომზე. უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ თეთრ სახლში ნამდვილად არ ელოდნენ უშიშროების საბჭოს სხდომაზე საფრანგეთისა და გერმანიისგან ესოდენ ძლიერ დარტყმას და გაეროს ინსპექტორთა ვაშინგტონისთვის მომზადებულ აშკარად არასასურველ დასკვნას, რომელშიც ისეთი არაფერი იყო ნათქვამი, რაც საბაბს მისცემდა აშშ-ს ერაყში ომის დასაწყებად. სხვათა შორის, ექსპერტთა შეფასებით, გაეროს უშიშროების საბჭოს ასეთი დრამატული სხდომა არ ყოფილა მას შემდეგ, რაც აქ ჯერ ნიკიტა ხრუშჩოვმა აბრახუნა ფეხსაცმელი მაგიდაზე, 1969 წელს კი ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრისას ამ ქვეყნის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი გამოვიდა უპრეცედენტო ანტირუსული მოხსენებით! ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომის რამდენიმე „შტრიხის“ გაცნობა მკითხველისთვის. კერძოდ, ჩინეთის წარმომადგენელმა ამაყად განაცხადა, რომ... წარმოადგენს არა მხოლოდ ძველ ქვეყანას, არამედ უძველეს ცივილიზაციას(!). დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯეკ სტროუს გამოსვლას კი დიპლომატთა ხითხითი მოჰყვა, როცა განაცხადა: მე გამოვდივარ ძალიან ძველი ქვეყნის სახელით, რომელიც 1066 წელს დააარსეს... ფრანგებმაო(!).

*(გაგრძელება იხ. გვ 7)*

CMYK

# ცუგო, „ბუხუტი“ და... რა იქნებოდა თბილისი, ღამით ძაღლები რომ არ ყეფდნენ?

შარშან არა, შარშანწინ, ზამთრის ერთ გაყინულ ღამეს მეგობარი მესტუმრა. გაჭირვებით ნაგროვები ფულით ნაყიდი ახალი პალტოდან საცოდავად მობუზული ფუმფულა ლეკვი ამოაძვრინა და იატაკზე დასვა: ქუჩაში ვნახე, სციოდა, შემეცოდა და წამოვიყვანეო... ოჯახში ენა ჩაგვივარდა — ისეთი სიცივე და სიბნელე იყო, ჩვენი თავისთვის ვერ მოგვევლო, მაგრამ რაღას ვიზამდი, პაწიას წყალში გახსნილ რძის ფხვნილში პური ჩავუგდე და ძირს ძველი ჟაკეტი დავუფინე — გარეთ გასაგდებად შემეცოდა და ოთახშივე დავიტოვე — დილით რაიმეს მოვიფიქრებ-მეთქი...



ის იყო რული მომეკიდა, რომ რაღაც უცნაური ფხაჭუნი ვიგრძენი, შეშინებული წამოვვარდი და რას ვხედავ — ლეკვს წინა თათები ჩემს საწოლზე შემოუწყვია, კანკალებს და საწყალი თვალებით მიყურებს... ქუჩის ლეკვს საწოლში რა ჩამაწვენინებდა, შემეცოდა და ჩემი ჭკუით, გასათბობი ღონისძიებები მივიღე: თბილ ჟაკეტში გავახვიე, მუყაოს ყუთში ჩავსვი და სამზარეულოში გამოვკეტე. მთელი ღამე მესმოდა შესაბრალისი წკმუტუნი. რა თქმა უნდა, არ მძინებია. გათენებულიც არ იყო, ჩემი მეგობარი წამოვაგდე: აბა, ახლა ადექი და როგორც გინდა, ამ საწყალს დედა მოუძებნე, იქ წაიყვანე, საიდანაც მოიყვანე-მეთქი. ცოტა კი შემეწინააღმდეგა: გაზარდე, კარგი ძაღლი დადგება, აბა, შენ მაგის ფასი რა იციო, მაგრამ ისე გავცეცხლდი, რომ ლეკვი ისევ უბეში ჩაისვა და მითხრა: კარგი, წავიყვან, ოღონდ შენც წამომყევიო...

სირბილით დავეშვით „ვორონცოვისკენ“... ერთ-ერთ ქუჩაზე ჩემი მეგობარი შეჩერდა და არ ვიცი, საიდან ისწავლა ძაღლებისთვის გასაგები ენა — იმდენი უსტვინა, აქოშინებულმა რუხმა ძაღლმაც მოირბინა, ასფალტზე დასმულ პაწიას დედა ისეთი წკმუტუნით მივარდა, ცრემლი მოგვადგა...

მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდი ხოლმე ჩემს იმღამინდელ დაუპატიჟებელ სტუმარს... ხან — მარტოს, ხან დედასთან ერთად. ქუჩაში გარბი-გამორბოდა, თამაშობდა და თან იზრდებოდა. ხანდახან ძველი პურის ნატეხები მიმქონდა. თუკი ჩანთაში მქონდა, კანფეტიც გადამიგდია — ძალიან სასაცილოდ ჭამდა — გაარჩევდა, ქაღალდს გადააგდებდა, უკანა ფეხებზე დასკუპდებოდა, აკნატუნებდა და ნაამები შემომცქეროდა...

აი, ასე დასრულდებოდა ჩვენი ნაცნობობა, მაგრამ... ერთხელ გამთენიისას მამიდაშვილმა გამაღვიძა, ცუდად ვარო... არ ვიცი, რა დაემართა, მაგრამ წნევა რომ გავუზომე, იმდენად მაღალი ჰქონდა, ცივმა ოფლმა დამასხა... ჩემ გარდა სახლში არავინ იყო, ისე ბნელოდა, ვერც მეზობლები შევაწუხე, ჩავიცვი და იმ წკვარამში გიჟივით გამოვვარდი წამლისთვის...

...ისე გავრბოდი, ყურადღებას არაფერს ვაქცევდი, მაგრამ უკნიდან რიტმულად ადევნებული ნაბიჯების ხმა იმდენად მკვეთრად ჩამესმა, შევჩერდი და შეშინებულმა მივიხედე: იმავე წუთში ვიცანი ჩემი ლეკვი, აბა, რა იმის თავი მქონდა? — სირბილი გავაგრძელე. აფთიაქიდან რომ გამოვედი, ისევ რიტმული ტყაპატყუპი ამედევნა უკან... როგორც იქნა, შინ მივაღწიეთ, ის კიბესთან დარჩა.

...გარეთ კარგა ხნის მერე გავიხედე. შევხედე ძაღლს და ტირილი მომინდა — მან ყველაფრისგან დამიცვა: ღამისგან, მოულოდნელი საფრთხისაგან და დარდიც შემიმსუბუქა... ჯამით სადილის ნარჩენი გამოვუტანე, წინ დავუდგი და ცხოვრებაში პირველად მოვეფერე ძაღლს — ჭუჭყიან ბეწვზე ხელი გადავუსვი...

ის დღე იყო და ის დღე. ჩემი ძაღლი მთელი სამეზობლოს მეგობარი გახდა. უბრალო სახელი დავარქვი — ცუგო... თუ თვალი მოგკრა, მაშინვე ფეხებში უნდა გაგებლანდოს. მთელი ეზოს ახალგარეცხილი შარვლები მისი მსხვერპლია, თუკი ვინმე უცნობმა გაბედა და ეზოში შემოიარა — ვაი, მისი ბრალი, თუ არ გამოექომაგნენ, ცხვირსაც არ შემოაყოფინებს. არადა, თბილისში ღია ეზოსთან გამვლელ-გამომვლელს რა დალევს... ისმის დღედაღამ ცუგოს გააფთრებული ყეფა. პირველად ვბრაზდებოდი, წამოვვარდებოდი (მარტო მე კი არა...) და ფანჯრიდან ვუყვიროდი, გაჩუმდი-მეთქი. მერე მივეჩვიე... აბა, იმას რა გააჩუმებს?..

ერთი მეზობელი მყავს, ცისანა, — გიჟდება ცუგოზე. გამოუტანს, ჩაუსხამს ჯამში წვნიანს და კარგი მუსიკის მასწავლებელივით ნოტებით ურაწკუნებს ჯამზე რკინას... ცუგოც ზუსტად ერთი და იმავე ნოტის გაჟღერებისას მორბის... სამაგიეროდ, ცისანას ერთგული კავალერივით დაჰყვება კვირაში სამჯერ ბაზარში.

ერთ ღამეს ისე შემაწუხა ცუგოს ყეფამ, ვიფიქრე, ახლა ჩავალ და მოვკლავ-მეთქი. ამას თან კაცების გაურკვეველი ყაყანიც დაერთო და მოთმინების ძაფი გამიწყდა, წამოვვარდი და ფანჯარას მივადექი... რას ვხედავ: ურბენს ცუგო მეზობლის თეთრ „ჟიგულს“ და არის ერთ ამბავში. რა მოხდა-მეთქი ვიკითხე... ვახოს მანქანაში ცუგომ ქურდი დაიჭირაო, მითხრეს — ის საწყალი მაგნიტოფონის მოსაპარად (ვახოც „მაგარია“ — რამ დაატოვებინა ღამე მაგნიტაფონი მანქანაში?!) შემძვრალა იქ, ცუგოს მიუსწრია და აღარ უშვებდა...

ჰო, სულ ახლახან ცუგოს შვილები შეეძინა... თვითონ გაჩხიკულია და არ ვიცი, როგორ გააჩინა ასეთი ფუმფულა არსებები. ერთი ისეთი ბუთხუზაა, ბავშვებმა ბუხო, ანუ ბუხუტი დაარქვეს. თუ ბუხუტის გააბრაზებ, ოთხი წვრილი ეშვით ჩაგაფრინდება მაჯაში და გაცეცხლებული თვალებს დაგიბრიცავს... გულში ჩაკრული დაჰყავთ ბავშვებს და ჩუმჩუმად კოცნიან. ხანდახან რომელიმეს დედა გაუბრაზდება, მაგრამ ისე ხვეწნა-მუდარით იხუტებენ ლეკვს, დედებიც ხელს ჩაიქნევენ ხოლმე. ცუგო კი იქვე დასკუპებულა და გაფაციცებული დარაჯობს თავის ნაშიერს, ბავშვებს და მთელ ეზოს...

ხანდახან შევცქერი ამ სურათს და ვფიქრობ: რომ არ ყოფილიყო ცუგო, რა მდუმარე და მოწყენილი იქნებოდა ჩვენი ეზო ღამით. რამდენი სიხარული მოაკლდებოდა ბავშვებს... და საერთოდ, რომ არ იყვნენ ეზოს ძაღლები, ხომ იქნებდა თბილისი ღამით მდუმარე, მოსაწყენი და უსიცოცხლო... ვითომ არ იქნებოდა ეს საშინელება?! — რა თქმა უნდა. ოღონდ ერთი კია: ძაღლებს შიმშილი ხდის საშიშად. რასაკვირველია, ვერავის ვერაფერს დავავალებ ამ გაჭირვებულ ქალაქში, მაგრამ იქნებ შევეცადოთ, რომ მორჩენილი პური სანაგვეში გადაგდების ნაცვლად, ძაღლებს გადავუგდოთ...

***ეთერ ერაძე***

# საქართველო მერაბ კოსტავას დედას გამოეთხოვა...



„წელიწადის ეტლი ორგზის შემობრუნებასაც ვერ მოასწრებს, რომ ჩვენ ხანგრძლივი ხილვის შესაძლებლობა მოგვეცემა ჩემი გასახლების ადგილზე. ნუ გეშინია. დრო სადღაც ბედაურივით გაირბენს თავის სარბიელს. ვეცდები მჭიდროდ ავეკრა უნაგირს მისას და მტკიცედ ვიპყრა ხელთ მისი სადავეები...

... დაე უმეტესად სიხარული მკვიდრობდეს შენში. ანკი ბედის სამდურავი რა გჭირს. იცოდე, შენი გაზრდილი არასოდეს შეგარცხვენს...

... ქვეყანაზე მარტოოდენ დედა და მამაა ერთადერთი. დანარჩენების რიცხვი მხოლობითს სცილდება...“

ასე წერდა დედას, ქალბატონ ოლღა დემურია-კოსტავას გადასახლებიდან შვილი, საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

მძიმე და განსაცდელიანი გზა განვლო ქალბატონმა ოლღამ. იგი შვილის თანამებრძოლი და ხელისშემწყობი იყო ეროვნულ ბრძოლაში. უმშვენიერესი, სათნო ქალბატონი გაუტეხელი და ძლიერი სულისა აღმოჩნდა. მეუღლისადმი უანგარო ერთგულებით, გასაოცარი დედობრივი სიყვარულით და კეთილშობილებით აღსავსე მარტო მერაბ კოსტავას კი არა, ეროვნული მოძრაობის მრავალი სახელოვანი გმირის დედაც იყო... მასთან გულახდილები იყვნენ, მასთან მეგობრობდნენ, მისი იმედი ჰქონდათ...

ოლღა დემურია-კოსტავა ქართველი ქალის სიმბოლურ სახედ იქცა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა შორის.

დრომ მართლაც სადღაც ბედაურივით გაირბინა. მერაბ კოსტავას გაუჭირდა უნაგირზე მჭიდროდ აკვრა... სიცოცხლის ბოლო წლები დაუმძიმდა გმირის დედას...

საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა დიდი ქალბატონი — ოლღა დემურია-კოსტავა.

სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა გმირის დედას...

# „აითვისეს ქიაჩელი ქაჯებმა და გოიმებმა“



მორუხო-მონაცრისფრო ღრუბლიანი დილა იყო. წერეთლის გამზირზე ჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცი მიდიოდა და ბუტბუტებდა: — თქვენ რა გინახავთ... თქვენ რაღას გაიგებთ, რა იყო თბილისი, რა ქალაქში ვცხოვრობდით... თქვენ ვინღა გაღირსებთ იმის ნახვას...

უნებლიეთ ვუგდებდი ყურს და უეცრად ვიგრძენი, რომ ყველა თბილისელს თავისი თბილისი დააქვს გულით, ყველა თავის მოგონებებშია გახვეული...

ეს ამბავი ამომიტივტივდა მეხსიერებაში, როცა ხელში ავიღე მხატვარ **გიორგი მირზაშვილის** წიგნი. ბევრი რამ მეცნო... თითქოს სტრიქონები კადრებივით იცვლებიან და მე მიკროავტობუსის ფანჯრიდან ვხედავ ყველაფერს: „არხეინ დედამიწაზე კიდევ უფრო არხეინი ადგილი — საქართველო. უტიფრად დაჰქრიან დახვეწილი დიზაინის მქონე მერსედესი, ფოლკსვაგენი, ჯიპი“... ან კიდევ: „ყუმბებად აქცია რაუტმა, ფართიმ, პრეზენტაციამ თავნება, თავგადაპარსული შლაპიანი პიჟონები, ყალბი მანერები, მდარე საუბრები...“

გია ახალგაზრდა მხატვარია, ახალგაზრდა თბილისელი. ამიტომაც ვკითხე:

**— XX საუკუნის დასაწყისის თბილისი არც შენ გინახავს, არც მე... არც XX საუკუნის 50-იანი წლები გვახსოვს... თუმცა ამ ცოტა ხანშიც კი, რაც ჩვენს მეხსიერებაში მოხვდა, თვალსა და ხელს შუა ჩამოგვეცალა თბილისის ხიბლი, გაგვიქრა, როგორც თითებში ქვიშა...**

— და მაინც, ჩემთვის დრო არ არსებობს. ადამიანი თუ მიყვარდა, დღესაც მიყვარს... თბილისი რაც იყო ჩემს ბავშვობაში, 3-4 წლისა რომ ვიყავი, დღესაც თვალწინ მიდგას. ის, რაც ახლა ხდება, იმას ვერ ერევა და ვერ აძევებს, რაც ჩემშია. ამინდი იცვლება, მკვიდრად ნაშენ ტაძარს ათოვს, აწვიმს, მზე აცხუნებს... მაგრამ ტაძრის არსი არ იცვლება. ასეა თბილისიც.

**— ჩვენ კი, ათასი უბედურება დავატეხეთ თავს თბილისსაც და საკუთარ თავსაც. შეუძლებელია გულისტკივილის გარეშე გაიხსენო ნატყვიარი შენობები რუსთაველზე, ქაშუეთის ეკლესია... თბილისის ომი.**

— გვიკვირდეს, რომ კარგად ვართ და ნუ გავიოცებთ, ცუდი რომ დაგვატყდება თავს. განსაცდელი რაღაცის შედეგია ყოველთვის. დილით რომ შეცდომა დავუშვა, ღმერთი აუცილებლად მომთხოვს პასუხს საღამოს...

**— შენსავე სტრიქონებს გეტყვი: „აითვისეს ქიაჩელი ქაჯებმა და გოიმებმა...“**

— გოიმი იცი, ვინ არის? ვინც ამახინჯებს ქალაქს. კონკრეტულად ქიაჩელის ქუჩის მაგალითზე გეტყვი: 100 წლის სახლს რომ დაამახინჯებ, ფანჯრებს ამოუჭრი ან ამოუქოლავ რესტორნის თუ ბარის გულისთვის, გოიმი ხარ, აბა, რა?! ქიაჩელი იმიტომ იყო კარგი, რომ პროპორციული, ჰარმონიული სახლები იდგა...

**— ეს მთელ ქალაქში ხდება... დღევანდელი თბილისი როგორია შენთვის?**

— ნაგვის ყუთია მთელი ქალაქი. რა უქნეს ბოტანიკურ ბაღს? წალკოტი იყო და ვერ მოუარეს... ფუნიკულიორს ვერ მიხედეს... არადა, ბარებს, რესტორნებს, საროსკიპოებს, საკუთარ სასახლეებს ხომ მიხედეს?! ვის მოვთხოვოთ პასუხი?

**— სხვათა შორის, იყო დრო, როცა ბევრი ცუდი რამ ხდებოდა თბილისში... ილია ჭავჭავაძეც კი წუხდა, — თბილისი საშინლად გაუცხოვდა, შეიცვალაო. თუმცა მაშინაც იყო გამოკვეთილი ნათელი წერტილები. არსებობდა სალონები...**

— ორ ნორმალურ ადამიანს რომ შევხვდები, უკვე სალონია ჩემთვის. აბა, შენობას რა მნიშვნელობა აქვს? სადაც საუბრობ, კარგ ადამიანთან ურთიერთობ, იქ არის სალონი.

**— სხვას თუ არა, შენ მაინც სულ იოლად შეგეძლო უცხოეთში საკუთარი ხელოვნებით თავის გატანა... მაინც დაბრუნდი ქალაქში, რომელიც „ნაგვის ყუთს“ გაგონებს.**

— ჩემი ნაგვის ყუთი მირჩევნია ყველაფერს. ერთხელაც ვთქვი ადრე: მე არ მემეტება ჩემი ცხოვრება იმისათვის, რომ სხვა ქვეყანაში დავბერდე... ჩემთვის ყოველი დღე ზეიმია, იმიტომ რომ თბილისში ვარ... ვინც წასასვლელი იყო, წავიდა. ვისაც წასვლა უნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს... ვისაც არ უნდა დაბრუნება, დარჩეს და კარგად იყოს. მე, პირადად, აქ მინდა გამოსწორდეს ყველაფერი და ვიცხოვრო, მჯერა კიდეც, რომ მოხდება სასწაული, ყველაფერი შეიცვლება.

*კარგა ხანს ვისაუბრეთ...*

*უცებ მომინდა, იმ მოხუცს დავწეოდი, წერეთელზე რომ ვნახე და მეთქვა: ამ თბილისშიც კი, განამებულ, გაჭუჭყიანებულ თბილისში, შეიძლება მოლურჯო კვიპაროსების დანახვა, „გზა არ წყდება, სიცოცხლე გრძელდება“.*

***ლელა ჯიყაშვილი***









ვაჟა თორდია

„თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

## „თბილავიამშენი" – ფასდაუდებელი მემკვიდრეობა და 60-წლიანი გამოცდილება

თბილისის საავიაციო ქარხნის ისტორია 1941 წლიდან იწყება. სწორედ, აქ ხდებოდა საბჭოთა სივრცეში პირველი რეაქტიულძრავიანი გამანადგურებელი თვითმფრინავების, მათი მოდიფიკაციებისა და ფრთოსანი რაკეტების სერიული წარმოება.

ქარხანა პროდუქციით აკომპლექტებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის შენაერთებს, მისი თვითმფრინავები მიეწოდებოდა ეგვიპტეს, სირიას, ალჟირს, ვიეტნამს, ინდოეთს, ფინეთს, გერმანიას, ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, ერაყს, ანგოლასა და ჩრდილოეთ კორეას.







## "თბილავიამშენი" – ახალი ეპოქა ქართული ავიაციის ისტორიაში CY-25KM „სკორპიონი"

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უნიკალური სამანევრო-საპილოტო შესაძლებლობების მქონე თვითმფრინავი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, დღისითა და ღამით, ნებისმიერ საბრძოლო ოპერაციას ასრულებს – ისრაელის ფირმა **ELBIT**-თან თანამშრომლობით, უმოკლეს ვადაში, ლეგენდარული მოიერიშე CY-25-ის წარმატებული მოდერნიზაცია განხორციელდა.

**CY-25KM „სკორპიონი" – ქართული ავიაციის მოულოდნელი და სოლიდური განაცხადი საფრანგეთში, ლე-ბურჟეს 44-ე საერთაშორისო აეროკოსმოსურ გამოფენაზე,** ღირსეული ადგილი აშშ-ს, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის ცნობილი ავიასამშენებლო კომპანიების მიერ შექმნილი საბრძოლო ავიატექნიკის გვერდით.



CY-25KM „სკორპიონი"

## "თბილავიამშენი" დღეს –

ეროვნულ-სამეცნიერო პოტენციალისა და წარმატებული ქართული მენეჯმენტის სინთეზი, 2000 პროფესიონალი, მაღალი სახელფასო და საპენსიო უზრუნველყოფით, თანამედროვე ტექნოლოგიები, ქართველი სპეციალისტების სტაჟირება მსოფლიოში ცნობილ საავიაციო ფირმებში, ახლებურად აზროვნება, ახალი წარმოება უმსხვილესი საბიუჯეტო შენატანებით: „თბილავიამშენმა" შეძლო ჩვენი ქვეყნის 25 მილიონიანი ვალის დაფარვა და ბიუჯეტში 36 მილიონი ლარის მობილიზება.

## "თბილავიამშენის" პროდუქციისთვის მსოფლიო ბაზარი ხსნილია –

ქართული საწარმო ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის – ISO-9001-ის მფლობელია, მსოფლიოში ცნობილ ნებისმიერ საავიაციო ფირმასთან პარიტეტულ საწყისებზე თანამშრომლობს და აქტიურად მუშაობს პარტნიორების მოზიდვასა და პროდუქციის გასაღების ბაზრის გაფართოებაზე.

## "თბილავიამშენი" – ახალი კონტაქტები, მნიშვნელოვანი პარტნიორები, მსოფლიო სტანდარტების მქონე პროდუქცია

- კანადურ ფირმა **KELOWNA FLIGHTCRAFT R&D LTD**-სთან დამყარებულია კონტაქტი **CONVAIR**-5800 თვითმფრინავების რემონტსა და მოდერნიზაციაზე.
- ამერიკულ ფირმა **MAVERICK**-თან მზადდება 6-ადგილიანი, მთლიანად კომპოზიციური მასალისგან დამზადებული თვითმფრინავები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა ბაზრის სრული სიცარიელის გამო.
- წარმატებულია თანამშრომლობა კომპიუტერულ ფირმა **IBM**-თან.
- მიმდინარეობს მუშაობა სახელგანთქმულ **BOEING**-თან კოოპერაციაში ჩართვასთან დაკავშირებით.

# TAM თბილავიამშენი

## ჩვენთვის გახსნილი ცა



მსოფლიოში ანალოგის არმქონე პირველი ქართული, უნიკალური კოსმოსური ანტენა-რეფლექტორი ორბიტაზე გაიშვა, იგი საქართველოს პოლიტექნიკურ ინტელექტთან თანამშრომლობით "თბილავიამშენში" აიგო



**CY-25KM „სკორპიონის"** კაბინის მოდერნიზებული ვარიანტი



"თბილავიამშენში" დამზადებული ულტრამსუბუქი თვითმფრინავი







„თბილავიამშენი" – განათებული დასახლებები

მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ჯგუფი წარმატებით მუშაობს მცირე ჰესების წარმოებაზე. აქ დამზადებული მცირე ჰესით უკვე განათდა საქართველოს საზღვრის ერთი მონაკვეთი. რეალურია, საქართველოს ყველა სასაზღვრო ტერიტორიის განათების პერსპექტივაც. აქვე მზადდება გაზის გამათბობლები, ელექტრო და ჰიდრო გენერატორები, ელექტროენერგიის სიხშირის რეგულატორები და ტურბინები, ინდივიდუალური გათბობის სისტემები, სასოფლო-სამეურნეო კომბაინები

# ერთი „პატარა კამათი“

## განუკითხაობა ხეტყის ბიზნესში

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან გასაუბრების შემდეგ საფუძველი მომეცა, შემდეგი დასკვნა გამეკეთებინა: თუ რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი შეკრული არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ მაფიოზურ კლანთან, რომელიც ხეტყის უკანონო ჭრის ბიზნესითაა დაკავებული და თუ მათ დაკრულზე არ ცეკვავს, მაშინ მისი დირექტორობის დღეები დათვლილია. „მეთანხმებით, ბატონო მერაბ?“ — ვკითხე დეპარტამენტის თავმჯდომარეს **მერაბ დვალს:** „სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით და ამის დამამტკიცებელ საბუთსაც გაჩვენებთ. ეს წერილი მარტვილის რაიონის სატყეო მეურნეობის უფროსისაგან, კოტე კოტიასგან მივიღე რამდენიმე დღის წინ. წაიკითხეთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, თუ რა პირობებში უწევთ მუშაობა მეტყევეებს.“



თურქეთში გასაგზავნად გამზადებული ნეკერჩხლის ფიცრები

გთავაზობთ წერილს მცირეოდენი შემოკლებით, (სტილი დაცულია): *„მოგახსენებთ, რომ 2003 წლის 14 თებერვალს 16 საათზე გახლდით სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე. ამ დროისთვის დამირეკა მარტვილის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა მურად გვაზავამ და მთხოვა სხვადასხვა სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით სასწრაფოდ მივსულიყავი მასთან კაბინეტში. მეც დაუყოვნებლივ გამოვცხადდი მასთან. მის ოთახში დამხვდა ორი პიროვნება. ერთი მისი ბიძაშვილი სოსო გვაზავა, რომელიც მარტვილის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილეა და თქვენთვის კარგად ნაცნობი შოთა გეგეჭკორი (შოთა გეგეჭკორი ადრე რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე იყო). როგორც თქვენთვის ცნობილია, 2003 წლის 12 თებერვალს დილის 7 საათზე დავაკავე 9 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი წიფელის ჯიშის ხე-ტყე, რომელიც შპს „ნაგვაზაო“-ს სახერხში უნდა შესულიყო. აღმოჩნდა, რომ გამგეობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიყავი დაბარებული. ისინი მადანაშაულებდნენ იმაში, თუ როგორ გავბედე მათი მამის და ბიძის სახერხში მიმავალი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის დაკავება და ჩამორთმევა. ზემოთ ხსენებული პიროვნებები ჩემზე ზემოქმედებით ცდილობდნენ ჩემს დაშინებას და დაყოლიებას, რომ დამებრუნებინა უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე და შპს „ნაგვაზაო“-ს სახერხში სისტემატიურად შესულ უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეზე ხმა არ ამომეღო არასოდეს...*

*მათ კატეგორიული უარით ვუპასუხე, რის შემდეგ პოლიციის უფროსის მოადგილემ სოსო გვაზავამ მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური განადგურებით დამემუქრა. იქვე მყოფმა შოთა გეგეჭკორმაც მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ჩემზე ფიზიკური შეურაცხყოფის მოსაყენებლად გამოიწია, რომელიც შეაჩერა გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მურად გვაზავამ.“*

„ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც, — აგრძელებს საუბარს **მერაბ დვალი**, — განსაკუთრებით ლენტეხის, ცაგერის, ჭიათურისა და ადიგენის რაიონებში, სადაც დღემდე გრძელდება ტყის უკანონო ჭრა. ჩვენი თანამშრომლები ადგილობრივი ხელისუფლების შიშით ხმას ვერ იღებენ. შარშან, მარტვილში, იქ შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის გამო, სატყეო მეურნეობის დირექტორად დავნიშნე ჩვენი დეპარტამენტის ტყის აღრიცხვის განყოფილების უფროსი გოგი დათუნაიშვილი, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბრაკონიერებს, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობის ზეწოლას ველარ გაუძლო და უკან დავაბრუნეთ“.

**გოგი დათუნაიშვილი:** „ხეტყის უკანონო ჩეხის ბიზნესში უშუალოდ იყო ჩართული მარტვილის რაიონის ეკოპოლიციის უფროსის მოადგილე კობახიძე. როცა უტყუარი ფაქტებით ვამხილე, იძულებული გახდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან წასვლაზე თავისი ნებით პატაკი დაეწერა. მაინც არაფერი შეიცვალა. მახსოვს, შარშან, ღამის ხუთ საათზე უკანონოდ მოჭრილი ხეტყით დატვირთული „კამაზის“ ტიპის მანქანა დავაკავე. შევადგინე აქტი და მანქანა პოლიციას ჩავაბარე. ზუსტად ერთ საათში მანქანა ხეტყიანად პოლიციამ ბრაკონიერებს გაატანა. ასევე მოხდა სოფელ თამაკონშიც, სადაც ბრაკონიერებმა ეკლესიასთან გაშენებული აკაციის ხეივანი გაჩეხეს და გზას გაუყენეს. ვაცნობე პოლიციას, მაგრამ არავითარი რეაგირება. ეს გამგებლის პირველ მოადგილესაც შევატყობინე, მაგრამ ამაოდ. პირიქით, ჩემს მეტყევეს შინ მიუცვივდნენ, აგინეს და დაემუქრნენ. მერე კი ტელეფონით დღეში ათჯერ მაინც მაფრთხილებდნენ: თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, რაიონი უნდა დატოვოო. რას ვიზამდი, დარწმუნებული ვიყავი, უკან არ დაიხევდნენ და ორ თვეში დეპარტამენტში დაბრუნება ვითხოვე“.

ჩვენთან საუბარს კვლავ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე **მერაბ დვალი** აგრძელებს:

— 21 თებერვალს დეპარტამენტის თანამშრომლები მარტვილის რაიონში მიემგზავრებიან და რაიონის ხელმძღვანელობას მკაცრად მოსთხოვენ პასუხს. თქვენც თუ წამობრძანდებით და პრობლემას ადგილზე გაეცნობით, კარგი იქნება. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, საკითხის გატანას მთავრობაში და უშიშროების საბჭოზეც არ მოვერიდები... მხოლოდ ჩვენ, მეტყევეები, ვერაფერს გავხდებით, თუ საზოგადოების ყველა წევრი გვერდით არ დაგვიდგა. ტყე საერთო-სახალხო საკუთრებაა, რომლის მოვლა-პატრონობასა და გეგმაზომიერ გამოყენებაზე პასუხი სატყეო დეპარტამენტს მოეთხოვება...

— **სამწუხაროდ, თურქეთში დღესაც გაედინება აღურიცხავი ხეტყე**

— უბედურება ის არის, რომ ეს არ ფიქსირდება საბაჟოსა და საზღვარზე. ჩვენ პარლამენტში გავიტანეთ განსახილველად ეს საკითხი და უკვე დღეს საბაჟოს უფლება აღარ აქვს ჩვენი ცნობის გარეშე თუნდაც ერთი ფიცარი გაუშვას საზღვარგარეთ. ყოველთვიურად მოწმდება დოკუმენტები: ვინ და რა გაიტანა. ვადარებთ ჩვენ მიერ გაცემულ ცნობებს (ტყის გაჩეხის ნებართვა). ზოგიერთი მეწარმე საბაჟოში ადგენდა ყალბ საბუთებს, აყალბებდა ჩვენს ცნობებს. მარტო 2001 წელს 30 ათასი კუბური მეტრი ფიცარი გავიდა საზღვარგარეთ ყალბი საბუთებით.

— **რას გვეტყვით სახერხებზე, რომლებიც სოკოებივით არიან მომრავლებულნი რაიონებში? სწორედ ისინი ამუშავებენ ბრაკონიერებისგან მოჭრილ ხეტყეს და რეალიზებასაც უკეთებენ.**

პოლიცია დაიჭერს რომელიმე გლეხს რაღაც მცირე დანაშაულზე და საქმე რომ ჩაფარცხოს, დამნაშავეს ერთი კვირიდან ორ თვემდე ხის მჭრელთა ბრიგადაში მუშაობას უსჯის. უფულო გლეხიც იძულებული ხდება „სასჯელი მოიხადოს“ — ციხის კედლების ხეხვას იძულებითი ბეგარა ურჩევნია. ერთი სიტყვით, ბატონყმობა გვაქვს რაიონში.

— ბორჯომის რაიონში 150 სახერხია. სახერხის რეგისტრაციისათვის საჭიროა ე. წ. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელსაც გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მას შემდეგ, რაც თანხმობას განაცხადებს მშენებლობის სამინისტრო, სანიტარული ინსპექცია და სხვები. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სახერხის გახსნის ნებართვას ჩვენ არავინ გვთხოვს. არის ერთი მომენტიც: სახერხს, რომელიც შემჩნეულია უკანონოდ გაჩეხილი ხეტყის დამუშავებაში, კანონით მუშაობა ეკრძალება და ლუქი ედება. მაგრამ ლუქს ორიოდ დღეში ხსნიან და მუშაობას ჩვეულებრივ აგრძელებენ. ამიტომ სახერხს ლუქი კი არ უნდა დავადოთ, საჭიროა მისი დემონტაჟი ან თუნდაც კონფისკაცია. სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით...

დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ მერაბ დვალს გამოვემშვიდობეთ და მის პირველ მოადგილესთან, **ჯიმი ჩარკვიანთან** გადავინაცვლეთ.

— გვეგონა, რაიონის გამგებელი ჩვენს მხარეზე იყო, მაგრამ რეალურად რაიონში არაფერი გაკეთებულა — პირიქით, ამ ბოლო დროს მარტვილში ბრაკონიერები სულ თავს გავიდნენ. ამჟამად მასობრივად მიმდინარეობს ნეკერჩხლის ხეების ჩეხა. არადა, ნეკერჩხალი წითელ წიგნშია შეტანილი და მისი მოჭრა კანონით აკრძალულია.

— **სხვა რაიონებშიც ასეთივე მდგომარეობა ყოფილა...**

— მეტ-ნაკლებად. ადგილობრივი ხელისუფლება ხეტყით გამდიდრებას ცდილობს. არავინ უშლით ხეტყის დამზადებას, ოღონდ შესაბამისი ნებართვა აიღონ და როგორც წესი და რიგია, გამოყოფილი ფონდით დაკმაყოფილდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად...

საუბარში დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი **რომან მამალაძე** ჩაგვერთო: „ლენტეხის რაიონიდან მხოლოდ ერთი, ოთხი-ხუთი მეტრი სიგანის გზა მოდის. სწორედ ამ გზით გააქვთ უკანონოდ მოჭრილი ხეტყე. რა უნდა ამ გზაზე ერთი ხერგილის მოწყობასა და ბრაკონიერების დაკავებას? დეპარტამენტის თანამშრომლები იძულებული გავხდით, გზებზეც ვიმორიგეოთ. სხვა გზა არ ჩანს. ამ ბოლო დროს იშვიათი ჯიშის ნეკერჩხლის მერქნის გატანა დაიწყეს. ნეკერჩხალს თეთრი მერქანი აქვს და საავეჯო მრეწველობაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. წაბლი და მუხა ხომ არ დააყენეს ტყეში, ახლა ნეკერჩხალსაც სპობენ. ერთი უბედურებაც გვჭირს — სამხრეთ საქართველოს ტყიან რაიონებში, კერძოდ, დმანისსა და ბოლნისში, სომხეთის რესპუბლიკიდან 20-25-კაციანი ბრიგადები შემოდიან ღამით. კალიებივით შეესევიან ტყეს და ერთ ჰექტარს ერთ ღამეში უდაბნოდ აქცევენ. მერე დატვირთავენ მანქანებს მოპარული ხეტყით და თავიანთ ქვეყანაში მიარბენინებენ. ძნელი დასაჯერებელია, ეს ამბავი ადგილობრივმა თვითმმართველობამ არ იცოდეს; ან ამ რაიონების პოლიცია სად არის, მაგრამ ხმას არავინ იღებს. არაფერს ვამბობ საზღვრის დაცვის დეპარტამენტზე. სამწუხაროდ, განტევების ვაცი მუდამ ჩვენი დეპარტამენტია.“



უკანონოდ მოჭრილი წიფელი

სისხამ დილით მარტვილისკენ მიკროავტობუსით გავემგზავრე.

გზაში მგზავრები დროის მოსაკლავად ერთმანეთს გამოელაპარაკნენ, შემთხვევით ვისარგებლე და საუბარი ჩემთვის საინტერესო გზით წავიყვანე.

„მარტვილის რაიონს პატრონი არ ჰყავს — თვეობით არ გვაქვს, ბატონო, შუქი. სასმელი წყალიც გაჭირდა ამ ბოლო დროს და მალე ალბათ მდინარე ცხენისწყალს დავლევთ. სამი წლის წინ ახალი გამგებელი დაინიშნა რაიონში. თავიდან რაღაცას კი ფაფხურობდა, რაიონული ცენტრი გაალამაზა და აღადგინა, მაგრამ მერე გული აიცრუა და ახლა თვეში ერთხელ თუ დაგვენახვება ახალ მთვარესავით“, — მითხრა ერთმა მარტვილელმა. მას სიტყვა მეორე მგზავრმა ჩამოართვა: „როცა გამგებელი ადგილზე არ არის, რაიონის ბატონ-პატრონი მისი მოადგილე მურად გვაზავაა და თავის ჭკუაზე ატრიალებს ყველაფერს. აგერ, ჩვენი მეტყევე ზის და ის გეტყვით, რა ხდება მარტვილის რაიონის ტყეებში დღეს“.

მეტყევე ჩემ გვერდით მჯდომი მგზავრი აღმოჩნდა, რომელმაც თავდაპირველად უცხო კაცთან გულახდილ ლაპარაკს თავი აარიდა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა და ამყვა: „დღემდე გრძელდება ტყეების მასობრივი გაჩანაგება. იკითხავთ, ალბათ, მერე მეტყევეები რას აკეთებთო? რა უნდა გავაკეთოთ. რაიონში ხეტყის ბიზნესს ადგილობრივი მაფია მართავს. მაგათ თავისი სახერხიც აქვთ და არც მფარველები აკლიათ. სახერხის უფროსის ვაჟი სოსო გვაზავა რაიონის პოლიციის უფროსია. რაიონის გამგებელი აპოლონ წულაია მისი სიძეა, გამგებლის მოადგილე მურად გვაზავა, რომელიც რაიონის ფაქტობრივი გამგებელია, მისი ძმისშვილია. გვაზავების მარჯვენა ხელია შოთა გეგეჭკორი, რომელიც მათი ნათესავია. ამის შემდეგ გაბედე და უკანონოდ მოჭრილი გვაზავების კუთვნილი ხეტყე დააკავე და აქტი შეუდგინე. ფული მათ ხელშია და ხელისუფლება. პოლიცია რომელიმე გლეხს რაღაც მცირე დანაშაულზე დაიჭერს და საქმე რომ ჩაფარცხოს, დამნაშავეს ერთი კვირიდან ორ თვემდე ხის მჭრელთა ბრიგადაში მუშაობას უსჯის. უფულო გლეხიც იძულებული ხდება „სასჯელი მოიხადოს“ — ციხის კედლების ხეხვას იძულებითი ბეგარა ურჩევნია. ერთი სიტყვით, ბატონყმობა გვაქვს რაიონში.“

დმანისსა და ბოლნისში სომხეთის რესპუბლიკიდან 20-25-კაციანი ბრიგადები შემოდიან ღამით. კალიებივით შეესევიან ტყეს და ერთ ჰექტარს ერთ ღამეში უდაბნოდ აქცევენ. მერე დატვირთავენ მანქანებს მოპარული ხეტყით და თავიანთ ქვეყანაში მიარბენინებენ. ძნელი დასაჯერებელია, ეს ამბავი ადგილობრივმა თვითმმართველობამ არ იცოდეს; ან ამ რაიონების პოლიცია სად არის, მაგრამ ხმას არავინ იღებს.

მარტვილში ჩასული უპირველესად რაიონის გამგებელ **აპოლონ წულაიასთან** გასასაუბრებლად გავემართეთ:

— **თქვენს რაიონში დღესაც მიმდინარეობს ხეტყის უკანონო ჭრა. რა ზომებს მიმართავს რაიონის ხელისუფლება?**

— ხეტყის უკანონო ჩეხის აღკვეთის მიზნით რაც გაკეთდა მარტვილის რაიონში, გამგეობის დამსახურებაა.

— **კერძოდ, რა გაკეთდა?**

— რა გაკეთდა და რაღაცები ლაგდება, თუმცა არაფერი ხელშესახები არ გაკეთებულა(?!). ჯერ მიდის ნგრევა და უბედურება. როგორც იქნა, ჩვენი თხოვნა ყურად იღო საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ — კოლეგიამ იმსჯელა რაიონში შექმნილ სიტუაციასა და იმ დარღვევებზე, რომლებსაც ჩვენ ვატყობინებდით სატყეო დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელობას. სამწუხაროდ, მას არაფერი გაუკეთებია რაიონში წესრიგის დასამყარებლად. ისევ ჩეხდნენ ზოგიერთები ტყეს.

— **კონკრეტულად, ვინ?**

— მარტვილის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელსაც დეპარტამენტი მფარველობდა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა — სატყეო მეურნეობაში ახალგაზრდა, პატიოსანი კაცი დაინიშნა დირექტორად.

— **სწორედ ამ ახალ დირექტორს ავიწროებენ თქვენი მოადგილე და სხვები...** — და გამგებელს ვაცნობ კოტე კოტიას წერილს, რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ.

— ამის შესახებ არაფერი ვიცი. გასულ კვირას რაიონში არ ვყოფილვარ, თბილისში გახლდით მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე. არა მგონია, ასეთი რამ მომხდარიყო, თქვენ ხომ არ აზვიადებთ?.. გვაზავებს კი არა, მამაჩემი რომ გაცოცხლდეს, იმას არ ვაპატიებ უკანონობას. აუცილებლად გავარკვევ რა მოხდა(?!) ხვალ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ჩამოდის და გთხოვთ, თქვენც დაესწროთ ჩვენს შეხვედრას...

სანამ სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლები ჩამოვიდოდნენ მარტვილში, დრო საკმარისზე მეტი მქონდა, ამიტომ რაიონის გამგებლის მოადგილეც შევაწუხე.

**მურად გვაზავა:**

— არავითარი კამათი ან ჩხუბი 14 თებერვალს ჩემს კაბინეტში არ ყოფილა. ან რაიონის სატყეოს უფროსს, ან შოთა გეგეჭკორს და პოლიციის უფროსის მოადგილეს, სოსო გვაზავას ჩემთან რა უნდოდათ?! ცრუინფორმაცია მოუწოდებიათ.

— **რას გვეტყვით თქვენს რაიონში ტყის უკანონო ჭრაზე?**

— გეთანხმებით, რაიონში მართლაც მასობრივად იჩეხებოდა ხეტყე. ახლაც იჩეხება, მაგრამ არა ისეთი მასშტაბით, როგორითაც ეს შარშან და წინა წლებში იყო. ყოველივე ეს არა გამგეობის, არამედ თვითონ მეტყევეებისა და მათი ხელმძღვანელების ხელშეწყობით ხდებოდა. რაც შეეხება კამათს, არავითარ შეურაცხყოფას ვინმეს მიმართ ადგილი არ ჰქონია. იყო საქმიანი საუბარი რაიონის სატყეო კადრების შესახებ. ვმსჯელობდით, ვინ უნდა დანიშნულიყო ტყის მეურნეობის მთავარ ინჟინრად და ამ დროს წაკამათდნენ გეგეჭკორი და კოტია. სატყეო მეურნეობის დირექტორი ითხოვდა იმ კადრის დანიშვნას, რომელსაც არ ეთანხმებოდა გეგეჭკორი...

გამგეობიდან წამოსულებმა რაიონის პოლიციის განყოფილებას მივაშურეთ და პოლიციის უფროსის მოადგილეს კომენტარი ვთხოვეთ.

**სოსო გვაზავა:** „არავითარი კამათი არ ყოფილა. უბრალოდ, მამაჩემს აქვს სახერხი და შეიძლება რაღაცაზე ილაპარაკეს, თორემ მასთან რა საერთო მქონდა“.

იგივე განაცხადა მარტვილის ფოსტის უფროსის მოადგილემ, საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ შოთა გეგეჭკორმაც. მან სავსებით უარყო 14 თებერვალს მურად გვაზავას კაბინეტში ყოფნა.

მალე საქართველოს სატყეო დეპარტამენტის დელეგაცია დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გოგი გამცემლიძის მეთაურობით მარტვილში ჩამოვიდა. თათბირზე დასასწრებად ჩვენც მოვემზადეთ. იქვე იყო მარტვილის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორიც. მოულოდნელად, მარტვილის რაიონის გამგებელმა აპოლონ წულაიამ მითხრა, ჩვენ სატყეო მეურნეობის კადრებზე გვექნება კონფიდენციალური საუბარი და თქვენი დასწრება მიზანშეუწონელიაო. გასაგებია გამგებლის უეცარი უარის მიზეზი, — შეხვედრა დეპარტამენტის დელეგაციასთან საკმაოდ მწვავე იქნებოდა და ბევრ რამეს გამოააშკარავებდა. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ჟურნალისტის ყურისთვის არ იყო გამიზნული.

P.S. დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია ბატონო მკითხველო. რაც შეეხება კოტიას წერილ-საჩივარს, გამგებელმა გვითხრა, რომ არ ღირდა ერთი „პატარა კამათის“ გულისთვის აურზაურის ატეხა.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

CMYK

# „შეიძლება იძულებით დავთანხმდე სპიკერის პოსტს...“

საკრებულოს თავმჯდომარედ პირველი „ნაციონალის“ გაყვანისა და ლეიბორისტების პირველი იმედგაცრუების შემდეგ, ამ პარტიების პოპულარულ ლიდერებს ერთმანეთისთვის ბევრი რამ დაუგროვდათ სათქმელი, მაგრამ საჯარო დებატებს მაინც თავს არიდებდნენ და მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ „გლადიატორთა“ როლში თანაგუნდელები გამოჰყავდათ. გასულ კვირას ნავსი გატყდა (როგორც კულუარებში ამბობენ, ნათელაშვილმა სააკაშვილის გამოწვევა მიიღო) და ერთმანეთზე გამწყრალი ყოფილი მოკავშირეები პირდაპირ ეთერში პირისპირ დასხდნენ (რასაც ერთი საერთო მეგობრის „დამსახურებად“ მიიჩნევენ. ი. რ.). ოპონენტებმა რომ ერთმანეთი გულუხვად შეამკეს, ეს მაყურებელმა იხილა და ამ თემაზე ლაპარაკს არც ვაპირებთ. მხოლოდ ერთ პასაჟს შეგახსენებთ — დიალოგის მიწურულს საკრებულოს თავმჯდომარემ ნათელაშვილის თანაპარტიელ ინჯიას „ახალი ქსელების“ ტარიფის გაზრდა დასდო ბრალად. სააკაშვილის თქმით, ლეიბორისტთა ლიდერი ერთი ხელით რომ ელექტროენერგიის გადასახადს გვიმცირებს, მეორეთი — სატელეფონო საუბრების ტარიფს გვიზრდის. ეს თუ მართლაც ასეა, არც ბატონი შალვა გამოიყურება მთლად უმწიკვლოდ. რაკი ლეიბორისტი ფრიდონ ინჯიას საქმიანობის ამ კონკრეტულმა ფაქტმაც დაგვაინტერესა და ჩვენი მოსახლეობის გულისტკივილიც გავითვალისწინეთ სატელეფონო საუბრების გაძვირების გამო, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს, **შალვა ნათელაშვილს** გავესაუბრეთ:



ბრალდებები ლეიბორისტების წინააღმდეგ

**— ბატონო შალვა, ინჯიას რატომ არ დაუშალეთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა?**

— ფრიდონ ინჯიას სატელეფონო საუბრების გაძვირების არავითარი მოტივი არ ჰქონია.

**— მოტივად თუნდაც ის გამოდგება, რომ წინასაარჩევნოდ ფულია საჭირო.**

— არჩევნებში ინჯიას ფულის იმედზე ნამდვილად არ ვართ. კარგი რა... კაცი თანამდებობიდან გააგდეს, გაჩხრიკეს, ორ წელიწადს ემიგრაციაში იყო და რა ფული უნდა ჰქონდეს?!

**— მაგრამ ბრალდებები, რომლებიც ფრიდონ ინჯიას წაუყენეს, ძალზე მარჯვე საბაბია ლეიბორისტების წინააღმდეგ.**

— ფრიდონ ინჯია ლეიბორისტულ პარტიაში მაშინ მოვიდა, როცა თანამდებობიდან ერთი წლის გადაყენებული იყო. მან აღადგინა კავშირგაბმულობის საკავშირო ინსტიტუტი „ეგრისი“ ისე, რომ მთავრობისგან არაფერი წაუღია — არც გრანტი, არც კრედიტი და არც საბიუჯეტო სახსრები. როდესაც ფრიდონ ინჯიამ უარი თქვა „მოქალაქეთა კავშირის“ სიის წევრობაზე, დაიწყო შეტევა მის წინააღმდეგ.

გადასახადის გადაუხდელობის გამო ინჯიამ ჯოხთაბერიძეს „მაგთის“ მთელი სისტემა გაუთიშა. რა თქმა უნდა, ამან გამანადგურებელი გავლენა იქონია მის კარიერაზე. იმავდროულად, მან არ დააფინანსა (საარჩევნო თანხებით) „მოქალაქეთა კავშირი“, არ დანიშნა თავის მოადგილედ პირი, რომელსაც უნდა ეკონტროლებინა სატელეფონო საუბრები და მერე მოეხსენებინა „მოქალაქეებისთვის“ — სწორედ ეს გახდა მინისტრობიდან ინჯიას წასვლის მიზეზი, მაგრამ მაშინ მის წინააღმდეგ არც საქმე აღუძრავთ და არც კორუმპირებულობა დაუბრალებიათ. ინჯიას დევნა 1999 წელს ლეიბორისტულ პარტიაში შემოსვლის დღიდან დაიწყო. კანცელარიამ პარლამენტში ჩვენი შეუშვებლობის მიზეზი ასე

ინჯიას რაიმე უკანონოდ მითვისებული რომ ჰქონოდა, ვერ გაუბედავდა პრეზიდენტის სიძეს მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის გათიშვას. გიჟი უნდა ყოფილიყო, რომ ვერ მიმხვდარიყო — მეორე დღესვე დამიჭერენო.

ახსნა — მაგათ ინჯია ჰყავთ პარტიაშიო.

ბუნებრივია, ასეთი კაცი პატივისცემას იმსახურებს. მისნაირს რომ განზე გავუდგე, „მოქალაქეთა კავშირს“ დავემგვანები.

**— ანუ იდეის და პრინციპების ერთგული კაცის უკან რა იქნება, ამას აღარ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა... საიდან იშოვა ქონება ინჯიამ?**

— გთხოვთ, სწორად გამიგოთ. ინჯიას ფული არ აქვს ჩადებული ლეიბორისტულ პარტიაში. ჩვენ დახურული ბუღალტერია არ გვაქვს, — ყველას შეუძლია შეამოწმოს, რა გვაქვს და საიდან.

**— ბუღალტერია შესაძლოა ღია იყოს, მაგრამ შავად რაღაცები მაინც კეთდებოდეს.**

— ინჯია არც შავი სპონსორია და არც თეთრი... ინჯია მე არ გამიმინისტრებია და არც გამიდეპუტატებია. პირიქით, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ჟვანიას ხელდასხმით გახდა რამდენჯერმე მინისტრი...

სანამ ახლო თანამებრძოლად ვინმეს გავიხდი, აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ამ კაცის უკან არ დგას დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც შემდგომში ამოატივტივებენ და თავზე გადამახევენ. დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კავშირგაბმულობის მინისტრობის დროს ინჯიამ აიღო ქრთამი, რომ მას წილები ჰქონდა შეწერილი თანამშრომლებზე, რომ ვინმეს ქრთამით აწინაურებდა, რომ კრედიტი გაიტანა ან ბიუჯეტის ხარჯზე გააკეთა რაიმე, არ არსებობს. პირიქით, მინისტრობის დროს ინჯიამ წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა გამოასწორა — გამსახურდიას დროს საქართველოს საერთაშორისო კავშირების დამყარების ექსკლუზიური უფლება ჩეხეთში მცხოვრებ ებრაელების ჯგუფზე გაიყიდა და ამიტომ საერთაშორისო სატელეფონო კავშირი სომხეთის საშუალებით უნდა დაგვემყარებინა. ინჯიამ ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლა და მოიგო კიდეც საქმე. დღეს რომ თბილისიდან მყარდება სატელეფონო კავშირები მსოფლიოსთან, სწორედ ინჯიას დამსახურებაა. მან მოსკოვთან მოლაპარაკებით მიაღწია იმას, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება და იქაური მოსახლეობა თბილისის გავლით უკავშირდებოდა მსოფლიოს. სამწუხაროდ, აფხაზები უკვე სოჭის ხაზით სარგებლობენ და კავშირგაბმულობის დღევანდელ მინისტრს არც აწუხებს საქართველოს სუვერენიტეტი კავშირგაბმულობის სფეროში... ეს ჩემთვის ძალზე ანგარიშგასაწევი ფაქტებია. ნოღაიდელი, ონოფრიშვილი, ჭკუასელი და მაჭავარიანი ინჯიასავით ჩემთან რომ წამოსულიყვნენ, დღეს ყველანი ციხეში იქნებოდნენ. მინისტრობის დროს იმდენი გრანტი და კრედიტი აქვთ შეჭმული, რომ მოენატრებოდათ ნიურნბერგის პროცესი.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ინჯიას ქრთამის მიმცემს ვერ მოუნახავენ (რომ მოინდომონ)?**

— დარწმუნებული ვარ, ასეთი კაცი რომ არსებობდეს, აქამდე მოუნახავდნენ და იმის გამო, რომ სააკაშვილსა და ჟვანიას არ მოსწონთ ინჯია, ამ კაცს პარტიიდან ვერ გავუშვებ.

**— გასაგებია, მაგრამ მინისტრი კორუფციის გარეშე რომ ვერ შეძლებდა თანამდებობაზე ყოფნას, ამაზე თუ მეთანხმებით?**

— არ შემიძლია ვთქვა, რომ შევარდნაძის მთავრობაში რომელიმე მინისტრი კანონის სრული დაცვით მუშაობდა. არ გამოვრიცხავ, რომ ინჯია ვინმე თავის ახლობელს დაეხმარა, მაგრამ ეს არ არის კორუფცია და უკანონობა...

როცა მობილური კავშირგაბმულობის სისტემა შემოვიდა, ეს იყო კერძო ბიზნესი და ინჯიამ, რაკი კარგად იცნობდა ამ სფეროს, თურქებთან ერთად შექმნა „ჯეოსელი“, რომლის გენერალური დირექტორი ქართველი იყო. „მოქალაქეთა კავშირმა“, როცა ინჯია ემიგრაციაში იყო, იხელთა დრო, თურქებს სასამართლოში შეატანინა სარჩელი და მოაგებინა პროცესი. თურქებმა ამისთვის 900 ათასი დოლარი გამოაგზავნეს დიპლომატით. ამ თანხის ნაწილს „მოქალაქეები“ დაჰპირდნენ მოსამართლეებს, მაგრამ „გადააგდეს“ (დღემდე ყლაპავენ ალბათ ნერწყვს), წაართვეს ინჯიას „ჯეოსელი“ (აქციების უპირატესი წილი), გადასცეს თურქებს და დღეს იქ თურქი მენეჯერი ზის. ამით ქვეყანამ დაკარგა სტრატეგიული ობიექტი — თურქეთის დაზვერვამ რომ მოინდომოს, ყველა საიდუმლო ინფორმაციას ჩაიგდებს ხელთ.

ინჯიას რაიმე უკანონოდ მითვისებული რომ ჰქონოდა, ვერ გაუბედავდა პრეზიდენტის სიძეს მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის გათიშვას. გიჟი უნდა ყოფილიყო, რომ ვერ მიმხვდარიყო — მეორე დღესვე დამიჭერენო. დღეს რომ რომელიმე მინისტრმა ანალოგიური რამ ჩაიდინოს, გარანტიას გაძლევთ, მესამე დღესვე ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში მოათავსებენ.

ფრიდონ ინჯია უღალატო კაცია და თუ მისი საწინააღმდეგო კამპანია კვლავ გაჩაღდება, საკუთარ თავზე ავილებ ყველანაირ დარტყმას.

**— „ახალი ქსელების“ ტარიფის მომატებაში ინჯიას (კონკრეტულად, მისი ნათესავების) როლზე რას იტყვით?**

— იქ არანაირი წილი არ აქვთ ინჯიას და ნათესავებს. „ახალი ქსელები“ 1998 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ მიღებული კანონის საფუძველზე დაარსდა...

**— სააკაშვილი დოკუმენტურად გისაბუთებდათ, რომ ტარიფის გაძვირებაში ინჯიას ხელი ერია.**

— არ ვიცი, რას აფრიალებდა მაშინ სააკაშვილი. მისი ბრალდებების მოსმენის შემდეგ გავარკვიე, რაზეც დაობდა მიშა. კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიას ელექტროკავშირისთვის მომსახურების ტარიფის გაძვირება მოუთხოვია. შესაბამისად, „ახალ ქსელებს“, რომელიც ელექტროკავშირის მომსახურებას იყენებს, ტარიფის გაძვირება მოსთხოვეს და მათაც 1 ლარით გაზარდეს მომსახურება. დღეს თუ სახელმწიფო სატელეფონო მომსახურება 4 ლარი ღირს, „ახალი ქსელების“ სააბონენტო გადასახადი 2 ლარია. ინჯიამ გუშინ გაიგო, რომ „ახალ ქსელებში“ მომსახურება გაძვირებულა.

**— მაშ, სად მუშაობს ის ხალხი, ვისზეც სააკაშვილი დაობდა?**

— როგორც მითხრეს, ინჯიას ძმის ცოლს კავშირგაბმულობის რაღაც კერძო ფირმაში ჰქონია 2%-იანი დივიდენდი, მაგრამ დღემდე კაპიკი არ მიუღია იქიდან, რადგან ის ფირმა, როგორც ამბობენ, მხოლოდ 5 წლის შემდეგ იმუშავებს მოგებაზე.

**— კონკრეტულად, რა ფირმაა?**

— არ მახსოვს, „ტელექსია“ მგონი. შესაძლოა, მიშას ეს ფირმა აერია (ან განგებ აურია) „ახალ ქსელებში“.

**— ახლა პოლიტიკურ თემებზე გადავიდეთ. თქვენზე ამბობენ, პარლამენტში 100 კაცის გაყვანას გეგმავსო.**

— დღევანდელი მდგომარეობით, უმრავლესობით, მინიმუმ 118 კაცით უნდა მოვიდეთ.

**— ე. ი. შესაძლოა მომავალ პარლამენტში სპიკერად გიხილოთ?**

— არ დაგიმალავთ, სპიკერობის სურვილი არ მაქვს. პირველ პარლამენტში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და სპიკერზე მეტი ფუნქცია მქონდა — კანონების 90% ჩემი დაწერილია. პარლამენტი ჩემთვის დასრულებული თემაა.

**— დიდი პასუხისმგებლობა ხომ არ არის თქვენთვის სპიკერობა?**

— ეს აბსოლუტურად ფორმალური თანამდებობაა. მიკროფონის ჩართვა-გამორთვა და გაავებული დეპუტატების გაშველება არ მხიბლავს.

ფრიდონ ინჯია უღალატო კაცია და თუ მისი საწინააღმდეგო კამპანია კვლავ გაჩაღდება, საკუთარ თავზე ავილებ ყველანაირ დარტყმას.

**— ე.ი. შესაძლოა, პარლამენტშიც არ შეხვიდეთ?**

— მაგ საკითხზე ვფიქრობ. როგორც წესი, ევროპის პოლიტიკური პარტიის ლიდერები პარლამენტში არ შედიან. ისინი პრემიერ-მინისტრები ან პრეზიდენტები ხდებიან.

ვნახოთ, როგორი კანდიდატურა მოინახება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. ის გამაერთიანებელი, გაწონასწორებული, კანონის მცოდნე, ეთიკური ადამიანი უნდა იყოს... თუ ასეთი პირი არ მოიძებნება, შესაძლოა, იძულებით წავიდე ამ პოსტზე.

**— არჩევნების დროს შეიარაღებული ხალხისგან ძალადობის საშიშროებას ვერ ხედავთ?**

— გამორიცხულია — ეუთო, ევროკავშირი, ამერიკა და ევროპა საქართველოში არეულობას არ დაუშვებენ. თუ არეულობა მაინც მოხდება, აქ ნატოს ჯარები ჩამოდგებიან, იმიტომ, რომ ევრაზიის გეოპოლიტიკური არხი იქნება დასაცავი — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, სატრანსპორტო მაგისტრალები და სუფსის ნავთობსადენი. ყველაფერ ამას გიჟი პოლიტიკოსების იმედად არავინ დატოვებს. მოიცდიან, სანამ დავღვინდებოდეთ, დავჭკვიანდებოდეთ და როგორც ხორვატიაში მოხდა, მერე მოგვცემენ ეუთოს ეგიდით არჩევნების ჩატარების უფლებას.

**— ბოლოს მაინც იქამდე მივედით, რომ ჩვენს პრეზიდენტს ბევრი რამ განუჭვრეტია...**

— პრეზიდენტის შორსმჭვრეტელობა კი არა, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობაა აქ გადამწყვეტი. ევროპისა და აზიის, სამხრეთისა და დასავლეთის კავშირისთვის აუცილებელია საქართველო სტაბილური ქვეყანა იყოს. ასე რომ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით სპეკულირება ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის უზნეობაა.

**— არ შიშობთ, რომ წინა არჩევნების პრეცედენტი განმეორდება და ლეიბორისტები გარეთ დარჩებიან?..**

— შეუძლებელია... დღეს სხვა რეალობაა. ყველა საარჩევნო უბანზე ჩვენი აქტივი გვეყოლება მიმაგრებული. ეს იქნება შეუიარაღებელი ხალხი, რომლებიც შეიარაღებულებსაც კი არ შეეპუებიან.

***იზო რიკაძე***

# ამერიკასა და ევროპას შორის ახალი გადანაწილება დაიწყო...

## საქართველოს სამხედრო აეროდრომებით ამერიკა არ ინტერესდება?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

ამდენი „ძველი ქვეყნის“ წარმომადგენლის შემყურე კოლინ პაუელს სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეთქვა: მართალია, ამერიკა შედარებით ახალი ქვეყანაა, სამაგიეროდ, უძველესი დემოკრატიული სახელმწიფოა მათ შორის, რომელთა წარმომადგენლებიც ამ მაგიდას უსხედანო. საბედნიეროდ, დემოკრატიის მამამთავარი ქვეყნის — საბერძნეთის წარმომადგენელი არ ბრძანდებოდა მაგიდასთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბერძნეთი არ არის უშიშროების საბჭოს წევრი. მხოლოდ იგორ ივანოვს არ დასცდენია კრინტი რუსეთის „სიძველეზე“. ან რა უნდა ეთქვა?! ისე კი გაეროში ქვეყნების „სიძველეზე“ საუბრის დაწყების პრეცედენტი თავისუფლად შეუძლია „გამოიყენოს“ საქართველოს პრეზიდენტმაც და შემოდგომაზე, თუკი მოხსენებით გამოვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, „სამათასწლოვანი“ საქართველოს სახელით ესაუბროს დიპლომატებს...

სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის სახელმა ამ დღეებში გაიჟღერა ამერიკულ მასმედიაში. კერძოდ, დაიმოწმეს თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, სტივენ რადემეიკერთან შეხვედრის შემდეგ შევარდნაძის გაკეთებული განცხადება, რომ „ერაყის დანაშაულებრივი რეჟიმი ფლობს მასობრივი განადგურების იარაღის სახეობებს და საქართველო მზად არის საკუთარი სამხედრო აეროდრომები დაუთმოს ამერიკელებს ერაყთან ომისას!“ თუმცა, კომენტარის სახით ისიც ითქვა, რომ საქართველოს სამხედრო აეროდრომებით ამერიკა არცთუ დიდად არის დაინტერესებული იმ მიზეზის გამო, რომ ისინი არ შეესაბამება ნატოს სტანდარტებს!

უნდა ითქვას, რომ ევროპელ მოკავშირეთა მხრიდან 19 თებერვალს უამრავმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი თეთრ სახლში, სადაც ჯორჯ ბუშთან მოლაპარაკების დასრულებამდე ლატვიის პრეზიდენტმა, ვარია ვიკე-ფრეიბერგმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „უახლოეს კვირებში (ლაპარაკია მაქსიმუმ ორ კვირაზე, რომლის შემდგომაც უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშეც დაიწყებს ამერიკა ომს ერაყის წინააღმდეგ. — ზ. მ.) უნდა ველოდოთ მოვლენების განვითარებას ერაყში!“ ცნობისათვის: ლატვია ერთ-ერთია იმ ათ ქვეყანას შორის, რომლებმაც უშიშროების საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე კოლინ პაუელის უშედეგო გამოსვლისთანავე მიიღეს ერთობლივი განცხადება, — მათ მხარი დაუჭირეს აშშ-ს და ვაშინგტონს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მაქსიმალურად მკაცრი ზომების გატარებისკენ მოუწოდეს! ამ ათი ქვეყნიდან შვიდი, ლატვიის ჩათვლით, როგორც ცნობილია, გასულ შემოდგომაზე მიიწვიეს ნატოში გასაწევრებლად. ამერიკული პრესა ერთხმად ალაპარაკდა, რომ ლატვიის პრეზიდენტი შესაძლოა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან უცხოელ ლიდერთა შორის, რომელსაც აქვს ინფორმაცია ერაყში ომის დაწყების დროის შესახებ და მისი განცხადებებიდან გამომდინარე დაასკვნეს, „მოვლენები ერაყში შეიძლება განვითარდეს“ 3-12 მარტის პერიოდშიო!

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, 1990-1991 წლებისგან (პირველი ომი ერაყთან. — ზ. მ.) განსხვავებით, დღეს თვისებრივად სხვა ვითარებაა: სამწუხაროდ, ევროპაში და რუსეთშიც, ჯეროვნად ვერ აცნობიერებენ, თუ რას ნიშნავს ამერიკისთვის ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების დაკარგვა, რისი მოწმენიც 11 სექტემბრის ტერაქტებისას გავხდით. დიახ, მტკიცე შინაუსაფრთხოების უზრუნველყოფა გახდა ამერიკელი ხალხისთვის ყოველდღიური და პრიორიტეტული პრობლემა (როგორც ჩანს, აქ უნდა ცხოვრობდე კაცი, რომ ამ ჭეშმარიტებას ყოველდღიურად შეიგრძნობდე). პრეზიდენტი ბუში და მისი ადმინისტრაცია, რომლებმაც კონკრეტულ სამიზნედ ერაყი ამოირჩიეს, უწინარესად, ხელმძღვანელობენ არა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და ნავთობის მაგნატთა ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მათთვის უპირველესად მთავარია ამერიკის უსაფრთხოების დაცვა დიქტატორული რეჟიმების, ტერორისტული ორგანიზაციებისა და მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებელ-გამავრცელებლებისგან. ეს საშიშროება აიძულებს აშშ-ის ნაციონალურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები. რაც შეეხება ვაშინგტონის უპირველეს ოპონენტებს — საფრანგეთსა და გერმანიას — როგორც ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა შენიშნა: „მათთვის ერაყის საკითხი წარმოადგენს ე. წ. „ჭეშმარიტების მომენტს“ აშშ-ისაგან დამოუკიდებელი, ავტონომიური საგარეო პოლიტიკის ფორმირებისთვის და აქ საქმე ეხება არა მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოთა სანავთობე ინტერესებს ერაყში, არამედ მათ ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს მთელ ახლო აღმოსავლეთში“.

სწორედ მათი და აშშ-ის ინტერესების შეჯახების მოწმენი ვართ დღეს, თუმცა ლაპარაკი მათ შორის თითქოსდა არსებულ ღრმა განხეთქილებაზე, ნაადრევია. უბრალოდ, დრომ მოიტანა სერიოზული გარდაქმნების საჭიროება (გავლენის სფეროთა ახალი გადანაწილება. — ზ. მ.) ტრანსატლანტიკურ მოკავშირეთა ურთიერთობებში...

# სად გაქრა ჩეხური ტანკები?!

## საქართველოს მონაწილეობა იარაღის შავ ბიზნესში – მსოფლიო სკანდალი?!



ჩეხური ტანკები ერთი ათად მოგვითვალეს?..

წინა კვირას რედაქციაში ჩეხეთის ერთ-ერთ სატელევიზიო არხისა და გაზეთის წარმომადგენელი სამი ჟურნალისტი გვეწვია. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ჩვენი უცხოელი კოლეგები ხშირად ამზადებენ რეპორტაჟებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ამჯერადაც, პანკისის ხეობაში დღეს არსებულ მდგომარეობაზე საუბრის შემდეგ, ჩეხმა ჟურნალისტებმა მოულოდნელად გვკითხეს — რამდენი ტანკი შეიძინა საქართველომ ჩეხეთშიო? დასამალი არაფერი იყო, რადგან 2000 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ადგილობრივმა მასმედიამ ფართოდ გააშუქა ჩეხეთში შესყიდული 11 ცალი T-55AM2 ტიპის ტანკისა და ერთი ჯავშნიანი საევაკუაციო-სარემონტო მანქანის BT-55A-ს ვაზიანში ჩამოტანის ამბავი.

მაგრამ ჩეხმა ჟურნალისტებმა სულ სხვა ციფრი დაასახელეს — ჩვენ დავინტერესდით და დოკუმენტებში აღმოვაჩინეთ, რომ საქართველომ 100 ტანკი შეიძინაო.

ეს ცნობა მართლაც მოულოდნელი იყო, საქართველოს სამხედრო ძალებს 100 ტანკი საერთოდ არ ჰყავს, ან იქნებ მართლაც ვიყიდეთ და საქართველოსკენ მომავალი გზაში სადმე „მოგვპარეს“?!

არანაკლებ გამაოგნებელი იყო ჩეხი ჟურნალისტების მეორე განაცხადი — ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომ ბოლო წლებში საქართველომ ჩეხეთიდან 400 მლნ დოლარის ღირებულების საბრძოლო ტექნიკა, იარაღი და მასალები შეისყიდა.

ეს ციფრი კი მართლაც სასაცილოა, რადგან თავდაცვის სამინისტრომ მთელი ავლადიდება რომ გაყიდოს, ამხელა თანხას მაინც ვერ მოუყრის თავს...

მაშ, სად არის ძაღლის თავი ჩამარხული?

ნუთუ ჩეხი ჟურნალისტები ცრუობენ? ამის დაჯერება ძალიან ძნელია, რადგან ჩვენი კოლეგები პროფესიონალები არიან და გვენდეთ, საერთაშორისო ჟურნალისტურ გამოძიებასაც მეტად პროფესიონალურად აწარმოებენ.

ე.ი. გამოდის, რომ ჩეხეთში შეძენილი იარაღის პარტიები საქართველოში ჩამოუსვლელად გაიყიდა სხვა ქვეყნებში?

სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ 1998 წელს ჩეხეთის რესპუბლიკასთან და, კერძოდ, ფირმა „ტომაშთან“ დადებული ხელშეკრულებით თავდაპირველად 120(!) ტანკი და სხვა აღჭურვილობა უნდა შეგვეძინა. საბედნიეროდ, მაშინ თავდაცვის სამინისტრომ ვერ მოახერხა ამ უაზრო პროექტის განხორციელება, თორემ ქართული არმიის ისედაც მოძველებულ ტექნიკას კიდევ ასამდე სტალინის დროინდელი ტანკი შეემატებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ჩეხი ჟურნალისტები დოკუმენტში ნანახმა ამ ციფრმა შეაცდინა და იფიქრეს, ეს ტანკები უთუოდ თბილისში გაიგზავნაო.

ჯერ კიდევ მაშინ „კვირის პალიტრა“ მეტად უარყოფითად აფასებდა ამ გარიგებას, რადგან ტანკების პარკის დაუყოვნებლივ შევსების აუცილებლობა არ არსებობდა. 11 ტანკისა და ერთი სარემონტო მანქანის შესყიდვა და ჩამოყვანა (საბუთებით) 600 ათას დოლარამდე დაჯდა. ამ თანხით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების Игла-1-ის 15 კომპლექტს მაინც შევიძენდით, რომელთა კატასტროფულ ნაკლებობას მუდამ განვიცდიდით (ჩრდილოეთიდან შემოსული საჰაერო სივრცის დამრღვევები ქართულ მიწას ბოლო წლებში ხომ მუდამ ბომბავდნენ!).

ამასთან, ჩეხეთის ქალაქ ნოვიიჩინში მოდერნიზაციის შემდეგ თითოეული ტანკი ქართულმა მხარემ დაახლოებით 38 ათას დოლარად შეიძინა, იმავე ხანებში, იმავე ქარხნიდან იემენელმა სამხედროებმა 100 ცალი იმგვარივე ტანკი იყიდეს, ოღონდ თითოეული 20 ათას დოლარად და თანაც სრული კაპიტალური რემონტის შემდეგ.

მივუბრუნდეთ მეორე კითხვას — ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეეძლო თუ არა საქართველოს ჩეხეთში 400 მლნ დოლარის ოდენობის იარაღი შეეძინა? რა თქმა უნდა, არა — 11 ტანკის, 1 სარემონტო მანქანის, 1.200-მდე УК-59L ტიპის ტყვიამფრქვევის, „გრადების“ რაკეტების, 100 და 120 მმ-იანი კალიბრის სატანკო ჭურვების, ავტომატებისა თუ ტყვია-წამლის საერთო ღირებულება, რაც 1998 წლის დასაწყისიდან მართლაც შემოვიდა ჩეხეთიდან, დაახლოებით 10 მლნ დოლარისა იქნებოდა.

მაშინ სად წავიდა ასობით მლნ დოლარი?

გავიხსენოთ ერთი საინტერესო ფაქტი: 2001 წლის მაისის დასაწყისში ბულგარეთის საჰაერო თავდაცვის სისტემამ აიძულა უკრაინული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი Ил-76 პორტ ბურგასის აეროპორტში დამჯდარიყო. მისი გაჩხრეკისას ბულგარელმა მესაზღვრეებმა ექვსი Д-30 ტიპის ჰაუბიცა და ცეცხლსასროლი იარაღის მნიშვნელოვანი პარტია აღმოაჩინეს. ბულგარელები დაეჭვდნენ, რადგან ჩეხეთიდან გამოფრენილ უკრაინულ თვითმფრინავს გეზი ოფიციალურად საქართველოსკენ ეჭირა, თუმცა მისი ეკიპაჟი ძალიან იყო დაინტერესებული, როგორი ამინდი იყო აფრიკის ერიტრეაში.

მაშინ ეს საქმე ჩაიფარცხა. ჰაუბიცები თბილისში ჩამოიტანეს და ისინი თავდაცვის სამინისტრომ თავის შეიარაღებაში მიიღო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჰაუბიცების მიღებას თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ოფიცრებიც კი არ ელოდნენ — ციდან, უფრო სწორად კი... შორეული ერიტრეიდან ჩამოვარდნილ საჩუქარს.

სავარაუდოა, რომ ეს ჰაუბიცები, ისევე როგორც იარაღის სხვა პარტიები, სინამდვილეში მართლაც ერიტრეაში მიდიოდა (შეიძლება უკრაინის გავლითაც), ხოლო შესანიღბად საბუთებში ტვირთის საბოლოო პუნქტად საქართველო იყო მითითებული. ეს კი შეიძლებოდა იმიტომ მომხდარიყო, რომ ერიტრეა, ისევე როგორც აფრიკის ბევრი ქვეყანა, ომშია ჩაბმული და საერთაშორისო კონვენციით, მისთვის იარაღის მიწოდება აკრძალულია.

ჰაუბიცების შემსყიდველად ქართული ფირმა „გამა-ცენტრი“ გამოვიდა, რომელმაც თითოეულში 25 ათასი დოლარი გადაიხადა. სიმართლე რომ ითქვას, იმ დროისთვის, ტანკებისა არ იყოს, არც ჰაუბიცები გვჭირდებოდა, რადგან არტილერიის რა სახეობებიც გვქონდა, ისინიც მოუვლელობით ფუჭდებოდა.

ქართულ „გამა-ცენტრს“, რომლის უკანაც თავდაცვის სამინისტროს მაღალი ეშელონების ლობი ნათლად ჩანს, საუკეთესო ურთიერთობა აქვს ჩეხურ „თანამოძმესთან“ — „ტომაშთან“. მათი თანამშრომლობის შედეგად ქართული არმიისთვის გარკვეული რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალები იქნა შესყიდული, ეს კი კარგი საქმეა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბევრი მათგანი უხარისხო გახლდათ; გაიხსენეთ თუნდაც ჩეხური ტყვიამფრქვევების სკანდალური ამბავი.

მაგრამ შეიძლება ქართული არმიისთვის დაბალი ხარისხის იარაღის მიყიდვა არად გამოჩნდეს იმ სკანდალთან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს იმას, თუკი დადასტურდა ჩეხი კოლეგების მიერ დაწყებული ჟურნალისტური გამოძიების მთავარი ვერსია — საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის მოტივით ჩეხური იარაღი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კონფლიქტების ზონებში იგზავნებოდა.

ეს, მართლაც რომ მსოფლიო მასშტაბის სკანდალი, შეეხება არა მარტო ჩეხეთის რესპუბლიკას, არამედ საქართველოსაც, მით უმეტეს, რომ მანამდეც ეჭვობდნენ — საქართველოდან უკრაინაში საუტილიზაციოდ გაგზავნილი საავიაციო ბომბებისა და რაკეტების ნაწილი შემდგომში აფრიკის ცაში „ნავარდობდნენო“.

# სამხედროებს რადიოაქტიური ნივთიერება „აწაპნეს“

თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო ბაზა რომ განთქმულია ქურდობის მრავალრიცხოვანი ფაქტებით, ეს ჩვენში ბავშვმაც კი იცის. აქედან სისტემატურად იკარგება ავტომატები, ხან ტანკებიდან ხსნიან ტყვიამფრქვევებს, ხანაც სამხედრო აღჭურვილობას აყოლებენ ხელს, მაგრამ ის, რომ თავად... სიკვდილი მოეპაროთ — პირდაპირ გაუგონარი ამბავია!

არადა სხვანაირად ნამდვილად ვერ შევაფასებთ მომაკვდინებელი რადიოაქტიური ნივთიერების ცეზიუმ-137-ის იზოტოპების შესანახი კონტეინერების გაქრობას ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიიდან.

**ჩვენი დოსიე: სულ ცეზიუმის 34 იზოტოპი არსებობს, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რადიოაქტიური $^{137}$Cs, რადგან იგი გაბნეულია ბუნებრივ გარემოში. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 30 წელს აღწევს. $^{137}$Cs აქტიურად გამოიყენება მედიცინაში — დიაგნოსტიკისთვის, სამკურნალოდ, რადიაციული სტერილიზაციისთვის, დეფესკოპიისთვის. სამხედრო დანაყოფებში მას უმთავრესად რადიაციის გამზომი ხელსაწყოების კალიბრირებისთვის ხმარობენ. $^{137}$Cs-ის რადიოაქტიური ნუკლიდების დამატებითი დოზების გაბნევა ძირითადად გამოწვეულია ატმოსფეროში ატომური აფეთქებებითა და ატომურ ელექტროსადგურებში ავარიებით. ცეზიუმის რადიონუკლიდებს ჰაერიდან და ნადაგიდან ყველაზე აქტიურად ჩაის ბუჩქი, კომბოსტო, ჭარხალი, კარტოფილი და ხორბალი ითვისებს. რადიონუკლიდები ცხოველებისა და ფრინველების ორგანიზმშიც ხვდება; ამ მხრივ განსაკუთრებით „მარჯვეა“ ქათამი, მას მოსდევს ღორი, ცხვარი და ძროხა.**



მაგრამ ვაზიანის სამხედრო ბაზაში, საბედნიეროდ, არც ატომური აფეთქება მომხდარა და არც ატომური ელექტროსადგურის კატასტროფა, უბრალოდ, ვიღაცებმა „აწაპნეს“ სამხედროებს ძალზე საშიში რადიოაქტიური ნივთიერებები.

თავდაცვის სამინისტროს იმდენი საფიქრალი აქვს, რომ რადიოაქტიური ნივთიერებების შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნაკლებად აინტერესებდა. საერთოდ, ცეზიუმის რადიოაქტიური იზოტოპის 6 წყარო, რომლებიც 4 დამცავ კონტეინერში იყო მოთავსებული, 2001 წლის აგვისტოში სამხედრო ქიმიკოსებმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს ყოფილ ქიმიურ საწყობში. რუს სამხედროებს, რომლებიც ტოვებდნენ ვაზიანს, წესით, ამ საშიში რადიოაქტიური წყაროების შესახებ ერთობლივი კომისიისთვის უნდა ეცნობებინათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს.

მთავარი სამხედრო პროკურატურის ქვემო ქართლის რეგიონის სამხედრო პროკურორის **მამუკა ცაავას** თქმით, თავდაცვის სამინისტრომ 2002 წლის მეორე ნახევარში სამი ოფიციალური წერილი გაუგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რადიოაქტიური ცეზიუმის იზოტოპების კონტეინერების სამხედრო ნაწილიდან გატანისა და დამარხვის თაობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან სამხედროები არავითარი ოფიციალური პასუხის ღირსნი არ გამხდარან.

2002 წლის 27 დეკემბერს, თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის მართვის ცენტრის საინჟინრო და ქიმიური უზრუნველყოფის სამმართველოს ქიმიური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ დარღვეული იყო რადიაციული წყაროების შესანახი ჭის გარშემო არსებული დამცავი ლენტის მთლიანობა და 4 კონტეინერიდან სამი გამქრალიყო.

ამ კონტეინერების დაკარგვაში ვაზიანის სამხედრო ბაზის ამა თუ იმ ჯარისკაცის დადანაშაულება თითქმის შეუძლებელია, რადგან ზუსტად არავინ იცის, რომელ დღეს მოიპარეს რადიაციული წყაროები. კონკრეტულად ვერც ბრიგადის რომელიმე მეთაურს დაადანაშაულებ, რადგან ყარაულში მდგარი ჯარისკაცებისა არ იყოს, ისინიც ხშირ-ხშირად იცვლებოდნენ. ვის რად უნდოდა ასეთი მომაკვდინებელი „ნობათი“? წესით, ცეზიუმის, $^{137}$Cs-ს რადიოაქტიურ იზოტოპს ვერაფერში გამოიყენებ. მისგან ბუნებრივია, არც ატომური ბომბი დამზადდება, თუმცა ე.წ. „ბინძური ბომბის“ დეტალებად შეიძლება მაინც გამოდგეს.

დღეს თეთრ სახლს ყველაზე მეტად სწორედ ასეთი „ბინძური ბომბის“ შუაგულ ნიუ-იორკში თუ ვაშინგტონში აფეთქებისა ეშინია. „ბინძური ბომბი“ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ერთ პატარა დიპლომატში ეტევა, მასზე მიკრული $^{137}$Cs-ის ძლიერი რადიოაქტიური ღეროებით.

მეტროში ან ხალხმრავალ მოედანზე აფეთქებული ასეთი დიპლომატი დიდ მსხვერპლს ვერ გამოიწვევს და ბუნებრივია, არც ატომური აფეთქების ეფექტი ექნება, რადგან არ შედგება ჯაჭვური რეაქცია, მაგრამ აფეთქების შედეგად მცირე ნაწილაკებად დაშლილი $^{137}$Cs-ის ღეროები გაიფანტება რამდენიმე ასეულ კვმ ფართობზე და მრავალმილიონიანი ქალაქის ცენტრს დიდი ხნით დააცარიელებს — რადიოაქტიური ნარჩენების შეგროვებას და დაზიანებული ტერიტორიის სრულ დეზაქტივიზაციას თვეები დასჭირდება, რაც დიდ ეკონომიკურ ზარალთან იქნება დაკავშირებული. სრული დეზაქტივიზაციის მიუხედავად, მოსახლეობას დარჩება რადიოფობიის სინდრომი.

ფაქტობრივად, სამი-ოთხი ამგვარი „ბინძური ბომბით“ შეიძლება ისეთი უდიდესი ქალაქის პარალიზება, როგორიცაა ნიუ-იორკია.

სწორედ ამიტომ, ძალზე დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ საქართველოში შენახული მაღალი რადიოაქტიურობის წყაროები ბოლომდე იქნეს გაუვნებელყოფილი და დამარხული კარგად დაცულ ტერიტორიაზე. სამინისტროების უწყებრივი კინკლაობის ფონზე კი საქართველოს სახელი უტყდება.

# გადიან, მაგრამ... არ გადიან!

## ჯერ გუდაუთის სამხედრო ბაზის ბედიც არ გარკვეულა, ბათუმსა და ახალქალაქზე ლაპარაკიც კი არ ღირს



ეს რუსი პილოტი დღეს აფხაზებს ემსახურება გუდაუთის სამხედრო ბაზაზე

აფხაზეთის ომის შემდეგ, როდესაც მოსკოვს უფრო მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა პრეზიდენტ შევარდნაძეზე, რომელსაც რუსეთის მიერ დასმული ქართველი ძალოვანი მინისტრებიც უმაგრებდნენ მხარს, კრემლი ჯერ საქართველოში თავისი სამხედრო ბაზების 25 წლით ოფიციალურად დაკანონებას მოითხოვდა, შემდგომში 14 წლამდე, ხოლო უფრო მოგვიანებით — 11 წლამდე შემცირდა მათი მოთხოვნა. ქართული მხარე კი 3 წელს არ უცვლიდა ფეხს. ისე, სამი წელიც სრულიად საკმარისია საქართველოდან ГРВЗ-ს 4.500-მდე სამხედრო მოსამსახურის გასაყვანად და 82 ტანკის, 484 სხვადასხვა ტიპის ჯავშანმანქანისა და 140 საარტილერიო დანადგარის გასატანად.

მაგრამ გასულ კვირას გამართულ ორმხრივ მოლაპარაკებებზეც მოსკოვში, რუსულმა მხარემ იწუწუნა — 260 მლნ დოლარი რომ მქონდეს, საქართველოდან გასულ ჯარს რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ქალაქებსა და ფარეხებს მოვუწყობდი და დავაბინავებდიო. არადა რუსეთს ანალოგიური სამხედრო კონტინგენტის ჩვენთან, ოკუპაციის მიზნით გადმოსროლა რომ დასჭირდეს, ამისთვის სამი კვირაც ეყოფა.

მოსკოვში, ორი ქვეყნის სამხედრო ექსპერტებსა და დიპლომატებს შორის გამართულმა მოლაპარაკებების მორიგმა რაუნდმა ერთი შეხედვით უნაყოფი შეხვედრის შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მისი აქტიური მონაწილე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი ბათიაშვილი** სხვანაირად მსჯელობს: მიუხედავად იმისა, რომ ერთდღიანი მოლაპარაკებების უმეტესი დრო დაეთმო გუდაუთის სამხედრო ბაზას, შეხვედრას უნაყოფოდ ნამდვილად არ ჩავთვლი — სხვა თუ არაფერი, 1,5 წლის შემდეგ განახლდა მოლაპარაკებები. ჩვენ რუსულ მხარეს მოვთხოვეთ გუდაუთის სამხედრო ბაზის აეროდრომის დემონტაჟი და იქიდან იარაღის გატანა. თავად ბაზაზე 100 კაცზე მეტი არ უნდა დარჩეს. გუდაუთაში რუსულ სამხედრო ბაზას მხოლოდ მას შემდეგ მივიჩნევთ დახურულად, როდესაც იქაურობას საერთაშორისო დამკვირვებლები შეამოწმებენ.

მეტწილად გასაგებია, რუსი სამხედროების სურვილი, რომ არ დათმონ გუდაუთის სამხედრო ბაზა, რადგან იქ მათ რჩებათ ერთადერთი სამხედრო აეროდრომი. ვაზიანის აეროდრომის დათმობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დღემდე ვერ მოუნელებია, რადგან მოესპოთ საშუალება თბილისის სიახლოვეს საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად გადმოისროლონ მსხვილი სამხედრო შენაერთები.

გუდაუთის სამხედრო ბაზის დაპატრონებას აფხაზი სეპარატისტებიც ცდილობენ. სურათზე, რომელიც რუსულ ჟურნალ „იტოგში“ გამოქვეყნდა, ყოფილი რუსი პილოტის, მაიორ ნაბატოვის (რომელიც ამჟამად აფხაზების მფრინავად ითვლება) გვერდით მოჩანს ჩეხური წარმოების ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი L-39C „ალბატროსი“, საბორტე ნომრით 32 და ზედ რატომღაც ლურჯი ვარსკვლავია მიხატული. მის ფრთაზე, პილონზე, ჩამოკიდებულია უმართავი საავიაციო რაკეტების C-5-ების გასაშვები ბლოკი УБ-16. სურათის უკანა პლანზე კი სამგზავრო ბიპლანი Ан-2 და აეროდრომის ხედი მოჩანს, რომელიც მიუთითებს, რომ სეპარატისტების თვითმფრინავები უკვე დიდი ხანია გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის აეროდრომზე ბაზირებენ.

ამის შემდეგ ყოველგვარი კომენტარი უკვე ზედმეტია.

# სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — საქართველოს პრეზიდენტსაც უსმენდნენ?!

## გასულ კვირას აღდგა დაშიფრული სატელეფონო კავშირი საქართველოს პრეზიდენტსა და მის მინისტრებს შორის... 11 წლის შემდეგ!



ნუთუ ჩემს ტელეფონსაც უსმენენ?!

საქართველოს ხელისუფლებას მართლაც მისალოცად აქვს საქმე — აღდგა დაშიფრული კავშირგაბმულობის პირველი ელემენტები.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, განსაკუთრებით კი თბილისის ომის შემდეგ, საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში მყოფნი ერთმანეთს ღია სატელეფონო ხაზებით უკავშირდებოდნენ, თუმცა ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საბჭოური დანატოვარი — მაღალი სიხშირის სამთავრობო კავშირის სისტემა — ВЧ — მათ ნალაპარაკევს უცხოსთვის საიდუმლოდ ინახავდა.

შეიძლება ეს ასეც იყო სტალინისა და ბერიას დროს, როდესაც ВЧ-ს პირველი მოდიფიკაციები შემოდიოდა ხმარებაში, მაგრამ სახელმწიფო მეთაურის და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის ბოლო 11 წლის მანძილზე, ВЧ-ს სამთავრობოგერბიანი ტელეფონი საიდუმლოს შენახვის მხოლოდ ილუზიას ქმნიდა.

**ჩვენი ცნობით: მაღალი სიხშირის სამთავრობო კავშირი — ВЧ უზრუნველყოფს ორ აბონენტს შორის სატელეფონო საუბრის მოსმენისგან დაცვას. ამისთვის გამოიყენება ჩამხშობი ხმაური, რომელიც შეუძლებელს ხდის მიკროფონის საშუალებით საუბრის მოსმენას. ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სატელეფონო კაბელში რამდენიმე სადენი გადის, რომელთაგან სასაუბროდ მხოლოდ ერთი გამოიყენება, დანარჩენში კი ჩამხშობი ხმა გადის, რომელსაც წარმოქმნის ცენტრალურ სადგურში მდგარი სპეციალური გენერატორი. თუკი ვინმე ეცდება გაჭრას კაბელი და მოსასმენი მიკროფონი უშუალოდ საბონენტო სადენს მიუერთოს, მაშინ სადგურში ჩაირთვება კაბელის დაზიანების მაჩვენებელი სიგნალიზაცია, რადგან კაბელში სადგურში მდგარი კომპრესორებიდან იტუმბება ჰაერი და წარმოიქმნება წნევა, რომლის ცვლილებისთანავე განგაშის სიგნალი აინთება.**

ამ, შედარებით გასაგებ ახსნა-განმარტებას, მხოლოდ ერთ ნიუანსს დავუმატებთ — 1991 წლის ბოლოს თბილისის ცენტრში ყოფილი КГБ-ს შენობის დაწვის შემდეგ აღარ უმუშავიათ როგორც ჰაერის ჩამტუმბველ კომპრესორებს, ისე ჩამხშობ გენერატორებს. თანაც, ჩვენი კონფიდენციალური ინფორმაციით, ВЧ-ს კაბელის ჩამხშობი სადენებიც შემდგომში ჩვეულებრივი საბონენტო დანიშნულებით იქნა გამოყენებული — ასე მომრავლებულ სახელმწიფო ბიუროკრატებს ხომ უნდა ეტრაბახათ — სამთავრობო ВЧ კაბინეტში გვიდგას და ზოგჯერ თვით პრეზიდენტიც კი გვირეკავსო!

„კვირის პალიტრა" არ ამტკიცებს, ამ 11 წლის განმავლობაში უსმენდნენ თუ არა ვითომ „დახურული" ВЧ-თი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები თუ ოპოზიციური პარტიების დაცვის სამსახურები საქართველოს პირველ პირებს, მაგრამ ფაქტია, რომ „საიდუმლო" ВЧ-ს იმედად ხელისუფლება ერთმანეთში ბევრ რამეზე დაუფარავად ლაპარაკობდა, მათ შორის სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საიდუმლო საკითხებზეც.

გასულ კვირას კი ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით დაიწყო თანამედროვე, ციფრულ-დახურული სატელეფონო კავშირის ფუნქციონირების პირველი ეტაპი. ამჯერად სატელეფონო თუ კომპიუტერული კავშირი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ხორციელდება, რომელსაც დაცვის უფრო მეტი საიმედოობა აქვს, ვიდრე სტალინის დროინდელ ВЧ-ს.

## არსენალი

# ასე უცნობი... „გრადი"

ეს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა გამოცდილმა სამხედროებმაც კი სურათზე, თვალის ერთი შევლებით შეიძლება ჩვეულებრივ БМ-21 Град-ად მიიღონ. თუმცა, 40-ის ნაცვლად, 50 რაკეტის გასასროლი მილი იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს Град-ის ერთ-ერთ საინტერესო მოდიფიკაციასთან — Прима-სთან, რომლის შექმნა განაპირობა იტალიელი დივერსანტი-მყვინთავების ეფექტიანმა მოქმედებამ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში.



სადესანტო Град-В

საბჭოთა კავშირს ყოველთვის ეშინოდა სამხედრო პორტების პირსებთან მდგარი ხომალდების აფეთქებისა. იტალიიდან კონტრიბუციის სახით წამოყვანილი და „ნოვოროსიისკად" მონათლული კრეისერი სევასტოპოლის უბეში 1955 წელს ძალზე საეჭვო ვითარებაში აფეთქდა და ჩაიძირა, დაიღუპა ათასამდე საბჭოთა მეზღვაური (მათ შორის ქართველები).

აფეთქებების მიზეზად ჯერ ძველ გერმანულ საზღვაო ნაღმს ასახელებდნენ, შემდეგ იმ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, რომლებიც ვითომდა კონტრიბუციამდე, 1945 წლის ბოლოსთვის, იტალიელებმა კრეისერის ტრიუმებში ჩამალეს. მაგრამ, როგორც მოგვიანებით ითქვა, ყველაზე სარწმუნოა, აფეთქება მოეწყოთ იმ იტალიელ დივერსანტ-მყვინთავებს, რომლებიც მოგვიანებით, ფაშისტური ხუნტის დამარცხების შემდეგ, ჩრდილოეთ ატლანტიკის ალიანსმა — NATO-მ დაიქირავა.

მოსკოვი ყოველთვის ფხიზლობდა — შესაძლებელი იყო საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებს პორტებში, პირსებთან ან ნაპირთან ახლოს ღუზაზე მდგომთ, საშიშროება დამუქრებოდათ.



პარაშუტით დაშვებული ეს ქობინი ჩვეულებრივზე უფრო დიდ ფართობს აზიანებს

ამიტომაც მყვინთავი-დივერსანტების და მათი მიკროწყალქვეშა ნავების გასანადგურებლად გასული საუკუნის 80-იან წლებში Град-ის ბაზაზე შეიქმნა ანტიდივერსიული 122 მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 9К59 Прима.

მასაც, წინამორბედივით, 122 მმ კალიბრის ყველა უმართავი რაკეტის სროლა შეუძლია, მაგრამ მის არსენალშია ერთი განსაკუთრებული ტიპის რაკეტა, რაც Прима-ს Град-თან შედარებით 7-8-ჯერ უფრო ეფექტიანს ხდის.

ვინც სოხუმში ან აფხაზეთის სხვა ადგილას მოხვედრილა, Град-ების საარტილერიო დაბომბვის დროს (ფრონტის ორივე ხაზზე), შეამჩნევდა, რომ Град-ის 66 კგ-იანი მსხვრევადფუგასური რაკეტა თავისი თითქმის 19 კგ-იანი ქობინით, მიწაზე ცერად ეცემა და აფეთქების ტალღა, ისევე როგორც ნამსხვრევების ნაკადი, ირიბად მიდის. ადამიანი შეიძლება ცოცხალი გადარჩეს მხოლოდ მაშინ, თუკი იმ ზონაში მოხვდება, საითაც აფეთქების ტალღა ნაკლებად ვრცელდება.

Прима-ს რაკეტის ქობინი კი გასროლის შემდეგ სცილდება რაკეტას და მიწაზე პარაშუტის საშუალებით პერპენდიკულარულად ეშვება, რის გამოც აფეთქების ტალღა და ნამსხვრევები კუთხით კი არა, წრიულად ვრცელდება და დაზიანების ფართობიც 6-ჯერ მეტია. თანაც Прима-ს რაკეტის ქობინი Град-ის ქობინივით 19 კგ-ს კი არა, 26 კგ-ს იწონის და აღჭურვილია როგორც დისტანციური, ისე კონტაქტური ამფეთქით.

ეს ყველაფერი გასაგებია, თუკი Прима-ს რაკეტა მიწაზე ეცემა, მაგრამ მყვინთავი-დივერსანტების გასანადგურებლად შეიქმნა ანალოგიური სქემის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21ПД Дамба. Дамба-ს რაკეტა Град-ივით ან Прима-ს მსგავსად 20-21 კმ-ზე როდი მიფრინავს. იგი 5 კმ-ზე ისვრის. თუმცა სამხედრო პორტის აკვატორიასთან სენსორებით აღმოჩენილი მყვინთავი-დივერსანტების გასანადგურებლად უფრო შორს სროლა არც არის საჭირო.

მყვინთავი-დივერსანტების აღმოჩენისთანავე Дамба-ს ეკიპაჟი ზღვის სავარაუდო მონაკვეთის მიმართულებით 40-სავე რაკეტას უშვებს. ზღვის ზედაპირზე დაცემისთანავე რაკეტის ქობინი სიღრმული ბომბივით იძირება ზღვაში და ფეთქდება წინასწარ დაყენებული მაჩვენებლის საშუალებით, 3-დან 200 მ-მდე სიღრმის ფარგლებში.

ლეგენდარული „კატიუშას" კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს Град-1. იგი, Урал-ის ნაცვლად, ЗИЛ-131-ის ბაზაზეა დამონტაჟებული და 40-ის ნაცვლად — 36 რაკეტის გასაშვები უყენია. იგი უფრო ნაკლები სიმძლავრის რაკეტას მხოლოდ 14 კმ-ზე ისვრის, რადგან განკუთვნილია პოლკის და არა დივიზიის (БМ-21 Град-ივით) არტილერიის შესაიარაღებლად.

არანაკლებ საინტერესოა Град-ის კიდევ ერთი „შვილობილი" — БМ-21В Град-В. იგი მედესანტეთათვის შეიქმნა 1967 წელს და დამონტაჟებულია მაღალი გამავლობის ГАЗ-66Б-ის ბაზაზე. მისი მთავარი ღირსებაა საპარაშუტო სისტემით, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით მტრის ზურგში დესანტირება, რაც დესანტს საშუალებას აძლევს უეცარი საარტილერიო დარტყმა მიაყენოს ფრონტის ხაზიდან ღრმა ზურგში განთავსებულ მტრის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს, მათ შორის აეროდრომზე მდგარ საბრძოლო თვითმფრინავებს.



Град-ის „შვილობილი" Прима

დაბოლოს, Град-ის ყველაზე პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო მოდიფიკაციაა — Град-П, ანუ „პარტიზანული". 1965 წელს ვიეტნამელმა კომუნისტებმა მოსკოვს სთხოვეს, მათთვის მიეწოდებინათ ეფექტიანი მცირეგაბარიტიანი საარტილერიო დანადგარი იმ პარტიზანების შესაიარაღებლად, რომლებიც მოულოდნელ დარტყმებს მიაყენებდნენ ჯუნგლებიდან ამერიკულ სამხედრო ბაზებს.

ასე შეიქმნა ერთლულიანი, გადასატანი Град-П, რომელსაც დღემდე, ვიეტნამელების გარდა, მარჯვედ იყენებენ სხვადასხვა ფორმირების პარტიზანები. მათ შორის ის პალესტინელებიც, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ებრაულ ქალაქებს. ჩვეულებრივი Град-ის რაკეტისგან განსხვავებით, Град-П თავის 46 კგ-იან რაკეტას მხოლოდ 11 კმ-მდე ისვრის. თუმცა ორ-სამკაციან პარტიზანულ დივერსიულ ჯგუფს თავისუფლად შეუძლია 2-3 წთ-ში რამდენიმე რაკეტა ესროლოს მჭიდროდ დასახლებული ქალაქის უბანს და პოზიციიდან მაშინვე გაქრეს.



პარტიზანული Град-П

მიუხედავად იმისა, რომ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების უმართავი რაკეტები მაინცდამაინც დიდი სიზუსტით არ გამოირჩევიან, ზალპით ნასროლი 40-50 ასეთი რაკეტა, აფეთქებების არეალით, 1.000 კვმ-ზე მეტ ფართობს სწვდება და დღემდე რჩება საკმაოდ ეფექტიან იარაღად.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### პანკისში მეორე „სერია" იწყება



თბილისი საგაზაფხულოდ საზღვრებს ამაგრებს

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს აღარ გაიმეოროს სამი წლის წინანდელი შეცდომები და ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრებას ზამთრის დასრულებისთანავე იწყებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთ-ჩეჩნეთ-დაღესტნის მონაკვეთებზე გადმოსასვლელი ბილიკები კარგა ხანს არ გაიხსნება, ოფიციალური თბილისი სერიოზულად არის შეშფოთებული, რომ თუკი აშშ ერაყს დაარტყამს, საქართველოს საფრთხე ჩრდილოეთიდან დაემუქრება.

ქართულ სპეცსამსახურებს (შეიძლება ამერიკელი და რუსი კოლეგების დახმარებით) აქვთ ინფორმაცია ჩეჩენი საველე მეთაურების და მათ შორის რუსლან გელაევის, ზაფხულში კვლავ პანკისისკენ შესაძლო „ვოიაჟის" შესახებ.

პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ფაზას უწყებათაშორისი კომისია უხელმძღვანელებს, რომელშიც გაერთიანდნენ შინაგან საქმეთა, თავდაცვის, უშიშროებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურები. ამ ჯგუფს თავად პრეზიდენტი ჩაუდგება სათავეში, ხოლო ოპერატიული საქმიანობის კოორდინირებას უშიშროების საბჭოს მდივანი განახორციელებს.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ საზღვრის გამაგრება, პანკისის ხეობაში საგუშაგოების გაძლიერება საკმაოდ დიდ ფინანსებს მოითხოვს, ურომლისოდაც ქვეყნის ხელისუფალთა ბრიფინგები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება.

### ქურთების დახოცვას ამერიკა ომის დაწყების საბაბად გამოიყენებს

20 თებერვალს ერაყის ჩრდილოეთით მცხოვრები ოპოზიციონერი ქურთების წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერაყელმა ჯარისკაცებმა ქურთისტანის პროვინცია დაიკავეს და სადამ ჰუსეინის რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი ქურთების დახვრეტა და გაზით მოწამვლა დაიწყეს.

ბაღდადი ამას ამგვარად ხსნის — ერაყის ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვართან, ქურთისტანის პროვინციაში, ქურთი სეპარატისტების გვერდით, ამერიკელი მედესანტეების დიდი ჯგუფი გამოჩნდა, რომელთა გასანადგურებლად განვახორციელეთ ეს ოპერაცია. ბევრი მათგანი დავატყვევეთო.

როგორც ადრე ვამბობდით, ერაყში სახმელეთო ოპერაციები უკვე დაწყებულია, პენტაგონი მთავარ დასაყრდენ ძალად ოპოზიციონერი ქურთების დაჯგუფებებს იყენებს, მაგრამ ამით ვაშინგტონმა ახალი პრობლემა შეიქმნა თურქეთის სახით. ანკარას ეშინია, რომ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამერიკელთა მოკავშირე ქურთებმა ერაყისა და თურქეთის ტერიტორიებზე დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფო არ ჩამოაყალიბონ.

თურქეთი ჯერჯერობით ფეხს ითრევს — სანაპიროსთან გემებით მომდგარ ამერიკელ სამხედროებს მის ტერიტორიაზე გემებიდან გადასვლის ნებას არ აძლევს, თანაც საკომპენსაციოდ 30 მლრდ დოლარს მოითხოვს. ვაშინგტონი თანახმაა, თურქეთს 6 მლრდ დოლარის გრანტი და 20 მლრდ დოლარის სესხი მისცეს, ხოლო თუკი ანკარა გააგრძელებს ურჩობას, პენტაგონი ერაყს მაინც დაარტყამს, ოღონდ სხვა მხრიდან.

ასეთ შემთხვევაში შესაძლოა პენტაგონმა საქართველოს აეროდრომების ქსელის გამოყენება მოინდომოს.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ორჯერ გაყიდული ქართველი ბიჭის დაბრუნება

***იმ ამბიდან, რომელიც უნდა გიამბოთ, სულ სამი წელი გვაშორებს. ქალაქში ამაზე მხოლოდ ჭორაობდნენ. თავდაპირველად, ინფორმაცია არც სამართალდამცველებს ჰქონდათ, რადგან დაზარალებულმა მხარემ უნდობლობა გამოუცხადა მათ. მეც ვერაფერს შევიტყობდი, რომ არა ამ ოჯახთან ჩემი დიდი ხნის მეგობრობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველაფერი წარსულში დარჩა, იმ ისტორიის გახსენებაც არ სურთ, ისეთი საშინელი დღეები გადაიტანეს. ამიტომ მკითხველს პატიებას ვთხოვ იმის გამო, რომ მოქმედ პირთა გვარ-სახელებს ვცვლი, დანარჩენს კი ისე გადმოვცემ, როგორც ეს სინამდვილეში იყო.***

## ქაოსის მსხვერპლი

ყველაფერი ძალზე მარტივად მოხდა. ზუსტად ისე, როგორც ახლახან, ზესტაფონელი ბიჭუნას გატაცებისას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლევანი ოცი წლის მხარბეჭიანი ჭაბუკი გახლდათ.

იმ საღამოს მეგობართან შეაგვიანდა ლევანს. დედამისს დაურეკა — არ ინერვიულო, შებინდებისას შინ ვიქნებიო, მაგრამ თანატოლებთან საუბარმა ისე გაიტაცა, რომ შემოაღამდა...

სადარბაზოსთან ორმა ჯანიანმა უცნობმა ისე მარდად ააფარა პირზე დოლბანდი და ისე მარჯვედ შეტენა მანქანაში, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. მერე კი გონება დაკარგა და კარგა ხანს ალარაფერი გაუგია. როცა გამოფხიზლდა, მაშინვე მძაფრი სუნი იგრძნო. გაახსენდა, ეს სუნი იქ, სადარბაზოსთან ეცა და მიხვდა, ეს საძილე საშუალებით გაჟღენთილი დოლბანდი იყო, რომელიც ნელ-ნელა კარგავდა დამათრობელ ძალას. მანქანის უკანა საჯდომზე უსაფრთხოების ქამრების დამჭერზე ხელებით მიბმული ლევანი იმ ორს შუაში მოექცია, თვითონ კი თვალახვეული იყო და ვერაფერს ხედავდა. გრძნობდა, რომ მძღოლის გვერდით არავინ იჯდა. ასე რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც გამოელაპარაკებოდა საჭესთან მჯდომს.

— Эй, вы, проснитесь, нас останавливают! — უკან მსხდომებს გამოსძახა მძღოლმა და მანქანა დაამუხრუჭა. ლევანს იმედი მიეცა, ეგებ ვინმე ღვთისნიერმა მიშველოსო. შეეძლო ეყვირა კიდეც, მაგრამ ჯერ უნდა დარწმუნებულიყო, რომ მის ყვირილს ვინმე გამოეპასუხებოდა, თორემ იქნებ უარესიც მოსწეოდა.

— ჩვენ ვართ, ჩვენ! დილით დავბრუნდებით და მერე ვილაპარაკოთ, გასაგებია? — რუსულად, მაგრამ აშკარა ქართული აქცენტით შეეხმაურა დამხვდურებს ლევანის მარჯვნივ მჯდომი.

ეტყობა, ვიღაცამ მანქანის სალონში შემოყო თავი.

— გასაგებია, მაგრამ მანქანა? მანქანაც ხომ გატაცებულია, ეს ცალკე უნდა ვიანგარიშოთ.

— არა, მანქანა ჩვენია, თუ არ გჯერა, აგერ საბუთები.

— კარგი, კარგი... მოშორდით აქაურობას. დილით კი ბარაკში დაგელოდებით.

მანქანამ გზა განაგრძო, მაგრამ მალევე გაჩერდა, ორ-სამჯერ დაასიგნალა, ვიღაცამ ფაციფუცით გამოაღო მარჯვენა წინა კარი და მძღოლის გვერდით მოკალათდა.

— ის არის? — ფეთიანივით იკითხა და კარი შემოიხურა.

— ისაა. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, დანარჩენი შენზეა.

— აწი მე ვიცი, — უპასუხა უცნობმა.

ცოტა ხანში მანქანა ისევ გააჩერეს — ახალშემომატებული მგზავრი გადავიდა მანქანიდან და ორიოდ წუთში დაბრუნდა.

— წავედით! ყველაფერი რიგზეა... — მერე სხვა მანქანაში გადასვეს და გზა გააგრძელეს.

ერთბაშად ძრავას გამონაბოლქვის სუნი ეცა ლევანს. სალონში თითქოს დაგუბებული, ყრუ ხმა შემოიჭრა — მიხვდა, გვირაბში იყვნენ, მაგრამ რომელ გვირაბში? თუმცა რამდენი სამანქანო გვირაბია სულ საქართველოში: ერთი — რიკოთის, მეორე — როკის.

ნუთუ იქითა ოსეთში მიჰყავთ? თუ ასეა, თავს ამაოდ ვინუგეშებდი, იქნებ ვინმე ღვთისნიერმა გაგვაჩეროს და მიშველოს-მეთქი, — ფიქრობდა თვალახვეული და უკვე ბედს მინდობილი ლევანი. მანქანაში მსხდომთ კი თითქოს ენები გადაეყლაპათ, ხმას არ იღებდნენ.

გზაში კიდევ რამდენჯერმე შედგნენ. მერე ეტყობა, მთავარი გზიდან გადაუხვიეს და სადღაც შეჩერდნენ. ამასობაში გათენდა კიდეც. მანქანაში ქართველები აღარ ისხდნენ. ისინი უკვე სხვები იყვნენ, სხვა ჟარგონით ლაპარაკობდნენ. თანაც მხოლოდ აქა-იქ თუ გამოურევდნენ რუსულს. ლევანი მიხვდა, მანქანას ვიღაცები დაუხვდნენ. მერე მოეჩვენა, რომ ვაჭრობდნენ, მაგრამ რას ყიდდნენ ან რას ყიდულობდნენ, ვერაფერი გაიგო.

თვალები რომ შეუხსნეს, მშენებარე სახლის სარდაფში, ტუალეტისთვის გამიზნულ ოთხკედელშუა აღმოჩნდა. ცოტა ხანში რკინის კარი, რომლითაც ეს კარცერი გარე სამყაროს უკავშირდებოდა, შეადუღეს. ლევანი მიხვდა, აქ დიდხანს მოუწევდა ყოფნა და გული ისე მტკივნეულად შეეკუმშა, იფიქრა, გამისკდებაო, მაგრამ...

რკინის კარს ერთგან მომცრო ნახვრეტი ჰქონდა, რომლის იქით ხელისგულისოდენა ფერდობი ჩანდა. ეგ იყო და ეგ. ერთ დღეში როგორ დაპატარავდა ეს ვეებერთელა სამყაროო, — გაიფიქრა და თავისი სამყოფელი მოათვალიერა. ჩანდა, სახელდახელოდ, ამ შემთხვევისთვის გამოეყვანათ წყალი. ონკანი ისე იყო კედელზე დამაგრებული, რომ წყლის ჭავლი პირდაპირ კანალიზაციის ღია მილში იღვრებოდა, მილიდან კი ისეთი სუნი ამოდიოდა, სუნთქვა წარმოუდგენელი იყო. ლევანი რკინის კარს აეკრა და ცხვირი იმ ღიობს მიაბჯინა, ერთდროულად სინათლით და ჰაერით რომ ამარაგებდა ამ ჯოჯოხეთს. ერთხანს ხარბად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს, მერე და მერე დაღლილობამ ღონე გამოაცალა და იატაკზე მიგდებულ ერთადერთ, რომელიღაც სატვირთო მანქანის დაფხრეწილ დასაჯდომზე შეეცადა მიწოლილიყო, მაგრამ სივიწროვის გამო ფეხი ვერ გაშალა. თუმცა გამოვლილი ჯოჯოხეთით დაოსებულს მაინც ჩაეძინა. მეორე დილით ვიღაც საბრალო, გაურკვეველი ეროვნების, ცალფეხა მოხუცი მიადგა ლევანის სამყოფელს. კარის ღიობში ჯერ შავი პურის გამხმარი ნაჭერი შეაცურა, მერე კი ორი ცალი, ჯერაც მწვანე, მაგრამ ძირს ნაყარი, ერთიანად დაჭიანებული ვაშლი გადააწოდა და ის იყო, უკან აპირებდა გაბრუნებას, ლევანმა შეაჩერა.



— მოიცა, ძიაკაცო, — რუსულად შეეხმაურა მოხუცს, — მითხარი, სად ვარ, რა ჰქვია ამ დასახლებას?

ლევანის თვალებიდან იმედის სხივი გამოკრთოდა. ეს მოხუცი მისთვის ახლა იმედიც იყო, დასაყრდენიც და ცით მოვლენილი მხსნელიც იმ უდაბნოში, სადაც ჩატოვეს და საიდანაც ხსნას აღარ ელოდა, მაგრამ...

მოხუცი შემობრუნდა, უკბილო პირი დააღო და ისე დაიღმუვლა, ლევანს ლამის სისხლი შეუდედდა ძარღვებში. ახლაღა მიხვდა, მუნჯი იყო მოხუცი, თუმცა დავალებას პირნათლად ასრულებდა. ყოველდღე აწვდიდა პურის ნატეხსა და ორ ცალ ვაშლს. პური ორ ლუკმად არ ჰყოფნიდა ლევანს, ვაშლს ერთიანად ჭამდა. მაგრამ ეს როგორ დაანაყრებდა ახალგაზრდა კაცს. დროდადრო სროლის ხმა ესმოდა, მაგრამ ეს დიდად არ ანაღვლებდა. სიამოვნებდა კიდეც, რადგან ამ ერთადერთი ხმით უკავშირდებოდა გარე სამყაროს.

მესამე დღეს ორი უცნობი ეწვია, წინასწარ გააფრთხილეს, არაფერი გვკითხოო და მობილური ტელეფონი გაუწოდეს.

— მამაშენს დაურეკე, მხოლოდ რუსულად უნდა ილაპარაკო. ერთი ქართული სიტყვა და შუბლში ტყვიას დაგახლით. მილიონი დოლარი უნდა გადაგვიხადოს და უკან დაგაბრუნებთ.

**საბურავებმოგლეჯილი ჯავშანტრანსპორტიორიდან გადმოიყვანეს, ხელებზე ბორკილები დაადეს, თვალები აუხვიეს და ერთ ავტომატიანს ჩააბარეს. მან კი ქამარზე თოკით გამოიბა და ორი დღე-ღამე უსაშველო ხევხუვებში ატარა. სროლის ხმა ნელ-ნელა უკან იხევდა.**

სხვაგვარად შენს გვამსაც კი ვერ ეღირსებიან. გესმის?

თბილისში კი, ლევანის ოჯახში, იმ დროს ჯოჯოხეთი ტრიალებდა. მამა — ნოდარი წესიერი კაცი იყო, ერთი იმ იშვიათი გამონაკლისთაგანი, ვინც საქართველოში ალალი შრომით მოახერხა პატარა ბიზნესის წამოწყება, თუმცა ჯერ იმდენიც ვერ მოეხერხებინა, საკუთარი ბინა მაინც გაერემონტებინა. იმ დღეს გულის შეტევით წაიყვანეს საავადმყოფოში. ტელეფონს კი მისი ძმა, რეზო დარაჯობდა — კარგა ხანს რუსეთში ნაცხოვრები და რუსული ჟარგონის მცოდნე უფრო იოლად გამონახავსო გამომძალველებთან სასაუბრო ენას.

— ბიძია რეზო, ლევანი ვარ.

— არ შეგეშინდეს, ბიძი! შიში არ შეგამჩნიონ მაგ არაკაცებმა. იცოდე, ქვას გავხეთქავ და მაინც გიპოვი, — ისე ღელავდა, ლამის გული ამოვარდნოდა რეზოს. ისიც იცოდა, ახლა უძლური იყო სხვა დროს კუნთმაგარი, მეხივით ვაჟკაცი, მაგრამ გრძნობდა, გამხნევება სჭირდებოდა ლევანს.

— მილიონს ითხოვენ და იმასაც ამბობენ, თუ არ გადაგვიხდიან, მოგკლავთ და შენს გვამსაც ვერ იპოვიანო.

— აბა, ერთი მე დამელაპარაკონ, — მოჩვენებითი რიხით უთხრა ძმისშვილს. ლევანმა მობილური გამომძალველებს გადასცა.

— Так... Картвело, милион долларов, иначе и труп не получите!

— მე კი გეუბნებით, ბიჭს თმის ერთი ღერიც რომ დაუზიანდეს, მიწიდან ამოგიღებთ და მწარედ განანებთ, თქვე უბედურებო. რაც შეეხება მილიონ დოლარს, ვიღაცას მაგრად გაუცურებიხართ, მილიონი დოლარი საქართველოსთვის ათი-თხუთმეტი რაიონის ბიუჯეტია. ჩვენს ოჯახს მილიონი დოლარი რომ ჰქონდეს, ბინას მაინც გავარემონტებდით. ტყუილად გარჯილხართ...

კავშირი გაწყდა. რეზომ იცოდა, რომ იქ, მეორე მხარეს, ახლა ამ საუბრის განხილვა დაიწყებოდა და არც შემცდარა. ცოტა ხანში ტელეფონმა ისევ დარეკა. ახლა უკვე ნახევარ მილიონს ითხოვდნენ. ეს ბოლო ფასია, ჩვენ ხომ გამტაცებლები არ ვართ, ჩვენ ეს ბიჭი ნაყიდი გვყავსო.

— ზღაპარია ამხელა თანხა. სამალარიჩოდ იქნებ ათი-თხუთმეტი ათასი დოლარი მოვისესხო, მეტის იმედი არ გქონდეთ, თანაც არც პოლიციას ვაცნობებ.

— ვისაც გინდათ, იმას აცნობეთ, ოღონდ ნახევარი მილიონი დაყაჭეთ. არადა ვიმეორებ, ამ ბიჭის გვამსაც ველარ იხილავთ. გაიგე, კარტველო? — ხმაში ყინული ედგა მოსაუბრეს.

ცეცხლი შემოენთო რეზოს. იცოდა, ნოდარი ამის მეათედსაც ვერ იშოვიდა, თანაც ეს როგორ უნდა უთხრას კაცს, რომელსაც ექიმები ინფარქტს უწინასწარმეტყველებენ.

## ომის წინა ხაზზე

ათი დღე ჰყავდათ ლევანი იმ ჯოჯოხეთში. მერე ერთ ღამეს ტანკების ხმაურმა გამოაღვიძა, რასაც ისეთი სროლა მოჰყვა, ლამის თავზე დაენგრა საკანი. ინატრა კიდეც: ნეტავ ერთი ბომბი ჩემს სამყოფელს მოხვდეს — ან ჩამმარხოს, ან არადა აქაურობას როგორმე გავაღწიოო, მაგრამ ამას ბედი უნდოდა. ბედი კი მას უფრო მწარე განსაცდელისთვის ამზადებდა.

ნაშუაღამევს მომცრო ჯავშანტრანსპორტიორი გაჩერდა ლევანის სარკმელთან. მერე ორმა თუ სამმა კაცმა დიდი უროთი შეამტვრიეს საკნის კარი, ლევანისთვის ხმა არც გაუციათ, ისე ანიშნეს, ჯავშანტრანსპორტიორში ჩაჯექიო და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ.

საათზე მეტი იარეს, იქნებ ორიც, ლევანს უკვე დროის შეგრძნება დაჰკარგვოდა და თითოეული წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. უკან იჯდა და ვერაფერს ხედავდა. გარეთ სროლის ხმა კიდევ უფრო ძლიერდებოდა. მერე მანქანას გვერდიდან ისე ძლიერ დაეჯახა რაღაც, ცოტაც და ალბათ აყირავდებოდა. იმწამსვე აფეთქების ისეთი მჭახე ხმა გაისმა, ლევანს ეგონა გარეთ კი არა, შიგნით აფეთქდა ბომბიო. მანქანა გაჩერდა. მისი თანამგზავრებიდან ერთი ხმამაღლა ითხოვდა რაღაცას, მაგრამ ლევანს არაფერი ესმოდა, აფეთქების ხმას დაეყრუებინა და როგორც შემდეგ გაირკვა, არა მარტო ის.

საბურავებმოგლეჯილი ჯავშანტრანსპორტიორიდან გადმოიყვანეს, ხელებზე ბორკილები დაადეს, თვალები აუხვიეს და ერთ ავტომატიანს ჩააბარეს. მან კი ქამარზე თოკით გამოიბა და ორი დღე-ღამე უსაშველო ხევხუვებში ატარა. სროლის ხმა ნელ-ნელა უკან იხევდა. ძაღლის ყეფა რომ გაიგონა, მიხვდა, სადღაც სოფელთან ახლოს ვართო. თვალები ახვეული კი ჰქონდა, მაგრამ ყნოსვით გრძნობდა ადამიანების სიახლოვეს, იცოდა, მათ შორის არავინ იქნებოდა მისი ქომაგი და მაინც ადამიანებთან ყოფნა ერჩია, მაგრამ ლევანის არც ამ სურვილს ეწერა ასრულება. ხელზე ბორკილები შეხსნეს, მერე ისევ თვალახვეულს წელში ბაწარი ჩააბეს და იმსიმაღლე ორმოში ჩაუშვეს, თვალებზე სახვევი რომ მოიხსნა, ცის პატარა ნაფლეთიღა შერჩენოდა თავს ზემოთ. ორმოს კიდეზე მდგარი რამდენიმე უცხოტომელი მოწონების ნიშნად რაღაცას უდასტურებდა ერთმანეთს...

იქ კი, ლევანის ბინაში, ისევ რეზო მორიგეობდა ტელეფონთან. ლევანის მამას, ნოდარს ამის არც თავი ჰქონდა, არც ნერვები. მით უმეტეს ახლა, საავადმყოფოს საწოლზე მიჯაჭვულს. გამოსასყიდზე ვაჭრობა გრძელდებოდა. ახლა რეზოს უკვე სხვა ხალხი ელაპარაკებოდა. ისევ მილიონიდან დაიწყეს, მაგრამ მერე სამასი ათასზე ჩამოვიდნენ და ამ თანხას ფეხს აღარ უცვლიდნენ, თან კატეგორიულად განუცხადეს: ან ამ ფულს გადაიხდით, ანდა თქვენ ბიჭს ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნითო. ამის გამგონე რეზომ იმ დღეს პირველად, მალულად მოჩხრიკა ძმის სახლში ვალიდოლის აბები. ორ ცეცხლს შუა იყო — ჯერ ერთი, ისინი იმდენ ფულს ითხოვდნენ, რისი გადახდის თავიც ოჯახს არ ჰქონდა. მეორე, — ვისთვის ეთქვა იმ მუქარის შესახებ, რასაც გამტაცებლები ჰპირდებოდნენ და დარდს გულში იკლავდა.

ამასობაში ნოდარის მეგობრებმა მთელი შავი სამყარო ააქოთეს. იქით ოსეთში აფრინეს კაცები, აქეთ — პანკისში, მაგრამ... არსაიდან ხმა, არსით — ძახილი.

## შემთხვევა — მისი უდიდებულესობა

შეღამებისას წყნეთის აღმართს გაჩქარებით მიუყვებოდა მოძველებული ბმვ. საჭესთან მჯდომი მარტო იყო მანქანაში. მობილურმა დარეკა:

— მოვდივარ, მამა. ყველაფერი ვიყიდე, რაც დამაბარეთ. უკვე ბაგებს გამოვცდი და რამდენიმე წუთში შინ ვიქნები. ახლა ტელეფონი უნდა გავთიშო, როგორც ჩანს, პოლიცია მაჩერებს. სიჩქარეს გადავაჭარბე ალბათ.

ამაოდ ელოდნენ ოჯახი და მისი სტუმრები სანოვაგით დატვირთული უმცროსი ვაჟის დაბრუნებას. მერე ვიღას ეპურმარილებოდა და ყველანი გიას საძებნელად გაცვივდნენ, — ფიქრობდნენ, გზიდან ხომ არ გადავარდაო, მაგრამ იმ ღამით ვერაფერს გახდნენ. გამთენიისას კი ერთიანად დაკაწრული, ტანსაცმელშემოფლეთილი გია თვითონ დაბრუნდა შინ.

— მე რომ პოლიციელები მეგონა, ბანდიტები აღმოჩნდნენ. საჭეს ერთ-ერთი მიუჯდა და ბეთანიისკენ გააგრძელეს გზა. სამნი იყვნენ. ხარობდნენ: ამაში კარგ ფულს გადაგვიხდიანო, მაგრამ „სამადლოსთან“ ოღროჩოღრო გზის გამო ერთი-ორჯერ ისე აგვაბურთავა მანქანამ მე და ჩემ გვერდით მჯდომი თანამგზავრი, რომ დრო ვიხელთე და მანქანიდან გადავხტი. მერე კი ხევში ჩავგორდი. ვიფიქრე, სულერთია, ამათ ხელში დარჩენას, მირჩევნია, ისევ აქ ჩავიჩეხო-მეთქი. მაგრამ ეტყობა, სიკვდილი არ მეწერა და მთელი ღამის წვალების შემდეგ იმ ჯაგნარიდან გამოვაღწიე. ჰო, მართლა, ერთი ვიცანი, ათას კაცში არ ამერევა, მერაბი ჰქვია სახელად და ელიავას ბაზრობაზე ტრიალებს ხშირად. რამდენჯერმე მყავს ნანახი...

საქმეში პოლიცია ჩაერთო. მერაბი და მისი ორი ამხანაგი დააკავეს და როცა უთხრეს, ახალგაზრდის გატაცებაში გედებათ ბრალიო, მაშინვე თავის მართლებას მოჰყვნენ: ჩვენ არ გვინდოდა, სხვამ გვაიძულა ლევანის გატაცებაო.

პოლიციელებმა იფიქრეს, ალბათ გატაცებულის სახელი შეეშალათო, მაგრამ ასაკით უფროსმა კოლეგამ ანიშნა დანარჩენებს: ხმა არ ამოიღოთ, ილაპარაკონო და ისინიც მოჰყვნენ, როგორ გაყიდეს ლევანი ოსეთში. როგორც შევიტყვეთ, ბიჭი ოსებს ინგუშეთში ლტოლვილი ჩეჩნებისთვის მიუყიდიათ და მას შემდეგ აღარაფერი ვიცითო. მერე კი სულ თავში ირტყეს ხელები, როცა გაიგეს, ლევანის კი არა, გიას გატაცებისთვის დავუკავებივართო. გიას სათვალავშიც აღარ ვაგდებდით, რაკი გზიდან გაგვექცაო.

ამისდა მიუხედავად, რეზოსა და ჩეჩნებს შორის ვაჭრობა კვლავაც გრძელდებოდა.

— აკი გითხარით, თუ სამასი ათასს არ გადაიხდით, ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნით-თქო თქვენს ბიჭს. ჰოდა, ელოდეთ! — ნიშნის მოგებით უთხრეს ერთხელ რეზოს და ტელეფონი გათიშეს. ერთი კვირის შემდეგ ლევანის დედამ მაზლს შეტყობინება გადასცა — შენს სახელზე ამანათი ყოფილაო მოსული ფოსტაში. ქალი ვერაფერს ხვდებოდა, რეზოს კი ლამის სისხლი გაეყინა ძარღვებში. ლევანის გატაცებიდან ოთხი თვე გასულიყო.

ფოსტიდან ხელცარიელი რომ დაბრუნდა, რძალმა გაკვირვებით შეხედა მაზლს — ტყუილად დაგიძახეს? აკი ამანათი მოსულაო? რა ფერი გადევს, რა გემართება?! სააბაზანოში შედი, წყალი მაინც შეისხი სახეზე... — მაზლის შემხედვარე ქალს თვითონაც მიწის ფერი დაედო. თუმცა ქალს ლევანზე ცუდი არაფერი უფიქრია — დარწმუნებული იყო, შვილს უსათუოდ დამიბრუნებენო.

— მისამართი შეშლიათ. სხვის ნაცვლად გამომიძახეს. ცოტა ხანს წამოვწვები. ამდენი ხანი რომ არ გავსულვარ გარეთ, ეტყობა, ცუდად გავხდი.

მაგრამ საწოლამდე ვერ მიაღწია. იქვე ჩაიკეცა და სულიც განუტევა ძმისშვილზე დარდით გამწარებულმა კაცმა.

პოლიციის აქტიურობითა და ოჯახის ახლობლების დიდი ძალისხმევით რეზოს დასაფლავების წინა დღეს დააბრუნეს ლევანი შინ. ძვალი და ტყავი დარჩენილიყო ბიჭი და ნეკა თითიც აკლდა — მანქანის კარში მოვატანეო, თავისიანები დაამშვიდა ლევანმა.

ოჯახში ბიჭის დაბრუნების სიხარული ჩამწარდათ — ყველა იმას დარდობდა, რეზო რომ ვერ მოესწრო ამ დღეს.

P. S. როცა პროცესია საფლავს გაერიდა, საავადმყოფოდან ახალგამოწერილი ნოდარი ძმის ნეშტზე დაიხარა და შუბლზე ეამბორა. შემთხვევით მისი ხელი რეზოს პიჯაკის ჯიბეს მოხვდა, რომელშიც აშკარად რაღაც იდო. ნოდარს გაახსენდა, წესი არ იყო მიცვალებულისთვის ნივთების ჩატანება და ბევრი აღარ უფიქრია... ხელთ ლევანის ნეკა თითი შერჩა. ნოდარმა ახლაღა გააცნობიერა რეზოს უეცარი გარდაცვალების მიზეზი. თითი ისე, რომ არავის შეუნიშნავს, ჯიბეში ჩაუბრუნა და გულამომჯდარი აქვითინდა.

***ვაჟა გავაშელი***

# არც შევარდნაძეა ბოროტი დედოფალი და არც სააკაშვილი ჰგავს ფიფქიას

„ეს ბიჭი, ამდენს რომ ყვირის, შევარდნაძესთანაა შეკრული, თორემ ამდენს ვინ გაიბედავდა. ის ძალა, აღმართს რომ ხნავს, მასაც გააჩუმებდა...“ შესაძლოა, ამ ხმების გავრცელებას „ნაციონალური მოძრაობის“ მეტოქეებიც უწყობენ ხელს. შესაძლოა, ხალხი უახლოეს წარსულთანაც ავლებს პარალელს — ყველას გვახსოვს, რომ კარგა ხანს შევარდნაძის მთავარი მოწინააღმდეგის „სტატუსს“ აჭარის ლიდერი იმსახურებდა, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ასლან აბაშიძის გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის თანხვდებოდა პრეზიდენტის ინტერესებს. ამის შემდეგ კი რა გასაკვირია, თუ ასეთივე ეჭვი სააკაშვილზეც გაჩნდა.

ითვლება, რომ პოლიტიკაში არაფერია გამორიცხული, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ პოლიტიკა აისბერგს ჰგავს და მისი წყლით დაფარული ნაწილის დანახვა ცოტას თუ შეუძლია. აქედან გამომდინარე კი, ხშირად ჭორიც და ვარაუდიც შეიძლება წარმოსახვის ვარჯიშის შედეგი იყოს...

საქართველოს პრეზიდენტის საქმიანი ბიოგრაფია მეტად მნიშვნელოვან სკამებზე გადის. პირველ სავარძლამდე მისაღწევად კი მეტად რთული და „ეკლიანი“ კიბის გავლა იყო საჭირო — გზა ჯარისკაცობიდან გენერლობამდე ათასი ბარიერის გადალახვას მოითხოვს, მით უმეტეს, თუ ჯარისკაცს არც გავლენიანი მშობლები ჰყავს და არც შესაბამის კაპიტალს ფლობს. ასე იყო თუ ისე, შევარდნაძემ პირველ წარმატებას მჟავანაძის ცეკას მდივნობისას გაუსინჯა გემო. ისე, სიტკბოსთან ერთად, არც სიმწარე დაჰკლებია, მაგრამ გულჩათხრობილ კომუნისტს, ჩანს, კარგად ჰქონდა შეთვისებული იმ თამაშის წესები, რომელიც პაიკობიდან მეფის სკამამდე გზის გასაკვლევად იყო საჭირო. კორუფციასთან ბრძოლა მისი მოღვაწეობის ლაიტმოტივი გახდა. მან სწორად მიაგნო არხს, რომელიც სასურველ მდინარესთან მიიყვანდა. ქმედებები ისეთივე მყვირალა იყო, როგორიც დღეს ყველაზე ყურისმომჭრელი ლოზუნგი... პირველობის სურვილი კი იმ დროს პირველი კაცის გზიდან ჩამოშორებასაც ითვალისწინებდა. სქემა აქაც სწორად იქნა შემუშავებული — მეგობარი ქვეყნის — რუსეთის წარმომადგენლის, მაღალჩინოსანი კოლეგის მფარველობა და კორუფციის კვალი, რომელსაც ქვეყნის პირველ ოჯახამდე მივყავდით... არ დაგავიწყდეთ, რომ ეს საბჭოთა პერიოდია და აქ რევოლუციური საკადრო ცვლილებებიც მალულად ხორციელდება. კორუფციასთან მებრძოლი შევარდნაძე კი ამ დანაშაულში ფარულად ბრალდებულ მჟავანაძეს რუსეთის ხელით იშორებს და ნანატრი სკამიც უკვე მისია...

მას შემდეგ დროც შეიცვალა და პოლიტიკური თამაშის ფორმებიც. ის, რაც საბჭოთა საქართველოში უხმაუროდ, ჩურჩულით კეთდებოდა, დღეს ხმაურითა და პომპეზური ქცევებით გახლავთ გაფორმებული. ისე, სერიოზული ლობი თავიდან არც მიხეილ სააკაშვილს ჰყოლია. პოლიტიკური მოღვაწეობა მან ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას დაიწყო და არც პირველმა თანამდებობრივმა წარმატებებმა დააყოვნა. ის გულჩათხრობილობით არ გამოირჩევა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. გენერლობის სურვილი მასაც აწუხებს და ცხადია, ასეთ დროს მიზნისკენ სავალი გზაც უნდა მონახოს. ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილმა ველოსიპედი გამოიგონა. მან უფრო ედუარდ შევარდნაძის ველოსიპედი გამოიყენა. თავად დაფიქრდით: ახალგაზრდა, იღბლიანი პოლიტიკოსი, რომელიც საქმედ კორუფციასთან ბრძოლას იხდის და თითს ყოველთვის პირველი ოჯახისკენ იშვერს... ოღონდ მეგობარი რუსეთი ჩაანაცვლა მეგობარმა ამერიკამ!

ლოზუნგებსა და ხმაურს რაც შეეხება, უკვე ვთქვით, რომ ეს დროის მოთხოვნაა, თორემ ისე, ყოფილი იუსტიციის მინისტრი ისევე იქცევა, როგორც თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრი ცეკას პირველი მდივნის, მჟავანაძის დროს მოიქცა.

ამ ყოველივეს კი საით მივყავართ? იქით, რომ შეუძლებელია საქართველოს პრეზიდენტს მშვილდმომარჯვებული საკრებულოს თავმჯდომარე საკუთარ ახალგაზრდობას, უფრო სწორად კი, საკუთარ ქმედებებს არ ახსენებდეს. და თუ ედუარდ შევარდნაძე ამ ქმედებებმა მიზანთან მიიყვანა, ვითომ რატომ არ გაუმართლებს მიხეილს?

ნუ იფიქრებთ, თითქოს ქვეყნის პრეზიდენტს იმ დედინაცვლის როლში ვხატავდეთ, ჯადოსნური სარკით რომ ინუგეშებს თავს. არც შევარდნაძეა ბოროტი დედოფალი და არც სააკაშვილი ჰგავს რამით ჯუჯებთან შეკედლებულ ფიფქიას, მაგრამ როცა სარკეში გარკვევით ხედავ, შენივე იარაღით როგორ გებრძვიან, შეიძლება დაფრთხე კიდეც...

ასეთ დროს კი არც ფარულ და არც აშკარა კავშირებს არ ამყარებენ. უბრალოდ, ერთი ნავი ამგვარად დაპირისპირებულ ორ კაცს ვერ დაიტევს. ძალით გაჩუმების კი რა მოგახსენოთ, შევარდნაძემ ჩვენზე უკეთ იცის, რომ სააკაშვილის თავიდან ჩამოვარდნილი თმის ღერი ის ნაპერწკალი იქნება, რომლითაც ალი დაინთება, ეს ალი კი უპირველესად ხელისუფლებას გაანადგურებს. სწორედ ამიტომ მას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს და ამ თავისუფლების პრეზიდენტის მხრიდან შეზღუდვა მხოლოდ სააკაშვილის წისქვილზე თუ დაასხამს წყალს.

***მაია გაბუნია***

# შავი მილიონები ქართულ ენერგეტიკაში...

მომავალ კვირას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა გადის — ხელისუფლებამ საბოლოოდ უნდა დაადგინოს დენის შემცირებული ტარიფი. მანამდე კი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულ მოსახლეობას, რომელმაც დენის ტარიფის გადახდაზე უარი თქვა, „ეი-ი-ეს თელასმა“ საჯარიმო სანქციები დაუწესა.

ხელისუფლების უმოქმედობას ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ერთი მიზეზით ხსნის — კანცელარიის ერთი ჯგუფი (კულუარული ინფორმაციით, ჯორბენაძე, ნიკოლეიშვილი და მირცხულავა) „ეი-ი-ეს“-ის საქართველოდან წასვლით და „თელასის“ ხელში ჩაგდებით არის დაინტერესებული.

ვესაუბრებით ზემოხსენებული კომისიის თავმჯდომარეს, პარლამენტარ **ირაკლი ჩუბინიშვილს**:

— თავის დროზე, როცა „ეი-ი-ეს“-მა დენის ტარიფი 9,8 თეთრიდან 12,4 თეთრამდე გაზარდა, პარლამენტმა ტარიფის ზრდის მიზანშეწონილობის შესწავლა დაგვავალა. საკითხის შესწავლისას აღმოვაჩინეთ, რომ „ეი-ი-ეს“-სთან ხელშეკრულება დარღვევებით დაიდო, ასევე კანონდარღვევით მოხდა საწესდებო ინვესტიციების მოზიდვა.

**— თავად „ეი-ი-ეს თელასმა“ რით ახსნა ტარიფის ზრდის აუცილებლობა?**

— კომპანია ამბობს, რომ ტარიფის ზრდა ჭარბმა ინვესტიციებმა გამოიწვია. მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, — იქ, სადაც 100 უნდა დაგვეხარჯა, 500 დავხარჯეთო. შესაბამისად, ჭარბი ხარჯი ტარიფში აისახა და მოსახლეობას დააწვა კისერზე. მაშინ ჩვენმა კომისიამ კონკრეტული დამნაშავეების დასჯა მოითხოვა.

**— ვინ იყო დამნაშავე?**

— მერია და ქონების მართვის სამინისტრო. თავდაპირველად, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა არავის უნდოდა, მაგრამ პრეზიდენტმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, დაურეკა ამ უწყების წარმომადგენლებს



და მათაც მოაწერეს ხელი.

ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, არავინ დასჯილა. ჩვენ აღმოვაჩინეთ „ეი-ი-ეს“-ის მიერ გაკეთებული კომბინაციაც, რომლის შედეგად ტარიფში ზედმეტად შევიდა 266,3 მლნ ლარი. კერძოდ, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება, რომელსაც „ეი-ი-ეს“-ი მოსახლეობას ახდევინებს, როგორც ძველ ვალს, უკვე შესულია ტარიფში როგორც ინვესტიცია(?!). ამას კერძო საუბრებში ირიბად სემეკიც ადასტურებს. როგორც ჩანს, ამ თემაზე „ეი-ი-ეს თელასთან“ ლაპარაკი ჰქონიათ და მათ უთქვამთ — ამ ფულს რომ ამოვიღებთ, ტარიფს მერე შევამცირებთო. „ეი-ი-ეს თელასში“ აუცილებლად უნდა დაინიშნოს საბუღალტრო ექსპერტიზა, გაირკვეს, რა ინვესტიციები განხორციელდა რეალურად.

**— ეს ინფორმაცია მიაწოდეთ ხელისუფლებას და ამას რეაგირება არ მოჰყოლია?**

— პრეზიდენტს წერილობით ვთხოვეთ, გადახედულიყო „ეი-ი-ეს თელასთან“ დადებული ხელშეკრულების ცალკეული პუნქტები, მაგრამ...

ლეიბორისტების სარჩელისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სემეკმა მოტივაციის გარეშე შეამცირა ტარიფი. ეს კი „ეი-ი-ეს თელასს“ სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველს აძლევს. პირადად მითხრა იგნასიო ირიბარენმა, — ვეძებ საბაბს, რათა სარჩელი აღვძრა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩემს საქმიანობას წარმატებულად მივიჩნევ, თუკი პროცესს მოვიგებ, მაშინ კი საქართველოდანაც წავალო.

**— ე. ი. „ეი-ი-ეს“-ს საქართველოდან წასვლა უნდა?**

— თუ პროცესის მოგების შანსი მიეცემათ, ამბობენ, წავალთო...

„თელასის“ ლობისტებმა და ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გაავრცელეს ინფორმაცია, ერთი (სახელისუფლებო) ჯგუფი მზად არის „თელასის“ ხელში ჩასაგდებადო. ხელისუფლების ინდიფერენტულობაც ამით აიხსნება. ამასთან, თუ „ეი-ი-ეს“-ი წავა და ახალი ორგანიზაცია აიღებს ხელში „თელასს“, მას აღარ ექნება გადასახდელი დიდი ვალები და ტარიფის შემცირებასაც შეძლებს.

**— რომელ ვალებს გულისხმობთ?**

— იმ არარეალურ ინვესტიციას, რომლის დასაბრუნებლადაც გაზარდა ტარიფი „ეი-ი-ეს თელასმა“. ამის შემდეგ საჯარიმო სანქცია დაეკისრება საქართველოს და ჯარიმის გადახდა ბიუჯეტის ხარჯზე მოხდება (ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო) — ამას კი შესაძლოა საქართველოს ბანკროტად გამოცხადებაც მოჰყვეს. იმ ჯგუფის კვალი, რომელსაც „თელასის“ ხელში ჩაგდება სურს, პირდაპირ კანცელარიისკენ მიდის.

***(დასასრული იხ. გვ. 27)***



# „გასაგებია, საითაც მიჰყავთ ყველაფერი“

## სანაიას საქმის განხილვა პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემა...

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის განხილვა 11 მარტამდე გადაიდო. მოსამართლემ თხოვნით მიმართა ტელეკომპანიებს, რომ მათ პროცესი პირდაპირი ტრანსლაციით გაეშუქებინათ. თხოვნა პირველად უშედეგოდ დასრულდა. თუმცა სასამართლო კოლეგიამ ამჯერად უკვე სხვა იურიდიულ ხერხს მიმართა და გამოიტანა განჩინება, რომლის თანახმად, სახელმწიფო არხს ოფიციალურად დაევალა სასამართლო სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია, ხოლო კერძო ტელეკომპანიებს სასამართლომ კვლავ გაუმეორა თხოვნა. ამასთან დაკავშირებით, „კვირის პალიტრამ“ ტელეკომპანიებს მიმართა კომენტარისთვის. „რუსთავი-2“-ის დამფუძნებელმაეროსი კიწმარიშვილმა კომენტარზე საერთოდ უარი განაცხადა.

**ზაზა შენგელია** (I არხის გენერალური დირექტორი): — ამ პროცესის პირდაპირი ეთერით გაშუქებაზე თავი შევიკავეთ, მაგრამ ამჯერად, სასამართლომ განჩინება გამოიტანა და დაგვავალდებულა, რომ პროცესი პირდაპირი ეთერით გადაიცეს. როცა განახლდება პროცესი, მეტი რა გზა გვაქვს.

*— თავიდან წინააღმდეგი წახვედით, რატომ?*

— მიმაჩნია, რომ გარდაცვლილი ადამიანით პოლიტიკურ სპეკულაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ძალიან ცუდია, როცა გიორგის დონის ჟურნალისტის და პიროვნების სახელის გამოყენება პოლიტიკური მანიპულირების საგანი და საფუძველი ხდება.

**მალხაზ ასლამაზაშვილი** (მე-9 არხის ტელესამაუწყებლო კომპანია): — ჩვენ სასამართლოდან მივიღეთ თხოვნა, რომ პირდაპირი ეთერით გადაგვეცა ეს პროცესი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სასამართლო სხდომები არ არის სატელევიზიოდ გადასაცემი. მაგალითად, ამერიკაში გადასცემენ? რამდენადაც ვიცი, პროცესზე ფოტოკამერითაც კი არავის უშვებენ და მხატვრების მიერ დახატული პორტრეტები გადის ხოლმე გაზეთში. ესე იგი, არ არის მიზანშეწონილი, ხომ? მეორეც, ჩვენი არხის კონცეფციაში არანაირად არ ჯდება სასამართლო პროცესის ტრანსლაცია. ჩვენი არხი შემეცნებით-გასართობია. მე მინდა, რომ მაყურებელმა დაისვენოს და გათავისუფლდეს ათასგვარი პრობლემისაგან. ასეთი მტკივნეული სასამართლო პროცესის გაშუქება დააწყნარებს ვინმეს?! ის კი არა, მე პარლამენტის სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლაციის მომხრეც კი არა ვარ.

*— პირველი შემთხვევაა საქართველოში, როცა მოსამართლე პირდაპირ ტრანსლაციას მოითხოვს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით კეთდება?*

— ყველაფრის დაშვება შეიძლება. ამ ტრანსლაციით შეიძლება გარკვეული ვერსია გამყარდეს ან ისე წარიმართოს პროცესი, რომ პირიქით მოხდეს. საერთოდ, ვის დასჭირდა ამის გაკეთება, არ მესმის. ალბათ სერიის მოყვარული მაყურებლისთვის იქნება ამის ყურება სასიამოვნო.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის პირდაპირ ტრანსლაციას უარყოფითად აფასებს მისი მეუღლე ხათუნა ჩხაიძე და ასეთ გადაწყვეტილებას ხელისუფლების შეკვეთად მიიჩნევს.

**ხათუნა ჩხაიძე** (სანაიას მეუღლე): — ვფიქრობ, რომ პირდაპირი ტრანსლაცია ხელისუფლების მხრიდან ერთადერთ მიზანს ისახავს: ისინი აპირებენ ისეთივე მოწმეების მიყვანას, როგორიც ხვედელიანი იყო. ამ მოწმეთა საშუალებით გაავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, რაც მიმართული იქნება გიორგის სახელის შეურაცხყოფისკენ. საერთოდ, კანონიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, დაევალებინა ან ეთხოვა რომელიმე ტელევიზიისთვის პროცესის ტრანსლაცია. ფაქტობრივად, მოსამართლე ცდილობს ამით აუკრძალოს ჟურნალისტს თავისი შეხედულებისამებრ გააშუქოს ეს პროცესი. გასაგებია, საითაც მიჰყავთ ყველაფერი.

***მარინა მამისაშვილი***

ნამდვილი ამბავი

# ალავერდის ზვარაკი

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისანი დაქორწინდნენ მაგდა და შაქარო. ალავერდში დაიწერეს ჯვარი. მადლით ცხებულ ტაძარში ერთგულება და სიყვარული დაებედათ. ხარობდნენ ამით. ზღვა ენერგია მოსძალებოდათ: ხნავდნენ, თესავდნენ, ლეწდნენ, აშენებდნენ — არა თავისთვის, არამედ ძმებისთვის, რძლებისთვის, მაზლებისთვის, ზრდიდნენ მათ პატარებს, რადგან ცხრა წლამდე არ მიეცათ შვილი... ყოველ შემოდგომაზე მოიყრიდნენ თავს ნათესავნი და ურმებით გაუდგებოდნენ გზას ალავერდისაკენ. იყო ლხინი და თავშექცევა, სამხვეწრო, ზვარაკი, ქადა, სანთელი, დოლ-გარმონი; შინ ახალი ძალმოსილებით დაბრუნება და ისევ შრომა — თავდაუზოგავი.

როცა კერაზე მათი ყრმის აკვანი დაირწა, დიდ ოჯახში თვრამეტი ყმაწვილი მომრავლებულიყო. უფროსი თვრამეტისა იყო. ახლა მათმა მშობლებმა გამოიღეს ხელი: ძეობა ჩათავდა თუ არა, შეიყარნენ ძმები, რძლები, მაზლები, ბიძები, ნათესავნი. მოასწორეს სასახლკარე, გაჭრეს საძირკველი, დაანთეს სანთელი, დალოცეს ფუძე. ამაღლდა ჭერი. ცხენი გაჭენდებოდა მოჩუქურთმებულ აივანზე. ივსებოდა ბეღელი ხვავით. მარანში თექვსმეტ-ჩაფიანი ზედაშე იხსნებოდა ყოველ ალავერდობას. ხუთი გოგო-ბიჭი ახმიანებდა ეზო-ყურეს. უფროსი — დათა — მშობლების კვალში ჩამდგარიყო. სოფელში პირველი გუთნისდედა, კალატოზი, ხეზე კვეთის ოსტატი — აკვნებსა და ფანდურებს თლიდა. თლიდა საძღვნოდ, ძეობაზე მისატანად, ქორწილებში გადასალოცად...

მოვიდა სხვა ყოფა, აირ-დაირია ხალხი. საეჭვო გახდა შეძლებული კაცის ცხოვრება. მაგდა და შაქარო განზე არ გამდგარან. კოლექტივს შესწირეს ათი დღის სახნავ-სათესი მიწა, ყევარი ხარი, ორი ფურკამეჩი, ურემი, კევრი, საცეხველი, სადღვებელი, ფარცხი; ქათამ-ინდაური, ხუთი სკა ფუტკარი. კანტორისა და საწყობის ასაშენებლად ცალკე დაწვეს საკირე. მაინც გამოტყვრა გულღრძო — მათი ოჯახი კულაკების სიაში ჩაწერა. მიცვივდნენ „წითლები“, აღწერეს ქონება, შეაწერეს სამოცი თუმანი, გადასახლებით დაემუქრნენ. წელში გაწყდა ოჯახი, აგროვა ბეგარის ფული, გაყიდა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, პატარძლის მზითევში მოყოლილი ზინგერის საკერავი მანქანა, კაკლის ხის მოჩუქურთმებული შიფონერი და კომოდი, ბაჯაღლოს ბეჭედი, ორი მეწველი ძროხა.

მაინც ვერ მოუყარეს თოთხმეტ თუმანზე მეტს თავი. დიდი და პატარა საშინელების მოლოდინში გაირინდა. ბალღებმა ფეხაკრეფით დაიწყეს სიარული. ჩაქრა სიცოცხლის ხალისი.

მოატანა ალავერდობამაც. ერთ ბურუსიან ღამეს ეზოდან გაქრა საღმრთოდ გამოზრდილი სამი წლის კურატი. შეაჯერეს ძებნით ტყე და მინდორი, სოფელი და გასადევარი. ვერ იპოვეს.

— რა შეგცოდეთ, ღმერთო, რად დაგვზაფრე, რად შემოგვწყერი, ალავერდის მადლო და ძალო, გადმოგვხედე, გადაგვაფარე შენი კალთა — სანთელს დაანთებდა ყოველ ბინდისას დიასახლისი და ლოცულობდა.

სოფელში ხმა გავარდა — კულაკების საქმეების გასარჩევად ქალაქიდან ხალხი ჩამოვაო.



„თეთრი ხარი“. მხატვარი კოკი მახარაძე

ეს დღეც დადგა. ორი ყმაწვილი კაცი ცხენებით მიადგა შაქაროს ეზოს. შეშინებული ბავშვები სადღაც გაიპარნენ. მაგდამ შინ მიიწვია სტუმრები. მთელი თავისი ქონება გადაუშალა. აჩვენა მარცვლეულის სანიავებელი მანქანა, სავსე ბეღელ-მარანი, სხვენი და თაროებიც კი. გააცნო ოჯახის დამხმარე, რომელსაც ჯერ ისევ შერჩენოდა მოჯამაგირის ძველი „ტიტული“. სტუმრებმა ადგილობრივი ორგანოს გაბღენძილ წარმომადგენელს „კულაკების“ სია გამოართვეს და მათი გვარი ქიმიური ფანქრით გადახაზეს.

— ღმერთმა ყველაფერი მშვიდობაში მოგახმაროთ, კულაკები კი არა, მშრომელი ხალხი ყოფილხართო და ბეგარა სამოცი თუმნიდან ექვს მანეთსა და ათ შაურზე ჩამოუყვანეს და წავიდნენ.

ეს სასწაულს უდრიდა. ისევ აჟრიამულდა კერა. გახურდა თონე, გამოცხვა შოთი და ლავაში. ორიოდე დღეში ალავერდობა დგებოდა. დაკარგული კურატი არსად ჩანდა — ირემივით ლაღი თეთრი ხარი.

მაგდამ თავისიანებს შეუთვალა: ალავერდისათვის შეთქმული კურატი დავკარგეთ, სანაცვლოდ ხარი იყიდეთ, ფასზე არ ივაჭროთ, ხატი არ გააწყროთ, ჩამოვივლით და ფულს მოგართმევთო. აიყარა ნათესაობა. დატვირთეს ცხენები საგზლით. საკლავი და სამხვეწრო თავ-თავის ურემზე გამოება ყველას. გზადაგზა ბევრდებოდნენ. ბადიაურთან შუბლმთვარიანი ხარი დაახვედრეს ძმებმა მაგდას. გაიჭიმა თვრამეტი ურმის ქარავანი.

ჩამოღამდა. წყლის პირას ისადგურეს მლოცველებმა. ცეცხლი დაანთეს, ილხინეს, ნაბდები გაშალეს კახეთის ბებერ მიწაზე. თვალის მოსატყუებლად ზოგმა უნაგირზე მისდო თავი. მიწყნარდა არე. ახალგაზრდები ისევ ცეცხლისპირას ისხდნენ. ხუმრობდნენ, ღიღინებდნენ. დათა იჯდა უბრად — გულჩათხრობილი. თავის თეთრ კურატზე ფიქრობდა...

უკუნი ხარის ბღავილმა გააპო. წამოიშალნენ ღამისმთეველები. ურმებიდან გამოშვებული საქონელიც აიზლაზნა.

იქაურობას ხეთქებით მოაწყდა დაკარგული კურატი. მორბოდა დამფრთხალი, რეტიანი, მოანათებდა თეთრად, სხივს ჰფენდა მიდამოს. ყველამ პირჯვარი გადაისახა. აღარავინ ელოდა უკან დადევნებულ ზვარაკს.

დათა შეეგება პირველი. დაღლილ ხარს რქები დაუკოცნა, შუბლზე კელაპტარი აუნთო. ალავერდამდე თოკი არ შეუბამთ, მისდევდა ქარავანს მორჩილი, დაურვებული.

გალავანგარეთ დაბინავდნენ. ტაძარში შევიდნენ სალოცავად. ეზო სავსე იყო ხალხით. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ მოქეიფენი, ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ.

განგაში ატყდა უცაბედად. დაწიოკებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ტაძარში საზეიმო პარაკლისს იხდიდნენ. ვიღაცამ მაინც გადაუჩურჩულა წინმდგომს — კურატი გაგიჟდაო.

„ის“ იყო. ქარიშხალივით შემოიჭრა ეზოში, შეჰბღავლა ზეცას, მიყარ-მოყარა მოვაჭრეთა დახლები, დალეწა ჭრელაჭრულა სათამაშოებით მორთული ლატარიის ჯიხურები.

ხარი ცოფიანი ეგონათ. ვინ ხანჯალზე გაიკრა ხელი, ვინ თოფს დასწვდა. ის კი გაველებული ანგრევდა, ლეწდა მიკიტნების ჭურჭელსა და კასრებს. ცაში აფრიალებდა ფარჩა-ატლასის ნაფლეთებს. ეგ იყო — მრევლს არას ერჩოდა. ცხენს მოახტა დათა, ქამანდი მოიმარჯვა...

ამ დროს ტაძრიდან გამოვიდა ფეხმძიმე ქალი. დათა მოიხმო, ჩამოაქვეითა. თავად გადარეული ხარისკენ წავიდა დინჯად:

— გაიტანეთ ჩემი სახლიდან სავაჭროები, რა ხელი აქვს აქ თაღლითს, მიკიტანს... განერიდეთ წმინდა ადგილს უღმერთონო, ურწმუნოებო! — ხელაპყრობილი ქადაგებდა თმაჩამოშლილი ფეხმძიმე ქალი.

კურატი შედგა. ათრთოლებული დაელოდა მიახლებას.

სუნთქვა შეეკრა ათასობით ცნობისმოყვარეს. უბედურების მოლოდინში თვალები დახუჭა ზოგმა. მოვაჭრეებმა წამოკრიფეს თავიანთი ავლადიდება და გალავანგარეთ, შარის პირას გადაინაცვლეს.

ქალი მივიდა გაქვავებულ კურატთან. ჯვარი გადასახა, მიეფერა, ყურზე წაავლო ხელი და ტაძრისაკენ გამოუძღვა. მორჩილად გამოჰყვა ხარი. მოდიოდნენ ერთად წუთის წინ გადარეული პირუტყვი და ფეხმძიმე ქალი...

თრთოდა მიწა, ბაგაბუგი გაჰქონდა მლოცველთა გულებს. ჩრდილი არ იძვროდა, თითქოს მზე გაჩერებულიყო, თვალდაშტერებით დასცქეროდა სასწაულს. აღსავლის კართან შედგა ქალი. ისევ გადასახა პირჯვარი კურატს. ხარმა მორჩილად დაიჩოქა, დაწვა, მოიდრიკა ქედი...

იგრიალა ხალხმა. ლოცვით დაიძრა ტაძრისაკენ.

წირვა გაგრძელდა.

...შინდაბრუნებულმა ოჯახმა კვირისთავზე შეიტყო: მათ „განმკულაკებელს“ ბებერ წნორებთან გადაჰყრია კურატი. გადაუჩხვერია, რქა ამოუკრავს უხერხულ ადგილას.

სიკვდილს ძლივს გადარჩა, საჭურისი კი დარჩა ბოლომდე.

***ეთერ თარიმანი***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვარ 88 წლის. მყავს ბევრი შვილი და შვილიშვილი. სურვილი მაქვს ჩემი გარდაცვალების მეორმოცე დღეს იმღერონ, ხომ არ შევცოდავ ან ჩემს შთამომავლობას ხომ არ ჩავაგდებ ცოდვაში?**

— ქრისტიანული წესით, ჭირისუფალთაგან მიცვალებულზე ზრუნვად ლოცვები, პანაშვიდის გადახდა და გარდაცვლილის სახელზე მოწყალების გაცემა ითვლება. ეს ქმედებანი, ჭირისუფალსაც აახლოებს უფალთან. სიმღერა ცოდვა არ არის, მაგრამ არა მგონია, ვინმეს შვება მოჰგვაროს ახლობლის გარდაცვალების მე-40 დღეს. გირჩევთ, სთხოვოთ შთამომავლებს, რომ როცა უფალი ინებებს და ეს დღე დადგება, გადაიხადონ პანაშვიდი. ხოლო სიმღერისა და ლხინის მოსაწყობად საჭირო თანხა გაჭირვებულებს შესწირონ, ანდა, უპოვართა სახლში მიიტანონ, სადაც შიათ და სცივათ — ეს უფრო წაადგება თქვენს სულს და ჭირისუფალსაც. ხოლო იმას, თუ როდის იმღერებენ, თავად გადაწყვეტენ.

**— ახლობელი მირჩევს ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ექსტრასენსთან სამკურნალოდ მისვლას. ჩამეთვლება თუ არა ასეთი მკურნალობა ცოდვად?**

— ეკლესია ექსტრასენსებთან ვიზიტს ყოველთვის მჩხიბავებთან და მკითხავებთან მისვლასთან აიგივებდა. ეკლესია მედიცინას როდი კრძალავს, პირიქით — სწორი მედიცინა, ანუ იმ სხეულზე ზრუნვა, სადაც ადამიანის უკვდავი სულია ჩასახლებული, უფალმა აკურთხა. მედიცინა როდესაც სხეულს კურნავს, სულს უფლისგან როდი აშორებს. ექსტრასენსები კი, თავიანთი მკურნალობის მეთოდებით, ადამიანის სულს უფლისგან განაშორებენ. ამიტომაც არის, რომ მათ მიერ თითქოსდა დროებით გაჯანსაღებული სხეული, წინანდელთან შედარებით, უარეს მდგომარეობაში ვარდება...

ეკლესიური წესით მცხოვრები მართლმადიდებელი არასოდეს საჭიროებს ექსტრასენსთან მისვლას. ტაძრებში ჯანმრთელობის უამრავი ლოცვა იკითხება. ლოცვები აძლიერებენ სწორი სამედიცინო მკურნალობის შედეგს. გარდა ამისა, დიდი მკურნალი წმინდა ზიარებაა, რომლის დროსაც „ეძლევა ქრისტეს სისხლი და ხორცი საკურნებლად სულისა და ხორცისა“.

**— ქრისტიანული თვალსაზრისით, არის თუ არა ცოდვა მუსლიმების მხარეს ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ, როცა ქრისტიანები მუსლიმებს ართმევენ სამშობლოს (ვგულისხმობ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომს).**

— საქართველოს ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა, რომ უცხო ქვეყნების დაპირისპირებებს ქართველების სიცოცხლე შესწირვია... მაგრამ ეს იძულებითი იყო — ჩვენს პატარა ქვეყანას დიდი ქვეყნები განაგებდნენ და ქართველის ომში გაწვევა მათი ნება-სურვილით ხდებოდა. ქრისტიანული წესით, ქრისტიანი ვალდებულია მახვილი მხოლოდ სამშობლოს დასაცავად აიღოს. თუკი არავინ გაიძულებს სიცოცხლე სხვის პოლიტიკურ ვნებებს შესწიროთ, რასაკვირველია, სისხლის ღვრა და უფლისგან ნაბოძები სიცოცხლის დათმობა ცოდვაა. მით უმეტეს, როცა სამშობლოსთვის ბევრი გვაქვს საბრძოლიც, სალოცავიც და სამუშაოც.

**— რატომ გამოეყვნენ „სტაროვერები“ რუსულ ეკლესიას და ითვლება თუ არა ეს რელიგიური მიმდინარეობა სექტად?**

— „სტაროვერები“ სექტაა. სიტყვა „სტაროვერი“ ძველი წესების მიმდევარს ნიშნავს. სწორედ ძველი წეს-ჩვეულებების მიზეზით გამოეყვნენ ისინი რუსეთის ეკლესიას: XV საუკუნეში პატრიარქმა ნიკონმა რუსული ეკლესიის ღვთისმსახურების ძველი წესები შეცვალა და მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო წესებს დაუქვემდებარა. ამის გამო მოხდა განხეთქილება — რუსულ ეკლესიას გამოეყო შტო, რომელმაც ახალი საეკლესიო წესის მიმდევრები ერეტიკოსებად გამოაცხადა. ამ ნაბიჯით „სტაროვერები“ ეკლესიის მადლმოსილებას ჩამოშორდნენ და ახლა ეს სექტა თანდათან იშლება ახალ-ახალ პატარა სექტებად, რომლებიც ერთმანეთს აღარ ცნობენ, მაგრამ საერთო სახელი „სტაროვერი“ მაინც შეინარჩუნეს. სამწუხაროდ, რუსი მართლმადიდებლების ეს ტრაგედია ქართულ ეკლესიასაც შეეხო. სექტა საქართველოშიც მოქმედებს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ან გამოიძიონ, ან მკვლელი მოგვცენ და ჩვენ მოვუვლით!“

თავის დროზე პოლიციის თავგასულობის გამო კახა თარგამაძე შს მინისტრობას გამოემშვიდობა. როცა მინისტრად კობა ნარჩემაშვილი დაინიშნა, გაჩნდა იმედი, რომ ამ სტრუქტურას რაღაც ეშველებოდა, გატარდებოდა რეფორმები და ახალდანიშნული მინისტრი კობა ნარჩემაშვილი კრიმინალებად ქცეულ პოლიციელებს თავის ადგილს მიუჩენდა. დღეს კი რა ხდება? წინა კვირაში რაც მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სხვა მკვლელობებს შორის, შეიძლება ითქვას, არაფრის გამო მოხდა ორი მკვლელობა, ორივე პოლიციელის ხელით. ორივე შემთხვევაში პოლიციელია დამნაშავე.

რისი დემონსტრირება სურს კობა ნარჩემაშვილს? ძალის? რატომ „ათამამებს“ თავის თანამშრომლებს ასე?!

... 18 თებერვალს, დაახლოებით რვა საათზე, ცოტნე დადიანის ქუჩაზე აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ოპერი, 32 წლის კობა ჯანგიძე „მაკაროვის“ ტიპის იარაღით მოკლა უბნის ინსპექტორმა, პოლიციელმა ვლადიმერ დეკანოიძემ.

ოფიციალური ინფორმაციით, კობა ჯანგიძე და კობა კაკუბავა (ბორის კაკუბავას ძმისშვილი), საქეიფოდ აპირებდნენ წასვლას. მათ კიდევ ერთი მეგობარი, ვინმე შონია უნდა გაჰყოლოდათ. ცოტნე დადიანის ქუჩაზე მცხოვრებ მეგობარს ვერცხლისფერი „ბმვ“-თი გაუარეს. კაკუბავამ მანქანა გააჩერა და შონიასთან კორპუსში აირბინა. გამოძიების ვერსიით, გაჩერებულმა „ბმვ“-მ გზა გადაუკეტა მეორე ქუჩისკენ მოძრავ მანქანებს, ანუ კაკუბავამ მანქანა უადგილო ადგილზე გააჩერა. „ბმვ“-ს უკანა მხრიდან თეთრი ფერის „06“ მარკის ჟიგული მიუახლოვდა და სიგნალი მისცა. ამ დროს მანქანიდან ჯანგიძე გადმოვიდა და მძღოლს უთხრა, რომ გზას გაათავისუფლებდა. მალე საუბარი ჩხუბში გადაიზარდა. ერთმანეთს ფიზიკურადაც შეეხნენ. ვლადიმერ დეკანოიძემ იარაღი ამოიღო და ჯანგიძე გულმკერდის არეში დაჭრა. ვესაუბრებით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორს **ლენა კაპანაძეს**.

**— ქალბატონო ლენა, რა მტკიცებულებების საფუძველზე დააკავეთ ვლადიმერ დეკანოიძე?**

— მან აღიარებითი ჩვენება მოგვცა. გარდა ამისა, იარაღზე ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა. ასევე არსებობენ თვითმხილველებიც.

**— რა განაცხადა ვლადიმერ დეკანოიძემ აღიარებითი ჩვენების დროს?**

— ის ჰყვება, რომ მოდიოდა მანქანით, ვერცხლისფერი „ბმვ-500“ არასწორად იყო გაჩერებული, რის გამოც ველარ გადიოდა. დეკანოიძე გადმოვიდა მანქანიდან და „ბმვ“-ს პატრონს მანქანის გადაყენება მოსთხოვა. როგორც დეკანოიძე ამბობს, ჯანგიძემ იუკადრისა მისი შენიშვნა და შელაპარაკდნენ. შემდეგ ერთმანეთს დავარტყით, მე წონასწორობა დავკარგე და იარაღი ვისროლე მისი მიმართულებითო.

**— რამდენადაც ვიცი, ფეხში ესროლა.**

— ეს ინფორმაცია არასწორად გავრცელდა. ფეხში საერთოდ არც აქვს მოხვედრილი. სიცოცხლისათვის სახიფათო ერთი ჭრილობა აქვს მუცლის ღრუს ოდნავ ზევით, გულმკერდის არეში.

**— ჯანგიძეს თან ახლდა ბორის კაკუბავას ძმისშვილი, კობა კაკუბავა, რომელიც იქვე მდებარე კორპუსში იყო ასული. ითქვა, რომ მან ფანჯრიდან დაინახა ყველაფერი...**

— ჩვენებაში კაკუბავა ამბობს, რომ ფანჯრიდან დაინახა მანქანასთან ჩხუბი, სანამ ჩამოვიდოდა, დეკანოიძე უკვე მიიმალა.

**— რითი ხსნის თავის მიმალვას დეკანოიძე, მის მანქანას ხომ რეგისტრირებული ნომრები ჰქონდა?**

— შემეშინდა და ამიტომ გავშორდი იქაურობასო.

**— აღნიშნეთ, რომ მკვლელობა არარეგისტრირებული იარაღით მოხდა. თვითონ რას ამბობს, რატომ ჰქონდა არარეგისტრირებული იარაღი?**

— ამბობს, მეგობარმა მაჩუქაო. რაც შეეხება ტაბელურს, აღნიშნავს, რომ იარაღი მასზე მიმაგრებული არ ყოფილა.

ამ შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ ალმაშფოთებელი მკვლელობა ხდება წინამძღვრიშვილის ქუჩაზე. პოლიციელმა ნოდარ არდიშვილმა 17 წლის ალექსანდრე მუჯირიშვილი მოკლა.

ალექსანდრე მუჯირიშვილი ბარ „მელომანის“ დისკოთეკიდან გოგონებთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. „მელომანიდან“ ადევნებულმა ორმა ნასვამმა პოლიციელმა ტაქსის გზა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გადაუჭრა და მუჯირიშვილს გოგონების დათმობა(!) მოსთხოვეს. მუჯირიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია და ურთიერთშელაპარაკება ტრაგედიით დასრულდა. ნოდარ არდიშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა მეორე დღესვე გამოცხადდა პოლიციაში. „აუცილებელი მოგერიების“ ბრალდებით აღძრული საქმე კი მოკლულის დადანაშაულებისა და საქმის ჩაფარცხვისკენ არის მიმართული.



ალექსანდრე მუჯირიშვილი

## რა ხდება დღეს!..

**მანანა** (გარდაცვლილის დედა): პეკინის ქუჩაზე, ბარ „მელომანში“ უქეიფიათ. პოლიციის თანამშრომლებიც იქ მსხდარან და ქეიფობდნენ. ბარიდან გამოსულ ჩემს შვილს, ალეს, მის მეგობარ ლევანს და ორ გოგონას, რომლებიც ტაქსიში ჩამსხდარან, ეს პოლიციის თანამშრომლები უკან დასდევნებიან. ჩემი უმცროსი ვაჟიც იქ ყოფილა. ის ამხანაგებთან ერთად მეორე ტაქსით წამოსულა. შეუმჩნევია, რომ პოლიციის თანამშრომლები მის ძმას და მეგობრებს მისდევდნენ. მობილურით ძმისთვის დაურეკავს, პოლიცია მოგდევთ და სახლისკენ წადი პირდაპირო. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე პოლიციას ტაქსის მძღოლისთვის უნიშნებია — გააჩერეო, თან „ქსივი“ უჩვენებიათ, თანამშრომლები ვართო. ტაქსის მძღოლი გადასულა მანქანიდან, მაგრამ მათ უთქვამთ, შენ არა, წინ რომ ბიჭი ზის, ის გადმოვიდესო. ალე გადასულა. მათ უთქვამთ: პოლიციის თანამშრომლები ვართ, პატივი გვეცი, ეს ქალები ჩვენს მანქანაში გადმოსვიო. არადა, ეს გოგონები ჩემი შვილის ახლობლები იყვნენ, ვილაც „პუტანკები“ კი არა. ალეს გაკვირვებია: მე კარგი ბიჭი ვარ და გოგონებს სახლში ვაცილებო. შემდეგ ამ პოლიციელს, ნოდარ არდიშვილს ფეხებში უსვრია, გინდა თუ არა, გადმოსვი, რომ გეუბნებიო. მერე, როგორც ვიცი, შელაპარაკდნენ და მეორე ტყვია შიგ გულში ესროლა. დატოვეს ეს მანქანა და გაიქცნენ.

ალექსანდრე მუჯირიშვილი ბარ „მელომანის“ დისკოთეკიდან გოგონებთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. „მელომანიდან“ ადევნებულმა ორმა ნასვამმა პოლიციელმა ტაქსის გზა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გადაუჭრა და მუჯირიშვილს გოგონების დათმობა(!) მოსთხოვეს. მუჯირიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია და ურთიერთშელაპარაკება ტრაგედიით დასრულდა.

**— მანამდე ბარში რაიმე შელაპარაკება ხომ არ მომხდარა?**

— არაფერი. ესენი სხვა მაგიდასთან მსხდარან, ისინი — სხვასთან.

**— რა მიზეზით მოითხოვეს გოგონების მათ მანქანაში გადასხდომა?**

— სიმთვრალის მიზეზით. ისე, ეს პოლიციელები ბარში რომ დამთვრალან, შორიდან უტრიალებდნენ ამ გოგონებს. მოეწონათ. მანქანითაც ამიტომ დაედევნენ. რომელი 17 წლის ბიჭი იკადრებს, რომ ახლობელი გოგონები უცნობის მანქანაში გადასვას? კი შეეწირა ამას. ახლა მკვლელი ამბობს, დანა გამიხსნაო, არადა ბავშვები ამბობენ, დანა არავის არ გვქონდაო. არც ხმარობდა ჩემი შვილი. ეს ისეთი ბარი ყოფილა, რომ შედიხარ, გჩხრეკენ, იარაღს არ შეგატანინებენ, შსს-ს დაცვა დგას. ახლა მიცვალებულს აბრალებენ, იმიტომ, რომ ასე აწყობთ.

გოგონები მთელი ღამე დაკავებული ჰყავდათ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორი წერეთელი თურმე აძალებდა, გინდათ თუ არა, თქვით, რომ ალემ გაუხსნა პირველმა დანაო. როგორც ვიცი, კიდეც უცემიათ გოგონები... ჩემი შვილი 35-ე სპორტულ სკოლაში სწავლობდა. ფეხბურთს თამაშობდა. სახლი, სტადიონი, მეტი ჩემმა შვილმა არაფერი იცოდა. და აი, ასეთი შვილი მომიკლეს. როგორ უნდა ვაპატიო? მთელი უბანი ფეხზე დგას. გავალთ ქუჩაში და მოვითხოვთ, ან ნორმალურად გამოიძიონ საქმე, ან მკვლელი მოგვცენ და ჩვენ მოვუვლით მაგას. მე ჩემს 17 წლის შვილს მიწა უნდა დავაყარო და მაგან ზევით უნდა იაროს?! წარმოიდგინეთ, პირდაპირ გულზე მიუდია იარაღი და ისე უსვრია. 113-ე მუხლი წაუყენეს, აუცილებელი მოგერიება, წარმოგიდგენიათ? სამ წელიწადში სახლში უნდა გაუშვან.

„კვირის პალიტრა“ ასევე ესაუბრა დისკოთეკაზე ალესთან ერთად მყოფ ერთ-ერთ გოგონას.

**თიკო** (16 წლის, გვარის დასახელებისგან თავი შეიკავა): — ჩვენ წავედით დისკოთეკაზე, იქვე ბარშიც ვისხედით. იქ იყო ალეს და ლევანის ნაცნობი ორი გოგონა, დისკოთეკა რომ დამთავრდა, ჩვენ სხვა ტაქსიში ჩავსხედით, ეს გოგონები, ლევანი და ალე სხვა ტაქსიში. როდესაც წავიდნენ, პოლიციის თანამშრომლები უკან გაჰყვნენ. ჩვენც გავყევით. სახლში მოვდიოდით. გადააყენეს. უთხრეს, რომ პოლიციის თანამშრომლები ვართ და გოგონები გვინდაო(?!).

**— რატომ ითხოვდნენ ამას?**

— იცნობდნენ ამ გოგოებს. ჩვენ რომ მივედით დისკოთეკაზე, ის გოგონები იქ დაგვხვდნენ. ალეც იცნობდა ამ გოგონებს და იქ შემთხვევით შევხვდით. ისინი ცეკვავდნენ კიდეც ერთად... ალემ, უთხრა, მე კაი ბიჭი ვარ და ეს გოგონები სახლში მიმყავსო. პოლიციელმა უყვირა: ბიჭო, თანამშრომელი ვარ, გადმოიყვანე, რომ გეუბნებიო და ფეხებში ესროლა. შემდეგ რამდენიმე ტყვია ჰაერში ისროლა, მერე გულში... და გაიქცა.

**— ის გოგონები წინააღმდეგნი იყვნენ, რომ პოლიციელებს გაჰყოლოდნენ?**

— არ უნდოდათ. რომ ნდომებოდათ, ბარიდანვე გაჰყვებოდნენ.

**— მართლა დანა ამოიღო ალემ?**

— დანა არ ჰქონია.

**— დისკოთეკაზე ის გოგონები პოლიციის თანამშრომლებთან ცეკვავდნენ?**

— კი, მაგრამ, როდესაც ალე ჩამოვიდა ბარში, უკვე ალესთან დასხდნენ.

**— პოლიციაში შენც დაგკითხეს?**

— კი... ერთ-ერთმა გოგომ, სოფიკომ თქვა, რომ ალემ დანა ამოიღოო, მაგრამ ალბათ დააძალეს.

**— ამ გოგონებს პოლიციაში ფიზიკურად შეეხნენ?**

— გასალეებს ურტყამდნენ ხელებში.

**— შენ?**

— მე არა. ჩემთვის არ დაურტყამთ. მაგინებდნენ, გინდა თუ არა, თქვი, რომ დანა ამოიღეს ბიჭებმაო. მე მაინც არ ვთქვი.

***მარინა მამისაშვილი***

# „ტარიელ ონიანმა თავისი წვლილი შეიტანა ჩემს გათავისუფლებაში“



კახა კვიციანი დისშვილებთან ერთად

***აფხაზურმა მხარემ, რამდენიმე დღის წინ, გალის რაიონის სოფელ მზიურში დატყვევებული კახა კვიციანი გაათავისუფლა. აფხაზეთიდან დევნილი, ამჟერად ზუგდიდში მცხოვრები კახა კვიციანი კოდორის ხეობის გუბერნატორის, ემზარ კვიციანის ნათესავია. გათავისუფლების დეტალების შესახებ ვესაუბრეთ დაზვერვის დეპარტამენტის შეფს ავთანდილ იოსელიანს.***

**— როგორ გათავისუფლდა კახა კვიციანი?**

— დავუკავშირდი გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ქჩაჩს და უშიშროების სამსახურის უფროსს, ზურაბ აგუბავას. ვუთხარი მათ, კვიციანის საქმიანობა არავითარ კვლევა-ძიებას არ საჭიროებს და საქმე რომ არ გავართულოთ, ეს საკითხი მალე გადავწყვიტოთ-მეთქი. მართლაც, ყველამ თავისი სიტყვა შეასრულა და კახა კვიციანი უკვე თავისუფალია.

**— ალბათ გათავისუფლების პროცესის დაჩქარებაში კვიციანის გვარმაც იქონია ზეგავლენა.**

— თუ ემზარის ნათესაობას გულისხმობთ, ამაზე ჩემსა და აფხაზებს შორის ლაპარაკი არც ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნათესავი არ არის, თავიდანვე განვაცხადე, რომ კახა ჩემი ნათესავია.

აფხაზეთიდან ლტოლვილი კახა კვიციანი ზუგდიდში ცხოვრობს. კახას მამას, დავით კვიციანს, რომელიც ერთი წლის წინ გარდაიცვალა, ზუგდიდში 11 მეტრი სიმაღლის სვანური კოშკი აუშენებია და მისთვის „სვანებისა და მეგრელების მეგობრობის თეთრი სახლი“ დაურქმევია. ამ სახლს დღეს კახა კვიციანი ხელმძღვანელობს. ახლა ზუგდიდში ყველა იმას ამბობს, სხვა რომ არაფერი, კახას მამამისის კაცური საქმეებიც წაადგებოდა, დავით კვიციანს დიდ პატივს სცემდნენ აფხაზებიცო.

„კვირის პალიტრა“ ტყვეობიდან გათავისუფლებულ **კახა კვიციანს** ესაუბრა:

**— ბატონო კახა, როგორ აგიყვანეს ტყვედ აფხაზებმა?**

— გალში ჩასვლა მომიხდა. ენგურის ხიდზე გადასვლისას აფხაზურმა მილიციამ გაგვაჩერა, რადგან ჯიბეში ყოველთვის მაქვს ქართული პასპორტი, აქედან გამომდინარე, დამაკავეს. ოთხი დღე-ღამე გალის იზოლატორში მამყოფეს, მერე სოხუმში გადამიყვანეს.

**— სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა თუ მოგაყენეს?**

— არა, შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ. მაგრამ გულში რომ არ ჩამიხუტეს, ცხადია. აგრესიის შემდეგ უკვე ცხოვრებისეულ თემებზეც საუბრობდნენ.

**— გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზებმა დაგაპატიმრეს იმის გამო, რომ ომის დროს სოხუმის აეროპორტის კომენდანტი იყავით.**

— სვანი ვარ და როცა კაცი რაღაცას მეკითხება, სიმართლეს ვპასუხობ, არ მახასიათებს ჩემი წარსულის დაფარვა. მკითხეს — ომობდი თუ არა იმ წლებშიო. ომს ვერ დავარქმევ, მაგრამ 1992-93 წლებში სოხუმის აეროპორტის კომენდანტი ვიყავი, მერე თბილისის აეროპორტში გახლდით იმავე თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, ალბათ გასაგებია, რა დამოკიდებულება გაუჩნდებოდათ ჩემ მიმართ.

**— ცხადია, აგრესიული.**

— აგრესია იქნება, სანამ კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ შედეგებს არ იგრძნობს ხალხი. გულის სიღრმეში აფხაზების უმრავლესობას ჩვენთან ურთიერთობა ურჩევნიათ სომხებთან და რუსებთან ურთიერთობას.

**— ალბათ აფხაზებმა გაიგეს თქვენი და ემზარ კვიციანის ნათესაობის შესახებ.**

— ცხადია, ემზარი პოპულარულია და ჩემი გვარიც მყისვე ჩვენს ახლობლობაზე მეტყველებს, მაგრამ ჩემსა და მას შორის აფხაზებს არანაირი პარალელის გავლება არ უცდიათ.

**— სოხუმში სად იმყოფებოდით?**

— შსს-ს იზოლატორში.

**— სხვა დატყვევებული ქართველები ხომ არ გინახავთ?**

— მე კარცერში ვიყავი და ამის შესაძლებლობა არ მქონდა, თუმცა, ვიცი, რომ იქ დატყვევებული ქართველები ბლომად არიან. სოხუმის ციხეში იმყოფება ვალერი ჩხეტიანიც, რომელიც კოდორის ცნობილი მოვლენების დროს დაატყვევეს აფხაზებმა. 15 წელი აქვს მისჯილი და ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უფრო მეტი ყურადღება სჭირდება.

**— გალში რაზე მიდიოდით?**

— სვანური კოშკის კომპლექსში ჩემს დას საბავშვო ბაღი გავახსნევინე, ამასთან მამაჩემის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, სალამო მქონდა დაგეგმილი და საორგანიზაციო საკითხებზე გალში ერთ პიროვნებას უნდა შევხვედროდი.

**— და მაინც, რომ არა თქვენი ნათესაობა კოდორის გუბერნატორთან, რომ არა სვანური კოშკის ძალა, რომ არა დაზვერვის დეპარტამენტის აქტიური ჩარევა, როგორ ფიქრობთ, თქვენი ტყვეობა დანარჩენი ქართველი ტყვეების მსგავსად, ხანგრძლივი ხომ არ იქნებოდა?**

— მე უდიდეს მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დედაჩემის გულს გაუფრთხილდა. რაც შეეხება ტყვეთა გათავისუფლებას, პირველ რიგში საქართველოს მთავრობაა ვალდებული, თავის მოქალაქეებზე იზრუნოს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას, პირველ რიგში იმათ, ვინც სოხუმში მითხრა, თავისუფალი ხარო. ლევან არძინბას ვუხდი მადლობას, ივერი ჭელიძეს, ავთო იოსელიანს, ემზარს, საერთოდ, კვიციანებს, ონიანს.

**— რომელ ონიანს?**

— ტარიელ ონიანს. ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემს გასაჭირს ისიც გამოეხმაურა და თავისი კაცური წვლილი შეიტანა ჩემს გათავისუფლებაში.

***ეკა ლომიძე***

## ვაგონი მიქრის...

### „ყავის რესპუბლიკის“ მოქალაქენი

დღევანდელმა თაობამ არცკი იცის, რომ გაგრა ოდესღაც საბჭოთა ინტელიგენციისა და კომუნისტური შრომის დამკვრელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო, ის კავკასიის შავი ზღვისპირეთში მდებარეობს და არა სამხრეთ ამერიკაში.



პოლიტიკური მიზეზების გამო სოხუმს უფრო იცნობენ. ქალაქის სახელწოდებას დაბოლოება „ი“ ჩამოაშორეს და საქართველოს ავტონომიის ცენტრი იქცა აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის დედაქალაქად, რომელიც არ მალავს თავის პრორუსულ განწყობას.

თვითმარქვია რესპუბლიკა თავისი, „ადგილობრივი სპეციფიკით“ ცხოვრობს: საზოგადოებრივი ტრანსპორტი დღის 2 საათამდე მუშაობს, ამიტომ სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა უმრავლესობა შესვენებიდან აღარ ბრუნდება სამსახურში. 16 საათზე მთავრობის კაბინეტები ცარიელდება, სამაგიეროდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბევრ თანამდებობის პირსა და მინისტრს ზღვისპირა საყავეში შეხვდებით, რომელსაც ადგილობრივები „სალაყბოს“ ეძახიან. მილეთის ამბები იხილება აქ — რას არ გაიგონებთ: მაგალითად, თუ რუსეთი აფხაზეთის კურორტებს დროზე არ მიხედავს, თურქებს ჩაუვარდებათ ხელში ყველაფერიო; თურქებმა უკვე დააბანდეს მილიონები ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროშიო; რუსეთს აფხაზეთის რკინიგზა თავის სტრატეგიულ პარტნიორთან, სომხეთთან დასაკავშირებლად სჭირდებაო...

საქმეში ჩახედულნი კი ამბობენ, რუსეთი საქართველოს სამართავად გვიყენებს. თუ თბილისი დიდ პოლიტიკურ დათმობაზე წავა, ჩვენი გადაყლაპვის უფლებასაც მისცემენო...

### კომპოზიტორთა სახლი და მისი ბინადარნი

იმ შენობაში, სადაც უწინ საბჭოეთის ხელოვანების ელიტა ისვენებდა და შედევრებს ქმნიდა, ახლა თვითმარქვია რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროა ჩასახლებული.

მინისტრი, გენერალ-მაიორი რაულ ხაჯინბა, ჩეკისტია, „კაგებე“-ს ყოფილი თანამშრომელი. როგორც ყველა ახალგაზრდა არმიაში, აფხაზეთშიც საკადრო ოფიცრების ნაკლებობაა, მაგრამ ახლა, როცა სოხუმს საჰაერო თავდაცვა, ავიაცია და საკუთარი ფლოტიც ჰყავს, სამხედრო საქმის სწავლებას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. გაიხსნა ორწლიანი ოფიცერთა სასწავლებელი, სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრა მუშაობს. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულნი, ლეიტენანტის წოდებით, ჯარში ერთი წელი მსახურობენ, ხოლო წვევამდელები — ორი წელი გადიან სამხედრო წვრთნას. მაგრამ აქაც კი, სადაც ყოველ წუთს ომია მოსალოდნელი, ჯარში სამსახურს ბევრი არიდებს თავს. ხაჯინბა გამოსავალს პროფესიული არმიის შექმნაში ხედავს.

აფხაზეთში საკონტრაქტო ხელშეკრულებებიც განსხვავებული აქვთ: სამსახურის პირველ წელს ჯარისკაცი ხელფასის ათ პროცენტს იღებს, დანარჩენი — ღია ანგარიშზე ერიცხება. სრული ხელფასის გაცემას მხოლოდ ორი წლის შემდეგ იწყებენ, მაგრამ თუ მეკონტრაქტე ამ ხნის მანძილზე ხელშეკრულებას დაარღვევს, დაგროვილი თანხა თავდაცვის სამინისტროს ანგარიშზე გადავა. რუსეთისგან განსხვავებით, სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, სურთ თუ არა ეს მათ, არმიაში მსახურობენ, რადგან „ფრონტისპირა“ აფხაზეთს სამხედრო კადრების გაფანტვის უფლება არა აქვს.

სხვათა შორის, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო კადრების პრობლემის გადაწყვეტას სოჭი-სოხუმის მატარებელზე ამყარებს. იმედოვნებს, რახან ბლოკადა გაირღვა, ოფიცრებს რუსეთის სასწავლო დაწესებულებებშიც მოვამზადებთო.

### პრეზიდენტის კივი

რას არ უწოდებენ აფხაზეთს — კურორტსამოთხეს, მანდარინების სამოთხეს, მაგრამ აშკარაა, რომ ამ სამოთხეს კაპიტალური რემონტი და მოდერნიზება სჭირდება, რისთვისაც არც ფული აქვთ და არც გამბედაობა.

რუსეთი რომ იტყოდეს, ამიერიდან აქ ერთი ტყვიაც არ გავარდებაო, გულმოცემულნი მაშინ კი აღადგენდნენ ყველაფერს. საკურორტო ბიზნესი და ტროპიკული მიწათმოქმედება არის ის ორი ბურჯი, რასაც შეიძლება დაეყრდნოს აფხაზეთის ეკონომიკა.



აფხაზეთის ღვინის ქარხანაში გვერდიგვერდ მუშაობენ ქართველი და აფხაზი ტექნოლოგები — ეთერ არახამია და ირინა სმირი

სხვათა შორის, აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბაც მიწათმოქმედების დიდი ტრფიალი ყოფილა — საკუთარ მამულში კივი მოუშენებია, რომელიც მანდარინზე უფრო ყინვაგამძლე აღმოჩნდა.

რასაკვირველია, წვრილფეხობამაც მიჰბაძა პრეზიდენტს.

რაც შეეხება სერიოზულ საწარმოებს, ჯერჯერობით, მხოლოდ ღვინის ქარხნის აღდგენა მოხერხდა, უკვე შეიძინეს ზვრები, ვაზიც ყურძენს მოისხამს, თუ... ისევ არ ატყდა ომი.

თუმცა აფხაზეთში არა მარტო მშვიდობას აფასებენ, არამედ მის დასაცავადაც ემზადებიან.

***იტოგი №7***

## უკანასკნელი მანდატი



საქართველო აფხაზეთში მდგარ რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ უკანასკნელად უგრძელებს მანდატს. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება საქართველომ მეგობარი ქვეყნების რჩევით მიიღო. 30 ივნისს, როგორც კი სამშვიდობოთა დისლოკაციის მორიგი ვადა ამოიწურება, მოსკოვმა სოხუმი უნდა დაიყოლიოს სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონის გაფართოებაზე, რათა ქართველმა ლტოლვილებმა მშობლიურ ადგილებში უსაფრთხოდ დაბრუნება შეძლონ.

რადგან რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა დაძაბულია, მათ შორის დიალოგი, ცხადია, რთული იქნება, ამიტომ საქართველო დასავლეთის მხარდაჭერას იბევებს. ჯორჯ ბუში უკვე დაჰპირდა შევარდნაძეს — როგორც კი ერაყს მოვუვლი, მაშინვე აფხაზეთსაც მივხედავ და სამართლიანობას აღვადგენო. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე აცხადებს: „რუსმა კოლეგებმა უნდა შეიგნონ, რომ აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირება მათთვისაც საშურია, რადგან ეს ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტას დააჩქარებს — კავკასიაში კონფლიქტები ერთმანეთშია გადახლართული“.

თბილისში კარგად იციან, რომ აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების წასვლას ომი მოჰყვება, ამიტომ ქართული მხარე ეცდება, დაარწმუნოს რუსეთი, რომ მათ სამხედრო კონტინგენტს უკრაინელი ჯარისკაცები შეურიონ. სწორედ ამ საკითხს განიხილავენ აპრილში ედუარდ შევარდნაძე და ლეონიდ კუჩმა კიევში. ამ საქმეში აზერბაიჯანი, რუმინეთი და ბულგარეთიც შეიძლება ჩავრთოთო, — ამბობს ჯაფარიძე.

თვითმარქვია რესპუბლიკის პრეზიდენტის მდივნის, რუსლან ხაშიგას აზრით, იდეალური იქნება, თუ სამშვიდობოებს პრობლემის სრულ გადაწყვეტამდე დატოვებენ, მაშინ საქართველო ხელს აიღებს ამ საკითხით სპეკულირებაზე.

***ვრემია ნოვოსტეი რუ***

## აფხაზეთს გუდაუთის ბაზაზე თვალი უჭირავს

რფ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ კოსოვანმა სამხედრო დარგში რუსულ-ქართული მოლაპარაკების მერვე რაუნდს ყველაზე რთული უწოდა. განსაკუთრებით კი გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, მიუხედავად იმისა, რომ გუდაუთაში ბაზა არ არსებობს, ქართული მხარე ჯიუტად ამტკიცებს, დე ფაქტო ბაზა არ არის, დე იურე კი არისო. რადგან ქართულ მხარეს არ შეუძლია ადგილზე პროცესის გაკონტროლება, ამიტომ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსკოვი და თბილისი ორ კომისიას შექმნის, რომელთაც სათავეში ჩაუდგებიან რფ-ის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრი ილია კლებანოვი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. ეს კომისიები უნდა ჩავიდნენ გუდაუთაში და დარწმუნდნენ, „არის თუ არა იქ სამხედრო ბაზები“.

ამის შემდეგ გადაწყდება ბაზის ინფრასტრუქტურისა და კოლექტიურ ძალთა ბედი. ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებზე რუსეთის პოზიცია არ შეცვლილა: სახელმწიფოს შესაძლებლობების გათვალისწინებით რუსეთი აცხადებს, ამ ორი ბაზის გაყვანას 11 წელი და 11 მლრდ 743 მლნ რუბლი დასჭირდებაო, ქართული მხარე კი თვლის, რომ ამ საქმეს 3-3,5 წელიც ეყოფა. კოსოვანის ცნობით, რუსეთი აპირებს საქართველოს გადასცეს თბილისში არსებული მძიმე ტექნიკის სარემონტო 142-ე ქარხანა.

სოხუმში კი აცხადებენ, რომ რუსეთის სამშვიდობოების გასვლის შემდეგ გუდაუთის ბაზას აფხაზეთის სამხედრო უწყებები დაეპატრონებიან და სულაც არ აინტერესებთ, რა მოილაპარაკეს ქართულ-რუსულმა დელეგაციებმა.

***ვესტი რუ***

## მიმინო — ნევის სანაპიროზე

პეტერბურგში რუსეთ-საქართველოს მეგობრობის მუსიკალური სალონი გაიხსნა სახელწოდებით „Ó ìèìèíî“. სტუმრებს თბილისური ანსამბლი „ლალე“ ატკბობდა, მაგიდებზე ქართული ღვინით სავსე სურები ყელყელაობდნენ. სალონის ჭერს ყურძნის მტევნები ამშვენებდა.



ალისა ფრეინდლიხი და ედუარდ ხილი

მუსიკალური სალონის დიასახლისი მარინა ოსინცევა სალონის შექმნის ამბავს ჰყვება: საქართველოში დავიბადე, 18 წლამდე იქ ვცხოვრობდი, მუსიკალური განათლებაც თბილისში მივიღე. რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელმა მტრულმა დამოკიდებულებამ ამ სალონის შექმნა მაფიქრებინა, იქნებ ორ სახელმწიფოს შორის ყინული მუსიკამ და ხელოვნებამ გაალღოსო.

სალონის გახსნაზე მიწვეულმა მსახიობმა ალისა ფრეინდლიხმა აღნიშნა: — ამგვარი სალონები ადრე პეტერბურგში არსებობდა და ტრადიციების აღდგენა დიდად სასიამოვნოა.

ბიძაჩემმა, მომღერალმა ირაკლი სულხანიშვილმა, ბავშვობიდან შემაყვარა საქართველო, მისი ხალხი და სიმღერები, ეს სიყვარული მთელი ცხოვრება მდევსო.

— ასეთი სალონები უსათუოდ შეუწყობს ხელს ინტელექტუალურ ურთიერთობას, აქაური ატმოსფერო კი საქართველოს — მზის, სიმღერების და მშვენიერი ღვინის ქვეყანას უფრო შეგვაყვარებს, — თქვა მომღერალმა ედუარდ ხილმა.

***ნეზავისიმაია №31***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***


## ქორწინება, რომელიც „ჯერ არ შემდგარა“

არსებობს პრობლემა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამავდროულად ფართოდაა გავრცელებული სუსტი სქესის წარმომადგენლებში. ამ პრობლემის სახელია – ვაგინიზმი.

ვაგინიზმი (ლათ. ვაგინა-საშო) - არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება შერწყმის შიშით და ხშირად უბრალოდ სასქესო ორგანოებზე შეხების შიშით. შიში იმდენად ძლიერია,რომ ავტომატურად იწვევს იმ კუნთების შეკუმშვას, რომლებიც საშოს შესასვლელშია განლაგებული. ეს მოვლენები ვითარდება, როგორც დამცავი რეფლექსი შერწყმისას, ან მის მოლოდინში. ამ პროცესის კონტროლირება ქალს არ შეუძლია, ეს კი სექსუალური სიახლოვის განხორციელებას შეუძლებელს ხდის. ვაგინიზმის გამოვლინებების ძალით გადალახვის მცდელობისას, მისი გამოვლინებები უფრო რთულ ფორმებს იძენს. მეუღლეებს შორის სექსუალური ურთიერთობები შესაძლებელია წლების განმავლობაში არ არსებობდეს.

ვაგინიზმის გამოვლინებას ძალიან მძიმედ განიცდის წყვილი, მაგრამ რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი ქორწინებები სტაბილურია. როგორც წესი წყვილი მიმართავს ალტერნატიული სექსის ფორმებს, რადგანაც სექსუალური დაკმაყოფილება დღის წესრიგში არ დგას.

ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდები შეუღლებულები არიან, მაგრამ ქორწინება „ფორმალურად ჯერ არ შემდგარა„ და ქალი ქალიშვილია (პირველადი ვაგინიზმი). მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ვაგინიზმი ვითარდება მტკივნეული ან დამატრამვირებელი პირველი აქტის შემდეგ. ფიზიკურად ქალი უკვე აღარ არის ქალიშვილი, მაგრამ სექსუალური თანაცხოვრება აღარ შეუძლია გადაულახავი შიშის და მცირე მენჯის სპაზმური მოვლენების გამო (მეორადი ვაგინიზმი.) ამასთან დაკავშირებით, საქალწულე აპკის ქირურგიული მეთოდით მოშორება, რასაც ხშირად მიმართავენ გოგონები, გაუმართლებელია. პრობლემას ფსიქოემოციური ხასიათი აქვს.

ხანდახან ვაგინიზმი შეიძლება ერთგვარი თავდაცვითი ფორმა იყოს არასასურველი პარტნიორის წინააღმდეგ. სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენი პროცენტი განქორწინებებისა „ხასიათების შეუთავსებლობის" გამო, არის სინამდვილეში ვაგინიზმით განპირობებული. თუ ქორწინება სექსუალური თანაცხოვრების გარეშე ხანგრძლივად გრძელდება, შეიძლება საქმე ეხებოდეს ვაგინიზმისა და პარტნიორის პოტენციის დაქვეითების კომბინაციას.

ვაგინიზმის მკურნალობამდე, უნდა გაირკვეს მართლა არის თუ არა ეს პრობლემა სახეზე. სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი", თითოეული პაციენტისათვის, გამოკვლევების საფუძველზე, შეირჩევა მკურნალობის საჭირო, ინდივიდუალური კურსი. თუ ადგილი აქვს შიშს სპაზმური მოვლენების გარეშე, მაშინ პრობლემა შეიძლება ერთი ან რამოდენიმე კონსულტაციის მეშვეობით გადაიჭრას. თუ სახეზეა ვაგინიზმი, უნდა გაირკვეს, გვევლინება თუ არა ამის მიზეზად საქალწულე აპკის ანომალიები. ანომალიის შემთხვევაში, მკურნალობა ტარდება ქირურგიული ჩარევის შემდეგ.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" ვაგინიზმის დიაგნოზი ისმება გასაუბრების და პაციენტის პირველადი სექსოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. აქ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული მეთოდები. მკურნალობა მიმართულია პათოლოგიური რეფლექსების შეწყვეტისკენ, რომლებიც იწვევენ სპაზმურ მოვლენებს და შიშს. მკურნალობის სწორი კურსი, როგორც წესი, ამართლებს და მეუღლეებს შესაძლებლობა ეძლევათ „ფაქტიურად განახორციელონ“ ქორწინება.

სამედიცინო ცენტრი

„ექიმი გილი"

ტელ 33-00-72 25-27-09

ძც ლწთღთმთთ ღც I„

8 პძმკჲთ ძწ7ჳთ69თფ9

R



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

***

დილით დედამ შუქი აანთო.

— დედიკო, ჩააქრე და საღამოსთვის შემინახე, რა? — სთხოვა **3 წლის ზვიადმა** დედას.

***

**ლუკას** დედა ასე ეფერება ხოლმე, — ჩემო თვალისჩინოო. ერთხელ დედამ ბიჭს ჰკითხა:

— შენ დედასი რა ხარო?

— ჩიტყვავილა! — მიუგო ბიჭმა.

***

**გვანცა ბარამიძე** ტელევიზორში უყურებს „ვის უნდა ოცი ათასის“ მსგავს გადაცემას ბაქოდან, რომელსაც ხმა არა აქვს. გოგონამ წამყვანი რომ ვერ იცნო, გაკვირვებულმა იკითხა:

— დე, ჩვენი დუტა სად არი?

***

**პატარა ნიკუშა გრძელიშვილმა** მაისური გაიხადა და იქვე, დაუდევრად მიაგდო. მერე მიბრუნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე ხომ მამიკო არა ვარ, და სკამზე კოხტად გადაფინა.

***

**3 წლის თათია ჭელიძე** ქუჩაში მიჰყვება დედას და წუწუნებს:

— დედიკო, პირში მცხელა, წყალი დამალევინე.

## ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნს!



გამოიცანი, რა ჰქვია პეპელას?

## I ანა, გამოიცანი

**1. ვინ ჩამოვიდა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად?**

ა) იაფეტი; ბ) აიეტი; გ) იაზონი; დ) იკაროსი.

**2. რომელი სიტყვა ნიშნავს იმავეს, რასაც მართლწერა?**

ა) ორთოგრაფია; ბ) პოლიგრაფია; გ) სტენოგრაფია; დ) კალიგრაფია.

**3. რომელი სიტყვა ნიშნავს მკვეთრად გამოხატულ სხვაობას, დაპირისპირებას?**

ა) კონტაქტი; ბ) კონტრასტი; გ) კონტრაქტი; დ) კონტექსტი.

**4. რომელია ზედმეტი?**

ა) გაკილავს; ბ) გაკიცხავს; გ) გაკვალავს; დ) დაძრახავს.

**5. რომელია ყველაზე მაღალი ჩანჩქერი?**

ა) ნიაგარა; ბ) ვიქტორია; გ) ანხელი; დ) იგუასუ.

**6. რა არ აქვს ადამიანს?**

ა) ნაღვლის ბუშტი; ბ) თირკმლები; გ) ფილტვები; დ) საჰაერო ბუშტი.

**7. რა ეწოდება გამოფენის გახსნის დღეს?**

ა) პრემიერა; ბ) ანონსი; გ) დებიუტი; დ) ვერნისაჟი.

## II



იპოვე ორი ერთნაირი აქლემი

## III რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „არის ცხოველი ქაცვია, ტანზე ეკალი აცვია“.

## IV






ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



გაიყვანე მაიმუნი მთვარის ლაბირინთიდან ისრის მიმართულებით

გამოიცანი, რომელი ნივთები დასჭირდება დათოს სპორტული შეჯიბრებებისთვის



## ჭიავოლდი

| მოხატულობა ეკლესიაში | საგანგებო დავალება | აკაკის ლექსი | „მაძღარს ... მაძღარი ეგონაო“ (ანდ.) | მშვიდობის ანტონიმი |
| --- | --- | --- | --- | --- |

| საყაიმო ანგარიში | მაგიდის პატარა „მეგობარი“ | ნოტი | „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ...“ | შემოდგომის ხილი | „რაც ..., ის ბერი“ (ანდ.) | წყალში მოზელილი ფქვილი |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ამბავი ძიძიგურების სტუმართმოყვარე ოჯახზე, მარი და ჩუტა ერისთავებისადმი მიძღვნილ ბალმონტის ლექსზე და ბულატ ოკუჯავას დაგვიანებულ სიმღერაზე



24 თებერვალი მედეა ძიძიგურის დაბადების დღეა, ქალბატონისა, რომლის უზადო გემოვნებაც გამოსჭვიოდა ყველაფერში — მისი ჩაცმის სტილში, საუბარში, რეპერტუარში, სიმღერის შესრულების მანერაში, მომაჯადოებელ ღიმილშიც... მისი საოცარი ტემბრი და ხმის განუმეორებელი ხავერდი მელოდიას განსაკუთრებულ ეშხს მატებდა. ქალბატონი მედეასათვის დამახასიათებელი იყო სიმღერის ტექსტის უჩვეულო განცდა, რაც აბსოლუტურად იმორჩილებდა მსმენელს, მის განწყობას. მომღერალს შეეძლო აუდიტორიის „აყვანა"... და კიდევ, რაც აოცებდა მსმენელს, ეს იყო ქალბატონი მედეას არტისტიზმი — უნიჭიერესი მომღერალი ასევე ნიჭიერი მსახიობი გახლდათ. მის მიერ შესრულებული თითოეული სიმღერა პატარა სანახაობა იყო — ზედმიწევნით ლამაზი და დახვეწილი...

რა ეპითეტები არ მიუძღვნია მომღერლისთვის მისი სიმღერით აღფრთოვანებულ მსმენელს, ვის არ მოუყრია მუხლი ესტრადის დედოფლის წინაშე... ქალბატონი მედეას შემოქმედებითი საღამოს შემდეგ აღტაცებულ ლეონიდ უტიოსოვს აღმოხდენია: „Стоит передо мной великолепная певица, певица необычайного обояния, певица необычайного настроения, певица такой чистой музыкальной интонации, которая очень редко слышится у певцов. Я очень взволнован и взволнован потому что, мне возвращены разные периоды моей жизни..." ხოლო აღფრთოვანებულ ივან კოზლოვსკის უთქვამს: „Вы знайте, товарищи, что значит праздник? Это, когда отсувтствует равнодушие! Ну, кто бы мог подумать, что Утесов придет на этот концерт?! Медея! Не слушая Вас, много потеряет тот, кто думает, что он все знает, все слушал и все осознал; Спасибо Вам, за то, что Вы так проникновенно поете, что вы улыбайтесь; Спасибо Вам, что Вы есть и так прекрасны!" ამ სიტყვების შემდეგ, თაყვანისცემის ნიშნად, ხელში აუტაცებია ქალბატონი მედეა...

ძიძიგურების სახლი ყოველთვის გახლდათ რჩეული საზოგადო მოღვაწეების უსაყვარლესი თავშეყრის ადგილი, რომელსაც ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების სალონს ადარებდნენ ნაცნობ-მეგობრები. აქ გატარებული ყოველი დღე ძალზე ლამაზი, ორიგინალური და მრავლის დამტევი იყო. ამ სახლში ყოველი ნივთი, ყოველი კუთხე-კუნჭული რაიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან, საოცარ მოგონებებთანაა დაკავშირებული... ამ სახლში მოსვლა სტუმარს დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეეძლო, მას ყოველთვის ღიმილით ეგებებოდნენ არაჩვეულებრივი ქალბატონი — ირინე ჟღენტი და მისი მეუღლე — თბილისის სული და გული — ბატონი აკაკი ძიძიგური...

თუმცა ყველაფერი გაცილებით ადრე, მათი საოცარი წინაპრებიდან დაიწყო...

— მე, ფაქტობრივად, ბებიაჩემის დედამ — ელენემ, ანუ ჩუტამ (როგორც ყველა მიმართავდა) ერისთავმა და მისმა დამ — მარიამმა გამზარდეს, — იხსენებს ქალბატონი მედეას ვაჟი ბიძინა ბარათაშვილი. მათი მამა კონსტანტინე (კოწია) ერისთავი, თავადაზნაურობის მარშალი, ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და იმ დროის ქართული ლიტერატურულ-მუსიკალური სალონების კოლორიტული ფიგურა გახლდათ. კოწია ალექსანდრე წუწუნავას გადაუღია ფილმში „ჯანყი გურიაში". „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი" — ეს ლექსი მის კალამს ეკუთვნის. მეუღლე — ვერა პირველი ქმრისთვის მოუტაცია. ასეთი ქმედება იმ დროისთვის მთლად მიღებული არ უნდა ყოფილიყო. ფაქტია, ყველაფერი „ჰეპი ენდით" დასრულდა, რადგან მათ სამი შვილი შეეძინათ — მარიამი, გიორგი და ელენე. ერისთავების ეს შტო — ისინი შერვაშიძეები იყვნენ — მოდის საქართველოს მეფის გიორგი X-ისგან. მოგეხსენებათ, გიორგი X-ს უამრავი შვილი ჰყავდა. რადგან მისი ქალიშვილის შთამომავლები ვართ, ჩემს წინაპრებს სამეფო ტახტზე პრეტენზია არ ჰქონიათ.

**— როგორც ვიცი, ჩუტა ერისთავი მსახიობი იყო...**

— დიახ, მუნჯი კინოს მსახიობი გახლდათ, რამდენიმე ფილმშია გადაღებული, მაგრამ მე რომ დავიბადე, იმ დღესვე, თურმე, ყველაფერს თავი დაანება და განაცხადა — ჩემი შვილიშვილის შვილს მე გავზრდიო. ჩემს გაზრდაში მასზე არანაკლები ამაგი აქვთ მარიამსა და გიორგისაც. გიორგი ცნობილი თეოსოფი გახლდათ (შტაინერიზმით იყო გატაცებული), რისთვისაც ორჯერ გადაასახლეს და, მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს, როგორ გადაურჩა დახვრეტას. მისი მოსწავლეები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ძალიან საინტერესო კაცი იყო. უაღრესად განათლებული, კარგი მხატვარი, მუშაობდა დიმიტრი შევარდნაძესთან ერთად. ხელოვნების მუზეუმში ინახება მის მიერ შესრულებული უამრავი ფრესკის ასლი. მარი (მარიამი) ყველაზე საინტერესო პერსონაჟი იყო და-ძმებს შორის. ის არ გათხოვილა, გახლდათ გრიგოლ რობაქიძის მუზა. მწერალმა გერმანიაში წასვლის წინ ცოლობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ჩვენთვის გრიგოლ რობაქიძე გენიალური მწერალია, მისთვის — ერთ-ერთი ჩვეულებრივი თაყვანისმცემელი იყო. შენახული ჰქონია მისი წერილები, რომლებიც იმ ავად სახსენებელ დროს განადგურდა. ერთხელ ასეთი ეპიზოდი მიამბო — გრიგოლ რობაქიძე მათთან მისულა სტუმრად (დიდი სახლი ჰქონდათ ლენინგრადის ქუჩაზე), მარის ერთ-ერთ ოთახში შეუხედავს — მარტო მჯდარა მწერალი, გარშემო ანთებული სანთლები შემოეწყო და სარკის წინ პოზებს არჩევდა, შემდეგ გამოსულა და სტუმრებს შორის დამჯდარა. მარი საკმაოდ პირდაპირი იყო, არ დაუხანებია და ყველას თანდასწრებით უთქვამს — ეს ის პოზაა, გვერდზე ოთახში ნარეპეტიციებიო?.. შემდეგ დიდი სიმპათიით იხსენებდა თაყვანისმცემელს, მაგრამ მის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს და აღფრთოვანებას არ ამჟღავნებდა. საჩხერეში, კოწია ერისთავის სახლში ხშირად სტუმრობდა თურმე აკაკი წერეთელი. მისთვის ოთახი ჰქონიათ გამოყოფილი და მას აკაკის ოთახს ეძახდნენ. მარი ხშირად იხსენებდა ნიკოლოზ მეორის სტუმრობას თბილისში. სწორედ მას მიურთმევია მეფისთვის ყვავილები... ბალმონტმა თურმე ლექსი მიუძღვნა მარის, ჩუტას და მათ მეგობარ ლიდას:

„Было нас в кафе четыре,
Как сиротки в скучном мире.
Вдруг вошли как три зари –
Лида, Чута и Мари.
Имя Лидии воспето
В древнеримском сне поэта,
Имя Чуты – целый лес
Шелестящий Чу-Чудес.
Но всего звучней морские
Всплески в имени Марии,
И желанна ты очам,
Цвет мой алый Мариам."

მარი 95 წლის გარდაიცვალა, მიზეზი კი ის იყო, რომ დაეცა და მენჯის ძვალი მოიტეხა. ბოლო დღემდე ეწეოდა, თითქმის ყოველდღე ეკითხებოდა დედას — მედეა, გვაქვს შამპანურიო? გამოაღებდა მაცივარს, დაისხამდა ფუჟერში და ნელ-ნელა წრუპავდა. მთელი ცხოვრება



იური ლუჟკოვთან ერთად

გეოლოგიის სამმართველოში მუშაობდა და ჩემი დაბადების შემდეგ წამოვიდა იქიდან. დებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ხშირად კინკლაობდნენ კიდეც. დავის ბოლოსთვის ჩუტას ყოველთვის შემონახული ჰქონდა ერთი არგუმენტი — შენ შინაბერა დარჩი, მე კი შვილიც მყავს, შვილიშვილიც, იმის შვილიც და შვილიშვილიცო (მართლაც ხუთი თაობა ვცხოვრობდით ერთად. ჩუტა ჩემს შვილზე ამბობდა, ისე შორეული მომავალია, რომ მგონია, ჩემი არაფერი არ არისო). — ეს ძალიან სულელური თეორიაა, — პასუხობდა მარი, — შენი შვილი და შვილიშვილი ჩემიც არის, რადგან ნახევრად მე გავზარდე, სამაგიეროდ, შენ ახლა ქვრივი ხარ და შავები გაცვია, მე კი — არა... მართლაც, ღია ფერები ჭარბობდა მის ჩაცმულობაში.

**— ვინ იყო ჩუტას მეუღლე?**

— ისიც საინტერესო პიროვნება გახლდათ — გრიგოლ ჟღენტი — მეფის ოფიცერი, რომელმაც ქუთაისში შეურაცხმყოფელს ხმლით მოჰკვეთა მკლავი, ისკუპა ფანჯრიდან და გაიქცა თავის დენშჩიკ თავად ბადრიძესთან ერთად. ამ დროს რევოლუციამ მოუსწრო, შემოვიდა მე-11 არმია და ამის გამო გადარჩა, თორემ აუცილებლად დახვრეტდნენ. სულ იბრალებდა, რომ მე-11 არმიის წევრი იყო. მისი მეგობარი გახლდათ ქალაქის კომენდანტი, იმან წაიყვანა თავის მოადგილედ. იშოვა რაღაც საბუთები და გარკვეული პრივილეგიებიც მიიღო. თვითონ ძალიან განსწავლული და ნიჭიერი იურისტი და ადვოკატი იყო, მაგრამ ფიცხი, რის გამოც სამჯერ გამოაგდეს ადვოკატთა კოლეგიიდან — ხან პროკურორს სცემდა, ხან მოსამართლეს. განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. საოცრად მოსწრებული ენა ჰქონდა... ერთხელ თურმე იცავდა ვიღაც მკვლელს, რომელსაც მხოლოდ ავადმყოფობის დამტკიცება თუ იხსნიდა. გრიგოლს წარმოუდგენია საბუთები, რომ დამნაშავეს ჰქონდა ჭლექი, ასთმა, ინფარქტი, წყლული... მოსამართლე შეუჩერებლად ეკითხებოდა: კიდევ? კიდევ? ბოლოს მობეზრებია გრიგოლს და უპასუხია — კიდევ კუბო მაქვს მოტანილი, გარეთ დევს, არ შემომატანინეს დარბაზშიო... ყველა ხარხარებდა თურმე...

**— და მერე ამ კოლორიტულ ადამიანებს შემოემატათ საოცარი აკაკი ძიძიგური...**

— აკაკი ძიძიგურმა დააარსა ქართული ტელევიზია — ორჯერ ხელმძღვანელობდა მას და ორჯერ ხელმძღვანელობდა კინოსტუდიას. არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მე დღეს ვარ ტელევიზიის (ახალშექმნილი „იმედი-TV"-ს) დირექტორი და ვზივარ კინოსტუდიის ტერიტორიაზე. ბაბუა, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი, საოცარი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული. ყველაფერი, რაც მე ვიცი და გამიკეთებია, პირველ რიგში, ბაბუაჩემის დამსახურებაა, რადგან მშობლები ჩემთვის მეგობრები იყვნენ, მათ ფუნქციას კი რეალურად ბებია და ბაბუა ასრულებდნენ...

**— ვიცი, რომ ბატონი აკაკი ესწრებოდა საუკუნის პროცესს — ილია ჭავჭავაძის მკვლელის — ბერბიჭაშვილის სასამართლოს...**

— ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ბაბუაჩემი ესწრებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც ხდებოდა მე-20 საუკუნის მანძილზე საქართველოში. საოცრად ინტერესიანი ადამიანი იყო. სულ რაღაცას ეძებდა და პოულობდა... სტუდენტობის წლებში თავის რეპეტიციებზე ასწრებდა კოტე მარჯანიშვილი, ბაბუა მეგობრობდა უშანგი ჩხეიძესთან. მისი ხმა დღემდე რომაა შემორჩენილი, ბაბუაჩემის დამსახურებაა, ბორჯომში აკითხა და ჩაწერა. დღემდე შემონახული გვაქვს მისი წერილი: „ძმაო, კაკო! უშენოდ, ალბათ, იმასაც არ გავაკეთებდი, რაც დღემდე ჩავწერე... მე დარწმუნებული ვარ, შენ რომ არა — მე აქამდე ჩამოვცილდებოდი რადიოკომიტეტს".. ბაბუამ იპოვა აკაკი წერეთლის ხმის, ვანო სარაჯიშვილის სიმღერების ჩანაწერები, დააარსა რადიოს ოქროს ფონდი, აღმოაჩინა და საზოგადოებას პირველმა წარუდგინა დები იშხნელები, ხოლო მოგვიანებით ლილი გეგელია, მეგობრობდა ევგენი მიქელაძესთან, მონაწილეობდა 37 წლის დეკადაში და ნამღერი აქვს სტალინთან ერთად, ერთდროულად სწავლობდა ოთხ სპეციალობას სრულიად განსხვავებულ უმაღლეს სასწავლებლებში — კონსერვატორიასა და უნივერსიტეტში — ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ და მათემატიკურ ფაკულტეტებზე. მამამისი ვარლამ ძიძიგური — მეორე „დედაენის" ავტორი იყო და დიდი ხნის მანძილზე სკოლებში ამ „დედაენით" ისწავლებოდა ქართული ენა — ცნობილი პედაგოგი გახლდათ. ბაბუაჩემის სამეგობრო ჩემთვის იყო აკადემია — მეგობრობდა ჩემი სიმამრის, დედაჩემის, ჩემს მეგობრებთანაც. ხშირად, როცა სახლში არ ვიყავი, ჩემი ბიჭები მასთან მოდიოდნენ. ისხდნენ, საუბრობდნენ, ქეიფობდნენ... ჩვენს სახლს ხშირად სტუმრობდნენ ირაკლი აბაშიძე, მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი...

**— ცნობილი ადამიანი იყო თქვენი მეორე ბაბუაც...**

— ბიძინა ბარათაშვილი, რომლის სახელსაც ახლა მე ვატარებ, ცნობილი ადვოკატი გახლდათ. სამი წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ეს არასდროს მიგრძნია. ერთხელ, მახსოვს, მოხდა ისე, რომ ჩვენი და მამაჩემის მეორე ოჯახი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ქალაქში აღმოვჩნდით დასასვენებლად. ყველას უკვირდა — ჩემი ძმა არჩილი ხშირად დედას დაჰყავდა ხან სად, ხან სად, მე კი — მამაჩემის მეორე მეუღლეს — რუსთაველის თეატრის მსახიობს — ლიკა ჭავჭავაძეს... მამას ხშირად სტუმრები იქ კი არ მიუყვანია, სადაც ცხოვრობდა, არამედ — ჩვენთან. ჩვენც არაჩვეულებრივად მიგვიღია... შეიძლება, ასეთი დამოკიდებულება ცოტათი გადამეტებულიცაა, მაგრამ მთავარი, ალბათ, ისაა, რომ მე ნორმალურ და კეთილგანწყობილ გარემოში ვიზრდებოდი... მახსოვს ერთხელ, პოლიტიკური აქტივობის, ეროვნული გამოცოცხლების პერიოდში ერთ-ერთ მიტინგზე აღმოვჩნდი ნაცნობთან ერთად — ეს ბიჭი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს და ჩემს ოჯახსაც იცნობს. სიტუაცია გარშემო საკმაოდ დაძაბული იყო, სახლისკენ წასვლას ვაპირებდი, როცა ჩემი ძმა — აჩიკო დავინახე. — ვინ არისო? — მკითხა ნაცნობმა. — ჩემი ძმა-მეთქი... გაგიჟდა. — ძმა თუ გყავდა, რატომ არასდროს მინახავსო... ძლივს ავუხსენი, რომ მამა გვყავდა ერთი, დედა — სხვადასხვა. აჩიკოს გვერდით ედგა დათო მაცხონაშვილი, თავისი ნახევარძმა — დედის მხრიდან... ეს ვინღააო, მკითხა თანმხლებმა — ეს ჩემი ძმის ძმაა-მეთქი, ვუთხარი ფიქრებში წასულმა და როცა მის სახეს შევხედე, უცებ ჩავწვდი სიტუაციის კომიზმს. დათოს გვერდით ბიჭი იდგა... დათომ გამაცნო — ეს ჩემი ძმა შალვაა — მამის მხრიდანო... მოკლედ, ერთად ვიდექით ოთხი ძმა, ყოველი მესამე ერთმანეთისთვის, ფაქტობრივად, არაფერი ვიყავით... ის ჩემი ნაცნობი ბიჭი ისე დაიბნა, რომ ჩქარი ნაბიჯით გაგვშორდა. ეს კეთილგანწყობილი სიტუაცია ცხოვრებაში ბევრ რამეში დამეხმარა და ამისთვის ჩემი ოჯახის თითოეული წევრის მადლობელი ვარ. ჩვენს სახლს არასდროს მოჰკლებია სტუმარი, ქეიფი, ლამაზი სუფრა და სიმღერა. არ შედგა ჩემი მშობლების თანაცხოვრება, მაგრამ დედის გარდაცვალება მამისთვის ძალიან მძიმე დარტყმა იყო. დედა არასდროს არაფერს მაძალებდა, მეგობრობდა ჩემს ბიჭებთან, ისინი მას მედის ეძახდნენ. მეგობრობდა ჩემს მეუღლესთან — ნანასთან და ჩვენს შვილთან — ელენესთან, — ტრადიცია გრძელდებოდა... სამწუხაროდ, როცა ბედნიერები ვართ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილები, სიტუაციას სრულად ვერ ვაფასებთ... სიმაღლეს და სილამაზეს მაშინ შევიგრძნობთ ბოლომდე, როცა ვკარგავთ. დედა მეხსიერებაში ენერგიული და ღიმილიანი ჩამრჩა და ამიტომ ღმერთის მადლობელი ვარ... თითქოს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი გასულ წელს — 6 ნოემბერს, მედეას გარდაცვალების დღეს, როცა მე ამ ტელევიზიის დირექტორად დამნიშნეს — თითქოს ამასაც მედეას დამსახურებას მივაწერ, მაგრამ ალბათ ეს უფრო მისტიკის სფეროს განეკუთვნება და ცალკე საუბრის თემაა...



ჩუტა ერისთავი

წარსულის ლამაზი დღეებიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბიძინას მიერ წლების წინ ნაამბობი...

ერთხელ ქალბატონი მედეასთვის უთხოვიათ, მასპინძლობა გაეწია მოსკოვიდან ჩამოსული პოეტებისთვის. სტუმართმოყვარე ძიძიგურები ჩვეული სითბოთი და გულუხვობით დახვედრიან სტუმრებს. ერთ-ერთ მათგანს მოუბოდიშებია და დაგვიანების უფლება უთხოვია. ლხინი კარგა ხნის შესული ყოფილა ეშხში, კარზე ზარი რომ გაისმა თურმე. კარი რომ გაუღო, დაგვიანებულ სტუმარს მედეასთვის უკითხავს — „А у вас дома имеется гитара?". ქალბატონი მედეას დასტურის შემდეგ დაგვიანებულს უთქვამს: „Тогда я не войду, так как попросят спеть!" მასპინძელს გაღიმებია და უთქვამს: „Вас никто не будет просить, петь буду я!" შემოსწრებული სუფრასთან მიუწვევიათ. მედეას და ბატონ აკაკის იმ ღამეს განსაკუთრებით „აუწყვეტიათ". ერთმანეთს ცვლიდა ლამაზი სიმღერა, სადღეგრძელო, ლექსი, გახსენება... ქართული ლხინის ეშხი ბოლომდე შეუგრძნიათ მოსკოველ სტუმრებს, ბედნიერებისგან გაბადრულები ისხდნენ თურმე მაგიდასთან... ამასობაში ღამე გალეულა და ფანჯრებში ალიონის სუსტ ნათელს შემოუხედავს. სტუმრებს დროის ათვლა დაუკარგავთ... შემოსწრებული კი თანდათან იმუხტებოდა თურმე... ბოლოს ველარ მოუთმენია, თავი ველარ დაუმორჩილებია, მასპინძლისთვის მუდარით აღსავსე მზერა მიუპყრია და წამოუძახია: „Медея, наконец-то дайте-же гитару!"

დაგვიანებული სტუმარი რუსეთის სახელმოხვეჭილი ბარდი ბულატ ოკუჯავა გახლდათ თურმე...

*ეკა მახარაშვილი*

CMYK

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N20 24.02.2003

# „სად ჩვენ, სად კონსტიტუცია?!“



ქეთი ელბაქიძე

**კობა ნარჩემაშვილის უწყება საგამოცდო ციებ-ცხელებამ მოიცვა. მოსამართლეების, პროკურორების და საგადასახადო სამსახურის თანამშრომელთა შემდეგ, როგორც იქნა, პოლიციელების ჯერიც დადგა. მინისტრმა სპეციალური ბრძანება გამოსცა და გამოცდის დაწყება აპრილისთვის გადაწყვიტა.**

**პოლიციელები ლამის შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ჩასაბარებელი საკითხების წრემ მათი აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე მეტად ძალოვნები ჩასაბარებელ საგანთა ნუსხაში „საქართველოს კონსტიტუციის“ და „ადმინისტრაციული კოდექსის“ არსებობამ გაამწარა, თუმცა, ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერავინ ბედავს. პოლიციელთა ერთი ნაწილი აშკარად „გაკვირვებულია“ და პროტესტს ვერ მალავს, „სად ჩვენ და სად კონსტიტუცია, საქმეებზე ვირბინოთ თუ წიგნები ვიკითხოთ?!“. წასაკითხი კი პოლიციელებს საკმაოდ ბევრი აქვთ.**

**გამოცდების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ შარშან, სამართალდამცავების რეფორმების კომისიაზე დაიწყო, მეტიც, კომისიამ მაშინ რეფორმის პროექტი მოამზადა, სადაც პოლიციაში გამოცდების ჩატარებაზეც იყო საუბარი.**

### მეტყველების გაკვეთილები პოლიციაში

ნარჩემაშვილის ბრძანების თანახმად, პოლიციაში გამოცდები ზეპირი ფორმით ჩატარდება. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე და გამოცდების ორგანიზატორი შოთა ასათიანი აცხადებს, რომ ზეპირი გამოცდები პოლიციელებს გადმოცემის უნარ-ჩვევების დახვეწაში დაეხმარება(?).

ასე რომ, პოლიციაში წინასაგამოცდო სემინარებზე თეატრალური ინსტიტუტიდან მეტყველების კულტურის სპეციალისტიც რომ მოიწვიონ, არ უნდა გაგვიკვირდეს.

გამოცდებამდე პოლიციაში სპეციალური სემინარები ჩატარდება, სადაც უნივერსიტეტის პროფესორები პოლიციელებს ლექციებს წაუკითხავენ, გამოცდა ყველა რანგის და წოდების პოლიციელმა უნდა ჩააბაროს, თუ რა თქმა უნდა, ყველა რანგში მინისტრსა და მის მოადგილეებს არ ვიგულისხმებთ, რომლებიც გამოცდებისაგან თავისუფლდებიან. სამეცნიერო ხარისხი პოლიციელს გამოცდისგან არ ათავისუფლებს.

რაც შეეხება ჩასაბარებელი საგნების ნუსხას, საქართველოს კონსტიტუციისა და პოლიციის შესახებ კანონის ცოდნა ყველა პოლიციელისთვის აუცილებელია, ხოლო დანარჩენ საგნებს სხვადასხვა განყოფილების პოლიციელები განსხვავებულად ჩააბარებენ. მაგალითად, საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლები გაძლიერებულად ჩააბარებენ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ხოლო კადრების სამმართველოს თანამშრომლების გამოცდაზე აქცენტი უფრო ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე გაკეთდება, ხოლო იმ პოლიციელებს, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობით არიან დაკავებული, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის დაზეპირება მოუწევთ. პოლიციელთა მრავალრიცხოვნობის გათვალისწინებით, გამოცდა რამდენჯერმე ჩატარდება, საკითხების შედგენას არავინ აპირებს.

დასასრული მე-18 გვერდზე

# ორი კომენტარი ერთ განაჩენზე

**2002 წლის დეკემბერში, საქართველოს სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს. სარჩელი, რომელიც ძირითადად ადამიანთა თვითნებური დაკავებისაგან დაცვას და დაცვის უფლებას შეეხებოდა, საკონსტიტუციომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.**

**თუ რა მოთხოვნები დააკმაყოფილა სასამართლომ და რა არა, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებას, ამის თაობაზე ჩვენ კომენტარი სახალხო დამცველს ნანა დევდარიანსა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის წევრს, გიგა ბოკერიას ვთხოვეთ:**

## ნანა დევდარიანი: „მოვითხოვეთ მაქსიმუმი“



საკონსტიტუციო სარჩელის დაწერამდე ორი წლით ადრე მე რეკომენდაციებით მივმართე საქართველოს პარლამენტს, მაგრამ იმის გამო, რომ პრობლემა არ მოგვარდა, საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანე სარჩელი. ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის არაკონსტიტუციურობას ეხებოდა. ჩვენი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადი დარღვევები წინასწარი დაკავებისას პირველი 12 საათისას ხდება, ანუ მაშინ ვიდრე პირს ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭება. თუ პირველი 12 საათი ადამიანი არ არის ეჭვმიტანილი, მაშინ ვინ არის იგი, რა სტატუსით სარგებლობს? თურმე ის პოლიციაში სტუმრად მყოფი ადამიანია, მაგრამ სტუმრობა ხომ ნებაყოფლობითია?! კონსტიტუცია კი ამბობს, რომ პირს დაკავებისთანავე აქვს ადვოკატით სარგებლობის უფლება. პრაქტიკაში კი ხდებოდა სიტყვებით თამაში, რომ პიროვნება მანამ არ ჩაითვლებოდა დაკავებულად, ვიდრე მისი ეჭვმიტანილად ცნობა არ მოხდებოდა და შესაბამისად, მას არც ადვოკატი ეკუთვნოდა. საბედნიეროდ, სასამართლომ გაიზიარა ჩვენი არგუმენტები და პირს უკვე დაკავებისთანავე შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით. კონსტიტუცია კი თავისთავად ყველა კანონზე მაღლა დგას, მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზეც.

დასასრული მე-18 გვერდზე

## გიგა ბოკერია: „მრავალჯერ დადასტურებული სისუსტე...“



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრაქტიკა და კანონმდებლობა ძალიან შორს არის ერთმანეთისგან, რბილად რომ ვთქვათ, დღევანდელ კანონმდებლობაში არსებული ლაფსუსები ძალიან „კარგ“ საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, ბოროტად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ძალაუფლება. ყველაზე აშკარა შემთხვევა, რაზედაც უკვე დიდი ხანია მიდის მსჯელობა, პირის დაკავებიდან პირველ 12 საათს უკავშირდება: პირველი 12 საათი, სანამ ეჭვმიტანილის სტატუსს მოგვანიჭებს შესაბამისი ორგანო, საპროცესო კოდექსი პრაქტიკულად გვართმევს კონსტიტუციით გარანტირებულ ისეთ უფლებებს, როგორიცაა დამცველის ყოლის, ექსპერტიზის, ექიმის შემოწმების, ახლობლებთან კონტაქტის უფლება. მანამდე ეს უფლებები საპროცესო კოდექსით მხოლოდ ეჭვმიტანილს ჰქონდა. ამ, ძალიან აშკარა შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ საბედნიეროდ დააკმაყოფილა სარჩელი და თქვა, რომ ზემოაღნიშნული უფლებები პირს დაკავებისთანავე გააჩნია. ამიტომაც, ეს მუხლი, რომელიც მხოლოდ ეჭვმიტანილზე ვრცელდებოდა, ახლა უკვე შეეხება ყველას დაკავებისთანავე.

დასასრული მე-18 გვერდზე

სამართალი საზღვრებს გარეშე

აკაკი მინაშვილი

## „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ

1980 წლის დეკემბერში აბორტის ლეგალიზაციის მოწინააღმდეგე ექიმთა ასოციაციამ შტადლ-პაურაში დემონსტრაციის მოწყობა გადაწყვიტა. კანონმდებლობის მიხედვით, მათ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოსგან ნებართვა მიიღეს. მსვლელობის წინასწარ წარმოდგენილი მარშრუტის დასაცავად ხელისუფლებამ პოლიციის ნაწილები გამოყო.

დემონსტრაციის ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ მოხდებოდა შეტაკება აბორტის მომხრეებსა და დემონსტრანტებს შორის და ამავე დროს არ სურდათ, ხელი შეეშალათ მახლობელ ეკლესიაში მიმდინარე წირვისათვის. ამის გამო მათ წინასწარ დადგენილი მარშრუტის შეცვლა გადაწყვიტეს. ხელისუფლების ორგანოებმა გააფრთხილეს ორგანიზატორები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, თუმცა დემონსტრაციის ჩატარებაზე ნებართვა ხელმეორედაც გასცეს. საბოლოო ჯამში დემონსტრაციის მოწინააღმდეგეებმა მსვლელობას კვერცხები და ხის ნაჭრები დაუშინეს. პოლიცია ჩაერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკური ძალადობის საფრთხე შეიქმნა. შედეგად დემონსტრაცია ჩაიშალა.

ასოციაციის წარმომადგენლებმა საჩივარი შეიტანეს პოლიციის თანამდებობის პირების წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ დაირღვა მათი შეკრების თავისუფლება. თუმცა, საჩივარს ამ პირთა მიმართ დისციპლინარული დევნის დაწყება არ მოჰყოლია. საკონსტიტუციო სასამართლომ კი საერთოდ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში.

ექიმთა ასოციაციამ მეორე დემონსტრაცია 1982 წლის მაისში ზალცბურგში ჩაატარა, რომელიც იმავე მიზეზით ჩაიშალა. ამ შემთხვევაში პოლიცია მხოლოდ ბოლო მომენტში ჩაერია დაპირისპირებაში.

**ევროსასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით ერთხმად დაადგინა, რომ დემონსტრაციამ შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს იმათ, ვინც დემონსტრაციაზე გამოხატულ აზრებს ან იდეებს ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, მონაწილეებს მოწინააღმდეგეთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის გამოყენების შიში არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ამ ფაქტორის გამო, გაერთიანებებმა ან საერთო ინტერესების მქონე სხვა ჯგუფებმა შესაძლოა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკამათო საკითხებზე ღიად და საჯაროდ საკუთარი აზრების გამოხატვისაგან თავი შეიკავონ.**

**შეკრების თავისუფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სახელმწიფოს აკისრია არა მარტო ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს ევროპის კონვენციის მე-11 მუხლით აღიარებული უფლების განხორციელებაში, არამედ პოზიტიურიც – დაიცვას და ხელი შეუწყოს ამ უფლების განხორციელებას, თუმცა, ამ მხრივ სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია, აირჩიოს საშუალებები.**

# იურიდიული ბიბლიოთეკა – განათლების თანამედროვე სტანდარტები

მაკა ფხაკაძე

„საქართველოს განათლებული იურისტები სჭირდება, კარგი განათლება კი ბიბლიოთეკის გარეშე წარმოუდგენელია", – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ ეს სიტყვები 17 თებერვალს იურიდიული ბიბლიოთეკის პრეზენტაციაზე უამრავი სტუმრის თანდასწრებით წარმოთქვა. მართლაც, უზენაესი სასამართლოს მარჯვენა ფლიგელში ელჩებმა, დონორმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო და იუსტიციის მინისტრებმა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ თანამედროვე სტანდარტების სპეციალიზებული ბიბლიოთეკა იხილეს. იურიდიული ბიბლიოთეკის შექმნის იდეა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გაჩნდა და ამერიკის განვითარების სააგენტოს, ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა და ფონდ „ირისის" ხელშეწყობით შეიქმნა. ბიბლიოთეკა 1200-1500 წიგნზეა გათვალისწინებული, დღესდღეობით კი იქ რამდენიმე ენაზე შექმნილ ორი ათასამდე სხვადასხვა იურიდიულ გამოცემას იხილავთ. თქვენს განკარგულებაში იქნება ინტერნეტი და საოფისე პროგრამები. ბიბლიოთეკა რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. მოსამართლეებს სხვა მკითხველებისგან განცალკევებული დარბაზი მოემსახურება. იურისპრუდენციის თითოეულ სფეროს ცალკე ადგილი აქვს მიკუთვნებული. ასევე უცხოური და ქართული წიგნები სხვადასხვა რიგშია მოთავსებული. იურიდიული ლიტერატურის გარდა პრესა-პერიოდიკის გაცნობის შესაძლებლობაც გექნებათ. საცავში კი ძველი გამოცემების მოძებნა შეგეძლებათ. სპეციალიზაციის გარდა ამ ბიბლიოთეკას კიდევ ერთი თავისებურება აქვს: იქ ბიბლიოთეკარი არ დაგხვდებათ და წიგნებთან მისვლა და შერჩევა უშუალოდ მოგიწევთ. თუმცა, თქვენს განკარგულებაში იქნება თანამშრომელი, რომელიც სასურველი გამოცემის მოძებნაში თქვენი სურვილისამებრ დაგეხმარებათ. ბიბლიოთეკით სარგებლობა ნებისმიერ, იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებულ მსურველს შეუძლია. სასიამოვნო გარემო, თანამედროვე ინტერიერი მშვიდი მუშაობის ატმოსფეროს ნამდვილად შეგიქმნით. გერმანიიდან და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან გამოგზავნილი წიგნების გარდა, ბიბლიოთეკას საკუთარი ნამუშევრები ქართველმა ავტორებმაც გადასცეს. უამრავი წიგნი ჯერაც გზაშია და საბაჟო შემოწმებას ელოდება.





**არც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მისულა პრეზენტაციაზე ხელცარიელი: ჯონი ხეცურიანმა ბიბლიოთეკას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამი ტომი გადასცა.**

**ბიბლიოთეკა ახალ-ახალი გამოცემებით დროთა განმავლობაში შეივსება, იურიდიული განათლების მსურველებს კი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა დღეს არსებული საწიგნო ფონდითაც უკვე თავისუფლად შეუძლიათ.**

# „სად ჩვენ, სად კონსტიტუცია?!"

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

უბრალოდ პოლიციელებს მთელი ლიტერატურის მთლიანად გადაკითხვა მოუწევთ, ხოლო კონკრეტულად თუ ვის რა საკითხი შეხვდება, ეს ღმერთის გარდა, ალბათ, კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა უწყიან. რიგითი პოლიციელების გამოცდას მათი უშუალო უფროსიც დაესწრება, მისი მოვალეობა ქვეშევრდომის შესახებ საგამოცდო კომისიისთვის ყველანაირი ინფორმაციის მიწოდება იქნება, დაწყებული პოლიციელის პირადი თვისებებიდან, მისი ოჯახური მდგომარეობით და საქმიანი რეპუტაციით დამთავრებული.

ასეთი „პროფილაქტიკა" ალბათ მოსალოდნელი ცუდი შედეგებიდან თავის დასაღწევად სჭირდებათ. ვინ იცის, იქნებ პოლიციელი, რომელსაც გამოცდა ჩაწყობილი აქვს, „უადგილო დროს" ჩაიჭრას და სწორედ ამ დროს წაეშველება მას უშუალო უფროსის რეკომენდაცია.

გამოცდის შეფასება ბალების და ნიშნების მიხედვით არ მოხდება, პოლიციელი ან ჩააბარებს გამოცდას, ან ვერა.

პოლიციელს შეუძლია საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება „ბოლო ინსტანციაში", ამ შემთხვევაში მინისტრთან გააპროტესტოს, ამის იქით პრეტენზიები აღარ მიიღება. ისე კი გაპროტესტებას, ალბათ, აზრი არც აქვს, რადგან გამოცდა ზეპირია და უბრალოდ გაუგებარია, პოლიციელმა როგორ უნდა დაამტკიცოს, რა და როგორ უპასუხა კომისიას.

გამოცდები საჯარო და ღია არ იქნება, თუმცა შესაძლოა, გამოცდას უნივერსიტეტის იურიდიული კათედრიდან მეცნიერებიც დაესწრონ.

ასე რომ, პოლიციელებს მძიმე გაზაფხული ელით.

ისე, ჯობდა მინისტრს გაერკვია და უწყებაში რეფორმების დაწყებაზე მართლა ეფიქრა, თორემ გამოცდებს თუ მხოლოდ იმისთვის ატარებენ, პოლიციელებს „გადმოცემის უნარ-ჩვევები აუმაღლონ", საზოგადოების კეთილგანწყობას ამით ნამდვილად ვერ დაიმსახურებენ.

რაც შეეხება იუსტიციის საბჭოს, ამ ორგანოს გამოცდებთან არაფერი აკავშირებს, შს მინისტრის განცხადებით, პოლიცია აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და იუსტიციის საბჭო მათ საქმიანობას არ აკონტროლებს.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, მინისტრი უწყებაში გამოცდებს ერთპიროვნულად ჩაატარებს. შედეგების მიხედვით კი დასკვნების გამოტანის იმედიც მაინცდამაინც ნუ გვექნება. ამის მაგალითი პროკურატურის გამოცდებია. პროკურორების 80-მა პროცენტმა გამოცდებზე უმაღლესი შეფასება მიიღო, თუმცა, რეალურად ეს ციფრი უწყებაში არსებულ სიტუაციას ნამდვილად არ ასახავს.

# ნანა დევდარიანი: „მოვითხოვეთ მაქსიმუმი"

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

ამ ყველაფერს დასჭირდა უზარმაზარი ძალისხმევა. სულ ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი შესწორებები შეიტანა პარლამენტში, უბრალოდ ჩვენ დავასწარით და გაცილებით ადრე მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს. პარადოქსია, მაგრამ მინისტრი აღნიშნული 12 საათისა და 72 საათის არათუ შემცირებას, არამედ 240 საათამდე გაზრდას მოითხოვდა! ამჟამად მიმდინარეობს დიდი წუწუნი იმის თაობაზე, რომ პოლიციას ამ ცვლილების გამო ხელი შეეშლება, დანაშაულს ვერ გახსნიან და ა.შ. ოპერატიული მუშაობა ჩვენთან ხშირად არასწორად არის გაგებული. ანუ როდესაც ჯერ კაცს იჭერ და მერე იწყებ მტკიცებულებების შეგროვებას, – ამას უკვე ოპერატიულობა აღარ ჰქვია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაუქმდა ის მუხლი, რომლის თანახმადაც, პოლიციას შეეძლო დაეკავებინა პირი, რომელსაც არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (რაც აღარავის აქვს ჩაწერის გაუქმების შემდეგ). კონსტიტუცია კი პირდაპირ ამბობს, რომ ადამიანს აქვს შეუფერხებელი გადაადგილების უფლება, ანუ ადამიანი მიბმული უნდა ყოფილიყო ერთ ადგილას. ამის საფუძველზე კი დღეს 300 ათასი დევნილი შეიძლება ეგრევე გამოკეტო კამერებში, რადგან მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უბრალოდ არ გააჩნიათ. საბედნიეროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მოთხოვნაც გაიზიარა.

ადვოკატთან ურთიერთობა აქამდე მხოლოდ ერთი საათით იყო შემოფარგლული. ცხრათვიან ვადაზე კამათისას, ხშირად ისმოდა არგუმენტები, რომ ძალიან რთული, მრავალეპიზოდიანი საქმისას, რომელზეც უამრავი მასალაა დაგროვილი, 9 თვე საკმარისი არ არის. იქნებ ასეთივე რთულ საქმეშია მხილებული ეჭვმიტანილი და ერთ საათში როგორ უნდა მოესწრო მას ადვოკატთან ყველაფერზე საუბარი. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ვადის გაზრდის მოთხოვნაც გაიზიარა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებები დღევანდელ ვითარებაში მართლაც პრინციპული და რევოლუციური ხასიათის იყო.

რაც შეეხება წინასწარი პატიმრობის 9-თვიან ვადას, ეს მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. 9 თვე აბსოლუტურად საკმარისი დროა ნებისმიერი საქმის გამოძიებისათვის. ჩვენთან დამკვიდრდა მახინჯი პრაქტიკა, რომ ამ ვადას მთლიანად გამოძიება ითვისებს, მაშინაც კი, როცა საქმე ერთი ძროხის ქურდობას შეეხება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გაცილებით ადრე სხვა კოლეგიაშიც შევიტანეთ სარჩელი. აქ საუბარია იმაზე, რომ ამ 9 თვეში მართლმსაჯულება უნდა დასრულდეს, ანუ დადგეს განაჩენი. ასეთი ფართო გაგებით საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, იმიტომ, რომ სასამართლო პროცესი შესაძლოა დროში გაჭიანურდეს და ასე მალე განაჩენი ვერ დადგეს. მაგრამ, სხვა კოლეგიაში ჩვენ უფრო ვიწროდ გვაქვს სარჩელი შეტანილი, სადაც არის კოდექსიდან იმ დამატების ამოღების მოთხოვნა, რომლის თანახმად, ამ 9-თვიან ვადაში საქმეთა გაცნობის ვადა არ იგულისხმება. საქმეთა გაცნობის ვადაც აქ უნდა შევიდეს და 9 თვის თავზე ის სასამართლოში უნდა წარიმართოს. მერე პროცესი შეიძლება, რომ თვეების განმავლობაში გრძელდებოდეს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საქმეთა გაცნობის ვადა აქედან უნდა გამოირიცხოს და ესეც ხელს შეუშლის მათ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმ კოლეგიაში, პროცესს მოვიგებთ. ჩვენ მოვითხოვეთ მაქსიმუმი, დაგვიკმაყოფილეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტები, საბოლოო ჯამში, ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილები ვართ.

# გიგა ბოკერია: „მრავალჯერ დადასტურებული სისუსტე..."

დასასრული დასაწყისი მე-17 გვერდზე

დაკმაყოფილდა კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც დამცველთან ურთიერთობას შეეხებოდა. როგორც ცნობილია, აქამდე დამცველს დაკავებულთან შეხვედრის უფლება დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა. სარჩელის ეს ნაწილი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მუხლი ანტიკონსტიტუციურად ცნეს და ეს ვადა 2 საათამდე გაზარდეს.

იმ ყბადაღებული მუხლებიდან, რომლებიც აქამდე მართლაც დიდ პრობლემას ქმნიდა და სამწუხაროდ, ხვალაც შექმნის, არ დაკმაყოფილდა სარჩელი 9-თვიან ვადასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ კონსტიტუცია ძალიან მკაცრად განსაზღვრავს წინასწარი პატიმრობის ვადას და ამბობს, რომ იგი მხოლოდ 9 თვე უნდა გრძელდებოდეს. მაგრამ ჩვენმა კანონმდებლობამ შემოიტანა რაღაც ახალი ცნებები, – სასამართლო პატიმრობა და ა.შ. ანუ, რეალურად 9 თვე დადგენილია იმისთვის, რომ ამ დროის განმავლობაში ბრალდებამ დაასრულოს მასალების მომზადება. სასამართლო პროცესი კი შეიძლება რაღაც პერიოდის შემდეგ დაიწყოს და ადამიანს 9 თვის ნაცვლად, სადღაც ორ წლამდე პატიმრობაში ყოფნა მოუწიოს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მეტისმეტად უცნაური იყო ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ეს საერთოდ არ იყო უფლებრივი საკითხი და ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებდა. ამ დროს კი მინდა ყველას შევახსენო, რომ ეს ერთ-ერთი მართლაცდა ყველაზე მტკივნეული საკითხია, რადგან ჩვენთან აღმკვეთი ღონისძიება, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტად გამოიყენება. საერთოდ, ადამიანს ჯერ აკავებენ, მტკიცებულებებს კი შემდეგ ეძებენ; ამ დროს სასამართლო პროცესიც იწელება და გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში, გამოდის, რომ ეს პიროვნება ძალიან დიდი ხანი სულ ტყუილად იჯდა ციხეში. სწორედ ამიტომ ჩაიწერა კონსტიტუციაში გარკვევით, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, რათა შესაძლო ტრავმა ადამიანისთვის შერბილებული იყოს. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც ჩანს, წმინდა პოლიტიკური და პრაქტიკული მოსაზრებით, რომ ეს ძალიან დიდ პრობლემას შეუქმნიდა ჩვენს სამართლებრივ სისტემას (თუკი მას შეიძლება სისტემა ეწოდოს), თავი შეიკავა ამ მუხლის დაკმაყოფილებისგან. საქმე ის არის, რომ მართალია ძალზედ მნიშვნელოვანია 12-საათიანი ვადის საკითხი, მაგრამ მონიტორინგის თვალსაზრისით საკმაოდ რთული იქნება ამ ვადის დარღვევის დაფიქსირება, მაშინ როცა 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში, ვადის დარღვევის დაფიქსირება პრობლემას არ წარმოადგენს: პრაქტიკულად, თუ 9 თვე გავიდა, დაკავებული უნდა გაუშვა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა იმუშაო სწრაფ რეჟიმში, უნდა შეკრიბო მტკიცებულებები და ერთი სიტყვით, იზრუნო იმაზე, რომ სასამართლო პროცესისთვის მზად იყო. ამიტომაც, ყველაზე დიდ დარტყმას (ამ სიტყვის კარგი გაგებით) სისტემას სწორედ 9-თვიან ვადასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილება მიაყენებდა. სამწუხაროდ, ასეთი გაუგებარი რომ არა, სამარცხვინო პოზიცია დაიჭირა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით.

არ ვიცი, ვის ან რას გაუფრთხილდა სასამართლო, მაგრამ ძალიან უცნაური აღმოჩნდა საკონსტიტუციოს პოზიცია გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებითაც. მოგეხსენებათ, დღევანდელი საპროცესო კოდექსი არ იძლევა საგამოძიებო ორგანოების სხვადასხვა გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას. დღეს მხოლოდ გარკვეული ტიპის გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება გვაქვს. მოსარჩელეები კი აბსოლუტურად საფუძვლიანად დაობდნენ იმაზე, რომ კონსტიტუციამ სასამართლოში მიმართვის უფლება თითქმის აბსოლუტურად აქცია. ანუ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მივმართოთ სასამართლოს და მას მივანდოთ, განსაჯოს, იყო თუ არა სარჩელი საფუძვლიანი, მიიღოს თუ არა იგი საერთოდ განსახილველად და ა.შ. მაგრამ, დღეს კანონმდებლობა აპრიორი გვიზღუდავს ამ უფლებას. სასამართლომ მოთხოვნის ეს ნაწილიც არ დააკმაყოფილა.

არსებითია ისიც, რომ ადამიანს უფლება აქვს, არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება სასამართლოში, ანუ პირი არ უნდა იყოს ვალდებული, რომ მის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა, თუ ის მას არ აწყობს, წარუდგინოს სასამართლოს. სამწუხაროდ, სარჩელის არც ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

სარჩელში საუბარი იყო ასევე ადამიანის უფლებაზე, საჭიროების შემთხვევაში გამოცვალოს ადვოკატი, თუ იგი არ გამოცხადდა სასამართლოზე, უქმნის მას პრობლემებს და გაუჩნდა სურვილი, რომ აიყვანოს ახალი ადვოკატი. ამ დროს თვითონ მოსამართლე გვინიშნავს ადვოკატს და ჩვენ არ გვაქვს უფლება, გვქონდეს კიდევ ერთი შანსი, შევარჩიოთ ის, ვინც ჩვენ გვინდა. სასამართლომ ადვოკატის გამოცვლის მოთხოვნაც არ დააკმაყოფილა, თუმცა იქვე მიიღო პოზიტიური გადაწყვეტილება: იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, დაავალდებულა სასამართლო, გადადოს პროცესი, რათა შანსი მისცეს განსასჯელს, რომ მისმა არჩეულმა ადვოკატმა წარმოადგინოს გაცდენის საპატიო მიზეზი.

ერთი სიტყვით, ყველაზე პრინციპულ საკითხებში საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ მრავალჯერ დადასტურებული სისუსტე გამოიჩინა და იმ მოსაზრებებით, რომ პრობლემებს შეუქმნიდა შესაბამის ორგანოებს, თავი შეიკავა სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისგან. მიუხედავად ამისა, მოსარჩლეების მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენნაირ საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი გაუჭირდა ძალზე აშკარა არგუმენტებზე თვალის დახუჭვა და ბოლომდე სამარცხვინო გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროა მხოლოდ, რომ 9-თვიან ვადასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ხელიდან გაუშვა შანსი, რომ ჩვენი სამოქალაქო უფლებების სადარაჯოზე ბოლომდე დამდგარიყო, რაც მათი მოწოდება და მოვალეობაა.

**ესაუბრა გვანცა ლიპარტელიანი**

**სასამართლო დარბაზებში**

სოფო ბუკია

## უკაბელო მაუწყებლობა რამდენიმე წუთით

ნაჯახით, წერაქვით, დანის პირითა და რეზინის ხელთათმანებით შეიარაღებული ორი მეგობარი – სულხანიშვილი და ზუბიაშვილი მთაწმინდის ფერდობზე რუსულ ეკლესიასთან ავიდნენ და იმ ადგილას გაჩერდნენ, სადაც მიწის ზემოთ სატელევიზიო კაბელი მოჩანდა.

ფერადი ლითონებით გამდიდრების მოსურნე ძმაკაცებმა მუშაობა დაიწყეს, ერთსაათიანი წვალების შემდეგ 25-მეტრიანი სატელევიზიო გადამცემი კაბელი მიწიდან ამოიღეს. გრძელი კაბელის ერთბაშად წამოღება რომ ვერ შეძლეს, მის ნაწილებად დაჭრას შეუდგნენ. ამ დროს მათ თავზე პოლიციელებიც წაადგნენ.

ონავარი მეგობრების „უწყინარმა" ბიზნესმა პირველი არხის მაუწყებლობის რამდენიმე წუთით შეწყვეტა გამოიწვია. დაქუცმაცებულმა კაბელმა კი მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა „ქვემო ქართლის ელექტროკავშირს".

სულხანიშვილი და ზუბიაშვილი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ გაასამართლა. როგორც მეგობრებმა სასამართლოზე განაცხადეს, მათ კაბელი ძველი ეგონათ, თორემ არც კი გაეკარებოდნენ. არასრულწლოვან სულხანიშვილს სამასლარიანი ჯარიმა დააკისრეს და ყოფაქცევაზე მკაცრი კონტროლი დაუწესეს. მის მოზრდილ მეგობარს კი ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რაც პირობით შეუცვალეს.

## ჰეროინის „სამალავი"

კოტე ო-შვილმა 0,85 გრამი ჰეროინი, რისთვისაც ის განსასჯელის სკამზე მოხვდა, მარნეულში, ვინმე მურაზასგან შეიძინა. ერთ დღეს კოტე ო-შვილი სახლში იმყოფებოდა და არცთუ ისე კარგ გუნებაზე იყო. ჯიბეში 234 ლარი ეგულებოდა და გადაწყვიტა ამ თანხით მცირე ზეიმი მოეწყო, რისთვისაც ახლობელ ტაქსის მძღოლს ნუკრის დაუკავშირდა და მარნეულში გაყვანაზე მოურიგდა. ხელთ არსებული ბიუჯეტიც ასე გაანაწილა: 34 ლარი ნუკრის მისცა, 200 ლარად კი მურაზასგან ჰეროინი შეიძინა. საზეიმო განწყობა მას ორთაჭალის ავტოსადგურზე ცნობისმოყვარე პოლიციელებმა გაუფუჭეს. დაკავებისას პოლიციელებმა ჰკითხეს, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ხომ არ გიდევს ჯიბეში? სამართალდამცავთა კითხვამ ბატონი კოტე ისე დააბნია, რომ ჯიბიდან არა და საკმაოდ უხერხული ადგილიდან 0.85 გრამი ჰეროინი საკუთარი ხელით ამოიღო და პოლიციელებს გადასცა.

სასამართლოზე ო-შვილმა აღიარა, რომ ადრე ჰქონდა გაგებული მითი მარნეულზე და ყოვლისშემძლე მურაზაზე. ჰეროინის სამალავის დასახელებისგან ო-შვილმა თავი შეიკავა: „სხეულის ისეთ ნაწილში დავმალე, რომ ახლა თქმაც კი მეუხერხულება," – გამოუტყდა იგი მოსამართლე ვაჟა ფუსაშვილს. ექსპერტიზის დასკვნით, ო-შვილი არ აღმოჩნდა ნარკომანიით დაავადებული, მას ადრე ნასამართლობაც არ აღმოაჩნდა. ამ მიზეზთა გამო წელიწადნახევრიანი სასჯელი საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, პირობით შეეცვალა.

## 400 დოლარი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად

აკოფიანების ოჯახში სტუმრად მყოფმა ალექსანდრე ღვანიამ შეიტყო, რომ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ანა აკოფიანს ახლობელი გერმანიიდან 400 დოლარის გამოგზავნას შეჰპირდა. რადგან ანას საბანკო ანგარიში გახსნილი არ ჰქონდა, ღვანიამ თანხის მის პირად ანგარიშზე გამოგზავნა შესთავაზა. მართალია, დაპირებული 400 დოლარი ღვანიას ანგარიშზე გერმანული პუნქტუალობით გადმორიცხეს, მაგრამ როგორც ანა აკოფიანის დედამ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შემდგომ საჩივარში მიუთითა, ბატონმა ალექსანდრემ მათ თანხას გამოძება არ აღირსა, მოტივით, ფული ჯერ არ ჩარიცხულაო. ამასობაში ანა აკოფიანის გერმანიაში გამგზავრების დროც მოვიდა, დედამ ფული ისესხა და შვილი ისე გაისტუმრა.

აკოფიანებმა მალე გაარკვიეს, რომ ბანკში ფული დიდი ხნის გადმორიცხულიც იყო და გატანილიც. აკოფიანებმა დახმარებისთვის სასამართლოს მიმართეს. მიიღო თუ არა სასამართლო უწყება, ღვანიამ აკოფიანებს კუთვნილი თანხა დაუბრუნა. მიუხედავად ამისა, ერთხელ უკვე ნასამართლევ ღვანიას მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ორი წლით და სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ღვანიამ სააპელაციო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართა. საოლქოში მოიწონეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სასჯელი იგივე დაუტოვეს. მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება მან უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც განაცხადა, რომ თანხა ტუბერკულიოზის სამკურნალოდ დასჭირდა, აკოფიანების მოტყუების განზრახვა კი სულაც არ ჰქონია. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ღვანიას ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეკონომიური გაჭირვება, თანხის დაბრუნების ფაქტი და მას ბრალდება მოუხსნა.

**სისხლის სამართლის ქრონიკა**

მეგი ცანავა

## კარტის თამაში მკვლელობით დასრულდა

ახლახან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ 27 წლის დავით ჯიბლაძის საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს გადაუგზავნა. პროკურორის დასკვნის თანახმად, დავით ჯიბლაძე ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილ მკვლელობაშია დამნაშავე. ბრალდების მხარის ასეთი პოზიცია უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა. პალატის განჩინებით, საქმის მასალებში ბევრი ჩვენება, განსაკუთრებით კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, წინააღმდეგობაშია ჯიბლაძის აფექტურ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტთან და შესაძლოა, აქ საქმე განზრახ მკვლელობასთან გვქონდეს.

ამ მოტივით პალატამ წინა განაჩენი, რომლის მიხედვითაც ჯიბლაძეს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, გააუქმა. დაზარალებული მხარე სწორედ ამ მოთხოვნით წარდგა უზენაესი სასამართლოს წინაშე. პალატის განჩინება კი, დაზარალებულის აზრით, სრულიად სამართლიანი და ობიექტურია.

აღნიშნული დანაშაული 1999 წლის 14 ოქტომბერს, თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მოხდა. ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარე ბაღში, პატარა მაგიდასთან ოთხი ახალგაზრდა – ძმები ირაკლი და დავით ჯიბლაძეები, გია აბაზაძე და ვახტანგ ერისთავი კარტს თამაშობდნენ. იქვე, შადრევანთან ახლოს უცნობი მუშები მუშაობდნენ, რომლებსაც დავით ჯიბლაძის მეზობელი და ბავშვობის მეგობარი ირაკლი ვადაჭკორია მიუახლოვდა და კამათი დაუწყო. დავით ჯიბლაძემ მეგობარს შენიშვნა მისცა და უთხრა, მუშებისთვის თავი დაენებებინა და გინება შეეწყვიტა. ვადაჭკორია გაბრაზდა, მიუახლოვდა ჯიბლაძეს და ახლა მას დაუწყო ჩხუბი. ვადაჭკორიას არც თავად ჯიბლაძე ჩამორჩა, ისინი ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. სწორედ ამ დროს ჯიბლაძემ ირაკლი ვადაჭკორიას გულმკერდის არეში დანა ჩაარტყა და ის სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ჯიბლაძე ოთხი თვის მანძილზე იმალებოდა, შემდეგ კი პოლიციაში თავად გამოცხადდა და დასძინა, რომ დანაშაული განზრახ არ ჩაუდენია. მან საერთოდ უარყო ის, რომ შემთხვევის დღეს დანა თან ჰქონდა. ჩხუბისას მიწაზე დაგდებული რკინის ნაჭერი ავიღე და ის მოვიქნიეო – თქვა და ისიც აღნიშნა, რომ ვიდრე ვადაჭკორიას დაჭრიდა, მანამ ამ უკანასკნელმა მას თავში ბოთლი ჩაარტყა. მოგვიანებით, ჯიბლაძემ ეს ჩვენება უარყო და დასძინა, რომ საერთოდ არ ახსოვდა, თუ როგორ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ რა მოუქნია ვადაჭკორიას. თუმცა, მისივე თქმით, აწ გარდაცვლილმა მას თავზე ბოთლი რომ გადაამსხვრია, ეს კარგად დაამახსოვრდა.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილას მყოფ მოწმეთაგან არც ერთი არ აღნიშნავს ჩვენებაში ბოთლის დარტყმის ფაქტს, ანუ იმ მომენტს, რასაც ჯიბლაძის სულიერი აღელვება უნდა გამოეწვია. ხოლო ის, რომ ვადაჭკორია დანითაა დაჭრილი და არა რაღაც რკინის ნაჭრით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება. ექსპერტთა თქმით, ჭრილობა ცალმხრივი კარგად ალესილი, ბასრი საგნითაა მიყენებული. დაფიქსირდა გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობა, გაკვეთილია გული და ფილტვი. სხეულის მიმართ საგნის მიმართულება იყო როგორც გარედან შიგნით, ასევე შიგნიდან გარეთ.

დანის არსებობის ფაქტზე მიუთითებს თავად ბრალდებულის ძმაც – ირაკლი ჯიბლაძეც. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, რომელიც მოგვიანებით მან უარყო, ის აღნიშნავს, რომ დავით ჯიბლაძემ ირაკლი ვადაჭკორიას მკერდის არეში დანით მიაყენა ჭრილობა.

საქმეში არსებული წინააღმდეგობები უახლოეს მომავალში საოლქო სასამართლომ უნდა განიხილოს. როგორც გაირკვა, ჯიბლაძე ადრე ორჯერაა ნასამართლევი: პირველად – ქურდობისათვის (საცხოვრებელ ბინაში შეღწევით), ხოლო მეორედ – ავტოავარიისათვის.

**არ არის გამორიცხული, რომ სასამართლო ხელისუფლებაში მოხდეს ცვლილება, რომელიც თავად მოსამართლეთა კორპუსისთვისაც სიურპრიზი იქნება. გაჩნდა მოსაზრება, რომ მათი უფლებამოსილების ათწლიანი ვადა განუსაზღვრელი ვადით, ანუ სამუდამო უფლებამოსილებით შეიცვალოს. სხვათა შორის, მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის სიცოცხლის ბოლომდე ან თუნდაც საპენსიო ასაკის მიღწევამდე განსაზღვრას სასამართლო რეფორმის საწყის ეტაპზე ევროპის საბჭოს რეკომენდაციათა პაკეტიც ითვალისწინებდა, თუმცა, მაშინ ამ რეკომენდაციის გაზიარება არ მოხდა. შეგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ათი წლის ვადით, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, პრეზიდენტი ნიშნავს; ხოლო უზენაესი სასამართლოს წევრებს, პრეზიდენტის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტი ათი წლის ვადით ირჩევს.**

# ათიდან – სამუდამომდე

ლელა მაისურაძე

სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში, მოსამართლეები სხვადასხვა ვადით ინიშნებიან. ბევრ სახელმწიფოში მათ მუდმივად, სიცოცხლის ბოლომდე ანდა, საპენსიო ასაკის მიღწევამდე ნიშნავენ. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეები ჯერ გამოსაცდელი ვადით, 3-5 წლით ინიშნებიან, შემდეგ კი – მუდმივად.

ამ თემის აქტუალიზება რომ უახლოეს მომავალში მოხდება, იქიდანაც ჩანს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ თავის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვრცლად ისაუბრა ასეთი მოდელის დადებით მხარეებზე.

დანიშნავენ თუ არა ქართველ მოსამართლეებს მუდმივად საპენსიო ასაკამდე, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა, მანამდე კი გთავაზობთ მოსაზრებებსა და არგუმენტებს, რა დადებითი და უარყოფითი ასპექტები აქვს ასეთ პრაქტიკას. თავად ამ იდეის ავტორის, ლადო ჭანტურიას თვალსაზრისი ასეთია: მოსამართლეს არც ერთი ხელისუფლების არ უნდა ეშინოდეს.

ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს. არა მარტო ქართული კანონმდებლობით, არამედ, მსოფლიო პრაქტიკითაც მოსამართლე დამოუკიდებელი, ხელშეუხებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. მაგრამ რამდენად გაამყარებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას მათი მუდმივი ვადით დანიშვნა? მესამე ხელისუფლების დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები კანონმდებლობაში ისედაც არის ჩადებული. თავისთავად, 10 წელი საკმარისი დროა იმისთვის, რომ მოსამართლეს უფლებამოსილების განხორციელებისას რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ სხვა სახელისუფლებო შტოების ზემოქმედებისა არ ეშინოდეს. თუმცა, ბოლო წლების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა მოსამართლეებს პოლიტიკოსთა ზეგავლენითაც მიუღიათ გადაწყვეტილებები. ამის მიზეზი მხოლოდ ათწლიანი ვადით დანიშვნაში არ უნდა ვეძებოთ. რიგი ექსპერტების აზრით, მუდმივად დანიშვნის შემთხვევაში, მოსამართლეებზე პოლიტიკური ზეგავლენა შემცირდება, თუმცა გამოითქმის საპირისპირო მოსაზრებაც, რომ სიცოცხლის ბოლომდე, ან თუნდაც საპენსიო ასაკამდე დანიშვნის შემთხვევაში, მოსამართლეებმა შესაძლოა, უფრო მეტად იგრძნონ თავი ქუდში და გადაწყვეტილების მიღებისას გაცილებით დიდი ანგარიში გაუწიონ პოლიტიკოსთა მხრიდან ლობირებას.

კიდევ ერთი მომენტი: თუ დღეს მოქმედ მოსამართლეებს სამუდამო ვადით დანიშნავენ, გამოდის, რომ ახალი კადრების მესამე ხელისუფლებაში მოსვლა ათწლეულობით შეფერხდება. ახალმა თაობამ კარგა ხანს უნდა უცადოს, ვიდრე რომელიმე მოსამართლე პენსიაში არ გავა, თავად არ გადადგება, ანდა მას დისციპლინური წესით არ გაათავისუფლებენ. ამ ოთხი წლის განმავლობაში თანამდებობა მხოლოდ 10-11-მა მოსამართლემ დატოვა. თუ ასეთი სტატისტიკა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება, გამოდის, რომ ახალ კანდიდატურებს მოსამართლის მანტიის მორგების ძალიან მცირე შანსი ექნებათ.

არგუმენტები არგუმენტებად, მაგრამ როგორ შეხვდნენ ამ ახალ იდეას ის ადამიანები, რომლებსაც მოსამართლეებთან მუდმივი ურთიერთობა უხდებათ?



ჩვენ ვესაუბრეთ **ადვოკატ ლევან ალაფიშვილს**. მისი ამ საკითხისადმი დამოკიდებულება არცთუ ოპტიმისტურია:

– განუსაზღვრელი ვადით მოსამართლის დანიშვნა ჩვენს პირობებში არ არის ის გამოსავალი, რასაც შეიძლება ეს ქმედება მიზნად ისახავდეს. მხედველობაში მაქვს კანონდარღვევები, ზეწოლის ფაქტები და სხვა. მუდმივი ვადით დანიშნული მოსამართლე, თუ მას დღეს არსებულ პირობებში მოუწევს მუშაობა, ნიშნავს იმას, რომ იგი ხელშეუხებლობის მეტ გარანტიას მიიღებს და აპელირებისადმი ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე შევა გარიგებაში მხარესთან, შეასრულებს ვიღაცის დაკვეთას და ა.შ. ასე რომ, მხოლოდ ეს ღონისძიება არ არის გამოსავალი. არის კიდევ სხვა რაღაც საჭირო. საუბარია როგორც მატერიალურ-ტექნიკურ პირობებზე, ასევე ზრუნვაზე, რომ ამაღლდეს მოსამართლეთა პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნა, რადგან, ბევრ მოსამართლეს, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყველაფერი უცოდინარობით მოსდის. ბევრმა იცის, მაგრამ შეგნებულად აკეთებს რაღაცას. ასე რომ, თავისთავად იდეა მოსამართლის მუდმივი დანიშვნისა, ანუ ასეთი დონის დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა სწორია ნორმალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენ ჯერ ვერ ვუწოდებთ თავს დემოკრატიულ საზოგადოებას, რადგან გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით. გათვლის გარეშე ასეთი მოდელის დამკვიდრებამ შესაძლოა სახიფათო ტენდენცია დაამკვიდროს სამოსამართლეო პრაქტიკაში.

**– ვთქვათ, ამ იდეის განსახორციელებლად ჯერ არ ვართ მზად, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა, კიდევ რა აკლია დღევანდელ სასამართლოს, რომ იგი თავის სიმაღლეზე იდგეს?**

– იდეალური სასამართლო სისტემა – ეს არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ანუ უხეშად თუ ვიტყვით, სიტუაცია, როცა ხელი არავის არსაით არ გაურბის; ასევე საშუალება, მოსამართლემ მიიღოს ინფორმაცია, ცოდნა, აგრეთვე გარანტია ზეწოლისგან. ეს არის სამი აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მოსამართლეს სჭირდება, სამივე ერთად და არა ცალ-ცალკე.

**– ანუ ეს იდეა კარგია, მაგრამ არა დღესდღეობით?**

– მე ვფიქრობ, აქეთკენ უნდა წავიდეთ, მაგრამ, პირველ რიგში, სხვა ნაბიჯებია გადასადგმელი, თუნდაც ხელფასი და სამუშაო პირობები, ყოველდღიური ზრუნვა მოსამართლეებზე. 10 წელი მნიშვნელოვანი გარანტიაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსამართლის გათავისუფლება და დისციპლინური ზომების გატარება ჩვენი კანონმდებლობით მარტივად არ ხდება. ასე რომ, გარანტიები მოსამართლეს დღესაც აქვს.



მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას სამართლებრივი განათლების ასოციაცია **ALPE-ს დირექტორი გიგი უგულავა:**

– უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობას მე პირადად ისეთ პრინციპულ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი, როგორც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინარული დევნის საკითხებს. მოსამართლე მის მიერ მიღებულ ყოველ გადაწყვეტილებაზე უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას და ეს პასუხისმგებლობა ძალზე კონკრეტულ შედეგებს უნდა გულისხმობდეს. თუ მოსამართლეს არ აქვს იმის შეგრძნება, რომ იგი თუნდაც ერთი სამსახურებრივი გადაცდომისათვის დაისჯება, მაშინ რა განსხვავებაა, ის ამ პრინციპით ათ წელიწადს იმუშავებს, თუ საპენსიო ასაკამდე. ორივე შემთხვევაში, ეს საზოგადოებრივი და სახელმწიფო კატასტროფაა. ვფიქრობ, კარდინალურად უნდა შეიცვალოს მოსამართლეთა დისციპლინარული დევნის არსებული პრაქტიკა. მხოლოდ ამ ღონისძიებათა თანხვედრით იქნება შესაძლებელი მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის შეცვლაზე საუბარი.

# ანეკდოტები ამერიკის სასამართლო პრაქტიკაზე

ანდრო გიგაური

მასწავლებელი, მენაგვე და ადვოკატი სამოთხისაკენ მიიჩქარიან. სამოთხის კართან წმინდა პეტრე დგას, რომელიც მათ მანამ არ გაატარებს კარებში, ვიდრე ტესტს არ გაივლიან.
წმინდა პეტრე ეკითხება მასწავლებელს:
– აბა, თუ მეტყვით, რომელი გემი შეეჯახა აისბერგს და ჩაიძირა?
მასწავლებელი ერთი წუთი დაფიქრდება და უპასუხებს:
– ალბათ, ტიტანიკი.
წმინდა პეტრე:
–კარგია, კარგი, შეგიძლიათ შებრძანდეთ!!!
წმინდა პეტრეს არ სურს მენაგვის შეშვება სამოთხეში და ეკითხება მას:
–აბა, თუ მეტყვით, რამდენი ადამიანი იყო იმ გემზე?
მენაგვე:
– (შემთხვევით მიხვდა პასუხს ! ! !) 1228.
ჰმმ, ამბობს წმინდა პეტრე და მენაგვეს სამოთხეში უშვებს.
ახლა მას ყველაზე რთული შეკითხვის მოფიქრება სურს, რადგან ადვოკატის სამოთხეში შეშვებას არ აპირებს.
ფიქრობს, ფიქრობს და გაბრწყინებული სახით ადვოკატს ეკითხება:
–აბა, ახლა თქვენ ჩამომითვალეთ იმ მგზავრების სახელები.

---

იცით, ადვოკატსა და ხახვს შორის რაშია განსხვავება?
ხახვს რომ ჭრი, ტირილი გინდება.

---

მარტივი რეალობა:
სასამართლო არის ადგილი, სადაც შეამჩნევთ ბევრ დამნაშავეს — ქურდს, მკვლელს, ყაჩაღსა და ადვოკატს.

მაგიანე

სოფო ბუკია

# ლორის და ლორის ამბავი



ერთი დამნაშავე, რომელსაც დარჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, სთხოვდა მსაჯულს ნიკოლოზ ბეკონს, მაპატიე დანაშაულიო, მაგრამ მსაჯულმა მისი თხოვნა არ შეასრულა. დამნაშავე ხელ-ახლად შეევედრა, სასჯელი მაინც შემიმსუბუქეთ, რადგან ნათესავად მოგხვდებითო.

– რითი დაამტკიცებთ, რომ ჩემი ნათესავი ხართ? – კითხა მსაჯულმა.

– თქვენ, ბატონო, გქვიათ ბეკონი, რაც ინგლისურად ნიშნავს ლორს, ჩემი გვარი კი ნიშნავს ღორს და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის დაარსების შემდეგ ღორი და ლორი ძალიან მახლობელნი არიან ერთმანეთისა.

– მართალიაო, უთხრა მსაჯულმა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მაშინ დავნათესავდებით, როცა სარჩობელაზედ ჩამოგკიდებთ იმიტომ, რომ ღორი რამდენიმე დღე მაინც უნდა იყოს დაკიდებული, რომ ლორად გაკეთდეს.

**„ივერია", 1894, №11**

# ქვრივმა მკვდარ ცოლს უჩივლა

– ერთს დაქვრივებულს კაცს თავის მკვდარ'ა ცოლზედ სასამართლოში უჩივლია.

– რა დაგიშავათ თქვენმა ცოლმაო? – კითხა იმ კაცს მოსამართლემ.

– როგორ თუ რა დამიშავა, სასტიკად მოტყუებული დავრჩიო: როდესაც ჯვარი დავიწერეთ იმისავე სიტყვით, 3 წლით ჩემზედ უმცროსი იყო; გარდაცვალების შემდეგ კი იმის წლოვანების მოწმობიდან აღმოჩნდა, რომ ცხრა წლით ჩემზედ უფროსი ყოფილა.

– შენ თუ წიწილი ბებერი კრუხისგან ვერ გაარჩიე, სასამართლომ რა უნდა გარდაგიწყვიტოსო – მიუგო მოსამართლემ.

**„ივერია", 1894, №9**





# მხატვარს ბოდიში, მუშტარს საფასური

ვილაც დუხჭირისა და მახინჯი სახის კაცმა თავისი მთლიანი სურათი გადაალებინა. როდესაც სურათი მზად იყო, მხატვარს ფულს აღარ აძლევდა.

– სულ ერთია, ეს სურათი მაინც გამომადგება, უპასუხა მხატვარმა.

– რაში გამოიყენებთ ნეტა?

– მაგისი ნურა გეფიქრებათ-რა. თქვენს სურათს კუდს გაუკეთებ, ზედ წავაწერ ჩაცმული მაიმუნია-მეთქი და ყველა იყიდის.

ამ კაცს ისე სწყენია მხატვრის დაცინვა, რომ სასამართლოში უჩივლია. მოსამართლემ ეს საქმე რომ გაარჩია, იმ მახინჯს კაცს სურათის საფასურის გადახდა დააკისრა, მხატვარს კი იმ მახინჯი კაცისთვის ბოდიში მოახდევინა.

**„ივერია", 1894 წელი, №3**

**მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები**

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge www.samartali.ge

R

## ამ ოჯახში ყველაფერს სიყვარულის ფერი აქვს...

დიდი გმირობაა, ამ დროში ექვსი შვილი აღზარდო, მეშვიდე იშვილო და მშობლიური სითბო არ მოაკლო.

ნატო გოშხეთელიანის ოჯახში უჩვეულო სიმშვიდე დამხვდა. „ამრევები“ ჯერ არ მოსულანო, — ღიმილით მითხრა დიასახლისმა.

არც ოჯახის თავკაცი, არჩილ გელოვანი იყო შინ. ლეჩხუმში სოფელი ჰქონიათ გელოვანებს და იქ ხშირად ჩადის თურმე არჩილი. რამდენიმე დღე დაჰყოფს ლაჯანაში, მამაპაპისეულ სახლს მოესიყვარულება, მიწასაც მიხედავს და მერე კვლავ თბილისს უბრუნდება.

— ჩემი მეუღლის მამიდა, დესპინე გელოვანი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, „ბანოვანის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. ცნობილია მისი რომანი „შორეული ლანდები“. არჩილმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ უფლის ნებითა და სიყვარულით ეკლესია-მონასტრების ფრესკების აღდგენას მიჰყო ხელი. დღეს იგი ხატმწერია. თითქმის 25 წელი იმუშავა სვანეთის ეკლესიების აღდგენაზე... მე უცხო ენების (ინგლისურ-გერმანული) სპეციალისტი ვარ; ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არ მიფიქრია პედაგოგობაზე, მაგრამ როცა ცხოვრება გაჭირდა, გადავწყვიტე, მასწავლებლობა დამეწყო. არჩილი შინ მუდამ დაკავებულია, ხატებს წერს. გიორგი მთაწმინდელის ხატი არ არსებობდა, არჩილმა შექმნა. სანამ ამ წმინდანის ხატზე დაიწყებდა მუშაობას, ძირფესვიანად გაეცნო მის ცხოვრებას. ჯვარცმის ხატის დაწერის შემდეგ კი პირველი კატეგორიის მხატვრის წოდება მიენიჭა...

— **როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი, უთუოდ დიდი სიყვარულით, არა?**

— ოო... ჩვენს სიყვარულს წინააღმდეგობები ახლდა...

— **რატომ, ასეთი რა მოხდა?**

— მე გოშხეთელიანი ვარ, სვანი. მამაჩემის ბებია გვარად გელოვანი გახლდათ. არჩილი ლენჯერის ეკლესიის აღდგენაზე მუშაობისას დაუახლოვდა ჩემს მამიდაშვილებს, მესტიის რაიონის მთავარ არქიტექტორს, ნუგზარ ჩხეტიანს და მხატვარ-რესტავრატორ თემურ ჯაფარიძეს. სვანმა თუ გიძმო, ღვიძლივით მიგიღებს, მით უმეტეს, გელოვანი იყო გვარად. მაშინ სკოლა ახალდამთავრებული მქონდა. არჩილი მამიდაშვილებთან გავიცანი. იგი ჩემზე უფროსი იყო. მომხიბლა მისმა განათლებამ, ვაჟკაცობამ, მაგრამ გულში არც კი გამივლია სხვა რამ, ის ხომ ჩემი მამიდაშვილების „ძმა“ იყო, ესე იგი, ჩემი ძმაც! აბა, რა ვიცოდი, თუ გაცნობისთანავე გულში ჩავუვარდებოდი. ჩემიანებთან კრინტს ვერ სძრავდა, იცოდა, ყველას განარისხებდა... მე უკვე სტუდენტი ვიყავი და მამიდასთან ვცხოვრობდი. არჩილს ამავე ქუჩაზე სახელოსნო ჰქონდა. ბედის ირონია იყო, რომ ვერ ვხვდებოდით. ერთხელ ჩვენმა საერთო მეგობარმა, მხატვარ-რესტავრატორმა მერაბ ბუჩუკურმა, რომელმაც იცოდა, არჩილს რომ ვუყვარდი, გადაწყვიტა, მეგობრის „ტანჯვისთვის“ ბოლო მოეღო. თავის დაბადების დღეზე დამპატიჟა. ბეთანიაში წავედით. თითქმის დაგვათენდა თავს. ოჯახის გაფრთხილება ვერ მოვასწარი და შეშფოთებულები დამხვდნენ. აი, პირველად მაშინ შეელახა რეპუტაცია არჩილს — რას ჰქვია, შენი მამიდაშვილების „ძმა“ იქ იყო და გათენებამდე გაგაჩერა ტყეშიო! მახსოვს, ღამით აცივდა და არჩილმა თავისი ჟაკეტი მომახურა. როცა მისი ცოლი გავხდი, მერეღა გამომიტყდა: ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხაროდა, რომ შენთან მოსვლის მიზეზი მქონდაო (ჟაკეტის წაღების!), მაგრამ წასვლისას ყოველთვის „ავიწყდებოდა“ ის ჟაკეტი და ორსამ დღეში ისევ მოდიოდა მის „წასაღებად“. მაშინ 29 წლისა იყო, თანაც გელოვანების ერთადერთი მემკვიდრე. ამიტომ ყველა წუხდა მისი უცოლობის გამო. დედმამა და მეგობრები უჩიჩინებდნენ, ცოლი მოიყვანეო. ერთხელ მეგობართან სტუმრად ვიყავით, არჩილმა უცებ თქვა, — ცოლის შერთვა გადავწყვიტეო. სიხარულით ტაში დავცხე, — რა კარგია, ვინ არის, ვიცნობ-მეთქი? მიყურა, მიყურა და ძლივს ამოღერღა — შენო. გავშეშდი... იქ ვეღარ გავჩერდი, არჩილმა შინამდე მიმაცილა და მითხრა: არ გაჩქარებ, კარგად დაფიქრდი და ისე გადაწყვიტეო. ეს რომ ჩვენებმა გაიგეს, ერთი ამბავი ატეხეს... ნუ გაგიკვირდებათ, სვანებში ცოტა გართულებულია ძმადნაფიცების — დებისა და ძმების დაქორწინება. როცა ჩემს ძმებს ვკითხე, რას უწუნებთ არჩილს-მეთქი და — ნათესავია, ჩვენი დიდი ბებიაც გელოვანი იყოო. მამაჩემს გამოვკითხე ჩვენი გენეალოგია. მითხრა, — ბებიას იმ გელოვანებთან არაფერი აკავშირებსო. ეს რომ გავიგე, ძმებს და მამიდაშვილებს კატეგორიულად განვუცხადე — ჩემს საქმეში ნუ ერევით-მეთქი. მე და არჩილმა 1983 წლის ოქტომბერში მოვაწერეთ ხელი.



— **თავიდანვე გადაწყვიტეთ, რომ ბევრი შვილი გაგეჩინათ?**

— არა, რა თქმა უნდა. თავიდან მეც და არჩილიც არ ვიყავით ისეთი მორწმუნენი, როგორიც ახლა. ორი შვილის შემდეგ შევყოყმანდი — მესამე გავაჩინო თუ არა-მეთქი. ნინო და ილია პატარები იყვნენ და მიჭირდა მათი მოვლა, ოჯახის გაძღოლა. ერთ ღამეს, ძილის წინ, ცხადად გავიგონე ხმა: მე შენთან ვარ, ყველანაირ სიძნელეს გადაგატანინებ, ნუ გეშინიაო. ეს უფლის ხმა იყო...

*საუბარში დრო მალე გავიდა. გელოვანების ოჯახი ნელ-ნელა შეივსო. ჯერ უფროსები დაბრუნდნენ სკოლიდან, შემდეგ სულ პატარას — თომას საბავშვო ბაღიდან გამოყვანის დროც დადგა.*

— თომა ჩვენი „აკიმია“, — სიცილით მეუბნება ნატო, — როცა არჩილი ხატებზე მუშაობს, გვერდიდან არ შორდება და ათას რამეს ეკითხება. გავიყვან ხოლმე მეორე ოთახში და ვარიგებ, — თომა, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, მამას ხელს ნუ უშლი, ის ახლა ძე ღვთისას სახეს წერს. ის კი მპასუხობს, — არა, დედიკო, გეშლება... ახლა მამა წმინდა პანტელეიმონს ხატავსო. მოკლედ, სულ იცის, როდის რა ხატს ქმნის არჩილი.

აი, თომაც მოვიდა და ახმაურდა ოჯახი. უფროსები აწყნარებენ პატარა „აკიმს“, მაგრამ ის ხან დედას მიუჩოჩდება, ხან ჩემი საწერკალმით იხიბლება. ბოლოს, დედას სთხოვს, — მამიკოს დახატული ხატების ფოტოასლები მომეცი და მე ვაჩუქებ სტუმარსო.

— **ქალბატონო ნატო, შვილები გააცანით ჩვენს მკითხველებს.**

— ჩვენი შვილების სახელებით დიდ წინაპრებს მივაგეთ პატივი. უფროსი, ნინო, 17 წლისაა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია, ილია 16 წლისაა. როცა არჩილი შინ არ არის, თავკაცობს ოჯახში, დავითი 12 წლის არის, ანდრია — 9-ის, ნიკოლოზი — 6-ის, მარიამი ვიშვილეთ, იგი 5 წლისაა, ნაბოლარა თომა კი 3 წლისა გახლავთ.

— **მარიამის შვილად აყვანა რატომ გადაწყვიტეთ, ან ახლა სად არის?**

— მარიამი ახლა ჩემს მეგობართან არის სტუმრად. ძალიან უყვარს მასთან ყოფნა და სიხარულით რჩება ხოლმე რამდენიმე დღე. რაც შეეხება მის შვილად აყვანას, ეს ასე მოხდა: ხუთი წლის წინ ჩემი და არჩილის მოძღვარი, მამა ლავრენტი, ზედაზნის მონასტერში იმყოფებოდა. შობა დღეს მამებთან მისულა ჩვილბავშვიანი ქალი და უთხოვია, მიმიღეთო. უარი უთქვამთ, რადგან მამათა სავანეში ქალის შეფარება არ შეიძლება. დედამ ორი კვირის ბავშვი დატოვა და გაქრა. ეს ამბავი მამა ლავრენტიმ გაგვაგებინა, მაშინვე გავეშურეთ ზედაზენს და ბავშვი წამოვიყვანეთ. მარიამი ღვთის საჩუქარია, საოცრად თბილი და მოსიყვარულე გოგონაა...

— **ცოტა ხნის წინ თქვენს ოჯახში ბრძანდებოდა სასწაულმოქმედი სწრაფშემსმენელი ხატი.**

— უწმინდესის კურთხევით ეს სასწაულმოქმედი ხატი სიონის მრევლის ოჯახებში დაბრძანდება. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე, რომ საშობაოდ ჩვენთან უნდა მობრძანებულიყო... ხალხის ნაკადი შუაღამემდე არ წყდებოდა, ყოველდღე თითქმის 300 ადამიანი მოდიოდა და შესთხოვდა მოწყალებას სწრაფშემსმენელ დედაღვთისას. სწორედ იმ დღეებში ფილტვების ანთებით ავად გაგვიხდა თომა. ისე ახველებდა, ბალიშზე თავს ვერ დებდა. ერთხელაც, ხველების ძლიერი შეტევის დროს, სული ველარ მოითქვა, თავად მივიდა ხატთან და სთხოვა, — მიშველე, ვერ ვსუნთქავო. მართლაც სასწაული მოხდა. ბავშვს უმალ შეუწყდა ხველა და მშვიდად ჩაეძინა. მეორე დღეს ექიმი განცვიფრდა, — ანთების კვალიც კი გამქრალიყო.

— **თქვენთვის, მრავალშვილიანი ოჯახის დედისთვის, მთავარი პრობლემა რა არის?**

— დღევანდელ ქართველს (რა თქმა უნდა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ არ ვგულისხმობ) უამრავი გასაჭირი ადგას. მეც ერთი მათგანი ვარ. ზოგჯერ, როცა სულიერი სისუსტე მომეძალება, უფალს შევთხოვ დახმარებას და კვლავ ვძლიერდები. სიყვარული მაძლებინებს — სიყვარული უფლისა, ჩემი ქვეყნისა და ოჯახისა. ესაა ჩემი ცხოვრების არსი. წუწუნი არ მჩვევია. მადლობელი ვარ უფლისა... რაც მომცა, იმითაც კმაყოფილი ვარ. ერთადერთი, რაც მაწუხებს ისაა, რომ არჩილს სახელოსნო არა აქვს. ბავშვების ჟრიამულში ძნელია აკეთო ის რთული საქმე, რასაც ის ეწევა.

— **თურმე მამა გაბრიელს დაულოცნიხართ...**

— მაშინ ჯერ კიდევ არ ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას, არადა არჩილი ჩამჩიჩინებდა, მასწავლებლობისთვის ხარ დაბადებულიო. 1991 წელი იდგა. სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში ვიყავით. მამა გაბრიელი მომიახლოვდა და მითხრა: შენს სიმდაბლეს ღმერთი ხედავს, შენი პედაგოგობა კურთხეულია უფლისგანო. გამიკვირდა — არ მიცნობს და როგორ მიხვდა, რომ პედაგოგიური მაქვს დამთავრებული-მეთქი. ამის გამგონე არჩილს გაეხარდა — სიმდაბლეზე რა მოგახსენო და პედაგოგობაზე კი სიმართლე გითხრაო. მას შემდეგ დავიწყე მასწავლებლობა.

— **ბავშვის გაჩენას კიდევ ხომ არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, გავაჩენ, თუკი ღვთის ნება იქნება...

*მარინა ბაბუნაშვილი*

გამოხმაურება

## გაიგეთ, რა, ისე მიყვარს, რომ კოცნაც კი არ შემიძლია...

„ეტყობა, გვირილები ბევრი გოგონას „სუსტი წერტილია“, — *გვწერს თბილისელი თეონა,* — კახამაც იცოდა, როგორ მიყვარდა გვირილები. გულით უხაროდა, როცა ყვავილების დანახვაზე თვალები გამინათდებოდა, მაგრამ ერთ დღეს ისეთი რამ გააკეთა, თავის გრძნობას და ვაჟკაცურ ღირსებებს ერთბაშად გადაუსვა ხაზი. წავკინკლავდით. მაწყენინა და რამდენიმე ხანი ხმას არ ვცემდი. შესარიგებლად კვლავ გვირილები მომიტანა. რატომღაც გავჯიუტდი, მეც არ ვიცი, რატომ და თავი გავუქნიე — არ მინდა-მეთქი. იცით, რა გააკეთა? ისე გაბრაზდა, სახეში შემომაყარა ყვავილები და უკან მოუხედავად გავარდა.

გული მომიკვდა — ჩემი უსაყვარლესი „მზისგულა“ ყვავილები ჭუჭყიან გუბეში საცოდავად ტივტივებდნენ, მე კი ლოყა ისე მიხურდა, თითქოს ცეცხლი მეკიდა...

რამდენიმე წელი გავიდა. მე მას ვერ ვაპატიე. სხვებისგან ვიცოდი, რომ ძალიან წუხდა თავის საქციელს, უჩემობას, მაგრამ იმდენად თავკერძა იყო, რომ აღარ მოსულა ჩემთან და აღარც პატიება უთხოვია...

ვეთანხმები ქალბატონ ქეთის — შეყვარებულ ადამიანს ყოველთვის, ყველა ასაკში შეუძლია თავისი გრძნობის ლამაზად გამოხატვა. ცოტათი შემშურდა მისი, რადგან გვირილებთან დაკავშირებით ბევრი მშვენიერი დღე აქვს მოსაგონებლად, მე კი...

დათო ხუჯაძე მღერის: „ო, არ მინდა, რომ გული გატკინო“. ამ სიმღერის გაგონებისას ცრემლები მახრჩობს... ოდესმე დაფიქრებულა კახა, როგორ მატკინა გული? შეყვარებულებო, გულწრფელად გირჩევთ: გულს ნუ ატკენთ ერთმანეთს, ნურც გაბოროტდებით და გაუხეშდებით იმის გამო, თუკი თქვენი რჩეული „ისე“ არ აკეთებს ყველაფერს, როგორც ეს თქვენ გინდათ“.



## ყველაფერი ჰორმონების ბრალია...

ბევრი ქალი ფიქრობს, რომ მამაკაცები ღალატობენ მათ იმიტომ, რომ „მექალთანეები“ არიან და სულ ახალ-ახალი „გამარჯვებებისაკენ“ ისწრაფვიან. ეს კი ასე არ არის! — მიაჩნიათ მეცნიერებს. აღმოჩნდა, რომ ღალატში კაცი კი არ უნდა დავადანაშაულოთ, არამედ მისი ჰორმონები. სწავლულებმა გამოუსწორებელი დონ ჟუანების სისხლში აღმოაჩინეს ტესტოსტერონის მაღალი დონე.

მსგავსი შედეგები აჩვენა ჩიტებზე ჩატარებულმა კვლევებმაც. თურმე ფრთოსანთა შორისაც არიან დაუოკებელი, ქარაფშუტა მამრები, რომელთა საქციელსაც ჰორმონი განსაზღვრავს, მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, ტესტოსტერონის დონე ცოლიან მამაკაცებში უფრო დაბალია, ვიდრე უცოლოებში, უფრო დაბალი — შვილიანებში.

ასე რომ, თვით ბუნება ზრუნავს ოჯახის შენარჩუნებაზე!

## გაბზარული გული აღარ გამრთელდება

ცოდვა ჩავიდინე — სხვის სატელეფონო საუბარს ვუსმინე... მეგობრის ნომერი ავკრიფე თუ არა, გავიგონე აღშფოთებული ნათქვამი: „სულ გამომტყერდი?“. დავიბენი. იმწამსვე ნაბახუსევმა ხმამ უპასუხა: „გამოშტერებულიცა ხარ და, მეტიც, შენი ხმის გაგონებაც აღარ მინდა!“ სწრაფად მოვეგე გონს, ენას კბილი დავაჭირე და გავისუსე. სიტუაცია მეტად მწვავე აღმოჩნდა: შეყვარებულები ერთმანეთს დაშორდნენ. ქალმა ვაჟს მიახალა, — ანი ოქროს სასახლეც რომ ამიშენო და ფეხქვეშ გამეგო, გაბზარულ გულს ვეღარ გამიმრთელებ, ჯანდაბამდე გზა გქონიაო და დაახეთქა ყურმილი. შიშით კინაღამ გული გამისკდა. ამის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ტელეფონზე დარეკვა თავიდან მეცადა, ყურმილი მეც დავახეთქე, ოღონდ გახარებულმა და თემაზე „მრთელდება თუ არა გაბზარული გული“, სატელეფონო გამოკითხვა დავიწყე. თანაც მადლობას ვუთვლიდი კავშირგაბმულობის ხელმძღვანელებს სატელეფონო ქსელის არც ისე რიგიანი მუშაობისთვის, სხვანაირად როგორ მივაგნებდი ამგვარ თემას! მაშ ასე, „მთელდება თუ არა გაბზარული გული?“ სატელეფონო ხაზზე კვლავ ქალბატონები არიან:

**ლიკა (38 წლის):** — გაბზარული გული, რა თქმა უნდა, აღარ გამრთელდება. თანაც თუ სიყვარულში იმედგაცრუებამ გაბზარა, უზარმაზარი ნაპრალი დარჩება. თქვენმა კითხვამ ჰაინეს ლექსი გამახსენა „ჭაბუკს უყვარს ქალიშვილი,/ ქალი სხვას თვლის გულის სწორად,/ იმ სხვას კიდევ სულ სხვა უყვარს/ და ითხოვა კიდეც ცოლად./ ეს ხომ ძველი ამბავია,/ მაგრამ მარად ახლად თქმული,/ ვისაც თავზე დასტეხია/ გასტეხია ყველას გული“. ეს ბოლო სიტყვები ანდაზადაც კია ქცეული. მართლაც მარადიული პრობლემაა გულის გატეხა — გაბზარვა და მაგ პრობლემის მომგვარებელი ჯერ არავინ გამოჩენილა. კაციშვილი არ მეგულება ამქვეყნად, გაცრუებული სიყვარულის გამო გული რომ არ გაბზარვოდეს.



**ქეთი (32 წლის):** — მოქანდაკეს გააჩნია... თუ მაგარია, გაბზარულს კი არა, დამსხვრეულ გულს გაამრთელებს უზადოდ. სულაც არ ვხუმრობ. მერე რა, თუ სიყვარულში ერთხელ არ გაგიმართლა. „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. აი, ის სხვა, თუ მაგარი იქნება, სულაც ახალ გულს ჩაგიდგამთ მკერდში. პირველ შეყვარებულთან განშორებამ ისე გამიგლიჯა გული, კინაღამ გავლოთდი, მაგრამ ახლა ქმარი მყავს, სწორედ მაგარი „მოქანდაკე“. სულაც არ მახსოვს, მანამდე ვინმე თუ მიყვარდა. რა ბზარის ნაპრალი! ნამდვილი სიყვარული იმედგაცრუების კვალს ისე შლის, როგორც ტალღა სილაზე დატოვებულ ნაკვალევს.

**ნინო (45 წლის):** — ჩემმა ძმამ და მისმა შეყვარებულმა იჩხუბეს და დაშორდნენ ერთმანეთს. ბიჭი აქეთ კვდებოდა, გოგო — იქით. იმდენი ვირბინე მათ შორის, ისე შევაცოდე ერთმანეთი, რომ შერიგდნენ. ახლა ცოლ-ქმარია და რომ გავახსენებ ხოლმე იმ ამბავს, ორივე იმას გაიძახის — ის ბზარი მაინც დარჩაო. არ მჯერა მათი. ბზარს ინფარქტი იწვევს, რომელიც მართლა არ შუშდება. სიყვარულით ნაინფარქტალი კი, კარდიოლოგი ვარ და, ჯერ არავინ მინახავს.

**ანა (24 წლის):** — გულის ტკენის მიზეზს გააჩნია. ენით დაკოდილ გულს ვერაფერი გაამრთელებს, თორემ სიყვარულში ღალატის გამო გაბზარული გული მრთელდება. ჩემს დედამთილს ჩვევად აქვს ადამიანის გულის ტკენა. ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდე, მაინც გეტყვის — რას ჰგავხარო. ჩემი საწყალი მული, მართლაც მშვენიერი გოგო, ხელში ჰყავს შეკლული. სულ ყვავივით დასჩხავის — შენხელა რომ ვიყავი, ბიჭები ჩემი გულისთვის თავს იკლავდნენ, შენ კი შინ ზიხარო. ალბათ ენით უხეთქავდა გულს ბიჭებს და ეგონა, ეშხით კვდებოდნენ. ასეა, კაქტუსივით ენით დაჩხვლეტილი გული არ გამრთელდება.

*ეკა ლომიძე*

# თუ ნებას მომცემენ, სიუჟეტებს სიამოვნებით მოვამზადებ

**გადაცემას „დღის ბოლოს“ მალე პირველ არხზე ველარ ვიხილავთ. ბატონმა ნუგზარ რუხაძემ უკვე ხმამაღლა განაცხადა ამის შესახებ. შესაძლოა, ღამის საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამის წამყვანი მალე, დღის ეთერში, თქვენ წარმოიდგინეთ, საინფორმაციო გადაცემების კორესპონდენტადაც კი ვიხილოთ. ეს მომავალში შეიძლება მოხდეს, მანამდე კი ბატონ ნუგზარს შევხვდით და ვკითხეთ, რა იქცა ამ ცვლილების მიზეზად?**



— ჩემი გადაცემის საეთერო დროში „პრაიმ-ტაიმში“ აპირებენ გაუშვან უფრო მიმზიდველი და ოპტიმალური გადაცემა, რაც ალბათ წინასწარ არის გათვლილი.

— **იმედია, თქვენ ტელევიზიაში რჩებით. ალბათ, ახალ გადაცემასაც ამზადებთ.**

— ცხადია, ვრჩები. ჯერ დაზუსტებული არ არის, მაგრამ ალბათ, დღის ეთერში ვიმუშავებ. ჩემი ღამის გადაცემა ბოლოს 14 მარტს გავა ეთერში და ამის შემდეგ, ალბათ, მალე გაიგებთ ჩემი ახალი ამპლუის შესახებაც.

— **როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გადაცემას — „დღის ბოლოს“ კოკა ყანდიაშვილის „რა ხდება“ შეცვლის.**

— მეც ასეთი ინფორმაცია მაქვს.

— **ბატონო ნუგზარ, „დღის ბოლოს“ რომელიმე სიუჟეტი ხომ არ დაგამახსოვრდათ განსაკუთრებულად?**

— ჩემთვის ეს გადაცემა სასიამოვნო მოგონებად დარჩება. მაგრამ არც ერთი სიუჟეტის მიმართ არ მაქვს ძალიან დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, წარმოუდგენლად დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ არასდროს მოვქცეულვარ, თუმცა, პიტერ შოუს ეთერში მოსვლას იმხელა მნიშვნელობა მიენიჭა, რომ ნამდვილად დამამახსოვრდა, ისე, არც მაშინ მომხდარა დიდი სასწაული.

— **ზოგიერთი მაყურებელი მიიჩნევს, რომ თქვენი გადაცემები მონოტონური იყო. ურჩევნიათ საღამოს საინფორმაციო გადაცემებში ოპონენტთა მძაფრ პაექრობას ადევნონ თვალი.**

— გემოვნებაზე არ დაობენო — მოგეხსენებათ. რამდენი ადამიანიც არის, იმდენნაირი გემოვნება არსებობს. ვიღაცას მოსწონდა, ვიღაცას — არა. გადაცემების მშვიდი, ობიექტური, ნეიტრალური ტონი, სიმართლე გითხრათ, ბევრ ტელემაყურებელს მოსწონდა, სამადლობელი წერილიც მიმიღია და შექებაც დამიმსახურებია. არც კი მახსენდება 6 თვის განმავლობაში უკმაყოფილო მაყურებლის შენიშვნა. პირადად ჩემთვის, საყვედური არასდროს უთქვამთ. ყველა ამბობდა — დავმშვიდდით, დავწყნარდით, ყველაფერი გვესმის და ა.შ. მაგრამ, როგორც ჩანს, ხალხს უფრო პოლიტიკური შერკინებები ართობს ეთერში და ეს უფრო მიმზიდველად ეჩვენება.

— **თუმცა, არსებობს თვალსაზრისიც, რომ ქართულ ტელეეთერში პოლიტიკურ ოპონენტთა პაექრობის ფორმა არაეთიკურია.**

— ასეთი შეფასების გაკეთება არ მინდა. ვფიქრობ, რომ გადაცემა, რომელიც სარგებლიანია მაყურებლისთვის მათი განათლების, გართობის, ინფორმირების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მისაღებია. როგორც ჩანს, მაყურებელს უფრო ართობს ისეთი გადაცემა, სადაც ორი საწინააღმდეგო აზრი ერთმანეთს ებრძვის. ვერ გეტყვით, რამდენად ინფორმირებული ხდება ადამიანი ასეთი შერკინებების დროს. ყოველთვის მეგონა, რომ ჩემი გადაცემა უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავდა, ვიდრე სხვა გადაცემები და კიდეც ვამაყობდი ამით.

— **ბატონო ნუგზარ, როგორ მოიქცევით, რომ ეთერში თქვენი გადაცემის კვლავ გასაგრძელებლად შემოგთავაზონ მოპაექრეთა მოწვევა?**

— ანუ სხვა ტელევიზიების სტილი რომ გადმოვიღო? შეიძლება ამას დიდი სიამოვნებით ვერ დავთანხმდე. ჟურნალისტს დღეს გუშინდელისგან განსხვავებული ფუნქცია აქვს. საზოგადოება დღეს ჩვენ გარეშეც უამრავ ინფორმაციას ფლობს. ამიტომ ჩვენი ვალია, საზოგადოებას დავეხმაროთ, მიიღოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო და მიმზიდველი ინფორმაცია. შესაბამისად, დღეს ჟურნალისტი ფორუმის ლიდერი უფროა, ვიდრე კომენტატორი. ადრე ჟურნალისტი ცდილობდა, სხვისთვის საკუთარი აზრი მოეხვია თავს. წინათ შეგეძლო, გეკარნახა აუდიტორიისთვის შენი ნაფიქრალი, ახლა ამის შესაძლებლობა ნაკლებადაა და თუ მას ჟურნალისტი კიდევ ინარჩუნებს, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დახვეწილი ურთიერთობა ჟურნალისტსა და მომხმარებელს შორის.

— **მინდა მოვლენების განვითარებამდე გკითხოთ, საავტორო პროგრამა ხომ არ გაქვთ ჩაფიქრებული?**

— სიმართლე გითხრათ, ერთი საეთერო დროიდან მეორეში გადასვლა ძალიან მსიამოვნებს. უპირველესად, ტექნიკური მიზეზის გამო. ჩვენ, ჟურნალისტებს, გვსურს, რომ ხალხი გვიცნობდეს... ვინც აქამდე 11 საათზე ძილის გამო ეკრანზე ვერ მხედავდა, ახლა დღის ეთერში მიხილავს. აუდიტორია შეიცვლება და ეს ძალიან კარგი იქნება. მაქვს რამდენიმე პროექტი. წარმომიდგენია საკუთარი თავი სხვა ეთერში, სხვა ბადეში, მაგრამ ეს ჯერ ჩემს ფიქრებშია მხოლოდ და მალე გამომჟღავნდება. გარდა ამისა, მომენატრა სიუჟეტების გაკეთებაც. შესაძლოა ამასაც მივყო ხელი, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მომცემენ.

— **ბატონო ნუგზარ, როგორ შეფასებას აძლევთ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას, რა არ მოგწონთ მასში?**

— თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში მეჩოთირება ის, რომ გაზეთიც, ტელევიზიაც და რადიოც „ინტერვიუს ჟურნალისტიკად“ არის ქცეული. იშვიათად ნახავთ ფუნდამენტურ ანალიტიკურ სტატიებს. მეჩოთირება ჩვენი გაზეთების ლტოლვა სკანდალური სტატიებისადმი, მიდრეკილება გარეკანზე გამოტანილი მყვირალა სათაურებით მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. სტატიის წაკითხვის შემდეგ კი მკითხველს მინიმალური ინფორმაციაც არ რჩება და მეც ხშირად მინანია, ნეტავ, დრო არ დამეკარგა-მეთქი. ამასთანავე, ინფორმაციების მიმართ დამჩემდა უნდობლობა და ყოველთვის გადამოწმებაზე ვფიქრობ. კარგია ის, რომ საქართველოში სიტყვა მართლა თავისუფალია და მინდა, რომ ეს თავისუფალი სიტყვა ისე მოიქნიოს ქართველმა ჟურნალისტმა, რომ უსამართლოდ არავინ დაზარალდეს.



# „ტორნადო“ „იმღერე რამეში“

„დ'არტანიანი და სამი მუშკეტერი“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ და ა.შ. ცხადია, ეს სახელები მრავლისმთქმელია თქვენთვის, მაგრამ, აბა, ერთი დაფიქრდით და გაიხსენეთ, რას ნიშნავს „ერთი ბახალა და სამი ყვავი“? ა, თავი აგტკივდათ? რამაზ ალანიას რომ ამგვარი რამ „კვირის პალიტრის“ საფირმო კროსვორდებში ჩაეწერა და სწორედ ის ერთადერთი გრაფა დაგრჩენოდათ ამოსაცნობი, მაშინ რა დღეში ჩავარდებოდით, წარმოიდგენია. ღელავთ, არა? დაწყნარდით, საქმე არც ისე რთულად არის, თქვენ რომ გგონიათ, თუ გივი სიხარულიძესავით გწყალობთ იღბალი, მარტო ცეკვითა და სიცილ-ხარხარითაც იოლას გახვალთ და დიდი მუსიკალური განათლება და სიმღერის ნიჭიც არ დაგჭირდებათ. ცეკვაც თუ არ იცით და იუმორზეც აცრილი ხართ? მაშინ... მაშინ იმასღა გისურვებთ, რომ „მუსიკალურ ტატამზე“ ვახტანგ ტატიშვილთან შეხვედრისაგან ღმერთმა „დაგიფაროთ“. ამ შემთხვევაში, ისევ ამირან ბუაძესთან „შეყრას“ გირჩევდით, რადგან რაჭული ბუნებიდან გამომდინარე, დამთმობი, რბილი ხასიათისა ჩანს და შესაძლოა, მოგებულმა ასპარეზი სულაც დიდსულოვნად დაგითმოთ. მოკლედ, სჯობს პირდაპირ საქმის არსზე მოგახსენოთ: 28 თებერვალს პირველი არხის ეთერში, კონკრეტულად „იმღერე რამეში“, სიცილ-ხარხარის ნამდვილი „ტორნადო“ გელით. ვახტანგ ტატიშვილი, ამირან ბუაძე და გივი სიხარულიძე ერთმანეთს ხვდებიან „მუსიკალურ ტატამზე“. რაც შეეხება სახელწოდებას „ერთი ბახალა და სამი ყვავი“ — ბატონმა გივიმ დაარქვა იმდღევანდელ „იმღერე რამეს“ და პროტესტიც გამოხატა — „გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს ან რაღაც შეეშალა, მე რომ „იმღერე რამეში“ მიმიწვია „იცეკვე რამეს“ ნაცვლად, ან კიდევ ჩემი „ჩაქოლვა“ სურს პირდაპირ ეთერშიო. გადაღების დაწყებისას ბახალამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ეთერში ღვინის სმის უფლება არ ჰქონდათ, რაზეც გივი სიხარულიძემ უპასუხა, — ჩემო ბახალ, ეგ გულდასაწყვეტი ამბავი კია, მაგრამ მე პირდაპირ ქეიფიდან მოვდივარ და გამოყოლილი ბახუსის წყალობით არ მოგაწყენთო; მართლაც „საბრალო“ ვახტანგ ტატიშვილმა, რაღაც-რაღაცების გამო ვალად აღებული 200 ლარის გასასტუმრებელი თანხის მოგება ვერ მოახერხა, რის გამოც გადაცემის ბოლოს „მოწყენილი“ ჩანდა. ისე, მისი „ბრალიც“ იყო, ძმაკაცების მთლად ნული ქულით გაშვება არ უნდოდა და ეხმარებოდა. ამასობაში კი თვითონ მხოლოდ 192 ლარის მოგროვება შეძლო. თამაშში ყველაზე „დაჩაგრული“ და უიღბლო აღმოჩნდა ბატონი ამირანი, რომელმაც „ტატამი“ პირველი ტურის დამთავრებისთანავე დატოვა. „შესანიშნავი ტრიოდან“ პირველს სწორედ **ამირან ბუაძეს** გავესაუბრეთ.

— **ბატონო ამირან, მარცხის გამო გუნება-განწყობილება ხომ არ შეგეცვალათ?**

— (იცინის) რას ამბობთ. ხომ იცით, როგორ არის ნათქვამი, თამაშში პირველად არიფები იგებენ, მერე კი ჭკვიანები. მეორედ რომ მომიწვევენ, აი მაშინ ნახავთ კლასს. გადაცემაში მონაწილეობას სიამოვნებით დავთანხმდი, მომწონს „იმღერე რამე“, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ პირველივე ტურიდან მე გამოვვარდებოდი და გივი დარჩებოდა.

— **როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?**

— თუ ბედის ირონია არ ვიხილეთ, ცხადია, ვახომ უნდა აიღოს ეგ ტიტული. გივიმ თუ გაიმარჯვა, დაუჯერებელია, ვიფიქრებ, რომ ჩააწყო.

— **რაში შეეჯიბრებოდით მათ სიამოვნებით?**

— ორივე მეგობარია ჩემი და ერთმანეთის სიყვარულში შევეჯიბრები. სუფრასთან ცეკვაშიც, სიმღერაშიც და კიდევ ბევრ რამეში შევეჯიბრები და მოვუგებ კიდეც, ეჭვი არ შეგეპაროთ.

თამაშის შემდეგ ტურში ეჭვი მართლაც არ შეგვპარვია, რომ „კახურ კერძზე“ სიმღერის გამოცნობას ბატონ ვახტანგს, მიუხედავად მისი „ქეიფომანიისა“, არაფრით დაუთმობდა ბატონი გივი, რომელმაც რატომღაც სიმღერა „არამყარი ფსიქიკის ადამიანზე“, საკუთარ თავზე სიმღერად გაასაღა და მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერას გახდა ჭარმაგ „ივერიელთან“. ფინალის მიღმა დარჩენილ ბატონ **გივი სიხარულიძეს** შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ:

— ნახეთ, როგორ დავანარცხე ორივე ბეჭზე ამირანა? ტატიშვილსაც ვუგებდი, მაგრამ „შემეცოდა“ (ხარხარებს). რომ დამირეკეს და მიმიწვიეს ამ „კიტებთან“ ერთად, ვიკითხე, რა გინდათ, მღუპავთ? ვახოსთან და ამირანასთან სიმღერაში მაჯიბრებთ? ღმერთი არა გწამთ? ცეკვა მაინც გეთქვათ-მეთქი. თურმე, მოიცა გივი, ნახეთ, რა დღეში ჩავაგდე ამირანა?

მუსიკალურ პულტთან მარტო დარჩენილმა **ვახტანგ ტატიშვილმა** რეკორდულ დროში გამოიცნო შვიდი სიმღერა და გამარჯვებულის ტიტულიც მოიპოვა.

— **ბატონო ვახტანგ, ვწუხვარ, რომ 200 ლარამდე ვერ ახვედით, ვალი გასასტუმრებელი დაგრჩებათ, არა?**

— აბა, კაცო. გივი შემპირდა, მე მოგცემო, მაგრამ... შევთავაზე, თუ მოვიგებთ რამეს, ვიქეიფოთ-მეთქი, მაგრამ აი, ხომ ნახეთ, გაიპარა. ვხუმრობ, სადაც სუფრა იშლება და ღვინო ისმება, ეგენიც იქ არიან და მეც იქა ვარ.

— **„იცეკვე რამეში“ თუ მიიღებდით მონაწილეობას?**

— რისი მაქნისი ვიქნები? პირველ ადგილს გივი გაინაღდებს, მეორეს — ამირანი, მე ქალის ცეკვას თუ შევასრულებ, შეიძლება გამომივიდეს რამე.

— **ბატონო ვახტანგ, ისე ქეიფების რიცხვმა ხომ არ იკლო? რაღაც მოწყენილი მეჩვენებით.**

— სმის რიცხვმა იკლო, 61 წლის ვარ, ველარ ვსვამ ძველებურად, მერე, კაცო, ეს „ივერიის“ ვარსკვლავი რომ დადეს მიწაზე, იმის მერე გულს დარდი შემომაწვა, ასე მგონია დაგვმარხეს და ვარსკვლავი გულზე დაგვადეს (იცინის). აღვსდგებით, აღვსდგებით მკვდრეთით!..

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*



CMYK

## ორშაბათი 24 თებერვალი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 ოქროს მართვე 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 მხ. ფილმი **"აიდა"** 16.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 17.15 რამპა 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 მუს. პაუზა 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"უსახო კაცი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"შეხვედრის ადგილი უცვლელია"** მე-5 სერია

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"ქსენა პრინცესა მეომარი ოდისეა"** 19.30 დოკ. ფილმი "კვალი". ციკლიდან "კანონის უზენაესობა" 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"ნელი"** მთ. რ-ში: ჯოდი ფოსტერი 02.00 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 ახლავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"ბრძოლის ველი"** 10.20 მხ.ფ. **"დენთის კასრი"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"შეშლილი სესილ ბ."** 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"იკითხეთ სინდი"** 01.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი **"კეთილი სახელი"** 14.50 მხ. ფილმი **"მოჩვენება"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ჩრდილოვანი შეთქმულება"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"ნიქსონი"**

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ინტენსიური თერაპია"** მთ. როლ-ში ჯეიმს სპეიდერი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო **"გაშიშვლებულნი"** მთ. როლში დევიდ ტიულისი 01.40 ფილმი ღამურა **"ღრმა ლურჯი ზღვა"** მთ. როლებში ტომას ჯეინი, სტილან სკარსგარდი 03.45 პაუზის გარეშე

09.35 მხ. ფილმი **"სასიკვდილო ბრძოლა"** 11.25, 13.55, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა 11.40 რუს. მხ. ფილმი **"კაპიტან გრანტის შვილები"** 13.10 დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" 1-ლი ს. 14.10 "ბელისიმო" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 16.00 მხ. ფილმი **"მორევი"** 18.00 მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** 18.40 მულტფილმი "ალექსი" მე-6 ს. 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 121-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი **"გლადიატორი 2000"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ.ფ. **"ნაბიჯები"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 სათავგადასავლო ფილმი **"მარტო სახლში-2"** 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.10 კომედია **"ციხეში მინდა"** 13.55 ისტორიული ფილმი **"რუსული ბუნტი"** 16.10, 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი 17.30 კომედია **"მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 სათავგადასავლო ფილმი **"ადამიანი რკინის ნიღაბში"** 22.45, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" 01.10 მხატვრული ფილმი **"მაწანწალა"** 03.30 დრამა **"ამისტადი"**

08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Íîâîñòè 08.10 Õóä. ôèëüì "ÊÎÄÎÂÎÅ ÍÀÇÂÀÍÈÅ "ÞÆÍÛÉ ÃÐÎÌ" 09.20 Êóìèðû. Ìèõàèë Ïóãîâêèí 09.55 Äèñíåé-êëóá 10.20 Â ìèðå æèâîòíûõ 11.10 Íåïóòåâûå çàìåòêè 11.30 Ïîêà âñå äîìà 12.20 Äîã-øîó 13.05 Êëóá ïóòåøåñòâåííèêîâ 13.45 Êðåìëü-9. 14.30 Äèñíåé-êëóá 15.10 Âèàíòàëèí âåóñà 16.05 Óìíèöû è óìíèêè 16.30 Ëûæíûé ñïîðò. ×åìïèîíàò ìèðà. 17.00 "Òàéíû çàáûòûõ ïîáåä" 17.35 "Åðàëàø" 18.00 "Æäàëàÿ ïðåìüåðà" 19.00 "Âðåìåíà" 20.10 Æäè ìåíÿÊîíöåðò ãðóïïû "Ëþáý" 21.10 Íîâîñòè "Ê-19" 23.25 Öåðåìîíèÿ "Ãðýììè-2003" 01.10 Íîâîñòè "ÁÎËÜØÎÉ ÁÅËÛÉ ÏÎÄÎÍÈÊ"

07.25 Õóä. ôèëüì "ÌÀÐÈÊÀ, ßÍÈÀ È ÒÀÉÍÛ ÊÎÐÎ-ËÅÂÑÊÎÃÎ ÇÀÌÊÀ" 08.45 Ìóëüòñåðèàë "Äæóìàíäæè" 09.05 Êîìåäèÿ "ÊËÞ×È ÎÒ ÍÅÁÀ" 10.35 Âåñòè-Ìîñêâà. Íåäåëÿ â ãîðîäå 11.15 Óòðåííèé ðàçãîâîð 11.45 "Ãîðîäîê" 12.15 Êîìåäèÿ "ØÏÈÎÍÊÀ ÕÀÐÐÈÅÒ" 14.10 Ïàðëàìåíòñêèé ÷àñ 15.00, 21.00 Âåñòè 15.20 Âîêðóã ñâåòà 16.15 Äèêèå è æèâîòíûõ 17.20 Ìèð íà ãðàíè 17.50 "ÕÀ" 18.05 Àíøëàã 19.00 Êîìåäèÿ "ÀÑ" 21.25 Õóä. ôèëüì "ÍÅÁÎÖÀ ÁÁÆÀÒÜ" 23.20 Õóä. ôèëüì "ÐÀÅÍÑÊÈÅ ßÁËÎ×ÊÈ" 01.10 Õóä. ôèëüì "ÏÀÄÅÍÈÅ"

## სამშაბათი 25 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი **"უსახო კაცი"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი **"ვახშამი სულელთან ერთად"** 16.35 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.45 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"კაპიტანი ფრაკასი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"კონდორის სამი დღე"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"ქსენა პრინცესა მეომარი ოდისეა"** 19.30 პერსპექტივა 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, ახლავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი **"შეშლილი სესილ ბ."** 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. **"იკითხეთ სინდი"** 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. **"დაკარგული ქალაქი"** 22.00 დიალოგი 23.45 ძველი კინო - მხ. ფილმი **"დიდი მანევრები"** 01.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"ნიქსონი"** 15.25 მხ. ფილმი **"ზაზუნას დღე"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ლეონი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"სამის გარჩევები პატარა ტოკიოში"** 22.30 მხ. ფილმი **"შერბურგული ქოლგები"**

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"სიჟუნტე"** მთ. როლებში მაიკლ ჯეოფოქსი, კერკ დუგლასი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"კოლია"** მთ. როლებში ზდენეკ სვერაკი, ანდრეი ხალიმონი 01.40 ფილმი ღამურა **"ვერტიკალური ზღვარი"** მთ. როლში კრის ო`დონელი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტფილმი "ალექსი" მე-6 ს. 10.30 მხ. სერიალი **"ჯონ როსი"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 12.45 მხ.ფ. **"გლადიატორი 2000"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"ნაბიჯები"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 1-ლი ს. 18.35 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.15 მხ. ფილმი **"დარტყმის ზონა"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"ეშმაკთა სამოთხე"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 სათავგადასავლო ფილმი **"ინდიანა ჯონსი"** 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.10 კომედია **"არლეტი"** 13.55 ვესტერნი **"შესანიშნავი შვიდეული"** 16.10, 19.40, 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ბილისა და თედის დაუჯერებელი თავგადასავლები" 17.40 მხატვრული ფილმი **"დზი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "Ï ðåñ-ïî äî ùå" 19.50 მხატვრული ფილმი **"ბრონქსის ისტორია"** 22.50 "Ï ðåññ-ïî ùå" 23.00 "გალერეა" 23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.15, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.20 "რა არ ხდება" 01.10 კომედია **"საუკეთესო მეგობრის ქორწილი"** 03.30 დრამა **"მისისიპი სწვავს"**

07.00 "Äîáðîå óòðî!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Íîâîñòè 10.15 Õóäîæ. ôèëüì "ÒÀÉÍÛÉ ÀÃÅÍÒ ÐÎÈÑ" 11.05 "Ñàòè" Ìèðàæ Ìàòüå 12.35 Äèñíåé-êëóá: "Ïåðåìåíà" 13.15 Äåòåêòèâ "ÀÃÅÍÒÑÒÂÎ ÍÀÉÒ ÇÓÁÛ" 15.00 "Òàéíû çàáûòûõ ïîáåä" 15.30 "Íîâûé äåíü". "Ïðåäâîäèòåëü ìèð Íàðîäû Ìàêàðåâè÷à" 16.15 Äîã-øîó 17.05 Æäàëàÿ ïðåìüåðà 18.00 "Áîëüøàÿ ñòèðêà" 19.25 "Êóìèðû". Ð. Äàíåëÿ 20.00 Æäè ìåíÿ 21.00 "Êòî õî÷åò ñòàòü ìèëëèîíåðîì?" 22.00, 00.30 Âðåìÿ 22.40 "Ïîñëåäíèé ãåðîé-3" 23.45 Äîê.ñåðèàë "Ñìåøàíèç" 01.00 "Íà ôóòáîëå" 01.30 "Íîâûé äåíü". "Äåíèè è çèìàåë". Ñäåëà Ìîðîçîâ 02.00 Íîâîñòè "ÍÀÓÄÀÆÅÌÛÉ".

06.45 Äîáðîå óòðî, Ðîññèÿ! 09.45 Õóä. ôèëüì "ÍÅÂÓÒÀ ÁÁÆÀÒÜ" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Âåñòè 12.20 Ñåðèàë "ÏÓÀÐÎ ÀÃÀÒÛ ÊÐÈÑÒÈ. ÏÎÐÀÁÎÙÅÍÈÅ Â ÌÅËËÈÍÃ ÄÎÉËÅÂÈÔÎ" 13.20 Ñåðèàë "ÒÅÒÀÍÚÛ" 14.15, 17.45 Ýêñïåäèöèÿ 14.30 Êèíîïàíîðàìà Ôîòîïàâèëüîí 14.45 Âåñòè-Ìîñêâà 15.20 "×òî õî÷åò æåíùèíà" 16.10 Ñåðèàë "ÒÐÎÉ ÏÐÎÒÈÂ ÂÑÅÕ" 17.15 Ñåðèàë "ÏÐÎÑÒÛÅ ÈÑÒÈÍÛ" 18.20, 20.50 Âåñòè. Äåæóðíàÿ ÷àñòü 18.50, 03.50 Äîðîæíûé ïàòðóëü 19.05, 00.20 Âåñòè-Ñïîðò 19.20, 21.30 Ìåñòíîå âðåìÿ. Âåñòè-Ìîñêâà 19.50 Ñåðèàë "ÊÎÌÈÑÑÀÐ ÐÅÊÑ" 21.50 Ñïîêîéíîé íî÷è, ìàëûøè! 21.55 Ñåðèàë "ËÀÇÅ ÌÝÐ" 22.55 Ñåðèàë "ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 23.50 "Âåñòè+" 00.30 ×åëîâåê íåâèäèìêà èåäà ïî ëûæíîìó ñïîðòó

## ოთხშაბათი 26 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი **"კაპიტანი ფრაკასი"** 11.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნების დიდებულება" 15.15 მხ. ფილმი **"სოფა მზაცივ წყალში"** 17.00 პალიტრა 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.55 "ხელოვნების ქურუმი" გ. გეგეჭკორი 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"საგანგებო მდგომარეობა 2"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"თემო"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"ქსენა პრინცესა მეომარი ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, ახლავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"დაკარგული ქალაქი"** 12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმ.) 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. **"დიდი მანევრები"** 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** 1-ლი ს. 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-2 ს. 01.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"სამის გარჩევები პატარა ტოკიოში"** 15.10 მხ. ფილმი **"ლემანჟიანი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მოსაწონი გახსენება"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"კაზინო"**

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"დოქტორ მამფორდი"** მთ. როლებში ლორენ დინი, ჰოუპ დევისი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო **"ბლანში"** მთ. როლებში ლუ დუაიონი, ჟან როშფორი. 01.40 ფილმი ღამურა **"მორევი"** მთ. როლ-ში დმიტრი მარიანოვი, ქსევოლოდ შილოვსკი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 12.50 მხ. ფილმი **"დარტყმის ზონა"** 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"ეშმაკთა სამოთხე"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ. ფილმი **"კარიერა"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"ინტრევიდი"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 სათავგადასავლო ფილმი **"ჯუმანჯი"** 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 კომედია **"სამი მამაკაცი და პატარა ლედი-3"** 13.55 მხატვრული ფილმი **"კარატე კაკალი-3"** 16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ქიანჭველა ანტცი" 17.40 კომედია **"მასწავლებელი და ურჩხული"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.50 მხატვრული ფილმი **"ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა"** 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15 "ალტერნატივა" 01.10 მხატვრული ფილმი **"სასიყვარულო ვნება"** 03.30 მხატვრული ფილმი **"და, მთელი სამყარო არაფერია"**

07.00 "Äîáðîå óòðî!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Íîâîñòè 10.15 Ñåðèàë "ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÅÑ, ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÀÑÒÂÈÙÍ" 11.10 Êîìåäèÿ "ÁÐÅÉÊÈ Ñ ÑÀÁÐÈÍÎÉ" 12.35 Äèñíåé-êëóá: "Ëèëî è Ñòè÷" 13.15 Õóä.ôèëüì "ÊÐÓÃ" 15.00 "Òóðèñòè÷åñêèé àíòóðàæèñò". 15.30 "Íîâûé äåíü". "Ãåíèè è çëîäåè". Ñâîÿ Ìîðîçîâà 16.15 Äîê.ñåðèàë "Äèêèå øóò÷èê" 16.55 Õóä.ôèëüì "ÆÅÍÙÈÍ ÑÅÐÄÖÀ" 18.00 "Áîëüøàÿ ñòèðêà" 19.25 Ñìåõîïàíîðàìà 20.00 Ñåðèàë "ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÅÑ, ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÀÑÒÂÈÙÍ" 21.00 "Ðóññêàÿ ðóëåòêà" 22.00, 00.30 Âðåìÿ 22.40 Ñåðèàë "ÑËÅÄÎÂÀÒÅËÜ" 23.45 "Òàéíû âåêà" 01.00 "Íîâûé äåíü". "Òàéíèêè íåàäåêâàòíîñòè" 01.30 ×åëîâåê è çàêîí ïî ëûæíîìó ñïîðòó 02.00 "Àïîêàëèïñ" 03.00 Íîâîñòè "ÍÀÓÄÀÆÅÌÛÉ".

06.45 Äîáðîå óòðî, Ðîññèÿ! 09.45 Ñåðèàë "Ëåãè Ìýð" 10.40 Ñåðèàë "ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Âåñòè 12.20 "Ïóòåâ Âãëàõ Êèíîèå". "ÍÎÍ" 13.20 Ñåðèàë "ÒÅÒÀÍÚÛ" 14.15, 17.45 Ýêñïåäèöèÿ 14.30 Ìîñêâà-Ìèíñê 14.45 Âåñòè-Ìîñêâà 15.20 "×òî õî÷åò æåíùèíà" 16.10 Ñåðèàë "ÒÐÎÉ ÏÐÎÒÈÂ ÂÑÅÕ" 17.15 Ñåðèàë "ÏÐÎÑÒÛÅ ÈÑÒÈÍÛ" 18.20, 20.50 Âåñòè. Äåæóðíàÿ ÷àñòü 18.50, 02.55 Äîðîæíûé ïàòðóëü 19.05, 00.20 Âåñòè-Ñïîðò 19.20, 21.30 Ìåñòíîå âðåìÿ. Âåñòè-Ìîñêâà 19.50 Ñåðèàë "ÊÎÌÈÑÑÀÐ ÐÅÊÑ" 21.50 Ñïîêîéíîé íî÷è, ìàëûøè! 21.55 Ñåðèàë "Ëåãè Ìýð" 22.50 Ñåðèàë "ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 23.50 "Âåñòè+" 00.30 Äåòåêòèâ "ÄÅÌÎÍÛ ØÀÕÀ"

## ხუთშაბათი 27 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"საგანგებო მდგომარეობა 2"** 11.40 დოკ. სერიალი "კონფლიქტი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "მთელი სამყარო ბაზრები" 15.15 მხ. ფილმი **"შემოქმედი"** 17.00 დოკ. სერიალი "წყვილები და დღეები" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 22.25 "საქართველო არის ქვე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"ოიდიპოს მეფე"** 01.35 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შეიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"მარიკ და სადი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"ქსენა პრინცესა მეომარი ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"განრისხებული ფანტომასი"** მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე 02.10 კლასიკა

08.00 ანონსი, ახლავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** 1-ლი ს. 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-2ს. 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-3 ს. 00.55 მხ.ფ. **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-4 ს. 02.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"კაზინო"** 15.30 მხ. ფილმი **"ეონები"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მარჯინის ოთახი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"**

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ადამიანები შავებში-2"** მთ. როლში ტომი ლი ჯონსი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"ისეთი არაფერი მგზავრობა"** მთ. როლებში სტივ ზანი, პოლ უოკერი. 01.45 ფილმი ღამურა **"ჩვენ ვიყავით ჯარისკაცები"** მთ. როლში მელ გიბსონი, მედლინ სტოუ. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 12.45 მხ. ფილმი **"ინტრევიდი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 დოკ. ფილმი "კანი, 400 დარტყმა" 1-ლი ნ. 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.10 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"მაღალი ძაბვა"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია **"სამი ძმაკაცი"** 10.50 დოკუმენტური ფილმი 12.10 ისტორიული ფილმი **"მამაცი გული"** 15.00 დოკუმენტური ფილმი 16.10, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ანასტასია" 17.20 მხატვრული ფილმი **"დათვი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პირისპირ" 20.20 კომედია **"ვეფხვების მომთვინიერებელი"** 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 დრამა **"მარჯინის ოთახი"** 03.30 მელოდრამა **"მოსაფიქრებელი ვარსკვლავები"**

07.00 "Äîáðîå óòðî!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Íîâîñòè 10.15, 20.00 Ñåðèàë "ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÅÑ, ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÀÑÒÂÈÙÍ". 11.10 Ñåðèàë "ÑËÅÄÎÂÀÒÅËÜ" 12.05 Ñìåõîïàíîðàìà 12.35 Äèñíåé-êëóá: "×óäåñíûé ïëàù" 13.15 Õóä.ôèëüì "ÌÈÑÒ ÝÒÎ ÍÀ ÊÀÑÀÒÅËÜ" 15.00 "Áîëüøàÿ ñòèðêà". Ìàøèíà Âðåìåíè. 15.30 "Íîâûé äåíü". "Òàéíû íåàäåêâàòíîñòè" 16.15 Äîê.ñåðèàë "Äèêèå øóò÷èê" 16.55 Õóä. ôèëüì "ÕÎÇßÉÊÀ ÃÎÑÒÈÍÈÖÛ" 18.00 "Áîëüøàÿ ñòèðêà" 19.25 Ñàìè ñ óñàìè 21.00 "Ñëàáîå çâåíî" 22.00, 00.30 Âðåìÿ 22.40 Ñåðèàë "ÑËÅÄÎÂÀÒÅËÜ" 23.40 ×åëîâåê è çàêîí 01.00 "Íîâûé äåíü". "Êðûëüÿ" 01.30 "Íîâûé äåíü". "Íàøè â Ãîëëèâóäå" 02.00 "Àïîêàëèïñ" 03.00 Íîâîñòè "ÍÀÓÄÀÆÅÌÛÉ".

06.45 Äîáðîå óòðî, Ðîññèÿ! 09.45 Ñåðèàë "Ëåãè Ìýð" 10.40 Ñåðèàë "ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Âåñòè 12.20 Ñåðèàë "ÏÓÀÐÎ ÀÃÀÒÛ ÊÐÈÑÒÈ. ÏÐÎÏÀÂØÈÅ Â ÌÎÐÅ" 13.20 Ñåðèàë "ÒÅÒÀÍÚÛ" 14.15, 17.45 Ýêñïåäèöèÿ 14.30 Âñÿ Ðîññèÿ 14.45 Âåñòè-Ìîñêâà 15.20 "×òî õî÷åò æåíùèíà" 16.10 Ñåðèàë "ÒÐÎÉ ÏÐÎÒÈÂ ÂÑÅÕ" 17.15 Ñåðèàë "ÏÐÎÑÒÛÅ ÈÑÒÈÍÛ" 18.20, 20.50 Âåñòè. Äåæóðíàÿ ÷àñòü 18.50, 02.50 Äîðîæíûé ïàòðóëü 19.05, 00.20 Âåñòè-Ñïîðò 19.20, 21.30 Ìåñòíîå âðåìÿ. Âåñòè-Ìîñêâà 19.50 Ñåðèàë "ÊÎÌÈÑÑÀÐ ÐÅÊÑ" 21.50 Ñïîêîéíîé íî÷è, ìàëûøè! 21.55 Ñåðèàë "Ëåãè Ìýð" 22.55 Ñåðèàë ""ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 23.50 "Âåñòè+" 00.30 Õóä.ôèëüì "ØÒÎ ÌÎÐß"

## პარასკევი 28 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"ოიდიპოს მეფე"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი **"ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"** 16.45 დოკ. სერიალი "კონფლიქტი" 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"ამფითრიონი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 საქართველო არის ქვე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"ქსენა პრინცესა მეომარი ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"დაკარგული მელოდია ფლეიტისათვის"** მთ. რ-ში: ლეონიდ ფილატოვი 02.10 მხ. ფილმი **"ნათლია 2"** მთ. როლებში: რობერტ დე ნირო, ალ პაჩინო 04.00 კლასიკა

08.00 ანონსი, ახლავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-3ს. 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ. ფილმი **"ანჟელიკა მარკიზა ანგელოზთა"** მე-4ს. 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 "ნაცნობი უცნობი ამბები" 20.00 მხ.ფ. **"როკის მეფეები"** 22.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 02.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** 14.40 მხ. ფილმი **"ტუუკები"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ფლიუპი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"**

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"მოუქნელნი"**. მთ. როლებში სტივ ზანი, ჯეფ გოლდბლიუმი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ვნება"** მთ. როლებში რიჩარდ გირი, დაიანა ლეინი 02.15 ფილმი ღამურა **"ქარიშხალი"** მთ. როლებში კასპერ ვან დიენი, რობერტ ინგლუნდი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.35 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 14.15 "ჩემი ქვეყანა" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" 1-ლი ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"მაღალი ძაბვა"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ. ფილმი **"გველის შვილი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი **"პატარა პატრიოტი"** 12.15 სათავგადასავლო ფილმი **"აფერა"** 14.35 კომედია **"ფორტუნა"** 16.15 მულტფილმი 17.35 ისტორიული დრამა **"ფარიზაოზის მასწავლებელი"** 19.00 საინფორმაციო გამოშვება 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "პრესდაიჯესტი" 19.30 მუსიკა 20.00 დრამა **"რომეო და ჯულიეტა"** 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.40 "გალერეა" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.55, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "ალტერნატივა" 01.00 მხატვრული ფილმი **"ასეც ბუშუნის"** 03.30 კომედია **"ჰარლემის ღამეები"**

07.00 "Äîáðîå óòðî!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Íîâîñòè 10.15, 20.00 Ñåðèàë "ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÅÑ, ÇÂÅÇÄÍÛÉ ÏÀÑÒÂÈÙÍ". 11.05 Ñåðèàë "ÑËÅÄÎÂÀÒÅËÜ" 12.05 ×åëîâåê è çàêîí 12.40 "Ôàêòåíûñ" 13.15 Õóä.ôèëüì "ÍÀÇÍÀ×ÅÍÈÅ" 15.00 "Êóìèðû". Ð.Äàíåëÿ 15.30 "Íîâûé äåíü". "Êðûëüÿ" 16.15 Äîê.ñåðèàë "Äèêèå øóò÷èê" 16.55 Õóä.ôèëüì "ÕÎÇßÉÊÀ ÃÎÑÒÈÍÈÖÛ" 18.00 "Áîëüøàÿ ñòèðêà" 19.25 Äîê.ôèëüì "Çàïîìíèòå ëþáîâü" 20.50 "Ïîëå ÷óäåñ" 22.00 Âðåìÿ 22.35 Êîíöåðò À. Óòåñîâà 00.20 Òðèëëåð "ÏÎÑËÅÄÍÈÉ ÒÀÍÅÖ" 02.20 Õóä. ôèëüì "ÓÁÅÉ ÌÅÍß ÍÅÆÍÎ"

06.45 Äîáðîå óòðî, Ðîññèÿ! 09.45 Ñåðèàë "Ëåãè Ìýð" 10.40 Ñåðèàë "ÊÎÁÐÀ. ×ÀÐÎÂÍÛ ÊÐÎÂÜ" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Âåñòè 12.20 Â ïîèñêàõ ïðèêëþ÷åíèé 13.20 Ñåðèàë "ÒÅÒÀÍÚÛ" 14.15, 17.45 Ýêñïåäèöèÿ 14.30 Ìóëüòôèëüìû 14.45 Âåñòè-Ìîñêâà 15.20 Ìîÿ ñåìüÿ 16.15 Êîìåäèÿ ñìåõà 17.15 Ñåðèàë "ÏÐÎÑÒÛÅ ÈÑÒÈÍÛ" 18.20 "Ñàì ñåáå ðåæèññåð" 19.20, 21.30 Ìåñòíîå âðåìÿ. Âåñòè-Ìîñêâà 19.50 Àíøëàã 20.50 Âåñòè. Äåæóðíàÿ ÷àñòü 21.50 Ñïîêîéíîé íî÷è, ìàëûøè! 21.55 Êîíöåðò Ë.Ëåùåíêî 23.30 Õóä.ôèëüì "ÂÅÐÒÎÏÎËÜÍÎÑÒÜ" 02.40 ×åëîâåê è çàêîí ïî ëûæíîìó ñïîðòó. 04.35 Äîðîæíûé ïàòðóëü

## შაბათი 1 მარტი

08.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ამფითრიონი"** 09.40 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლაზარაცებულადათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "კონფლიქტი" 11.55 "გლობუსი" 12.25 "მეტრო" 13.00 კვალი 13.30 დოკ. სერიალი "ცეცხლის ისტორია" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი **"ქარიანი ღამე"** 16.45 საწინდარი 17.15 "შემოქმედებითი პორტრეტი" ს. წერეთელი 17.40 რეალური სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.40 "ფორტუნა" 21.15 სერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი **"ალორქინების ეპოქის ადამიანი"** 02.30 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ბუდარია 21.40 მხ. ფილმი **"ბნელი წარსული"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"ყველაზე ლამაზი"**. 01.15 მხ.ფ. **"ისტორია იქსი"** მთ. რ-ში: ედვარდ ნორტონი 03.20 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, ახლავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"როკის მეფეები"** 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 15.20 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.30 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 22.30 მხ.ფ. **"ბლანში"** 00.00 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 01.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"** 14.20 მხ. ფილმი **"ბრონქსის ისტორია"** 16.20 მხ. ფილმი **"უჭკანასკნელი მეტრო"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 22.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 00.20 მხ. ფილმი **"შოკოლადი"**

09.00 განმ. რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცხოური 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"ო, ძმაო სად ხარ"** მთ. როლ-ში ჯორჯ კლუნი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ძარცვა"** მთ. როლში ჯინ ჰეკმანი, დენი დე ვიტო 01.50 ფილმი ღამურა **"პელოტონი-3"** მთ. როლში ჯეიმი ლი კერტისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.45 მხ. ფილმი **"გველის შვილი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"** 18.00 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 21.00 დოკ. მუს. ფილმი "იგლზი" მე-2 ნ. 22.00 მარიონეტების ფილმი **"სოჩალები"** 1-ლი ს. 22.15 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი **"კოლექი"** 77-83-28 2. მხ. ფილმი **"რითმი"** 77-83-29 3. მხ. ფილმი **"უსახო"** 77-83-30

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მულტფილმი 09.40 საბავშვო ფილმი "პიფ, პაფ, ვაი, ვაი, ვაი" 12.15 მხატვრული ფილმი **"გუსარების ესკადრონი"** 1-2 სერია 15.00 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.40 კომედია **"ლიფტიდან მარცხნივ"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "ყველანი ვართ პატარები" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.55 მელოდრამა **"შემოდგომის ლეგენდა"** 22.40 "პრესდაიჯესტი" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00 «Ñëî âî» 01.00 მელოდრამა **"ამერიკელი პრეზიდენტი"** 03.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"**

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Íîâîñòè 08.10 Ñåðèàë "Ôèëèïïåð" 08.55 Ñåðèàë "Òàèíèíñ" 09.15 Èãðàé, ãàðìîíü ëþáèìàÿ! 09.55 Ñëîâî ïàñòûðÿ 10.10 Çäîðîâüå 11.10 "Ñìàê" 11.30 "Ñìåõîïàíîðàìà" 12.05 "Ïóòåøåñòâèÿ íàòóðàëèñòà" 12.35, 13.05 "Íîâûé äåíü" 13.35 Êðåìëü-9. "Ïîäðîñòêè "Äèêèå" 14.35 Äèñíåé-êëóá: "Áàçç è åãî êîìàíäà" 15.10 ×òîáû ïîìíèëè 15.50 Óìíèöû è óìíèêè 16.20 "Íîâûé äåíü" 16.50 Õóä.ôèëüì "ÁÓ× ÊÝÑÑÈÄÈ È ÑÀÍÄÀÍÑ ÊÈÄ" 19.25 Øóòêà çà øóòêîé 19.55 "Êòî õî÷åò ñòàòü ìèëëèîíåðîì?" 21.00 "Ïîñëåäíèé ãåðîé 3" 22.00 Âðåìÿ 22.25 Íîâîñòè "ÄÂÎÉÍÎÉ ÏÐÎÑ×ÅÒ" 00.30 Òðèëëåð "ÏÎÑÒÎÐÇ" 02.30 Ëûæíûé ñïîðò. 03.25 Ðàäèîíàÿ ìóçûêà

07.20 Õóä.ôèëüì "ØÀÕ ÊÎÐÎËÅÂÅ ÁÐÈËËÈÀÍÒÎÂ" 08.45 Ìóëüòñåðèàë "Äæóìàíäæè" 09.10 Ñòóäèÿ "Çäîðîâüå" 09.40 Çîëîòîé êëþ÷ 10.00 ÒÂ Áèíãî-øîó 10.25 "Âîëøåáíûé ìèðãîëåíà" 10.45 Óòðåííÿÿ ïî÷òà 11.25 "Ñòî ê îäíîìó" 12.15 "Ñàì ñåáå ðåæèññåð" 13.15 Â ïîèñêàõ ïðèêëþ÷åíèé 14.10 Êëóá ñåíàòîðîâ 15.00, 21.00 Âåñòè 15.20 Äåòåêòèâ "ÊÎÐÎËÅÂÀ ÁÅÇÊÎÍÅ×ÍÎÑÒÈ" 16.50 Êèíîìèñòåðèè Ã. Ñêîðîõîäîâà 17.00 Êîìåäèÿ "ÏÅÐÅ "Á" 19.00 Ìîÿ ñåìüÿ 20.00 Àíøëàã 21.25 Çâåçäíûé 21.50 "×åñòíûé äåòåêòèâ" 22.15 Þìîðèñòè÷åñêèé êîíöåðò 23.25 Õóä.ôèëüì "ÈÑÊÓÑÑÒÂÎ ÂÎÉÍÛ" 01.40 Õóä.ôèëüì "ÄÎÌ ÑÒÀËÈÍÛÅ"

## კვირა 2 მარტი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ხუმრობა"** 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრესსტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 დოკ. სერიალი "აეროფუსი" 16.30 სპექტაკლი "ძველი სამრეკლო" 17.40 ტელეზღაპარი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ფრაგმენტები სურათისათვის" 18.50 პალიტრა 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** 22.15 ქართ. მხ. ფილმი **"თბილისი ჩემი სახლია"** 23.50 ტაიმ-აუტი 00.20 მხ. ფილმი **"ჯონი მნემონიკი"**

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შეიდეული 23.00 მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 00.40 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ველური ამბები 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო 22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჯუდი"** 8 77 45-79-25 კეით უინსლეტი, კრისტოფერ ეკლსტონი. **"დატინვა"** 8 77 45-79-26, ჟან როშფორი, ფანი არდანი. **"ძალაუფლება, ვნება და მკვლელობა"** 8 77 45-79-27 მიშელ პფაიფერი, ბრაიან კერვინი. 00.50 მხ.ფ. **"იმპერატორი და მკვლელი"** მთ. როლებში: ჩენ კაიგე, გუნ ლი. 03.30 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ახლავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი **"ბლანში"** 10.20 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"კოსმოსის ტყვეობაში"** 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. **"მაცდურის დღიური"** 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 13.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 15.00 მხ. ფილმი **"ბენ გური"** 18.30 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"მრბოლელი"** 00.10 მხ. ფილმი **"ყვავი"**

10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"მაკჰეილის ფლოტი"** მთ. როლებში ტომ არნოლდი, ტიმ კარი. 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო **"ტეხასის მეფე"** მთ. როლში პატრიკ სტიუარტი 01.40 ფილმი ღამურა **"დოქტორ მოროს კუნძული"** მთ. როლებში ველ კილმერი, დევიდ ტიულისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** 11.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 12.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 12.50 რუს. მხ. ფილმი **"ალექსანდრე ნეველი"** 14.55 მხ. ფილმი **"რითმი"** 16.35 მულტფილმი "სამყაროს შექმნა" 17.05 მხ. ფილმი **"სისხლიანი დანაშაული"** 19.00 გადაცემა "ბელისიმო" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 გადაცემა "ოსტატები" 20.40 დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-2 ს. 22.00 მარიონეტების ფილმი **"სოჩალები"** 1-ლი ს. 22.15 მხ. ფილმი **"ჩრდილში"** 00.20 მხ. ფილმი **"ჯოჯოხეთში მიმავალი მატარებელი"**.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 «Ñëî âî» 10.00 საბავშვო ფილმი **"ჰაერის კვირტი-4"** 11.45 "ყველანი ვართ პატარები" 12.15 თრილერი **"პერლ-ჰარბორი"** 15.10 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.45 კომედია **"კავკასიელი ტყვე ქალი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"** 22.30 «Í î âî ñòè â î âî ñòðåâî ìó» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Í î âî ñòè â î âî ñòðåâî ìó» 00.40 თრილერი **"ძველი ბიჭები"** 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი **"აფერა"**

08.00, 11.00, 15.00 Íîâîñòè 08.10 Ñåðèàë "Ôèëèïïåð" 09.00 Ñåðèàë "Òàèíèíñ" 09.25 Ñëóæó Ðîññèè 09.55 Äèñíåé-êëóá 10.15 Â ìèðå æèâîòíûõ 11.10 "Íåïóòåâûå çàìåòêè" 11.30 "Ïîêà âñå äîìà" 12.20 Äîã-øîó 13.05 "Êëóá ïóòåøåñòâåííèêîâ" 13.45 Êðåìëü-9. 14.35 Äèñíåé-êëóá 15.10 Âèàíòàëèí âåóñà 16.05 "Áîëüøàÿ ðîìàíòèêà" À. Ïîêðîâñêîãî 16.35 ÊÂÍ-2003 19.00 Âðåìåíà 20.10 Þìîðèñòè÷åñêèé êîíöåðò 22.10 Íîâîñòè "ÌÈÐÎÒÂÎÐÅÖ" 00.25 Íîâ. Äæîí Ðåèñ – Ðîè Äæîíñ 01.25 Õóä.ôèëüì "ÀÌÈÑÒÀÄ"

07.25 Õóä.ôèëüì "ÏÐÅÄÏÎËÎÆÈÌ ÒÛ ÊÀÏÈÒÀÍ" 08.25 Ìóëüòñåðèàë "Äæóìàíäæè" 09.10 Ðóññêîå ëîòî 10.00 "Íàáðîñêè Ðîññèè" 10.35 Âåñòè-Ìîñêâà 11.15 Óòðåííèé ðàçãîâîð 11.45 Â "Ãîðîäêå" 12.15 Êîìåäèÿ "ÇÂÅÇÄÀ ÀÊÀÄÅÌÈß" 14.10 Ïàðëàìåíòñêèé ÷àñ 15.00 Âåñòè 15.20 Âîêðóã ñâåòà 16.15 Äèêèå è æèâîòíûõ 17.20 Ìèð íà ãðàíè 17.55 Êîìåäèÿ ñìåõà 18.50 Õóä.ôèëüì "ÔÀÍÒÎÌ" 20.50 Â "Ãîðîäêå" 21.00 Âåñòè íåäåëè 22.10 Ñïåöèàëüíûé êîððåñïîíäåíò 22.35 Õóä.ôèëüì "×ÅÐÍÛÉ ÏÅÑ" 00.25 Õóä.ôèëüì "ÏÓÍÊÒ ÍÀÇÍÀ×ÅÍÈß" 02.20 Êèíîñêîï



## თარაზულად:

5

საპოხი მასალა მევიოლინესათვის

6

ლანა ღოღობერიძის ფილმში იგი პირად საკითხებზე იყო

9

რაიმე დადგენილების წინასწარი, სავარაუდო ტექსტი

10

სიცოცხლეში ფენომენალურად პოპულარული ევიტას გვარი

11

მარჯვე, ეფექტური ილეთი

15

ერთადერთი მეცნიერება, რომელიც 50%-იანი ცდომილებით „მუშაობს“

17


სასმელი, რომლის წარმომავლობა სადავოა ირლანდიელებსა და შოტლანდიელებს შორის

18

ფეხის მოხრის ადგილი

19


სისტემის ან პროცესის მახასიათებელი სიდიდის ყველა მნიშვნელობის ერთობლიობა

20


კოქტეილ „მარტინის“ აუცილებელი კომპონენტი

24

„სათვალიანი“ ქვეწარმავალი

25

ქვეყნის შეიარაღებულ დამცველთა ერთობლიობა

26

„დამკვირვებელი“

29
ქალი, დედაკაცი (ძვ)

32

მეზობლების დამაახლოებელი სამაგიდო თამაში

33

ფორტეპიანოს სახეობა, რომელსაც დეკა და სიმები ვერტიკალურად აქვს განლაგებული

34

მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კაცობრიობის მცდელობას, გააუარესოს დედამიწაზე სიცოცხლის პირობები

35

წყალსაღებავებით შესრულებული ნახატი

## შვეულად:

1

მოწყობილობა

2

ნახატის სახელწოდება

3

კატის ნაშიერი

4

არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახეთაგანი

5

ერთგვარი საგნების კრებული

7

მეტისმეტად ღრმა, თვალუწვდენელი ხევი

8

დამზადების წესი

12

ხორცის ნაჭერი, რომელიც ინგლისელებს „სისხლიანი“ უყვართ

13

დიდ წყალსაცავს, სადაც აშენებენ თევზებს, წყლის ცხოველებსა და წყალმცენარეებს, ისეთივე სახელი აქვს, როგორიც წყლიან პატარა შემინულ ყუთს

14

სამეფო კვერთხი

16

რაიმე მცენარის მოყვანა, გაშენება, კულტივირება

21

ცხოველთა მხოცავი

22


დადებითად დამუხტული მცირე ნაწილაკი

23

ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც თავისი სიმღერებით ხიბლავდა, სახიფათო ადგილებში იტყუებდა და ღუპავდა მეზღვაურებს

27

მწერი, რომლის გამოჩენასაც ტაშისკვრით ხვდებიან

28

სისხლის ყველაზე მშვიდობიანი „გამცემი“

30

ქვეყანა, სადაც იმყოფებოდა ისტორიული ქალაქი — პალმირა

31

მსახიობ ემეს სახელი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №3 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. დირიჟორი; 6. შეზლონგი; 9. ლიცეუმი; 10. კაიუტა; 11. ავარია; 15. მინანქარი; 17. ობობა; 18. ბუერი; 19. საშხაპე; 20. ხანძარი; 24. გრილი; 25. ანაპა; 26. ინტეგრალი; 29. ნიჩაბი; 32. ბაზარი; 33. სახსარი; 34. ანატომია; 35. ესტაკადა.

**შვეულად:** 1. ჟილეტი; 2. არშია; 3. ჩექმა; 4. მოტივი; 5. დებატები; 7. იუპიტერი; 8. რემონტი; 12. მილსადენი; 13. ღრიანკალი; 14. ებრაელი; 16. გუდრონი; 21. პრემიერა; 22. ჯაგრისი; 23. ეპიგრამა; 27. აბორტი; 28. პამაკი; 30. კალია; 31. პრესა.

# მედიცინა



## ინდივიდუალური ვიტამინი

აფთიაქები სავსეა ვიტამინური და ვიტამინურ-მინერალური კომპლექსებით. რომელი ვიტამინი ამოვირჩიოთ? თუ ჯანმრთელობა შერყეული გაქვთ, ვიტამინების ამოსარჩევად ექიმს მიმართეთ. უნდა გაითვალისწინოთ საკუთარი ორგანიზმის მოთხოვნილებანი და იმ მედიკამენტების თვისებები, რომელსაც სვამთ ხოლმე.

თუ ჯანმრთელი ხართ, გაითვალისწინეთ თქვენი მდგომარეობა, ცხოვრების წესი და კვების რაციონი. თუ დიეტაზე ხართ, ეცადეთ სრული ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი ამოირჩიოთ — თვით ყველაზე ბალანსირებული დიეტის დროსაც კი, თქვენ ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებები გჭირდებათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანისთვის B, $B_6$, D, E, PP ვიტამინები და რკინა. კვების რაციონში პური, ის მარცვლოვანები და ბოსტნეული, რომლებიც შეიცავენ სახამებელს, შეუხამეთ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, კვერცხს, ხორცს და თევზს. თუ სპორტს აქტიურად მისდევთ, ორგანიზმი თავისუფალი რადიკალების გამომუშავებასააქტიურებს, რაც დაბერებას აჩქარებს. გაძლიერებული ოფლდენა იწვევს რკინის დაკარგვას. ორგანიზმის გასამაგრებლად დაგჭირდებათ ვიტამინები: C, E, $B_1$, $B_6$, PP და რკინა. დიეტაში აუცილებლად ჩართეთ მცენარეული ზეთი, რომელიც ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს შეიცავს და თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს. ენერგიას შეგმატებთ ბურღულეული, ბრინჯი, ხორცი, საქონლის ღვიძლი, თევზი.

სტრესის დროს ორგანიზმი ბევრ მაგნიუმს ხარჯავს. ასე რომ, თქვენი ვიტამინური კომპლექსი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მაგნიუმს. გარდა ამისა, გესაჭიროებათ რკინა და „B ჯგუფის“ ვიტამინები. რაციონში შეიტანეთ მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები: შოკოლადი, სოია, ნუში, თეთრი ლობიო, არაქისი, ოსპი, ღვიძლი და ა.შ.

***ორაკული №52***

## [illegible]

**რამდენად მისაღებია, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულმა ავადმყოფმა, რომელიც ინსულინზე იმყოფება, მიიღოს ასეთი ნაყენი: „თეთრი იასამნის ცხრა ცალი ფოთოლი ჩავდოთ ჩაის ჭიქაში, დავასხათ მდუღარე წყალი, შევახვიოთ ტილოში, გავაჩეროთ 24 საათი. გავწუროთ და ნაყენი გავყოთ სამ ნაწილად. მივიღოთ დილით, შუადღით და საღამოს, მნიშვნელობა არა აქვს ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ. ნაყენი მოამზადეთ ყოველდღე ახალ-ახალი ფოთლებით. მიღება გრძელდება ერთი კვირა. ამ დროს ინსულინის კეთება საჭირო არ არის. შაქარი საერთოდ აღარ ექნება ავადმყოფს“. გთხოვთ, განმიმარტოთ, როდის შეიძლება ფოთლების შეგროვება და ხმელი ფოთლები თუ გამოდგება.**

**ექიმის კომენტარი:** იასამანი ფარმაკოლოგიაში შეტანილი არ არის. თუმცა, ხალხური მედიცინის წყაროებში, ეთნოგრაფიულ მასალებში ვხვდებით მსგავს რეცეპტებს, მაგრამ თუ ადამიანს აქვს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, ყოვლად დაუშვებელია ზერელე, არასერიოზული მიდგომა დაავადებისადმი, თვითმკურნალობის მეთოდების გამოყენება სისხლში შაქრის დონის მკაცრი კონტროლის გარეშე. იასამნის ფოთლების ნაყენს მართლაც აქვს შაქრის დამაქვეითებელი ეფექტი, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება ეს პროცესის სრული კომპენსირებისთვის ინსულინის გარეშე, ამის განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ, ნაყენის მიღების პროცესში რეგულარულად უნდა გაიკონტროლოთ შაქარი სისხლში და თუ მისი მაჩვენებელი დაკლებას დაიწყებს, ექიმ-ენდოკრინოლოგთან შეთანხმებით შეგიძლიათ თანდათანობით შეამციროთ ინსულინის დოზა, მაგრამ მისი თვითნებურად მოხსნა დაუშვებელია. იასამნის ფოთლები შეაგროვეთ ყვავილობის პერიოდში, გააშრეთ ჩრდილში, ღია ადგილას ისე, რომ არ გაყვითლდეს. ასე შეინახეთ ზამთრისთვის და საჭიროების დროს გამოიყენეთ.




## გრიპის ეპიდემია

გრიპს იწვევს გრიპის A, B და C ვირუსები და მათი ვარიანტები. ამავე დროს ის, რასაც ჩვენ „გაცივებას“ ან გრიპისმაგვარ დაავადებებს ვეძახით (მწვავე რესპირატორული ინფექციები), შეიძლება გამოწვეული იყოს 200-ზე მეტი სხვადასხვა ვირუსის მიერ და ძალიან იშვიათად — ბაქტერიებით. ამიტომაც, მათ სამკურნალოდ ანტიბიოტიკები უშედეგოა. მოზრდილები „გაცივებით“ წელიწადში 2-4-ჯერ, ხოლო პატარები 6-10-ჯერ შეიძლება გახდნენ ავად.

დღეისთვის მსოფლიოში უმთავრესად გავრცელებულია გრიპის A ქვეტიპის ვირუსები, რომლებიც ანტიგენურად A-მოსკოვი-99-ის და A-პანამა-99-ის მსგავსია და ასევე B ტიპის ვირუსები. მსოფლიოში გრიპის სიტუაციის შეფასების საფუძველზე ჯერ კიდევ ნოემბერში ვარაუდობდნენ, რომ საქართველოში გრიპის ავადობის მატებას ზამთრის სეზონში A და B ვირუსები გამოიწვევდა. ავადობა ძირითადად მოსალოდნელია ბავშვთა კონტინგენტში, ვისაც წინა სეზონებში გრიპი არ გადაუტანია.



ადამიანის ორგანიზმში ვირუსის მოხვედრიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლინებას სჭირდება 11-48 საათი (მაქსიმუმ 5 დღე). დაავადების დასაწყისი „მწვავეა“, ავადმყოფობა გადამდებია ინკუბაციური პერიოდის ბოლოდან.

გრიპის გაურთულებლად მიმდინარეობისას, 1-4 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება, ხოლო მე-5-10 დღის ბოლოსთვის იწყება გამოჯანსაღება. გადატანილი ინფექციის შემდეგ 14-20 დღე შეიძლება შენარჩუნდეს სხვადასხვა ხარისხის სისუსტე, ადვილი დაღლა, გაღიზიანება.

გრიპის დროს ანთებითმა პროცესმა შეიძლება მოიცვას მთელი სასუნთქი სისტემა, ცხვირის ღრუს ლორწოვანიდან — უწვრილესი ბრონქების ჩათვლით.

**ფარინგიტი** — ყელის ანთება. დამახასიათებელია ფხაჭნის შეგრძნება ყელში, წამოხველება, ზედაპირული ხველა.

**ლარინგიტი (ხორხის ანთება)** — დამახასიათებელია მშრალი, ხშირ შემთხვევაში შეტევითი მტანჯველი ხველა, ხმის ჩახლეჩა.

**ტრაქეიტი** — ტრაქეის ანთება. დამახასიათებელია მშრალი ან სველი ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის უკან.

**ბრონქიტი** — ბრონქების ანთება. სველ ხველასთან და ნახველთან ერთად ვლინდება ხიხინი ფილტვებში სუნთქვის დროს. სველი ხიხინი მოისმინება უბრალოდ, ყურითაც.

### გართულებები

**ფილტვების ანთება:** ვლინდება თითქმის ყოველ მე-10 ავადმყოფში. რაც უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება, მით მეტი სიმპტომი გამოუმჟღავნდება ავადმყოფს. მათი გამოვლენის ხარისხი დამოკიდებულია გრიპის მიმდინარეობის სიმძიმეზე.

გარდა „ტრადიციული“ ნიშნებისა, გრიპის მძიმე მიმდინარეობისას შეიძლება გამოვლინდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები: მენინგიალური სიმპტომები (ხშირად ქრება 1-2 დღეში), ენცეფალოპათია, იშვიათად — თავის ტვინის შეშუპება.

**სახიფათო სიმპტომები:** გულისრევა, ძლიერი თავის ტკივილი, კანის მგრძნობელობის დარღვევა (ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება), მზარდი ტემპერატურა, გონების დაკარგვა, კრუნჩხვა (ბავშვებში).

**ბავშვებში სუნთქვის სიხშირე 1 წუთში:**

0-დან 2 თვემდე — 60
2-დან 12 თვემდე — 50
1-დან 3 წლამდე — 40

უარის თქმა საკვებსა და ნებისმიერ სითხეზე, ძილქუში ან უძილობა, შფოთვა, ციანოზი (ტუჩებისა და კანის გალურჯება). ამ დროს სასწრაფოდ საჭიროა ექიმის კონსულტაცია.

### როგორ მოვიქცეთ?

**იმუნომაკორექტირებელი პრეპარატები:** რეკომენდებულია უპირველესად მათთვის, ვისაც აქვთ იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. გამოიყენება: C, A და B ჯგუფის ვიტამინები.

**დიბაზოლი** არის იმუნომოდულატორი. იგი ზრდის ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობას და გამოირჩევა ანთების საწინააღმდეგო და წნევის დამწევი მოქმედებით. მიიღება 10 დღის მანძილზე შემდეგი დოზებით: 1-3 წლის ასაკში 0,002გ; 4-6წ. — 0,004; 7-14წ. — 0,013გ; მოზრდილთათვის 0,02გ დღეში.

### მცენარეული ადაპტოგენები:

**ელეუტეროკოკის ექსტრაქტი** — მიიღება 25-30-დღიანი კურსით მოზრდილთათვის 20-30 წვეთი 2-3-ჯერ დღეში, ბავშვებისთვის 1-2 წვეთი 2-ჯერ დღეში.

**არალიას ნაყენი** — ერთი წლის ასაკის ბავშვებს — 1-2 წვეთი დღეში ერთხელ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, 2-3 კვირის განმავლობაში.

### ქიმიოთერაპია:

**რემანტადინი** — ოჯახში ან კოლექტივში პირველი ავადმყოფის გამოვლინებისას იწყება რემანტადინით პროფილაქტიკა. 1-2 აბს დღეში იღებს ოჯახის ყველა წევრი 27 დღის მანძილზე.

**არბიდოლი** — ანტივირუსულია, ზრდის ინფექციის მიმართ მდგრადობას. პროფილაქტიკის მიზნით ინიშნება ავადმყოფთან კონტაქტის დროს დღეში 0,2გ ჭამამდე, 10-14 დღე. ეპიდემიის დროს — 0,1გ ერთხელ დღეში ყოველ მე-3-4 დღეს, 3 კვირის განმავლობაში.

**გაითვალისწინეთ!**

არბიდოლი არ ენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის და თირკმლების თანმხლები დაავადებების მქონე ადამიანებს.

რემანტადინი კი არ შეიძლება ბავშვებისა და ორსულებისთვის.

**ოქსოლინის 0,25%-იანი მალამო** — გამიზნულია ცხვირის ღრუს ლორწოვანაზე წასასმელად. არ აქვს უკუჩვენება. რეკომენდებულია პროფილაქტიკისთვის.

**ინტერფერონი** — გამოიყენება განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ბავშვების გრიპისა და სხვა მწვავე რესპირატორული ინფექციებისგან დასაცავად. 0,25 მლ ან 5 წვეთი თითოეულ ნესტოში 2-ჯერ დღეში, 6-საათიანი ინტერვალით — 7-10 დღის მანძილზე.

***მაია მუხიგული***

სისხლში შაქრის საზომი აპარატები

100ც. ტესტ-ჩხირით – 170ლ.

ერთჯერადი ნემსები 50ც. — 3 ლ.

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎ 35-44-05;
899-19-60-55



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მქონდა გართულებული კუჭის წყლული. გამიკეთეს ოპერაცია. როგორი დიეტა უნდა დავიცვა ოპერაციის შემდეგ?**

***პატივისცემით, ალიოშა ბულბულაშვილი, თბილისი***

ნორმალურ მდგომარეობაში საკვები საყლაპავიდან კუჭში გადადის და იქ ჩერდება მონელებამდე. როცა კუჭის ნაწილი მოკვეთილია, საკვები საყლაპავიდან პირდაპირ ხვდება წვრილ ნაწლავში ისე, რომ სათანადოდ არ არის გადამუშავებული კუჭის წვენით. გარდა ამისა, იგი ძალიან სწრაფად იწყებს კონტაქტს წვრილი ნაწლავის წამწამოვან ეპითელიუმთან — შემწოვ აპარატთან. განსაკუთრებით იოლად შეიწოვება ნახშირწყლოვანი პროდუქტები (ტკბილეული, თაფლი, მურაბა და ა.შ.), რაც იწვევს სისხლში შაქრის დონის მერყეობას. გადაუმუშავებელი საჭმლის ნაწლავებში მოხვედრის გამო, ადამიანს აწუხებს სიმძიმის შეგრძნება და მუცლის შებერილობა, ხოლო ნახშირწყლების სწრაფი შეწოვის შედეგად ვითარდება თავის ტკივილი, ოფლიანობა, ძილქუში, სისუსტე, თავბრუსხვევა, ამიტომ საკვების მიღების შემდეგ რეკომენდებულია წამოწოლა.

საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ახალ პირობებთან თანდათანობით შესაგუებლად, იკვებეთ ხშირად (5-6-ჯერ დღეში), მცირე ულუფებით. შეზღუდეთ ტკბილეული; სითხე (კომპოტი, ჩაი, რძე) უნდა დალიოთ ჭამიდან 1 საათის შემდეგ, რათა კუჭი არ გადაიტვირთოს. ერთბაშად მიიღეთ მხოლოდ 200 მლ სითხე. განსაკუთრებით სასარგებლოა ცილები (უცხიმო ხორცი, თევზი, ქათამი, კვერცხი, ხაჭო, ყველი), ხილი, ბოსტნეული, წვენები. ოპერაციიდან პირველი 2-3 თვის განმავლობაში სასურველია ჭამოთ დანამცეცებული და გახეხილი პროდუქტები, ხოლო შემდგომ თანდათანობით გადადით ჩვეულებრივ საკვებზე.

**ჩემს 5 წლის გოგონას ხშირად აქვს თვალიდან ჩირქიანი გამონადენი. რით აღარ ვუმკურნალეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ განვკურნეთ. როგორ მოვიქცეთ?**

**ა.ა.**

აღნიშნული მკურნალობა არ გამოიღებდა შედეგს, თუ მანამდე არ ჩაგიტარებიათ ბავშვის კომპლექსური გამოკვლევა დიაგნოზის დასადგენად. რადგან ასეთი გამონადენი შესაძლოა მრავალი მიზეზის გამო გაჩნდეს. კერძოდ, ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი, პარაზიტული ინფექციების შედეგად. არ არის გამორიცხული, რომ დაქვეითებულია საცრემლე არხის გამავლობა, რაც ხელს უწყობს ინფექციის კერის განვითარებას. გირჩევთ, მიმართოთ თვალის სპეციალიზებულ კლინიკას, სადაც ჩატარდება ნაცხის ანალიზი და სხვა საჭირო გამოკვლევები, რის შემდეგაც დაგენიშნებათ კომპეტენტური მკურნალობა, რომელიც უკვე შედეგიანი აღმოჩნდება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

ლიხტენშტაინი

## სახელმწიფო — იჯარით?

თუკი გსურთ, თურმე მთელი სახელმწიფოს (მოსახლეობიანად და უძრავი ქონებით) იჯარით აღება შეიძლება. ლიხტენშტაინის ხელისუფლებამ ახლახან გამოაცხადა, რომ სურს იჯარით გასცეს თავისი დამოუკიდებელი და ნეიტრალური სამთავრო. მისი საერთო ფართი 160 კმ$^2$-ია, მოსახლეობა — 30 ათასზე მეტი. მეიჯარეებს შეუძლიათ დაასაქმონ სამთავროს ქვეშევრდომები, ქვეყნის ტერიტორია და უძრავი ქონება კი ისე გამოიყენონ, როგორც მოესურვებათ, რა თქმა უნდა, იმ დროის მანძილზე, რა ხნითაც სახელმწიფო აქვთ იჯარით აღებული. გამონაკლისს მხოლოდ ლიხტენშტაინის მთავარი და მისი ოჯახი წარმოადგენს — მეიჯარემ წარამარა არაფერზე არ უნდა შეაწუხოს ისინი. კონცეფცია, „იჯარით აიღე ქვეყანა", გაგრძელებაა პროგრამისა — „იჯარით აიღე სოფელი". ამ პროგრამას ახორციელებს ტურისტული ფირმა Xnet-ი ავსტრიის, გერმანიისა და შვეიცარიის პატარა ქალაქებში.

მსხვილი კომპანია, რომელიც იჯარით აიღებს ლიხტენშტაინს, მშვენიერ სარეკლამო ფართს მიიღებს. სამთავროში ვარაუდობენ, რომ ქვეყნის იჯარით აღება ძალიან დააინტერესებთ საერთაშორისო ფორუმების ორგანიზატორებს, რადგან ეს პაწაწინა ქვეყანა ფორუმის ჩატარების დროს შეიძლება დაიხუროს და ანტიგლობალისტებმა შიგ ცხვირი ველარ შეყონ. იჯარის საფასური კომერციული საიდუმლოა და თუ პროექტი მომგებიანი აღმოჩნდა, შეიძლება ლიხტენშტაინს ევროპის სხვა ქვეყნებმაც მიჰბაძონ.

*იტოგი №7*

დიდი ბრიტანეთი

## ბლერს კარგად ვერა აქვს საქმე

ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი ყოველმხრივ უჭერს მხარს ერაყში თეთრი სახლის პოლიტიკას. ამას კი შედეგად გაზეთ „მირორის" შეფასება მოჰყვა, — ლეიბორისტული პარტია კრახის წინაშეაო. დღეს ამ პარტიას მოსახლეობის მხოლოდ 30% უჭერს მხარს, დანარჩენი — წინააღმდეგია ამ ომში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობისა.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ნათელს ხდის, რომ ბლერი აშშ-ის მარიონეტია. ბრიტანეთში გამართულმა საპროტესტო აქციებმა პრემიერი აიძულა, ისეთი განცხადება გაეკეთებინა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. ამან გაზეთ „სანდი ტაიმსს" იმის საბაბი მისცა, რომ გამოექვეყნებინა სტატია — „ბლერმა თავისი საქმე გააკეთა. ახლა შეუძლია წავიდეს". სტატიაში აისახა ლეიბორისტთა წუხილი, ერთი მხრივ, ინგლისელებისა და მეორე მხრივ, თავისი პარტიის გამო. არჩევნები ხომ შორს აღარაა. ლეიბორისტთა ხელმძღ-



ვანელობა განსაკუთრებით იმან შეაწუხა, რომ ომის მოწინააღმდეგე დემონსტრანტები ქუჩებში გამოდიოდნენ ლოზუნგით „ლეიბორისტები — ომის გამჩაღებლები". ინგლისელები თავიანთი პრემიერის უკმაყოფილონი იმითაც არიან, რომ ბლერმა განაცხადა, — ჩვენი ჯარი ერაყში ომის დამთავრების შემდეგ კიდევ სამ წელიწადს დარჩება, რათა აღკვეთოს ქვეყნის დაყოფა ქურთების, სუნიტებისა და შიიტების სახელმწიფოებადო. ეს კი, ბრიტანელთა აზრით, ერაყის ოკუპაციას ნიშნავს.

*ლენტა რუ*

## «ნოვიე იზვესტია» დაიხურა



რუსეთის ყოველდღიური გაზეთის „ნოვიე იზვესტიის" კოლექტივმა შეწყვიტა გაზეთის გამოშვება. ეს გადაწყვეტილება რედკოლეგიის სხდომაზე მიიღეს. „ნოვიე იზვესტიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ოლეგ მიტვოლმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გაზეთის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი იგორ გოლემბიოვსკი. მას ჩამოერთვა ბეჭედი და ფინანსური საბუთები, შეიცვალა რედაქციის დაცვაც.

გაზეთის მეპატრონეს — ბორის ბერეზოვსკის, „ნოვიე იზვესტიის" აქციათა 76%-ის მფლობელს (რომელმაც ეს აქციები, როგორც მისი ნდობით აღჭურვილ პირს, ოლეგ მიტვოლს გადასცა), მიაჩნია, რომ მის საინფორმაციო საშუალებებზე შეტევა მომავალ არჩევნებს უკავშირდება. სავსებით ნათელია, რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რათა გასაქანი არ მისცეს ოპოზიციურად განწყობილ პრესას, მათ შორის „ნოვიე იზვესტიასო".

*ნტვ რუ*

## აშშ-მა ჩრდილოეთ კორეას ომი გამოუცხადა



კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უკვე ყველა ხერხი იხმარა, რომ აშშ როგორმე დაეთანხმებინა ფხენიანის ბირთვული პროგრამის თემაზე მოსალაპარაკებლად და თავდაუსხმელობის ორმხრივ პაქტზე ხელის მოსაწერად. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, არც მუქარამ უშველა და არც თხოვნამ. ერაყთან ომის მზადებაში გართული ამერიკა კორეასთან მოლაპარაკების არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს. ფხენიანმა არაერთხელ განაცხადა, — ამერიკა შეგნებულად ცდილობს დაძაბოს ურთიერთობა ორ კორეას შორის და არ აპირებს ისე მოიქცეს, როგორც ეს ეკადრება ცივილიზებულ სახელმწიფოსო. კიმ ჩენ ირის ადმინისტრაციის ვერსიით, ახლანდელი კონფლიქტის გამძაფრება სწორედ თეთრი სახლის ბრალია — ამერიკელმა მოხელეებმა იცრუეს, ფხენიანმა აღიარა, აკრძალულ ბირთვულ ცდებს ვატარებთო. მას მერე, რაც ვაშინგტონმა ეს საკითხი განსახილველად გაეროს უშიშროების საბჭოს გადასცა, კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განაცხადა, — სხვა რაღა დაგვრჩენია, 1953 წლის შეთანხმებიდან უნდა გამოვიდეთო.

სადღეისოდ ეს ხელშეკრულება ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ორ კორეას შორის მშვიდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ჩრდილოეთ კორეას ადრეც არაერთხელ გამოუცხადებია ხელშეკრულებიდან გასვლის სურვილი, მაგრამ ეს იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ სერიოზულად აღარავინ მიიჩნევდა. ამჯერადაც ასე მოხდა — მას არც ვაშინგტონი გამოხმაურებია, არც სეული.

ჩრდილოეთ კორეელთა განცხადება იმგვარადაა შედგენილი, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს, ფხენიანი გაეროს ყველა მოთხოვნას ასრულებს, ვაშინგტონი კი მას რაკეტებს უმიზნებსო. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილიც, პროპაგანდის წყალობით, დარწმუნებულია, რომ აშშ მართლაც ემზადება შესატევად და სადაცაა, თავს დაესხმება კომუნიზმის მშენებლებს.

*იზვესტია №32*

## კვიპროსს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



კვიპროსზე საპრეზიდენტო არჩევნები სენსაციური შედეგით დამთავრდა — პირველსავე ტურში გამარჯვება მოიპოვა მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის ლიდერმა ტასოს პაპადოპულოსმა.

მესამე საპრეზიდენტო ვადაზე პრეტენზიის მქონე გლაფკოს კლერდისმა, რომელსაც ჯერ კიდევ 2 კვირის წინ სერიოზული შანსი ჰქონდა, დამარცხება აღიარა.

საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო კვიპროსის გაერთიანება. ბევრი ამომრჩეველი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კლერდისი წლობით აწარმოებდა უმიზნო მოლაპარაკებას თურქეთის სათვისტომოს წინამძღოლთან რაუფ დენქთაშთან. ბოლო ხანს კუნძულზე მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა გაეროს გეგმის მხარდასაჭერად. ეს გეგმა ითვალისწინებს კვიპროსის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენას (შვეიცარიის კონფედერაციის მსგავსად). ანკარასაც, რომელიც „ზრუნავს" ჩრდილოეთ კვიპროსის აუღიარებელ თურქეთის რესპუბლიკაზე, გაეროს გეგმა მოსწონს.

პაპადოპულოსმა თავიდან ალმაცერად შეხედა ამ დოკუმენტს, მაგრამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ განაცხადა, — ბერძენთა და თურქთა სათვისტომოების პოლიტიკური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, მზად ვარ, ვიბრძოლო კვიპროსის პრობლემების გაეროს გეგმის თანახმად გადასაჭრელადო. ასე რომ, პაპადოპულოსს სასწრაფოდ მოუწევს დენქთაშთან მოლაპარაკება, რადგან გაეროს მიერ მათთვის წაყენებული ულტიმატუმის დრო იწურება. 28 თებერვლამდე ბერძენთა და თურქთა სათვისტომოებმა ხელი უნდა მოაწერონ დოკუმენტს, რომელიც დააფიქსირებს მათ პრინციპულ თანხმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი მხოლოდ კუნძულის ბერძნული ნაწილი გახდება.

*ნეზავისიმაია №31*

## რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებამდე დიდი დრო გავა

გასულ კვირას, ბელორუსიის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც აშკარად არ მოეწონებათ მის რუს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორებს.

ლუკაშენკოს თქმით, რუსეთსა და ბელორუსიას საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ მოკავშირე სახელმწიფოს ფარგლებში ერთიანი ვალუტის შემოღების საკითხი, რომელიც ერთიან ფინანსურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრასაც ითხოვს. ეს ნათქვამი მით უფრო საკვირველია, რომ სულ ახლახან, პუტინთან შეხვედრის დროს, პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ რუსეთ-ბელორუსიას 2005 წლიდან ექნებოდა ერთიანი ვალუტა — რუსული რუბლი.

საგულისხმოა, რომ ლუკაშენკომ ხელი მოაწერა ნავთობქიმიის კომპლექსის პრივატიზების კანონს, რომლის თანახმადაც, რესპუბლიკაში რუსული კაპიტალი კარგა ხანს ვერ შევა.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი*

## ბრიტანულმა The Sun-მა შირაკს „ჭიაყელა" უწოდა

პარიზში გავრცელდა ბრიტანული გაზეთის, The Sun-ის სპეციალური ნომერი, რომლის ყდაზე საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ჭიაყელის სახითაა გამოხატული. ჟურნალისტებს ამით სურდათ მიენიშნებინათ, თუ რაოდენ უხერხემლო გამოდგა შირაკი ერაყთან ომის საკითხში. სტატიაში შირაკს „ევროპის სირცხვილს" უწოდებენ. ავტორები ცდილობენ, ფრანგებს შეახსენონ, როგორ დაეხმარნენ მათ ქვეყანას აშშ და დიდი ბრიტანეთი ორივე მსოფლიო ომში. „დღეს ამერიკელები სხვა, ფრანგებზე უფრო გაბედული ერების მხარდაჭერით აპირებენ, მსოფლიოს მოაშორონ ტირანი. 10 მლნ მკითხველის სახელით გეკითხებით: არ გრცხვენიათ, ასეთი პრეზიდენტი რომ გყავთ"? — წერს გაზეთი. საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ჟან-ჟაკ აიაგომ განაცხადა, — სულითა და გულით ვემხრობით სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ The Sun-ის თავდასხმა ყველანაირ საზღვარს სცილდება, ეს ჩვენი ქვეყნის მიმართ აშკარა უპატივცემულობააო.

*ინფო რუ*

## თურქეთი 30 მლრდ დოლარს ითხოვს

თურქეთის მმართველი პარტიის მეთაურმა რეჯებ ერდოგანმა განაცხადა, — ვიდრე ანკარა ამერიკისგან ფინანსური დახმარების წერილობით გარანტიას არ მიიღებს, მის ჯარს უფლებას არ მივცემთ, თურქეთის ბაზები ერაყთან ომში მეორე ფრონტის გასახსნელად გამოიყენოსო.

თურქეთს, რომელიც რეგიონში აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა, ეშინია ომის შემდგომი ეკონომიკური სიძნელეებისა, რადგან ვაშინგტონის დაპირება ლიტონი სიტყვები ჰგონია. 1991 წლის ომი თურქეთის ეკონომიკას ათობით მლრდ დოლარი დაუჯდა. მაშინ ამერიკელებს დასახმარებლად მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებიათ. თურქეთი ველარ მისცემს თავს იმის ნებას, რომ მეორედ ჩავარდეს ასეთ დღეში.

აშშ თურქეთს დაჰპირდა 6 მლრდ დოლარს, თურქეთს კი სურს, წინასწარ მიიღოს 30 მლრდ დოლარის გარანტია, ვიდრე დათანხმდება თავის ბაზებზე ამერიკელ სამხედროთა ყოფნას.

*იზვესტია რუ*

## მოკლედ

**სომხეთის** დღევანდელ პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს არჩევნებში გასამარჯვებლად ხმათა სამ პროცენტზე ნაკლები დააკლდა. 5 მარტს გაიმართება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რობერტ ქოჩარიანი და ოპოზიციის ლიდერი სტეფანე დემირჭიანი.

**ჩინეთი** თავის პირველ კოსმონავტს 2003 წლის მეორე ნახევარში გაგზავნის კოსმოსში. კოსმონავტთა ჯგუფი კარგა ხანია წვრთნას გადის პეკინის შემოგარენში. რაზმში 14 პილოტია.

**ამერიკაში** დიდთოვლობაა. 7 შტატში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. თოვლმა და ქარბუქმა უკვე 20 ადამიანი შეიწირა.

**ავღანელ** თალიბთა ლიდერმა მოლა მოჰამედ ომარმა ავღანელებს ვაშინგტონისა და ავღანეთის მთავრობებთან საბრძოლველად მოუწოდა — ვისაც უშუალოდ არ შეუძლია ჯიჰადში მონაწილეობა, პრეზიდენტ ყარზაისა და პროამერიკულ კურსს მაინც უნდა გაემიჯნოსო.

**„გარდიანის"** ჟურნალისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ 4 აგვისტოს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია საიდუმლო თათბირს გამართავს, რომელზეც მიიღებენ გადაწყვეტილებას ახალი ბირთვული იარაღის შექმნის თაობაზე.

**ჰამბურგში** გაიმართა 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებული ტერორისტის სასამართლო. 28 წლის მაროკოელ მუნირ ელ მოთასედეკს 15-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

**ირანის** სამხრეთ-აღმოსავლეთში მომხდარმა ავიაკატასტროფამ 302 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა — ეკიპაჟის 18 წევრი და ელიტური სამხედრო ქვედანაყოფის „ისლამური რევოლუციის ჯარისკაცების" 284 მებრძოლი. „Ил-76" ქალაქ კერმანის აეროპორტის მახლობლად ჩამოვარდა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


მკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

თუ უკანონო მშენებლობით ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს",
სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. № 23, ტელ: 92-05-94

600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0-25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

შპს „გეოკორი"

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02 R

# „მოსკოვი-99" ან „ჰონკონგი-2001"

## როგორ ვებრძოლოთ გრიპის ვირუსს ოჯახის პირობებში ანუ შვიდ დღეში ყველაფერი კარგად იქნება...

მას შემდეგ, რაც თბილისში გავრცელებული გრიპით გარდაცვალების ორი შემთხვევა დაფიქსირდა და თითქმის ნახევარი ქალაქი ვირუსის „ტყვეობაში" აღმოჩნდა, დედაქალაქის ჯანსაღმა ნაწილმა გრიპთან დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, ჩვენც მათ გვერდით აღმოვჩნდით, საბრძოლველად მზადყოფნისათვის „მტრის" შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება გადავწყვიტეთ და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორს, **პაატა იმნაძეს** ვთხოვეთ კომენტარი:

— **თითქმის ნახევარი თბილისი გრიპით ლოგინად არის ჩავარდნილი, მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის სისტემაში ეპიდემიის გამოცხადებას თავს არიდებენ, რატომ?**

— გრიპი ეპიდემიად მაშინ შეიძლება გამოცხადდეს, თუ ის მასობრივ დაავადებად იქცევა და კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწევს. ამჯერად ჩვენს გრიპს ასეთი მასშტაბებისთვის არ მიუღწევია. ეპიდემიის დროს, ღმერთმა დაგვიფაროს, გამოსაძახებელი ექიმიც კი აღარ იქნება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვერ ივლის, თუნდაც ყოველი მეათე მძღოლის ავადმყოფობის გამო. ეპიდემიის დროს სამსახურები პარალიზებულია. ახლა ასეთი რამ არ ხდება. გრიპის ეპიდემია თბილისში 50-იან, 60-იან და 70-იან წლებში მძვინვარებდა.

— **თუ საგანგაშო არაფერია, მაშინ ავადმყოფთა რაოდენობა დღითი დღე რატომ იზრდება?**

— დამშვიდდით, ეპიდემიის საფრთხემ ნამდვილად გაიარა. დაავადებულთა რაოდენობამ უკვე მიაღწია პიკს და დაცემაც იწყო. ეს საგრძნობი შეიქნა მას შემდეგ, რაც ექიმის გამოძახება უფასო გახდა. თავდაპირველად, ექიმები ავადმყოფებთან მისვლას ვერ აუდიოდნენ, ახლა უკვე მათი რიცხვი შესამჩნევად შემცირდა.

— **რა ჰქვია ამ გრიპის ვირუსს?**

— ვარაუდობენ, რომ ჩვენთან ცირკულირებს გრიპის ვირუსის ორი ქვეტიპი: „მოსკოვი-99" ან „ჰონკონგი-2001". ამჯერად ვირუსის ეს ტიპები მოდებულია მთელ მსოფლიოში (იხ. გვ. 25).

— **როგორ უნდა ვებრძოლოთ ვირუსს ოჯახის პირობებში?**

— ერთმა რუსმა მეცნიერმა დიდი ხნის წინ თქვა — გრიპის ეპიდემია რომ არ გავრცელდეს, დედამიწის მთელმა მოსახლეობამ ნიღბები უნდა აიფაროსო. ეს შეუძლებელია, მაგრამ ოჯახის პირობებში კი, ძალზე იოლი გასაკეთებელი. ოჯახში თუ გრიპით ავადმყოფი გყავთ, მასთან ოთახში შესვლისას სამედიცინო ნიღაბი უნდა გაიკეთოთ და მაქსიმალურად დაზღვეული იქნებით დასნებოვნებისაგან.

— **თუ ავადმყოფი შინ არ გვყავს?**

— გარეთ, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა თავშეყრის ადგილებში საფრთხე აშკარაა. ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელია, მაგრამ ამ დროსაც უპრიანი და დაცვის ერთადერთი საშუალება მხოლოდ სამედიცინო ნიღაბია. ნიღაბი აუცილებლად უნდა ატარონ რისკის ჯგუფის წარმომადგენლებმა, ქრონიკულად დაავადებულებმა და ფეხმძიმეებმა.

— **ჰაერის მეშვეობით თუ შეიძლება გავრცელდეს გრიპის ვირუსი?**

— თუ შინ გრიპიანი სტუმარი გეწვიათ, აუცილებლად გაანიავეთ სახლი მისი წასვლის შემდეგ. ნუ გადაკოცნით. დახველების ან დაცემინების შემთხვევაშიც არ გელით საფრთხე, ოღონდ თუ გრიპიანისგან ერთი მეტრით მაინც იქნებით დაშორებული.

— **თუ ვირუსი შემეყარა, ექიმის გამოძახებამდე თავს როგორ უნდა მოვუარო?**

— თუ ტემპერატურა 37,8°-ს ან მეტს უჩვენებს სამი დღის განმავლობაში (ბავშვისთვის ერთი დღეც საკმარისია), ან თუ ნახველი გაქვთ მომწვანო ფერის ან ოდნავ სისხლნარევი, ან თუ ყურის ან გულმკერდის არეში ტკივილს გრძნობთ, აუცილებლად გამოუძახეთ ექიმს. თუ ასეთი სიმპტომები არ გაქვთ და ტემპერატურაც შესაშფოთებელი არ არის, გირჩევთ, სიცხის დამწევი პრეპარატები არ მიიღოთ, ე.ი. თქვენს ორგანიზმს შესწევს ძალა უიმისოდაც ებრძოლოს ვირუსს, ამიტომ ხელს ნუ შეუშლით. დალიეთ ბევრი სითხე, რა თქმა უნდა, თბილი. სასურველია და უკეთესი ლიმონიანი და ჟოლოიანი ჩაი, ასკილის ნაყენი და იმ ხილის წვენები, რომლებიც C ვიტამინს შეიცავენ. თუ ცხვირით სუნთქვა გაგიჭირდათ, წვეთები იხმარეთ, ინჰალაცია გაიკეთეთ, გნებავთ, უბრალო წყლით, მცირეოდენი სოდითა და 2 წვეთი იოდით. ყელის ტკივილის დროს მარილიანი სავლები შესანიშნავი საშუალებაა. ძალიან გარგებთ ნიორი, ხახვი, თაფლი. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, რომ უნდა დაწვეთ, ორგანიზმს დასვენების საშუალება მისცეთ, რათა ინფექციას ებრძოლოს.

— **საკვებიც შეზღუდულად ხომ არ უნდა მივიღოთ?**

— ცხადია. ორგანიზმი საკვებითაც არ უნდა გადავტვირთოთ. თუ თქვენი მენიუ ბოსტნეულითა და ხილით იქნება გაჯერებული, კარგია. უარი თქვით ცხიმიან კერძებზე, ცხიმიან ხორცზე, შემწვარ-მოხრაკულზე. შეიძლება მიირთვათ ქათმის ბულიონი. თუ ამ რეჟიმს დავიცავთ, მერწმუნეთ, 7 დღეში ყველაფერი კარგად იქნება.

*ეკა ლომიძე*

# შავი მილიონები ქართულ ენერგეტიკაში

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

მათ იმედი აქვთ, რომ „თელასის" დასაკუთრების შემდეგ, რუსეთიდან დენით და გაზით უწყვეტი მომარაგება ექნებათ. მიმდინარეობს სტრატეგიული ინტერესების ჭიდილი რუსეთსა და აშშ-ს შორის. ჩემი აზრით, სტრატეგიული ინტერესები გვერდზე უნდა გადავდოთ და ის გავაკეთოთ, რაც უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

— **ირიბარენი ამბობს, რომ რუსების გამო უპირებენ საქართველოდან განდევნას...**

— ამბობს, საქართველოს ხელისუფლებამ იმდენი პრობლემა შეგვიქმნა, არც გვინდა ამაზე ლაპარაკიო. ხელისუფლებას იმდენად ცუდად აქვს ენერგეტიკაში საქმე, ეშინია „ეი-ი-ეს თელასთან" დისკუსიის დაწყების. იცის, ამერიკელები ისეთ მასალებს დადებენ, რომ ხელისუფლებას გასაქცევად გაუხდება საქმე.

ენერგეტიკაში შავი მილიონები ტრიალებს და ამიტომ ვერ ედავება ვერავინ „თელასს".

— **გამოსავალს სად ხედავთ?**

— აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ელექტროენერგიისა და გაზის სფეროში საგადასახადო შეღავათები უნდა დააწესოს. „ეი-ი-ეს თელასთან" უნდა დაიდოს ჩარჩო-ხელშეკრულება. ამასთან, საჭიროა გაირკვეს, რა თანხა დახარჯა „ეი-ი-ეს"-მა საქართველოში, როგორ და რამდენი ამოიღო. პარალელურად, საბუღალტრო ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სემეკშიც. ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებლად მიმაჩნია ტარიფის 10,5 თეთრამდე შემცირება, რადგან საამისო რეზერვები არის ქვეყანაში.

*იზო რიკაძე*

„ტრანსფრონტის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Biljardai" ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus COMPANY ზევსი
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
Biljardai ბილიარდაი
1000 მეტი დასახელების
კონსულტაციები, გარანტია, ფასდაკლება, რემონტი, ტრანსპორტირება
1234 GEL
მასტერი Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 22 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,3678 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4876 |
| რუსული რუბლი | 0,0693 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3452 |

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!
ყოველი 21-ე, რომელიც გახსნის დეპოზიტს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს,
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
თბილისი 380012
[illegible] 18
ტელ.: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
თბილისი 380079
[illegible] ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
ქობულეთი, 384410
[illegible] ქ. 2
ტელ/ფაქსი: (8 236) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
მარნეული, 383130, [illegible] ქ.#3
ტელ: (8 257)-2-16-00 8 (257)-2-16-50
ფაქსი: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

ლილოს განყოფილება
თბილისი 380015
[illegible] 112
ტელ.: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgl@access.sanet.ge

ქუთაისის ფილიალი
ქუთაისი 384000
[illegible] ქ. 85
ტელ/ფაქსი: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

გორის ფილიალი
გორი, 383500, [illegible] ქ. 10
ტელ: (8 293) 2-30-64, 2-73-05, 33-46-57
ფაქსი: (8 22) 33-46-58
e-mail: info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
ბათუმი 384500 [illegible] ქ. 18
ტელ.: (8 88 222) 7-24-20
ფაქსი: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი 380067
[illegible] ქ. 1
ტელ.: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
თბილისი 380052
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
e-mail: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
ფოთი 384690
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ფაქსი:(8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail:mbgp@internet.ge

ზესტაფონის განყოფილება
ზესტაფონი 384900
[illegible] ქ. 9
ტელ: (8 292) 510-22; 554-58
ფაქსი: (8 22) 33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ერთი რამ ეყოფათ!..



ძველით ახალ წელს მეგობარმა სოფელში დამპატიჟა. სუფრას ოთხმოც წელს მიტანებული ბებია დასტრიალებდა და გვარიანადაც მოგვალხინა. სიმარდესთან ერთად ჩვენი მასპინძელი ენაწყლიანიც გამოდგა, თვითონ რომ თავიდან ბოლომდის მოგვიყვა სოფლის ამბები, ახლა ქალაქითაც დაინტერესდა. კერძოდ, პოლიტიკაში გარკვევა სურდა და დაწვრილებით გვეკითხებოდა ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელზე, სამომავლო პერსპექტივებზე. ჩვენც ვუთხარით, რომ ყველაფერი წინ არის (აბა, გულს ხომ არ დავწყვეტდით), რომ საცაა ახალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, რომელიც ძველისგან განსხვავებით შეიძლება ორპალატიანიც იყოს, რომ...

აქ მოხუცმა სიტყვა გაგვაწყვეტინა და ბოლო წინადადების მიმართ თავისი აზრი ასე გამოთქვა:

— ეგ სწორად მოუფიქრებიათ, ბებია!.. იქ ისეთი აურზაურია ყოველდღე, ისე უმოწყალოდ ურტყამენ ერთმანეთს, სამკურნალოდ ერთი პალატა ნამდვილად არ ეყოფათ!

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## ჯაჯუნი „სობესის" კარზე



ჩემს სამეგობროში იუზა ხიმშიაშვილი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოეწყო. სწავლა კი უსაშველოდ გაუგრძელდა. დაიწყო დღისაზე, მერე საღამოზე გადავიდა, ბოლოს კი დაუსწრებელზეც დიდხანს იჯახირა. „ვეჩნი სტუდენტის" იარლიყიც დაიმსახურა. ერთ მშვენიერ დღესაც, ჩაქვის სადგურის ბაქანზე ვიყავით, რომ თბილისიდან ჩამოდის იუზა. მოგვიახლოვდა თუ არა, ენაკვიმატმა გურამ ჭყონიამ სალმის მაგივრად შეაგება:

— რა ქენი, „იუსტინე", ისევ „დაბუქსავდი"?

— გურამ, ცოტა დამაცადე, მოხვალ, დამიკაკუნებ კაბინეტის კარზე და მაშინ გაგახსენებ ყველაფერს! — გაწიწმატდა იუზა.

— ბიჭო, შენ ალბათ „სობესში" იწყებ მუშაობას!

— რა შუაშია „სობესი"? — გაიკვირვა იუზამ.

— რა შუაშია და შენ რომ ინსტიტუტს დაამთავრებ, ამასობაში მეც საპენსიო ასაკი მექნება. ჰოდა, მოვალ, დაგიკაკუნებ!.. — განუმარტა გურამმა.

***იური იაშვილი, ქობულეთი***

## ვის გამოატანე, ვის?



რამდენიმე თვეა თბილისში ვარ. 20 თებერვლის დილას ჩემს ქუთაისელ მეზობელს ელბერდ ნარიმანიშვილს თავის ახალშეძენილ მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინება (ანუ მესიჯი) გავუგზავნე. პასუხმა დაიგვიანა. საღამოს დავურეკე:

— ელიბო (ასე ვეძახი „მოფერებით"), ამ დილით მესიჯი გამოგიგზავნე, ბიჭო, გაიგე?

— ვერ გავიგე!

მივხვდი, მართლა რომ ვერ გაიგო და დავუკონკრეტე:

— მესიჯით წერილი გამოგიგზავნე და წაიკითხე, გაიგე?

— ახლა კი გავიგე, ბიჭო, მარა ვის გამოატანე, ვის?!

***ზურაბ წირღვავა, ქუთაისი***

# იცით თუ არა ბევრი ანეკდოტი? ტესტი

**პაროდიის კუთხე**



**1. სუფრაზე ვიღაც ჰყვება ანეკდოტს, თქვენ:**

ა) აწყვეტინებთ სიტყვებით: „მოიცა, ეგრე არა, მე უფრო კარგად მოვყვები" (8 ქულა).

ბ) იცინით ანეკდოტის დასრულებამდე (სი-ქულა).

გ) იცინით ანეკდოტის დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ (სა-ქულა).

**2. ამჯერად თქვენ ჰყვებით სუფრაზე ანეკდოტს:**

ა) გაწყვეტინებენ სიტყვებით: „მოიცა, ეგრე არა, მე უფრო კარგად მოვყვები" (8 ქულა).

ბ) იცინით ანეკდოტის დასრულებამდე (სი-ქულა).

გ) იცინით ანეკდოტის დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ (სა-ქულა).

**3. თამადა ჰყვება ანეკდოტს, თქვენ:**

ა) სთხოვთ, მოყვეს სხვა ანეკდოტიც (8 ქულა).

ბ) სთხოვთ, დალიოს იუმორის სადღეგრძელო (სი-ქულა).

გ) სთხოვთ, დააყოლოს მჟავე კიტრი (სა-ქულა).

**4. მოდით ახლა წინ წავიწიოთ და კიდევ ერთ კითხვას შემოგთავაზებთ: — რა აცინებს თამადის მოადგილეს?**

ა) დათვრა (8 ქულა).

ბ) არასერიოზული კაცია (სი-ქულა).

გ) თქვენ მიერ მოყოლილ ანეკდოტზე ეცინება (სა-ქულა).

**5. სუფრაზე ვიღაც შეუძლოდ გახდა:**

ა) დათვრა (8 ქულა).

ბ) ბოლო ჭიქა არ უნდა დაელია (სი-ქულა).

გ) თქვენმა ანეკდოტმა ხასიათი გაუფუჭა (სა-ქულა).

**6. დაბოლოს, ქეიფი მორჩა, ვინ გაგახალისათ ამ სუფრაზე ყველაზე მეტად?**

ა) თამადამ (8 ქულა).

ბ) თამადის არასერიოზულმა მოადგილემ (სი-ქულა).

გ) მიხომ და ჭიჭიკიამ, ანუ ანეკდოტების გმირებმა (სა-ქულა).

## დაითვალეთ ქულები:

**თუ დააგროვეთ რამდენიმე 8 ქულა, მაშინ თქვენ ვერ დაიკვეხნით ბევრი ანეკდოტის ცოდნით. რაც იცით, ძირითადად სუფრაზე თამადის მოყოლილი ანეკდოტებია. ხო, მართლა, მე არ გამიგონია ბოლო ორი ანეკდოტი, იქნებ მომიყვეთ რა, გთხოვთ...**

**თუ დააგროვეთ რამდენიმე სი-ქულა, მაშინ თქვენ საკმაოდ ბევრი ანეკდოტი იცით, მაგრამ სამწუხაროდ, არ გახსოვთ. არა უშავს, მეც ეგრე ვარ, ადვილად მავიწყდება ანეკდოტები. თუ არ გეჩქარებათ, მოდით ერთი, რომელიმე ანეკდოტი გავიხსენოთ.**

**თუ დააგროვეთ რამდენიმე სა-ქულა, მაშინ თქვენ ბევრი ანეკდოტი იცით, თან მოყოლაც კარგად გეხერხებათ. თქვენთან ერთად სუფრაზე მოხვედრა საინტერესო იქნება. მაპატიეთ, უნდა წავიდე, კარგად ბრძანდებოდეთ. ხო, მართლა, იქნებ თქვენ მაინც იცით ის ანეკდოტი, კაცს რო კატას მოჰპარავენ?**

***ბოლო ანეკდოტის გახსენების იმედით, თქვენი ზაქრო ინწკირველი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ტელევიზორის დიქტორი აცხადებს — დღევანდელი გადაცემები დამთავრებულია, მაგრამ დარჩით ჩვენთან, ხვალ უკეთესი პროგრამა გვექნებაო. სვანი მთელი ღამე გამორთული ტელევიზორის წინ იჯდა — დიქტორმა კაცურად მთხოვა დარჩი ჩვენთანო და ხომ ვერ ვუღალატებ?

***ლევან ყუფარაძე, თბილისი***



ხევსურს გურულის გული გადაუნერგეს.

— ახლა ხომ კარგად ხარ, ცხვარში წადი! — ეუბნება ცოლი.

— კარგად კი ვარ, მაგრამ ცხვარში აღარ წავალ!

— რატომ?

— გული პარლამენტისკენ მიმიწევს!..

***ბადრი ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***



კბილის ექიმთან შევიდა ყბაახვეული სვანი. ექიმმა გაუკეთა ნემსი, მაინც მტკივაო. გაუკეთა მეორე, ისევ მტკივაო, მოკლედ, ვერ მოიცილა. ბოლოს ეუბნება სვანს — მეც რომ შენსავით ამტკივდება კბილი, მივდივარ შინ, ჩავუწვები ლოგინში ჩემს ცოლს და კბილიც მირჩებაო.

სვანმაც კმაყოფილმა შეხედა ექიმს და — ხო კარგი! აბა წავედი, შენი ცოლი ხომ სახლში დამხვდებაო?

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



ორი სვანი რენტგენის კაბინეტში შევიდა.

— რა გნებავთ? — ეკითხება ექიმი.

— ექიმო, ერთი სამახსოვრო სურათი გადაგვიღე რა!..

***გია პატარიძე, თბილისი***

— ალო! მიხო? როგორა ხარ, მეგონა მოკვდი!..

— ჰო, ხმები გამივრცელეს, მაგრამა, სხვა გამოდგა! მე კიდევა, თავიდანვე მივხვდი, რომ მე არ ვიქნებოდი!..

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## გიორგი კანდელაკს წითელი ღვინო უყვარს...

**— ვარ გიორგი კანდელაკის გულშემატკივარი, მაგრამ გაოცებული ვარ, თუ როგორ უთავსებს იგი დიდ სპორტსა და ქართული სუფრის ტრადიციას ერთმანეთს (ვგულისხმობ, ალკოჰოლს). რატომ არ უფრთხილდება საკუთარ ჯანმრთელობას, სპორტსმენისთვის ხომ ალკოჰოლის ხშირი მიღება საზიანოა.**

***მერაბ თეთრაძე***



კითხვაზე უპასუხებს **გიორგი კანდელაკი**.

— მე ხომ მოყვარული მოკრივე არა ვარ, რომ სისტემატურ ფიზიკურ მზადყოფნაში ვიყო. მოყვარულებს ყოველთვიურად და ხშირად თვეში ორჯერაც აქვთ შეხვედრები, ამიტომაც ისინი სისტემატურად ვარჯიშობენ. რაც შემეხება მე, ძირითადად ვემზადები კონკრეტული ბრძოლებისთვის და მომზადების პერიოდში, ბუნებრივია, არ ვსვამ (2-3 თვე). ვინც გათვითცნობიერებულია და თვალს ადევნებს მსოფლიოში წამყვან მოკრივეთა ცხოვრებას, მაგალითად, ტაისონისა და ლუისის, ეცოდინება, რომ სასმელზე არც ისინი ამბობენ უარს. სპორტსმენისთვის ზოგჯერ აუცილებელიც კია და საჭიროც განტვირთვისათვის დალევა. თითოეული შეხვედრის შემდეგ ისეთ ფიზიკურ თუ მორალურ დატვირთვას ვიღებ, რომ ორგანიზმს განტვირთვა ესაჭიროება. და საერთოდ, ეს მოსაზრება, სპორტსმენისთვის ალკოჰოლის აკრძალვის შესახებ, მოძველებულია, უფრო მეტიც, კომუნისტების დროიდან მოდის. სწორედ მაშინ არ აძლევდნენ სპორტსმენს დალევის უფლებას, ახარჯვინებდნენ ენერგიასა თუ ემოციას და 2-3 წლის შემდეგ არც ერთი სპორტსმენი ჯანმრთელი აღარ იყო.

*კითხვაზე, რომელი სასმელი უყვარს გიორგის, მან გვიპასუხა, რომ სვამს წითელ ღვინოს და ისიც რამდენიმე ჭიქას (რამდენიმე ჭიქაში 5-6 ჭიქა მოიაზრება). გარდა ამისა, ჩხუბის მერე გიორგის აზრით, საჭიროც კი ყოფილა სასმელის დალევა...*

## რა ვიცით მსოფლიო პატრიარქის შესახებ?

**— ვიცი, რომ რომის პაპი კათოლიკური ეკლესიის მამამთავარია. ამ რამდენიმე დღის წინ გავიგე მსოფლიო პატრიარქის არსებობის შესახებ. გთხოვთ აგვიხსნათ, ვინ არის მსოფლიო პატრიარქი და რომელი რელიგიის მამამთავარია იგი?**

***თინა გოგლიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ცხოვრებაძე**, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე.

— მსოფლიო პატრიარქი გახლავთ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლური პატრიარქი. ანუ ზოგადად, მართლმადიდებლური ეკლესია არის ერთიანი და იგი შედგება 15 ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიისგან. მსოფლიო პატრიარქის ტიტული ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში, 451 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე შემოიღეს. ამჟამად მსოფლიო პატრიარქი გახლავთ კონსტანტინოპოლის პატრიარქი, უწმინდესი ბართლომე . როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია დამოუკიდებელი ანუ ავტოკეფალიურია და რაიმე ცენტრალიზებული მართვა მსოფლიო პატრიარქის მიერ არ ხდება. მაგალითად, როგორც ეს რომშია, სადაც რომის პაპი განაგებს და მართავს კათოლიკურ ეკლესიებს მთელ მსოფლიოში. მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის გარკვეული თანამიმდევრობა არსებობს. იგი წლების მანძილზე მართლმადიდებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებიდან გამომდინარე დამკვიდრდა. პირველი ადგილი (მას შემდეგ რაც X საუკუნეში რომის ეკლესია განუდგა მართლმადიდებლობას) განეკუთვნება კონსტანტინოპოლსა და მის პატრიარქს (შესაბამისად მსოფლიო პატრიარქის ტიტულიც მას ერგო). შემდეგ მოდიან ალექსანდრიის პატრიარქი, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქი, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების პატრიარქები. ავტოკეფალიური ეკლესიები თავად განაგებენ თავიანთ საეკლესიო შიდაცხოვრებასა თუ წესს. უფრო მეტიც, სხვა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს, თუნდაც მსოფლიო პატრიარქს, არა აქვთ უფლება ჩაერიონ ამა თუ იმ ქვეყნის ეკლესიის ცხოვრებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, სტუმრად მოწვეულ კათოლიკოსს მასპინძელ ქვეყანაში ადგილობრივი ეკლესიის მეთაურის ლოცვა-კურთხევის გარეშე არ შეუძლია ჩაატაროს ყველაზე მცირე ღვთისმსახურებაც კი (მაგალითად, პარაკლისი). მაგრამ როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას სურს მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა ან რაიმე სხვა საერთო ხასიათის საკითხის გადაჭრა, ამ შემთხვევაში მიმართავენ თხოვნით მსოფლიო ანუ კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

## როგორც გააჩინეთ, ისე არჩინეთ(?!)

**— გთხოვთ განმიმარტოთ, საქართველოს კანონმდებლობით ამჟამად ფასიანია თუ არა დეკრეტული შვებულება?**

***ლელა მაისურაძე***



კითხვაზე უპასუხებს **მედეა დემეტრაშვილი**, იურიდიული ფირმის დირექტორი.

— საქართველოს შრომის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ 56 (გართულებული მშობიარობის ან ტყუპის შობის შემთხვევაში — 70) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს მიეცემა ანაზღაურება მთლიანად, ანუ ხელფასის 100%, ყოველგვარი დაქვითვის გარეშე.

რაც შეეხება შვებულებას ბავშვის მოვლის გამო, იმავე კანონის 159-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ქალს, სურვილისამებრ, თუ მას აქვს არანაკლებ ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი (18 წლამდე ასაკის ქალებს კი მუშაობის სტაჟის მიუხედავად) მიეცემა ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება მანამ, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდება. ვინაიდან კანონში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება ამ ნაწილობრივ ანაზღაურებულ შვებულებაში და არ არის მითითებული მისი ოდენობა, კანონის ეს ნაწილი უმოქმედოა და ქალებს ბავშვის მოვლის გამო ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულების მაგიერ ეძლევა უხელფასო(!) შვებულება წლინახევრის ან სამ წლამდე ხანგრძლივობით. შესაბამისად, შვებულების (სამწუხაროდ, ჯერჯერობით უხელფასოს!) ხანგრძლივობის განსაზღვრის არჩევანი თქვენზეა, ქალბატონებო. აქვე განგიმარტავთ, რომ შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## რაზე ოცნებობს მამუკა ბერიკა

**— რა პროფესიისაა მამუკა ბერიკა. დაოჯახებულია თუ არა იგი. რატომ აირჩია ტელეწამყვანის პროფესია, როდესაც ჩემი ინფორმაციით იგი ფსიქოლოგია. ასევე მაინტერესებს, არსებობს თუ არა საქართველოში რადიომოყვარულთა კლუბი და შესაძლებელია თუ არა მასში გაწევრება?**

***სალომე შველიძე***



კითხვაზე უპასუხებს **მამუკა ბერიკა**.

ამჟამად ვარ ტელე-რადიო წამყვანი, თუმცა ეს ალბათ მკითხველმა კარგად იცის. რაც შეეხება ჩემს განათლებას, გეტყვით, რომ ვფლობ სხვადასხვა პროფესიას (მათ შორის მხატვარი-გრაფიკოსის). დანარჩენ პროფესიებზე არ ვსაუბრობ, რადგანაც არ ვთვლი საჭიროდ. მოვლილი მაქვს თითქმის ნახევარი მსოფლიო და ვსწავლობ ხალხების ფსიქოლოგიას, კულტურას. მეუღლესთან განქორწინებული ვარ. ეს უკვე წარსულია და არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

რაც შეეხება კითხვას, არსებობს თუ არა რადიომოყვარულთა კლუბი საქართველოში — გეტყვით, რომ არ არსებობს, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს. ქაოსი ქვეყანაში ამ სფეროზეც აისახა. მარტო ის რად ღირს, რომ თბილისის 14 რადიოსადგურიდან ყველა ერთმანეთს ჰგავს. არ არსებობს განსხვავებული მუსიკალური მიმდინარეობის რადიო და სხვა. ამიტომ როდესაც შემომთავაზეს ტელეწამყვანობა, დავთანხმდი და ვთვლი, რომ ეს ჩემთვის სასარგებლოც იყო. დიდი პრაქტიკა გავიარე და სამუშაოც საკმაოდ საინტერესოა, თუმცა რადიოში დაბრუნებაზე მაინც ვოცნებობ. იმასაც გეტყვით, რომ მქონდა საკუთარი რადიოკლუბი, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, თუმცა მის აღსადგენად გარდა ფინანსებისა, საჭიროა რადიომოყვარულთა (საზოგადოებისაც) ჯანსაღი ინტერესი, ანუ მონდომება.

## სად ცხოვრობდა დიოგენე?

**— გამიგია, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე კასრში ცხოვრობდა და ანთებული ლამპრით დადიოდა, მართალია თუ არა ეს?**

***გია მაღრაძე***



დიოგენე მართლაც საოცარი ადამიანი იყო. მან უარი თქვა მატერიალურ კეთილდღეობაზე, თუმცა კასრში არ უცხოვრია, იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ მაშინ ბერძნები არ ფლობდნენ კასრების დამზადების ტექნოლოგიას. როგორც ირკვევა, ფილოსოფოსი თიხის დიდ ქოთანში, — პიფოსში ბინადრობდა. სწორედ ასეთი ქოთნები აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს. პიფოსებს, რომლის სიმაღლე 1,5-2 მეტრს აღწევდა, მიწაში ფლავდნენ და მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. ასე იქცეოდნენ მოკვდავი ბერძნები. დიოგენემ კი თავისი „საცხოვრებელი“ ქალაქ კორინთოს მთავარ მოედანზე გაიტანა და იქ „დასახლდა“. ფილოსოფოსი ხშირად აძლევდა რჩევებს თანამოქალაქეებს, ძირითადად მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ასეთი მომაბეზრებლობისა და მწარე ენის გამო მას „ცინიკოსი“ შეარქვეს, რაც ძაღლს ნიშნავდა. თუმცა დროთა განმავლობაში ფილოსოფოსმა სახელი გაითქვა და მასთან უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიდიოდა რჩევის საკითხავად. არსებობს თქმულება, რომ ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელი კორინთოში ყოფნისას მიეახლა ფილოსოფოსს და ჰკითხა, რამით ხომ ვერ შევძლებ თქვენს დახმარებასო. პასუხად ფილოსოფოსმა უკმეხად მოსთხოვა, მზის სხივები არ დაეჩრდილა მისთვის.

## ვისია ჩვენი მიწები?

**— მოგმართავთ თხოვნით და შესაბამისად, კითხვით ახალციხის რაიონის სოფელ წნისის მიწათმოსარგებლეები, რომლებიც არ ვფლობთ მიწაზე საკუთრების უფლებას. გვაინტერესებს, მიიღებს თუ არა კომპენსაციას მიწათმოსარგებლე მოსახლეობა (იგულისხმება საძოვრები და სათიბები) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გავლის შემთხვევაში?**

***მამუკა ხიზანიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ქელბაქიანი**, საქართველოს ნავთობსადენის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი.

— 44-მეტრიანი სიგანის ზოლის ფარგლებში მდებარე მიწის დაახლოებით 78% ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი 22% — კერძო საკუთრებაში. საქართველოში არსებობს მიწის საკუთრების ოთხი ძირითადი ტიპი: 1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე იჯარით აქვთ აღებული კერძო მოსარგებლეებს; 2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც სამართავად გადაეცა საკრებულოებს; 3. კერძო (მოსახლეობის მიერ შესყიდული ან საკუთრებაში არსებული) მიწა; 4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დანარჩენი მიწა.

პირველი სამი კატეგორიის მიწათმოსარგებლენი რა თქმა უნდა მიიღებენ BP-ს მიერ გაცემულ კომპენსაციას. მე-4 კატეგორიის მიწები საქართველოს ხელისუფლებამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას უსასყიდლოდ გადასცა. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად ზემოთ აღნიშნულ შემთხვევას რაც შეეხება, თუ სახელმწიფოს ან შესაბამისი რაიონის გამგეობას გაცემული აქვს მიწა იჯარით სოფლის საკრებულოს საკუთრებაში (ვგულისხმობ საძოვარსა და სათიბს), მაშინ კომპენსაციას მიიღებს საკრებულო, რომელიც მოსახლეობასთან ერთად განკარგავს საკომპენსაციო თანხას. ხოლო თუ მიწა კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაშია, მაშინ მოსახლეობა კომპენსაციას ვერ მიიღებს. რა თქმა უნდა, საუბარია იმ მიწებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება. კომპენსაციის მიუხედავად, BP 3-4 წელიწადში აღნიშნულ მიწას დაუბრუნებს ყოფილ მესაკუთრეს უსასყიდლოდ, თუმცა გარკვეული პირობებით, რომ ამ ტერიტორიაზე არ უნდა აშენდეს შენობა-ნაგებობები და გამოყენებულ იქნას მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით.

## თქვენი კუ დიდხანს იცოცხლებს...

**— დეიდაჩემს თითქმის 10 წელია სახლში ჰყავს კუ, ყველას გვიყვარს. მაინტერესებს, რამდენ ხანს ცოცხლობს კუ და როგორ გავუხანგრძლივოთ მას სიცოცხლე?**

***ნანა თავაძე***



კუს ყველა სახეობა (დაახლოებით 290) წარმოუდგენლად სიცოცხლისუნარიანი და გამძლეა. იგი ადვილად იტანს ინფექციებსა და სხვადასხვა დაავადებას. სწრაფად იშუშებს ჭრილობებსა და ფიზიკურ დაზიანებებს. შეუძლია დიდხანს არ მიიღოს საკვები. დოკუმენტურად დამოწმებულია, რომ ერთ-ერთმა კუმ 152 წელი იცხოვრა. თუმცა მეცნიერები თვლიან, რომ თუ კუს არსებობისათვის იდეალურ პირობებს შევუქმნით, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობამ შეიძლება 200-300 წელიწადს მიაღწიოს. ასე რომ, ნუ ნაღვლობთ, თქვენი კუ დიდხანს იცოცხლებს...

CMYK

## მილოცვა

*საქართველოს პარლამენტის წევრს, დუშეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს*
ქალბატონ **მარინა მოლოდინს!**

ქალბატონო მარინა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. თქვენი მზრუნველობა და გულისხმიერება არ მოჰკლებოდეს ჩვენს მშობლიურ კუთხეს.

*პატივისცემით, გიორგი და მალხაზ გოგოჭურები*

**მაია ცანავას, ვალერი ურუმაშვილს!**

გილოცავთ მარიამის დაბადებას. გაგეზარდოთ გიორგი და მარიამი ჯანმრთელები, ბედნიერები, თქვენი ღირსეული ოჯახის ღირსეული შთამომავლები.

*ნაირა, ირმა, ნანა*

## ქირავდება

1 ,2 და 3-ოთახიანი იზოლირებული ბინები, ასევე 1 ოთახი პარლამენტთან ახლოს, ბესიკის №9-ში, როგორც კერძო საოჯახო სასტუმრო – ჩამოსულ და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ფასები: 1 დღე-ღამე, 1 კაცი – $10, $15, $20, $30, $40 და $50. ნომრები ღირს: $30, $40 და $50. ერთდროულად მივიღებ 15-20 კაცს. ტელ. 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

## გთავაზობთ სამუშაოს

ოფისში სათანამშრომლოდ ვიწვევთ გონიერ ადამიანებს. უპირატესობა ენიჭებათ მედიცინის მუშაკებს. ტელ. 29-17-72 (19 სთ-დან); 893 39-93-59. ქეთევანი, ზურაბი

ყურადღება!!! ახალ მაღალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 21 მენეჯერი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმებაც. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ. 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

## მომსახურება

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22; 877 72-62-08 მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმდგენი აპარატებით აღიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

## გასწავლი

დავამთავრე ერფურტისა და ვაიმარის უნივერსიტეტების გერმანული ენის ფაკულტეტი. მაქვს უმაღლესი კლასის სპეციალისტის კვალიფიკაცია. მოვამზადებ ბავშვებს 5 წლიდან მე-9 კლასის ჩათვლით. ფასი $25. ტელ. 37-38-10; 893 26-70-98. გვანცა

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგრძელებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო); ეპილაცია, კანის გაწმენდა, მასაჟი, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტელ. 66-53-56, 893 33-09-66

პირველად თბილისში! ახალი ტიპის სკოლა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას, მრავალმხრივ შემეცნებას – მსუბუქი, ხალისიანი ფორმებით: ფსიქოლოგიური სამსახური; კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება; ინტელექტუალური თამაშები; სისტემატური შეხვედრები ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან. მიიღებიან ბავშვები 5-დან 15 წლამდე. ჯგუფები დაკომპლექტდება ასაკობრივ კატეგორიებად. თითო ჯგუფში – მაქსიმუმ 10 ბავშვი. მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. №6 (ვერის პარკთან). შაბათ-კვირას, 12-18 სთ. ტელ: 98-72-54; 877 43-21-02; 899 56-35-31

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

გვესაჭიროება გამოცდილი სტომატოლოგი თავისი კაბინეტით (სასურველია, მუშაობდეს ქირურგიასა და თერაპიაში); ასევე რენტგენოლოგი თავისი პორტატული აპარატით (ან ვიქირავებთ რენტგენის აპარატს). ტელ. 51-63-12; 35-15-64

## ხსოვნა

### გია (გიორგი) იოსელიანის მონატრება



ძვირფასო მამიკო, ჩვენო დიდო ტკივილო და წუხილო, შენმა მოულოდნელად წასვლამ ამ ქვეყნიდან, დიდი სადარდებელი დაგვიტოვა არა მარტო ჩვენ – შენს ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს, არამედ ყველას, ვინც გიცნობდა... პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს – 23 თებერვალს. 56 წელი შეგისრულდებოდა... ჯერ ერთი თვეც არ გასულა იმ შემზარავი დღიდან – 28 იანვრიდან, რაც დაგვტოვე. უკვე ძალიან გვენატრები. საოცრად კეთილი და უანგარო იყავი, ამიტომაც გაგყვა უკანასკნელ გზაზე ამდენი ცრემლი და სიყვარული. ღმერთმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული...

*შენი შვილები – ანი და ნინო იოსელიანები*

**ძვირფასო გია!**

რა სამწუხაროა, რომ აღარ ხარ ჩვენთან, კეთილშობილი, თბილი, ღირსეული, თავაზიანი და ღიმილიანი... იშვიათია ისეთი ადამიანი, როგორიც შენ იყავი – თავდადებული, მოყვარული, არაჩვეულებრივი შვილი – როგორ ალმერთებდი შენს მართლაც სათაყვანებელ დედას, დეიდა ანიკოს... გიყვარდა ლექსი და ლამაზი სიტყვა...

შენს მშვენიერ შვილებს მარადის წინ დახვდებათ მამის კეთილი სახელი.

ღმერთმა განუსვენოს შენს სულს...

*თანაკურსელები*

### ნინო ყაველაშვილისა და გუჯა გაბაძის გახსენება



აი, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც საბედისწერო შემთხვევამ მოგვტაცა თქვენი თავი; წელი დამძიმებული, ტკივილიანი, ცრემლიანი, საშინლად გრძელი და უსასრულო... დღევანდელ დღესავით გვახსოვს ის საზარელი წამი, რომელმაც თქვენი ქორწილის დღე თქვენივე დაკრძალვის დღედ გვიქცია. საოცრად მძიმე ყოფილა უთქვენოდ სიცოცხლე. ო, რომ იცოდეთ, როგორ გვენატრებით. თქვენ დააკლდით არა მარტო თქვენს ოჯახებს. უთქვენობა ძლიერ უჭირთ თქვენს ნათესავებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს.

დაე, ნათელში ამყოფოს მაღალმა უფალმა თქვენი სულები.

### ჯიმშერ მუჯირის გახსენება



ბატონო ჯიმშერ! დღეს არ გიხსენებთ, რადგან თქვენს თანამშრომლებს არ გვავიწყდებით, ან როგორ შეიძლება დავიწყება იმ ადამიანისა, რომელმაც დიდი ძალისხმევის წყალობით, სიახლე შეიტანა და ამაგი დასდო ისეთ ეროვნულ საქმეს, როგორიცაა მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდა. თანამშრომლები „ესთეტიკის იაკობ გოგებაშვილს" გიწოდებდით და ასეც იყო! მართლაც ღირსეული მშობლების, ცნობილი მულტიპლიკატორების – სარა სპარსიაშვილისა და ვლადიმერ მუჯირის ღირსეული მემკვიდრე იყავით.

ძალიან ძნელია თქვენზე საუბარი – უპრეტენზიომ დატოვეთ უზარმაზარი სიყვარული და სიკეთე, ერთგული, პაცთმოყვარე, ნათელი კაცის სახელი. ყველა გიყვარდათ და ყველას უყვარდით.

სპეტაკო, თბილო, სიცოცხლით სავსე ადამიანო, რამდენი აუხდენელი ფიქრი და ოცნება დაგრჩათ შეუსრულებელი. ამ ქვეყნიდან თქვენი მოულოდნელი წასვლა ალბათ ღვთის ნება იყო. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

*ესთეტიკური აღზრდის ცენტრის თანამშრომლები*

### ოთარ (ოთო) ბაქრაძის მონატრება



გავიდა ტკივილით, ცრემლით, მოგონებებით და მონატრებით სავსე წელიწადი და ექვსი თვე. სწორედ მოგონებებია, რომელიც ასე გვტანჯავს. ეს ის მოგონებებია, სადაც შენ ცოცხლობ, ჩვენო ოთო. მოგონებებს იქით კი, მწარე რეალობაა: უშენოდ უკუნეთი ჩამოწოლილა, გაყინული და გაქვავებულია არემარე; ვერაფერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც შენი მონატრებით შენი მშობლები და შენი ერთადერთი ძმა განიცდიან.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ამბობენ, – დრო მკურნალიაო. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს მშობლებს, რომლებმაც შვილი დაკარგეს? პირიქით – დრო გვაშორებს შენთან და უფრო გაუსაძლისს ხდის ჩვენს ცხოვრებას. ვცოცხლობთ შენთან სამუდამო შეხვედრის მოლოდინით.

24 თებერვალს 26 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო სიცოცხლით სავსე და მოსიყვარულე ბიჭო. შენს დაბადების დღეს, ყვავილების და სანთლების გარდა, ვერაფერს გიძღვნით, ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო.

ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. მე კი, შენი უბედური დედა, შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებ, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

*შენი მშობლები და ძმა*

### როლანდ მუმლაძის მონატრება



ერთი წელი გავიდა, როლანდ, უშენოდ... უშენობას ვერავინ ცვლის. არ არის წუთი, არ გვახსოვდე. გვიყვარხარ, გვენატრები... სიტყვები უძლურია შენს სიყვარულსა და სითბოზე სასაუბროდ. შენ ყველას უზომოდ უყვარდი, სიცოცხლე გიყვარდა და ირგვლივ სიყვარულს აფრქვევდი. დღემდე ვერ გაგვირკვევია, რატომ გერგო ასეთი მძიმე ხვედრი, შენ ხომ ძლიერი იყავი... შენ მიერ დატოვებული სიყვარული არასოდეს განელდება. შენი შვილები გააგრძელებენ შენს ოჯახს, მამის სახელს მუდამ სათუთად შეინახავენ.

*შენი საყვარელი ოჯახი*

### გიორგი ზასეშვილის (ზასეს) გახსენება



ჩვენო საყვარელო გიო! პირველ მარტს ორმოცი დღე გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ... ორმოცი მტკივნეული დღე... გაზაფხულს პირველად ვხვდებით უშენოდ. ისე უცებ წახვედი და დაგვტოვე, რომ დღესაც არ გვჯერა შენი სიკვდილის. შენ ხომ ჩვენი ერთადერთი იმედი იყავი. გიო, უშენოდ მოწყენილია ყველა და ყველაფერი. ძალიან, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა და ლამაზი სული, ამინ!

*შენი დეიდაშვილები: სოფო და სალო*

### გია კაკულიას მონატრება



28 თებერვალი შენი დაბადების დღეა, 37 წელი შეგისრულდებოდა. ყველა შენს ახლობელს განსაკუთრებით გვიყვარდა და გვახსოვდა ეს დღე. იყო მხიარულება. წელს უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. იქნება ცრემლი და მწუხარება. არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ფრიდონ ნადარეიშვილის ოჯახი*

### ბესიკ აზმაიფარაშვილის ხსოვნას!



იყო და არა იყო რა... მალე დასრულდა შენი ხანმოკლე ცხოვრების ზღაპარი. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. ერთი წელი გავიდა იმ საშინელი ტრაგედიიდან, რაც 25 თებერვალს დატრიალდა. ერთ წუთში შეწყდა ერთი ანგელოზის სიცოცხლე. წახვედი და წაიყოლე ყველა ოცნება, დაგვიტოვე მხოლოდ მწარე მოგონებები. შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. ნაადრევად ჩაქრა შენი მზე, უშენოდ ნაღვლიანად გავა წლები. ჩვენო ბესო, ისლა დაგრჩენია, რომ უფლის გზაზე კელაპტრად წაგვიძღვეს შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რასაც უანგაროდ გასცემდი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული. ამინ!

*115-ე საშუალო სკოლის მე-9[1] კლასი და პედკოლექტივი*

### მერაბ ჩიჩილიძის ხსოვნას!



27 თებერვალს ერთი წელი ხდება მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. მოულოდნელად წასვლით კიდევ უფრო მეტად დავინახეთ და ვიგრძენით, რამდენად ძვირფასი იყავი ჩვენთვის. მუდამ მხიარულო და ყველაზე უზომოდ შეყვარებულო ძამიკო, წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა, დარდი და მოუშუშებელი ტკივილი. წახვედი ისე, როგორც მთელი ცხოვრება გაატარე – სხვისი გაჭირვებით შეწუხებული, ყველაზე მზრუნველი, ყურადღებიანი, ყველას შემაკავშირებელი და მოყვარული იყავი. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან დატოვე ლამაზი ცოლ-შვილი და საყვარელი შვილიშვილი, რომელზეც გიჟდებოდი, ისე გიყვარდა. შენი მონატრებით გამოწვეული დედის სიცოცხლე, სიკვდილის მოლოდინად იქცა. მუდამ გვახსოვხარ, გვაკლიხარ, გვენატრები! ნათელში იყოს შენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*ნანა*

### ლევან ბაჯელიძის გახსენება



დრო ულმობელი სისწრაფით გადის. ყოველ დღეს უსაზღვრო ტკივილი მოაქვს. ენატრები, გაუსაძლისად ენატრები დედ-მამას, დებსა და ძმას, დისშვილებს, ახლობლებს, მეგობრებს. შენს სურათებს ულიმიან შენთვის უცნობი პაწია ძმისშვილები

თებერვალი ბედისწერად გექცა. ამ თვეში დაიბადე, ამ თვეში დაგვშორდი სამუდამოდ. ყველაფერში ღვთის ხელი ურევია, შენს დაღუპვაში – არა. ეშმაკმა იმძლავრა. უფალი არც შენ გაგიმეტებდა და არც შენს ოჯახს. შენ – ესოდენ კეთილს, მზრუნველს, ბავშვივით მიამიტსა და მოყვასისათვის თავდადებულს. ტანად დიდსა და ახოვანს, გიხდებოდა კიდეც ბავშვური გულუბრყვილობა. ამ ცოდვიანმა წუთისოფელმა ვერ გაგსვარა, ვერ დათრგუნა შენი წმინდა სული. ათასჯერაც რომ გაემტყუნებინათ შენთვის იმედი, ათასმეერთედ ისევ პირველყოფილი სისპეტაკით მიენდობოდი ადამიანს. გჯეროდა კაცის სიტყვისა, გწამდა სიკეთისა. ამადაც ვერ იგუა ბოროტებამ შენი არსებობა; ამადაც განუწონეს ულმობელი ტყვია შენს კეთილშობილ გულს. ცოცხალივით ხარ ჩვენ გვერდით, ლევან. ყოველ გასაჭირში შენი იმედი გვაქვს და ქვეშეცნეულად კარისკენ ვიცქირებით. შენ გელოდებით, რომ გაგვამხნევო, გვანუგეშო, გვიშველო. ამქვეყნიური მიზანი ერთია: ვიცხოვროთ ისე, როგორც შენ გაგიხარდებოდა, შენ გეკადრებოდა. გვანუგეშებს ფიქრი, რომ მოვა ერთი დრო, როცა ყველანი ერთად ვიქნებით ზეციურ სასუფეველში.

### გურამ იაკოფოვის მონატრება



ცრემლსა და დარდში გავიდა ეს ორი წელი. შენი წასვლით დაცარიელდა ირგვლივ ყველაფერი. 2 მარტს შენი დაბადების დღეა. სადაც არ უნდა ყოფილიყავი ამ დღეს, მუდამ შენ გვერდით ვიყავი. ბედნიერები ვიქნებოდით, ერთად რომ ვყოფილიყავით. შენმა წასვლამ სულიერად გაგვანადგურა. ყველას გვიჭირს უშენობა, უცრემლოდ არ გვაგონდები. მაგრამ ყველაზე სასოწარკვეთილი მე ვარ, რადგან ჩვენ მარტო მეუღლეები კი არა, კარგი მეგობრებიც ვიყავით. შენ ირგვლივ ყველაფერი ლამაზი, მშვენიერი და ამაღლებული იყო, რადგან თავად შენ იყავი ხალისიანი, იმედიანი, მხიარული, ყველა გიყვარდა, ყველას გვინაწილებდი სითბოს და სიხარულს. დრო ვერ გაანელებს იმ ტკივილს და მწუხარებას, რასაც მე განვიცდი. ვცოცხლობთ მხოლოდ შენი მიზნების შესასრულებლად, შენი პატარა შვილებისთვის.

გვიყვარხარ, გვენატრები, ვლოცულობთ შენთვის.

*შენი მეუღლე, დები*

### კოტე ცხოვრებაშვილის მონატრება!



ორი წელი გასულა, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა და მარადისობაში გადავიდა. ჩვენო თბილო და კეთილო კოტე! როგორი ცარიელია სახლი უშენოდ. ცრემლები გვახრჩობს, გვზარავს შენი ცივი სასაფლაო. ძალიან ენატრები შენს საყვარელ მეუღლეს – ლელას და შენს შვილებს – დეას და რეზიკოს. ყველანი ვლოცულობთ შენი სულისათვის, რათა მარადიული სასუფეველი გარგუნოს ღმერთმა.

*შენი ოჯახი*

### პატარა ბეჟო მეზურნიშვილის გახსენება



მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ჩვენს ოჯახში სიცილი ტირილმა შეცვალა. 3 წლის შვილო, დაგვტოვე მხოლოდ შენს სურათებთან ერთად. მშობლების იმედო, ვინ უნდა გვეტიტინოს, ვისით გავიხაროთ? დაგეძებთ სევდიანი თვალებით. გვენატრები.

*შენი დედიკო შორენა, მამიკო ბესიკი, ძია ზაზა, ბებო ნანა*

### ზურა სირაძის ხსოვნას!



4 მარტს ერთი წელი ხდება, რაც ცხადში არ მინახიხარ. სიზმარში თითქმის ყოველღამე გხედავ. ყოველ დილით თვალცრემლიანი ვიღვიძებ. როგორ მენატრები, ზურა, ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ! ბაღში, სკოლაში, ეზოში ერთად ვიყავით. სკოლის დათავრების მეორე დღეს, ტრავმა მივიღე. ინვალიდის ეტლში რომ მხედავდი, თვალებში ვერ მიყურებდი. როგორ გატკინე გული, მსოფლიოს რამდენიმე კლინიკა მოიარე, როგორმე რომ გეშველა ჩემთვის და მდგომარეობა შეგემსუბუქებინა, მაგრამ არაფერი დაგცალდა. განგებამ სულ გამომაცალა შენი თავი. შენი ერთი სიტყვა ჩემთვის დიდი ძალა იყო, შენ გვერდით თავს ისევ ისე ვგრძნობდი, როგორც ადრე, ერთად რომ დავრბოდით და ვცელქობდით.

6 მარტს 25 წელი შეგისრულდებოდა და როგორ ვანუგეშო შენი დედიკო, რომელმაც ასეთი მოსიყვარულე შვილი დაკარგა?! ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად რომ ვნახო და მოვეფერო, იმასაც ვერ ვახერხებ. ძალიან მენატრები, ჩემო უსაყვარლესო ძმაკაცო. მჯერა, რომ სამოთხეში ხარ, შენი სპეტაკი სულის გამო.

*ვასიკო კურტანიძე*

### ჯონი დვალიძის მონატრება!



*„შენს სიკვდილს ვინ იფიქრებდა,*
*სახე გქონდა, როგორც ვარდი;*
*ცრემლი გვახრჩობს შენზე ფიქრით,*
*გაგვიჩინე გულში დარდი.*
*ყველა გტირის, ყველა გგლოვობს,*
*ყველას ძლიერ ენატრები,*
*სხვებთან ერთად დაგტირიან*
*შენი ტკბილი მეგობრები.*
*არასდროს არ დაივიწყებთ,*
*გვეხსომები, ჯონი, მუდამ.*
*ძლიერ ტკბილად მოგიგონებთ*
*და დაგინთებთ სანთლებს მუდამ!"*

*შენი ეკა*

### გიორგი ბიწაძის ხსოვნას!



ათი წელი საშინელი ტანჯვაწამებით გავლიეთ, გია უშენოდ. დრო მკურნალიაო, – ტყუილი ყოფილა, შვილო. შენ ჩვენი ოჯახის მოურჩენელ ტკივილად დარჩი. შენი მამა და ძმა გულმოკლულები დადიან უშენოდ, ძალიან სევდიანია ყოველი დღე და ყოველი ღამე. გულისტკივილით გიგონებენ, შვილო, მამიდები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები. მე კი მივათრევ ამ წუთისოფელს იმ იმედით, რომ მალე შეგხვდები. იძინე მშვიდად, განისვენე, ჩემო შვილო.



დედა გუგული, ძმა სულიკო, მეუღლე ეკა, შვილი ლუკა გორდაძეები, ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ ბიჭიკოს ძე გორდაძე**

*პანაშვიდი:* 24/II; *დაკრძალვა:* 25/II, 14 საათზე.

*მისამართი:* გლდანის მასივი, მე-8 მ/რ, მე-10 კორპუსი, ბინა №25



მეუღლე ლეილა ბაახია; შვილები: ნინო, ნანა, ნერონი; რძალი ნანა მიქაძე; სიძეები: ტარიელ ჯანგველაძე, შალვა მიქელაძე; შვილიშვილები: თამაზი, ელგუჯა, თამრიკო, ანზორი, ხატია, გიგა; დები: ნათელა, ვენერა, ნორა, ნანული, ცისანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ ნესტორის ძე ბაახია.**

აბაშის რაიონის ნაესაკოვოს საშუალო სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები თანაუგრძნობენ *ნუნუ გიორხელიძეს*, დის

**დაშა გიორხელიძის**

გარდაცვალების გამო.

## ბელკაპთის სადარდებელი — ბელკაპთიაა



ჭანჭია და სუსტ ვასიკოს ადვილად ჩაგრავდნენ ტოლები. მამის რჩევით, კრივის სექციაში დაიწყო მეცადინეობა — გავკაჟდები და ყველას საკადრის პასუხს გავცემო...

— ვერც ძალა მოვიკრიბე და ცხადია, არც ჩემპიონი გამოვიდა ჩემგან. 15 წლის ბიჭი 42 კილო ვიყავი. თანაც რინგზე ცხვირის ძვალიც გამიტეხეს და უფრო დამამახინჯეს. ერთხელ ისე მჟეჟეს რაიონულ შეჯიბრებაზე, ტვინი შემერყა. ორი კვირა ვიწექი რეანიმაციაში და საკუთარ მშობლებსაც ვერ ვცნობდი. ატირებული მამაჩემი რომ მკითხავდა, — როგორა ხარ, შვილოო, არ ვიცი დღეს გაკვეთილი, სნეჟანა მასწავლებელო, რა იქნება, ნუ დამიწერ ორიანს-მეთქი! — ვეხვეწებოდი.

ორი კვირის მერე კი დამიბრუნდა ცნობიერება, მაგრამ მერე დაიწყო, რაც დაიწყო... იმ არგასახარელმა რა მუშტი მგლიჯა ასეთი თავში, რომ ერთბაშად ამირია ტვინი — აშკარად ვკითხულობდი ადამიანების ფიქრებს...

ექიმი მიცინის, მეფერება, — ხომ კარგად ხარ, ვაჟკაცოო, არადა, ამ დროს „ვკითხულობ" მის აზრს, — შენ რომ ვაჟკაცი ხარ, ისე იქნა ჩემი მტერი, შე უბედურო, მაინც რამ გაგაჩინა ასე გლახაო.

ზის დედაჩემი, აღვარღვარებს ცრემლებს უხმოდ და „ვკითხულობ" მის ნაფიქრალს, — ამ საცოდავის გაჩენას სულ არ მღირსებოდა ბედი და არც შვილი მყოლოდა, ხომ მერჩიაო.

ახლობლების ნაცვლად, მე მრცხვენოდა და ვერ ვამხელდი, — ვიცი, რასაც ფიქრობთ და შეგრცხვეთ-მეთქი!..

თუმცა მალე მაინც გამჟღავნდა ჩემი უცნაურობა: ჩემმა უფროსმა ძმამ ერთი უცხვირპირო გოგო მოგვაყენა კარს, — შევცდით და ორსულადაა, სასწრაფოდ ცოლად უნდა შევირთოო. მშვენიერი შესახედავი იყო და მშობლები წინააღმდეგნი არ წასულან. არადა, „მესმის" იმ გოგოს ფიქრი, — ამ სირცხვილს როგორმე გადავრჩე, ეს ნაბიჭვარი შვილიშვილად შემოგასაღოთ და იმისი რა ვთქვი, ვინც თქვენი უჯიშო გვარი გაამრავლოსო. ისე გავმწარდი, პირდაპირ მივახალე, — ჩემი ძმა კი შტერია, მაგრამ განა არ ვიცი, რომ ეგ ბავშვი სხვისია და შენი საყვარელი ქალაქშია-მეთქი! ატირდა — მიგონებსო, მაგრამ ისევ „დავიჭირე" — ამან ქალაქელი მალხაზას ამბავი საიდან უნდა იცოდესო. ავდექი და მივახალე, — თუ ვტყუი, წავალ და მალხაზას ჩამოვიყვან-მეთქი!..

ერთი სიტყვით, გადავარჩინე ჩემი ძმაც და ოჯახიც სირცხვილს, მაგრამ მაინც არ ვიყავი კმაყოფილი ამ ნიჭით თუ უბედურებით. არაა კარგი, როცა სხვის აზრს კითხულობ... ხან მეგობრის ნაფიქრი არ მომეწონა, ხან ოჯახის წევრების, გოგოებმა ხო ლამის უცოლოდ დამტოვეს. ზოგი გაიფიქრებდა, — რას ჰგავს ეს უდღეურიო და გარბოდა. ვინც „გამიჩერდა" — ოღონდ ბედს ვეღირსო, კაცის გემო გავიგო, ჯანდაბას, სულ არარაობას ისევ ეს ნახევარქათამა სჯობსო...

საცაა, ორმოცი წლის გავხდები. ორი წელია, ცოლი შევირთე. გავაფრთხილე, — გულში ცუდი არაფერი გაივლო, თორემ დაგსვამ შენს ჩემოდანზე და უკან გაგგზავნი-მეთქი!..

**— ასეთი ნიჭის პატრონს ცირკში დაგეწყოთ მუშაობა, შემოსავალს გაიჩენდით...**

— ეგღა მაკლია, ცირკის მასხარაობა!

უნებლიეთ გონებაში გავივლე — ნეტა, ამ უცნაური ნიჭის ნაცვლად ღმერთს ცოტა სიგრძე-სიგანე გაემეტებინა ამ საბრალოსთვის-მეთქი და ვასიკომ უმალ მომახალა, — მეც მაგას არ ვჩივიო? — და ლამის თავის სიმაღლე თოხი გაიდო მხარზე და ყანაში ჩავიდა.

***ინგა ჯაყელი***

## „საზალღო-სალაღო" გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**
1) — გ); 2) — ა); 3) — ბ); 4) — გ); 5) — გ); 6) — დ); 7) — დ).

**II.** მე-3 და მე-4 აქლემები.

**III. რებუსი**
ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო.

**IV.** ზღარბი.

## გრიპმა რომ ვერ შეგვაშინოს



ჩვენ გვწერენ

## მოლაპარაკე კატები



მინდა მოგითხროთ ამბავი, რომლის მოწმე თავად გავხდი... სამი წლის წინ, სოფელ მუღანლოში, ჩემი პაპის ძმა გარდაიცვალა და მთელი ოჯახით დაკრძალვაზე წავედით.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ შინ მხოლოდ ახლობლები დავრჩით. ეზოში ვისხედით, ჩაის ვსვამდით და ხმადაბლა ვსაუბრობდით. მოულოდნელად ბიძაჩემმა თქვა, — ბაღჩაში ორი კატა ლაპარაკობსო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა გვეგონა, რაზეც მიქა ბიძია გაგვინაწყენდა, ადგა და სახლის უკან, სიბნელეს შეერია.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და ხელით გვანიშნა, გავყოლოდით. ყველანი ავდექით და ფეხაკრეფით ბაღჩისკენ წავედით. მთვარის შუქზე მართლა დავინახეთ ატმისა და ღეღვის ხეებს შორის ჩაცუცქული ორი კატა. სული გავნაბეთ. ის, რაც შემდეგ მოხდა, არასდროს დამავიწყდება — კატებმა საუბარი დაიწყეს! ისინი აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობდნენ! ერთი ოხრავდა და წარამარა იმეორებდა: „ვაი, ვაი, ვაი!" მეორე კი მოთქვამდა: „ოჰ, ეს რა დაგვემართა, პაპა გარდაიცვალა, პაპა გარდაიცვალა".

ასე გაგრძელდა დაახლოებით ორი წუთი. შიშით ადგილიდან ვერ ვიძროდით. სამწუხაროდ, მიქა ბიძიას მღელვარებისგან სასულეში ნერწყვი გადასცდა და ხველა აუტყდა. კატები დაფრთხნენ და გაიქცნენ...

***ასიათ სულეიმანოვა***
***მარნეულის რ-ნი***

## საბედოს ნაცვლად — ორიანი

ნამდვილი ამბავი



ცირა მომხიბლავი, სათნო და კეთილი გოგო იყო. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. გაუთხოვარი დარჩა მაინც — ასეთი იყო ბედი ჩემიო.

— ჩემს ახალგაზრდობაში ეკლესიური ცხოვრება ტაბუდადებული იყო, — მიამბო ცირამ, — ამის გამო დიდი ტრავმა მივიღე: ბებია მყავდა ღვთისმოსავი. ინსტიტუტში რომ ჩავირიცხე, ოქროს ჯვარი მაჩუქა. მუდამ ვატარებდი, როგორც თილისმას. ერთხელ კომკავშირის კრებაზე სიტყვით გამოსვლა დამავალეს. მოდაზე მოვირთე და მოვიკაზმე, არც ჯვარი დამვიწყებია. ამის გამო ალკკ-დან გამრიცხეს. მოვიხსენი ჯვარი და აირია ჩემი ცხოვრება. ჩავიკეტე საკუთარ თავში. ამხანაგების სიბრალული და თანაგრძნობა მაღიზიანებდა. თაყვანისმცემელი ბიჭებიც ჩემთან ურთიერთობას გაურბოდნენ. ერთი ხალისიანი მეგობარი მყავდა — ნანა. მამხნევებდა, გვერდიდან არ მცილდებოდა. ერთხელ ბიცოლასთან წამიყვანა — სავსემთვარეობაა, სარკეში ჩაგვახედებს და საბედოებს ვიხილავთო. თაყვანისმცემელთაგან ერთი მეც მომწონდა... ჩააბნელეს ოთახი, აავსეს ჭიქა „უმძრახი" წყლით, რომელიც დილაუთენია, გზაჯვარედინზე შადრევანთან ავავსეთ. დადგეს თეფშზე ჭიქა, ჩააგდეს შიგ ქორწინების ბეჭედი, აანთეს სანთელი, წინ სარკე დაუდგეს, სანთლის ჩაწვამდე სარკეში არეკლილ ბეჭდის რკალში უნდა გვეცქირა.

ნანა მალე გამოვიდა აფხუკუნებული — კვანტალიანი დავინახე ნახშირით მოვაჭრის როლშიო (მსახიობი აკაკი კვანტალიანი).

შევედი ახლა მე. ნახევარი საათი ჩავყურედი დაძაბული ბეჭედს. რა არ ამოტივტივდა ჩემ თვალწინ, მაგრამ ვერაფერს ფორმა ვერ მოვუძებნე, რომ ვინმესთვის მიმემსგავსებინა. ბოლოს, გარკვევით დავინახე ერთად ამოზრდილი ორი ხე და შუაში დიდი ორიანი. ახლა მე ამიტყდა სიცილი ამ სისულელის გამო. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ნანა უცბად გათხოვდა, ერთ ჩამრგვალებულ, შავგვრემან ყმაწვილს გაჰყვა ცოლად, რომელიც საოცრად ჰგავდა კვანტალიანს „მაგდანას ლურჯადან". მე კი საგამოცდო ნახაზი, რომლის აგებაზე ორი კვირა თავაუღებლივ ვმუშაობდი, შემთხვევით ტროლეიბუსში დამრჩა. გულგახეთქილმა ტრამვაი-ტროლეიბუსების ყველა პარკი მოვირბინე, მაგრამ ვერსად მივაგენი. „დიდი ორიანიც" მივიღე და საგანი შემოდგომითღა ჩავაბარე, მაგრამ თურმე მთავარი წინ იყო. „ის", ვინც მომწონდა და ერთიც სხვა, ვისაც მოვწონდი, ერთმანეთს სულ უბრალო რამეზე წაეკიდნენ. „ის" მოკლეს... სამსახურშიც ერთდროულად ორი კაცი მიმტკიცებდა სიყვარულს. ორივე ცოლშვილიანი იყო და ახლოს არც ერთი არ გავიკარე. ორმოცს ეულად რომ გადავაბიჯე, გადავწყვიტე, ბავშვი ამეყვანა. მოხდა ისე, რომ უდედმამო ტყუპი ვიშვილე. ღვთის წყალობით, ოცნება ორმაგად ამიხდა. მარტო აღარა ვარ. გოგონები გაიზარდნენ, უკვე სტუდენტები არიან. ეკლესიაშიც ერთად დავდივართ და არც ჯვრის ტარებას მიკრძალავს ვინმე. იქნებ სისულელეა, მაგრამ ის აკვიატებული აზრი თავიდან ვერა და ვერ ამოვიგდე, რომ ჩემს ბედს რაღაც ორი განაგებს...

***თუთი რატიანი***

## ქალთევზას ამბორი



— ამაღამ მდინარეზე სათევზაოდ ნუ წახვალ, საშიშია, — დაარიგა ბაბუა ათანასემ ვოვა. ყმაწვილმა — როგორც იტყვიო, მაგრამ ბაბუამ დაიძინა თუ არა, ფეხაკრეფით გაიპარა შინიდან. მდინარის ახლოს, მდელოზე, კარავი გაშალა, მერე ოჩხი ჩადგა წყალში და ანკესებიც ჩაყარა. ცოტა ხანს კოცონს მიუჯდა. ძილი რომ მოერია, კარავში შეძვრა და საბანში გაეხვია.

შუაღამისას ფეხის ხმამ გააღვიძა. ნაბიჯები კარავთან შეწყდა. გაიგონა, როგორ ეჯაჯგურებოდა ვიღაც კარვის კალთას.

— რომელი ხარ? — იყვირა შიშით გულგაჩერებულმა ვოვამ.

— შემომიშვით, — გაისმა ქალის აკანკალებული ხმა, — გზა დამებნა, ვიყინები...

ვოვამ ფარანი აანთო და კარვის კალთა ჩახსნა. ზღურბლზე ძველებურ ლაბადაში გახვეული ფერმკრთალი, ცისფერთვალება, თმაგაშლილი ქალი იდგა, შიშველ ფეხებზე რეზინის სანდლები ეცვა.

— ასე სად დასველდი, მდინარეში?

— ჰო, — თავი დაუქნია ქალმა, ტუჩები ურთრთოდა, — გამათბე, რა!? — აცახცახებული ხელით მოიშორა ლაბადა. დედიშობილა ქალის დანახვამ ცეცხლი მოუკიდა ჭაბუკს, ფარანი დადო. უცნობი სწრაფად ჩაუცურდა საბანში, აკანკალებული ხელებით აგლეჯდა სვიტერს, ცივი სხეულით ეკვროდა და გაყინული მკერდით თითქოს კანს უკაწრავდა. ქალი ცივი ტუჩებით დაეწაფა მის ბაგეებს. ბიჭმა იგრძნო, როგორ ერწყმოდა ქალის სხეულს. ქალი თბებოდა, მას კი სხეული ეყინებოდა, უშეშდებოდა, მაგრამ უცნობის კოცნა ისეთი ტკბილი იყო, მაშინვე დაკარგა გონება...

მეორე დღეს სოფლელებმა კარავში ბიჭის გაცივებული სხეული ნახეს, ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი ეფინა...

გაიარა კარგა ხანმა. ერთხელ ბაბუა ათანასე და სოფლის ექიმი ორთქლის აბანოში ბანაობდნენ და თან არაყს შეექცეოდნენ. ამ მთისა თქვეს, იმ ბარისა, ვოვაც გაიხსენეს. აშკარად გაიყინა და იმან მოკლაო, — თქვა ექიმმა, გაყინვის ნაკვალევიც კი ეტყობოდა მკერდსა და ტუჩებზე, მაგრამ მიკვირს და გამკვირვებია, გაგანია ივლისი იდგა და როგორ უნდა გაყინულიყო, ნეტავ, რაიმე არამიწიერმა მოვლენამ ხომ არ შეიწირა ბიჭიო.

სოფელში თაობიდან თაობას გადაეცემოდა თქმულება, მდინარის ჭალებში ღამით ზაფხულშიც იყინებიან ადამიანები, შუაღამისას ცივსისხლიანი ქალთევზა ჰყვარობს მარტოხელა მგზავრს და მერე ღუპავსო...

აბანოდან პარმაღზე გამოსულ ექიმს სიბნელეში ქალის სასოწარკვეთილი ხმა შემოესმა:

— გავიყინე... გეხვეწები, გამათბე...

ექიმმა მთვარის შუქზე ძველ ლაბადაში გახვეული ფეხშიშველი ქალი დაინახა და შიშით ენა ჩაუვარდა. ის იყო, უცნობი აბანოში უნდა შეეწვია, რომ გაიღო კარი, გამოვარდა ბაბუა ათანასე და ექიმი უკან შეათრია.

ფანჯარასთან სულის შემძვრელი ღმუილი ისმოდა:

— მცივა, მცივა!

— ქალი თითქოს აქაური არ უნდა იყოს, — კბილების კაწკაწით ჩაილაპარაკა ექიმმა.

— ნურას უკაცრავად, — ჩაიბურდღუნა მოხუცმა, — ორმოცი წელია მე ვიცნობ და არ შეცვლილა.

— ვინ არის?

— ვინ და... ხედავ, ჩემს მკერდზე ნაიარევს? გგონია, დამწვარია?

— თითქოს ჰგავს.

— სიყმაწვილეში ზაფხულში გავიყინე.

ექიმმა უნდობლად შეხედა.

— ქალთევზას ნაამბორალია, — ჩაიჩურჩულა მოხუცმა.

— ვისი? — გაოცდა ექიმი.

— მეცნიერულად — კლიმატური ანომალიაა... მაშინ კოცონმა გადამარჩინა. როცა მკერდზე კოცნა დამიწყო, ვიგრძენი, ვიყინებოდი. არ მახსოვს, როგორ ავიტაცე მუგუზალი და სახეში ჩავარტყი...

დილით მოხუცმა დაინახა ეზოში დაჩოქილი ექიმი — რაღაცას ყურადღებით ათვალიერებდა. დახედა — ქალის პატარა, ყინულიანი ნაფეხურები იყო.

— ესეც შენი კლიმატი, — ჩაიჩურჩულა ექიმმა...

***ოკნა №3***

## სტერილიზაციის საზღაურად — ველოსიპედი



ოჯახის დაგეგმარებაზე პასუხისმგებელმა, ინდოეთის მაღალჩინოსნებმა მედიცინის დარგში გადაწყვიტეს მამაკაცების წახალისება: თუ ისინი გაიკეთებენ ვაზექტომიას — ქირურგიულ ოპერაციას, რომელიც მამაკაცებს სექსუალურად უნაყოფოს ხდის. ყველას, ვინც კი გაბედავს და ამ ნაბიჯს გადადგამს, საჩუქრად აძლევენ 20 გირვანქა სტერლინგად ღირებულ ველოსიპედს.

ბანკურას ოლქში დამსახურებული ჯილდო 24-მა ოპერაციაგაკეთებულმა მამაკაცმა მიიღო. „გასულ წელს ვაზექტომია პოპულარობით არ სარგებლობდა, ნებაყოფლობით სულ 25 მამაკაცი მოვიდა. ამ წელიწადში კი მამაკაცების მოსაზიდად მაცდური იდეა — ველოსიპედების ჩუქება წამოვაყენეთ და ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა," — განაცხადა ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა და მართლაც, წელს შარშანდელზე ათჯერ მეტი, 250 მამაკაცი მივიდა ოპერაციის გასაკეთებლად და იქიდან ველოსიპედებით დაბრუნდნენ.

„ეს ჩემთვის კარგი საჩუქარია — ამბობს ოთხი შვილის მამა, — ბედნიერი ვარ, რომ 40 წლის წინ შეძენილი მამის ველოსიპედს გადავაგდებ".

*პარი მაჩი*

## ხუთი პირველი ლედი ერთად



ასეთ რამეს იშვიათად თუ ნახავს კაცი: ქალაქ ინდიან-უელსში (კალიფორნიის შტატი) ერთმანეთს შეხვდა ხუთი ექსპირველი ლედი, მიზეზიც ღირსშესანიშნავი იყო — ბეტი ფორდის ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ზემოქმედების საწინააღმდეგო კლინიკის 20 წლისთავი. ზეიმში მონაწილეობდნენ როზალინ კარტერი, ბარბარა ბუში, ბეტი ფორდი, ნენსი რეიგანი და ჰილარი კლინტონი. „როცა პირველი პაციენტები მივიღეთ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ცენტრი წამყვანი სამკურნალო დაწესებულება გახდებოდა", — თქვა 84 წლის ბეტი ფორდმა. სხვათა შორის, ყოფილი პირველი ლედი 1978 წელს ანალოგიური კლინიკის პაციენტი ბრძანდებოდა. საქველმოქმედო ზეიმში აღებული შემოწირულობა ნაკლებშეძლებულ პაციენტებს მოხმარდება.

*ვოკრუგ სვეტა №5*

## კლაუდია შიფერს ვაჟი შეეძინა



კლაუდია შიფერს ბიჭუნა შეეძინა. თავდაპირველად მას უნდოდა ბუნებრივი მშობიარობით შესძენოდა შვილი, მაგრამ ნოემბერში ავტოკატასტროფაში მოყოლის შემდეგ (მას მხოლოდ ყავარჯნებით შეეძლო გადაადგილება), ექიმების რჩევით, საკეისრო კვეთაზე დათანხმდა. ლონდონის ცენტრში მდებარე საავადმყოფო „პორტლენდი" დიდი პოპულარობით სარგებლობს ვარსკვლავთა შორის. ბიჭუნა 3 კგ და150 გ-ია. მისთვის სახელი ჯერ არ შეურჩევიათ. დედა-შვილი მალე შინ გაეწერება. რაც შეეხება მშობლების შემოქმედებით გეგმებს, იგი ყველასთვის ცნობილია. კლაუდიას მეუღლე მეთიუ ვონი აპირებს გადაიღოს ძმები გრიმების ზღაპარი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა". ფიფქია კლაუდია იქნება. ამჟამად კი კლაუდიას ოცნებაა, იყოს კარგი დედიკო.

*ტვ პარკი*

## ფრივოლურობის მსხვერპლი

ერთმა ფლორიდელმა მოქალაქემ სტრიპტიზიორ ქალს უჩივლა — მისი მიზეზით დავყრუვდიო.

ღამის კლუბში ყოფნისას თურმე ისე აღეგზნო ჯონათან ფიშერი, რომ სცენას მიუახლოვდა. სტრიპტიზიორი ქალი მხრებზე შეაჯდა და ფეხებით თავი კინაღამ გაუჭყლიტა. მოცეკვავე ქალი ირწმუნება, ასეთი რამ ბევრჯერ გამიკეთებია და ყველას სიამოვნებსო. ჯონათან ფიშერი კი იფიცება, მაგ ქალის ფრივოლურმა ხვევნამ ყურები დამიხშოო. მას შემდეგ სმენა უფრო დაუქვეითდა და ახლა სასმენ აპარატს ხმარობს. დაზარალებული მორალური ზარალის საკომპენსაციოდ 66.000 დოლარს ითხოვს.

*სტარი*

## ცოლი ჯარიმაზე საშიშია



ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ მაკლესფილდის მამაკაცები ვალდებულნი არიან 15 აპრილამდე წვერი მოუშვან, — ასეთი განკარგულება გასცეს ქალაქის მეთაურებმა მაკლესფილდის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად. წვერის მოშვება წმინდა ინგლისური ჩვევაა და რაკი მაკლესფილდი თავის არსებობას ინგლისელებს უნდა უმადლოდეს, ამიტომ ყველანი ნისლიანი ალბიონის მკვიდრებს უნდა ვგავდეთო, განაცხადეს დღესასწაულის ორგანიზატორებმა.

ყველა უწვერო მამაკაცი დაჯარიმდება 25 დოლარით და შეიძლება დააპატიმრონ კიდეც. ზოგი ჯარიმის გადახდას არჩევს, ოღონდ კი ცოლი არ შემოსწყრეს.

*ოკნა №4*

## ამერიკელი ჯარისკაცები სპერმას აბარებენ

ამერიკელებს ძალიან უნდათ ერაყთან ომის გაჩაღება. სპარსეთის ყურეში ყოველდღიურად იგზავნება ახალ-ახალი ნაწილები. ამერიკელი მამაკაცები შინ არა მარტო ცოლ-შვილს ტოვებენ, არამედ... სპერმასაც.

სპერმის ერთი წლით შენახვა 280 დოლარი ჯდება. ჯარისკაცებს შეღავათს აძლევენ — ეს პროცედურა მათთვის მხოლოდ 40 დოლარი ჯდება.

ჯარისკაცებმა იციან, რომ შესაძლოა მათ ქიმიურ და ბიოლოგიურ ომში ამოჰყონ თავი.

ჯარისკაცებს არა მხოლოდ ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა ეშინიათ, არამედ სხვადასხვა სახის დაავადებისა და მათ შორის იმისაც, რომ შესაძლოა უნაყოფონიც გახდნენ.

*მირ ნოვოსტეი №6*

## მერს სასამართლოს ძალით დაითხოვენ

ინდოეთის შტატის მადჰია-პრადეშის უზენაესმა სასამართლომ ამას წინათ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: ინდოელი საჭურისები — მამაკაცები არიან. საჭურისთა სქესის დადგენის საკითხი 1999 წელს წარმოიშვა, როცა საჭურისთა უფლებების დამცველი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კამლა ჯაანმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა ქალაქის მერის პოსტზე და გაიმარჯვა კიდეც. პრობლემას მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ პატარა ქალაქ კატნის მერობა მხოლოდ ქალს შეეძლო (ინდოელი ქალების პოლიტიკური აქტივობის პროგრამის ჩარჩოებში). სწორედ ქალაქის ერთ-ერთმა ქალთა ორგანიზაციამ იჩივლა სასამართლოში, რადგან მიაჩნდათ, რომ ჯაანი ქალაქის მერად უკანონოდ იმყოფებოდა. თავის მხრივ, ჯაანმა ტრადიცია დაიმოწმა და განაცხადა, რომ ინდოელი საჭურისები თავს ქალებად მიიჩნევენ და თავადაც ქალია. მაგრამ შტატის უზენაესი სასამართლო ქალებს მიემხრო: რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ თავის თავზე საჭურისები, მხოლოდ კასტრაციის ფაქტი მათ ვერ აქცევთ ქალებად. ჯაანს პოსტის დათმობა მოსთხოვეს, ქალაქში ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, მაგრამ ჯაანი ფარხმალს არ ყრის. მან აპელაცია ითხოვა ქვეყნის უზენაეს სასამართლოში, თუმცა მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ საქმე წაგებულია. პრობლემის გადაწყვეტისას პრიორიტეტი დოკუმენტებს ენიჭება. ჯაანის ყველა დოკუმენტში კი მითითებულია, რომ იგი მამაკაცია.

*ვლასტი №5*

## თუთიყუშმა იხსნა



ნიკიმ და ტორბორნმა სტუმრები გააცილეს, ტელევიზორს მიუსხდნენ და სასტუმრო ოთახის კარი გამოკეტეს, რათა თუთიყუშის ლაყბობას არ შეეწუხებინა ისინი.

იმ საღამოს სასტუმრო ოთახიდან რაღაც ხმაური ისმოდა. ძმებმა ეს აინუნში არ ჩააგდეს, ეგონათ, თუთიყუში ჯილი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ფრინველის განწირული ჩხავილი გაისმა. ბიჭებმა კარი გამოაღეს — ავეჯს ცეცხლი მოსდებოდა და ცეცხლის ენები ნოხზე გადადიოდა. ჯილი, არავინ იცის, როგორ გამოფრენილიყო გალიიდან და კედლებს აწყდებოდა. ბიჭებს ახლაღა გაახსენდათ, რომ სანთელი დარჩენოდათ ჩაუქრობელი.

თუთიყუშს ფრთები შეტრუსოდა. რამდენიმე წუთიც რომ დაჰგვიანებოდათ, ოთახში ყველაფერი გამოიბუგებოდა.

*გარდიანი*

## „არასოდეს არ არის გვიან..."



— გადაწყვიტა 76 წლის პენსიონერმა ქალბატონმა ბერნის სტრიკლენდმა და მერხს მიუჯდა.

განათლება ამერიკელმა ქალმა 1947 წელს შეწყვიტა, როცა უნივერსიტეტს დაანება თავი. 1995 წელს, ქმრის სიკვდილის შემდეგ, ისევ მოეძალა სწავლის წყურვილი და მისი დაოკება კოლეჯში გადაწყვიტა. თავდაპირველად, გაუჭირდა: არც კომპიუტერთან მუშაობა იცოდა და არც შექსპირი წაუკითხავს ოდესმე. მიუხედავად ამისა, ხანდაზმულმა მოსწავლემ თავი გადაიკლა — წარჩინების დიპლომი და ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ბაკალავრის ხარისხიც მიიღო.

*ეხო პლანეტი №4*

## რატომ არის ძვირი ხორცი?



ნიუ-იორკის ელიტურმა რესტორანმა „ოლდ ჰომსთედმა" ახალი ჰამბურგერი შესთავაზა კლიენტებს — იგი ყველაზე ძვირი ჰამბურგერია ქალაქში.. 500-გრამიანი კატლეტი ფუნთუშით 41 დოლარი ღირს, ორჯერ ძვირი „მაკდონალდსის" საფირმო კერძზე. მიუხედავად ამისა, კულინარიის „სასწაულმა" სასწაული მოახდინა და რესტორანი დღედაღამ მუშაობს, რათა ჰამბურგერის ყველა მსურველი დააკმაყოფილონ. სხვათა შორის, კლიენტურას თურმე არა იმდენად კერძის გემო, არამედ ის აინტერესებს, რატომ ღირს ასე ძვირი.

რესტორნის პატრონები ხალისით უხსნიან მსურველებს საიდუმლოებას. თურმე ყველაზე ძვირად ღირებული ჰამბურგერი საქონლის ხორცის საუკეთესო სახეობით „კობეთი" კეთდება. კობე ძალზე წვნიანი და ნაზი ხორცია. მისი ფასი ყველაზე უკეთ იაპონელებმა იციან. საჭირო კონდიციამდე მისაღწევად საქონელს ყოველდღიურად ლუდს ასმევენ და მასაჟს უკეთებენ. კობე თავდაპირველად იაპონიიდან შემოჰქონდათ, ახლა კი მას აშშ-შიც აწარმოებენ. გურმანებს შორის უკვე კობეს კულტი დამყარდა.

*ნიუ ზუიქი*

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს** სიტყვებს ამოიკითხავთ.




**ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ს.** ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; **გ.** ჭადრაკის პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით თეთრები სწირავენ რომელიმე ფიგურას; **ა.** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება; **ზ.** რა ერქვა ყმაწვილს, რომელიც თქმულების მიხედვით სურამის ციხის მშენებლობისას კედელში ცოცხლად ჩაატანეს; **ე.** ერთ-ერთი შერეკილის სახელი (მხატვრული ფილმი „შერეკილები"); **თ.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ი.** ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; **კ.** საფეხურებად გადმომჩქეფარე ბუნებრივი ან ხელოვნური წყალვარდნილი; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი, სადაც გაიმართა პირველი „თბილისობა"; **გ.** მტაცებელი ფრინველი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ა.** ნიადაგის ნგრევა-ჩარეცხვა ზღვის ტალღების ზემოქმედებით; **რ.** გერმანელი მფრინავი, რომელმაც წითელ მოედანზე დასვა თავისი თვითმფრინავი; **ჩ.** ინგლისელი პოეტი; **ე.** რა ერქვა უღარიბეს გლეხს, რომელიც მთელი ცხოვრება ნატვრის თვალსა და ოქროს თევზს ეძებდა, ელოდა როდის გაიხსნებოდა ცა და როდის დადებდა მისი დედალი ოქროს კვერცხს; **ვ.** ქალაქი იტალიაში; **ა.** რაიმეთი თავდავიწყებით გატაცება; **ნ.** ფრენსის ფორდ კოპოლას გახმაურებული ფილმი; **ი.** კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; **ა.** ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**კ.** კუმისი; **ვ.** ვახუშტი; **ი.** იგოეთი; **რ.** რელიეფი; **ი.** იპონი; **ს.** სადგისი; **პ.** პუმა; **ა.** ასთმა; **ლ.** ლიე; **ი.** იუბილე; **ტ.** ტოშიბა; **რ.** რკინა; **ა.** აკაკი; **შ.** შეთე; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნივეა; **ი.** ისინდი; **გ.** გესტაპო; **ა.** ალუდა; **ზ.** ზაფხული; **ე.** ეკლერი; **თ.** თხემი; **ი.** ირბისი; **ა.** არარატი.
გამუქებულ უჯრებში იკითხება: **მხოლოდ მთებშია თავისუფლება.**

ლოს-ანჯელესის ელიტარული კლუბის ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში სხედან ბიზნესმენები, მეწარმეები, ფინანსური ოლიგარქები. აუდიტორიას დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებზე ლექციას უკითხავს ოკლაჰომის დოკუმენტების უშიშროების მრჩეველი, ფირმის ხელმძღვანელი ფრენკ ებგნეილი; კერძოდ, როგორ უნდა ებრძოლონ დოკუმენტების, ჩეკების გაყალბებას და ეკრანზე დიაპროექტორით აჩვენებს ათასობით გაყალბებულ ჩეკს, ბლანკებს, პასპორტებს, პირადობის მოწმობებს და მათი დამზადების, საჭირო ადგილას, საჭირო დაწესებულებაში მოთავსების ხერხს ხსნის. — დარწმუნებული ბრძანდებით, რომ თქვენი საწარმოების ბუღალტერიაში თაღლითები ვერ შეაღწევენ? — კითხულობს 54 წლის ფრენკი ღიმილით, დარბაზს მზერას ავლებს და თავადვე პასუხობს, — ცდებით. შეღწევა ყველანაირ დამცავ სისტემაში შეიძლება.

დარბაზში წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ფრაზა თითქოს ჰაერში დაეკიდა... უოლსტრიტელი ბანკირები და ნავთობის ბარონები გაფითრდნენ, რადგანაც ფრენკ ებგნეილი ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ლაპარაკობდა.

ფრენკ ებგნეილს, 60-იანი წლების მსოფლიოში ნომერ პირველ თაღლითს, სამძებრო ორგანოები მთელ პლანეტაზე ეძებდნენ. მაშინ იგი ოთხ მილიონად ღირებულ ყალბ საბანკო ბილეთებს ამერიკის სხვადასხვა შტატში და სხვა სახელმწიფოში აფრიალებდა, თავს ხან პილოტად, ხან ექიმად, ხანაც ადვოკატად ასაღებდა. მხოლოდ 70-იან წლებში მოახერხა პოლიციამ მისი დაჭერა. მაშინ ებგნეილი 21 წლისა იყო. დააპატიმრეს ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუზე: ის-ის იყო, ცხელი ჰოთდოგი უნდა ჩაეკბიჩა, რომ ორმა პოლიციელმა მხარზე ხელი დაჰკრა. ებგნეილმა ციხეში ექვსი წელი გაატარა.

„ხელიდან წასული ყმაწვილი ვიყავი, მინდოდა ყველაფერი გამომეცადა, — ამბობს ფრენკი, — უზნეოდ ვიქცეოდი. ევროპის ყველა დედაქალაქში ხალხმრავალ წვეულებებს ვმართავდი. ჩემი ცხოვრება მაშინ ქალები, მანქანები და მზე იყო“.

1980 წელს ებგნეილმა თავისი ცხოვრება აღწერა და წიგნს დაარქვა „აბა, დამიჭირე!“ იგი სავსეა გაუგონარი ამბებით: როგორ იქირავა ცრუპილოტმა ფრენკმა Pan-Am-ისთვის 8 სტიუარდესა, როგორ აყალბებდა ავიასაზოგადოების ჩეკებს და სხვ.

# თაღლითის აღსარება



ებგნეილმა წიგნის ეკრანიზების უფლება ჰოლივუდს 250 000 დოლარად მიჰყიდა... სტივ სპილბერგი დააინტერესა ამერიკელი თაღლითის ამბავმა, რომელიც თავისი აფერებით გერმანელი ფელიქს კრულისა და თუნდაც ჩვენი კვაჭი კვაჭანტირაძის ღირსეული მემკვიდრეა. ფილმმა ამერიკაში უკვე 135 მლნ დოლარი იშოვა, ევროპის ეკრანებზე გადის და მისი ნახვა ქართველ მაყურებელსაც შეუძლია.

„აბა, დამიჭირე“ არის სტივ სპილბერგის ყველაზე ელეგანტური ფილმი: ეს არის შუქ-ჩრდილის თამაში, ბრწყინვალე კატათაგვობანა ცბიერ ებგნეილსა (ლეონარდო დი კაპრიო) და გფბ-ს აგენტს (ტომ ჰენქსი) შორის.

ფილმი მაყურებელს იმ ლამაზ დროში აბრუნებს, როცა კარგად შეკერილი კოსტიუმი და ბანკის სარკმელში მომხიბვლელი ღიმილი მეტს ნიშნავდა, ვიდრე სოლიდური დისკო-კრედიტი. უმშვენიერესია ფილმის სცენა: დარბაზში ზის ლეონარდო დი კაპრიო და გაკვირვებული უყურებს ეკრანს. ეკრანზე კი ვხედავთ კადრებს „არათითიდან“, რომელშიც ჯეიმს ბონდის როლს შონ კონერი თამაშობს... ხოლო შემდეგ სცენაში კონორისნაირ კოსტიუმში გამოწყობილი დი კაპრიო სარკის წინ თავს იწონებს, მკერავი კი არწმუნებს, ეს ჯეიმს ბონდის კოსტიუმის ორიგინალიაო და დი კაპრიო-ფრენკი მაშინვე სამ კოსტიუმს უკვეთავს.

მაგრამ სპილბერგი სპილბერგი არ იქნებოდა, მთავარი გმირის მხოლოდ თაღლითური საქმიანობით რომ შემოფარგლულიყო. სპილბერგის შემოქმედების მთავარი თემა — გზაკვალარეული გმირის მცდელობა ოჯახის აღსადგენად — „აბა, დამიჭირეშიც“ ფიგურირებს. კერძოდ, გზასაცდენილი ფრენკ ებგნეილი-უმცროსი მამასთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობს.

ნამდვილი ფრენკი, რომელიც ფილმში პოლიციელის პატარა როლს თამაშობს და ასე ვთქვათ, საკუთარ თავს დასაჭერად დასდევს, ეკრანზე მოხვედრით ძალიან ამაყობს, ჰყვება, სტივ სპილბერგმა სადილად დამპატიჟაო, ტომ ჰენქსი ჩემს ლექციებს, ჩეკების გაყალბების შესახებ, ხშირად ესწრებოდაო, ლეონარდო დი კაპრიომ შინ მიმიწვია და მასთან რამდენიმე დღე გავატარეო.

ლეონარდომ მკითხა, — ფრენკ, ეს ყველაფერი მართალიაო? დავაწყნარე, — ჩემო უმცროსო მეგობარო, ეს მხოლოდ დასაწყისია. კიდევ იმდენი ამბავი მაქვს უზურში, რომ ორ სერიას ეყოფა-მეთქი, — ჰყვება ნაამები ფრენკი.

*შტერნი*



# მელანი გრიფიტი — მონროს და კენედის ქალიშვილი?

...ამ სენსაციური განცხადების ავტორი ცნობილი მსახიობი მელანი გრიფიტი გახლავთ. მელანიმ მთელ ამერიკას საჯაროდ განუცხადა — მერილინ მონროსა და ჯონ კენედის მალული სიყვარულის ნაყოფი მე გახლავართო. თავდაპირველად, იფიქრეს, გრიფიტმა ცოტა არ იყოს, დაუსტვინაო, მაგრამ მალე სკეპტიკოსებიც ჩაფიქრდნენ. მელანი გრიფიტი 1957 წლის 9 აგვისტოს დაიბადა ნიუ-იორკის საავადმყოფოში Doctors Hospital-ში — სწორედ იმ დღეს იქ იწვა სექს-სიმბოლო. მელანის თქმით, მაშინ ჯერ კიდევ სენატორ კენედის ოჯახმა დიდი ფული გაიღო, რათა ექიმებს მერილინი მოეტყუებინათ და ახალდაბადებული გოგონა სხვა ქალისთვის — მსახიობ ტიპი ჰედრენისთვის მიეგდოთ (თვითონ ტიპიმ მკვდარი შვილი შვა).

სპეციალისტების აზრით, ყოველივე ეს შესაძლოა სიმართლესთან ახლოს იყოს. მერილინისა და მელანის თითქმის მსგავსი ხმა აქვთ, სიმაღლეც ერთი და იგივე, ორივე ალკოჰოლსა და ნარკოტიკს ეტანებოდა. გარეგნულადაც შეიძლება მათ შორის მსგავსების აღმოჩენა. მელანის განცხადება კენედების ოჯახმა უკომენტაროდ დატოვა. რაც შეეხება ტიპი ჰედრენს, იგი მზადაა, ყველაფერს დაეთანხმოს და ყველაფერი დაადასტუროს... სამაგიეროდ, სენსაციას გაუხარებია ანტონიო ბანდერასი, რომელიც ახალგაზრდობაში მონროს დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. მაინც სულ სხვაა დიდი მერილინ მონროს და აშშ-ის პრეზიდენტის სიძეობა, ვიდრე მობერებული და ეჭვიანი მელანის ქმრობა.

# აგენტ 007-ის ინტიმური შეურაცხყოფა



უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მსახიობმა პირს ბროსნანმა განაცხადა, ამიერიდან „ბონდიანაში“ აღარ ვითამაშებო. რატომ?

ბროსნანი კატეგორიულია — სულაც არ ანაღვლებს კონტრაქტის დარღვევა, რადგან მიაჩნია, რომ ბოლო სერიის პროდიუსერებმა მოატყუეს. თურმე „მორიდებულ“ აგენტ 007-ს ფილმის გადაღებისას მოუთხოვია, ჰოლი ბერისთან სასიყვარულო სცენის ხანგრძლივობა გავზარდოთო. პროდიუსერები დაეთანხმნენ, რეჟისორს გაუხარდა კიდეც. ერთი სიტყვით, ბროსნანმა ჰოლი ბერისთან „ცელქობით“ გული იჯერა — სასიყვარულო სცენა სამ წუთს გრძელდება და სამ დღეს იღებდნენ. აგენტი 007 ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო. მაგრამ ფილმის პრემიერაზე დიდი იმედგაცრუება ელოდა — ცენზორებმა ამოჭრეს ეპიზოდი — ზედმეტად თამამიაო.

განრისხებული ბროსნანი შემდეგ სერიაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ პროდიუსერებმა (იქნებ გული მოუბრუნდესო) ფილმის სრული ვერსია აჩუქეს — დატკბით, როცა მოგესურვებათო.

*ოკნა №5*



მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე - (იპოდრომთან)

- აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
- ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
- შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

AXIS აქსისი

- 2 ოთახიანი 75 $მ^2$
- 3 ოთახიანი 110 და 130 $მ^2$
- 4 ოთახიანი 150-დან 220 $მ^2$-მდე
- დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
- ჭერის სიმაღლე 3.24მ
- ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com



ცნობილმა იტალიურმა გაზეთმა „კორიერა დელო სპორტმა“ მეტად საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა. ყველაფერი კი „მილანის“ მწვრთნელის კარლო ანჩელოტის განცხადებას მოჰყვა. „როსონიერების“ თავკაცმა გულთან ახლოს მიიტანა იტალიურ ფეხბურთში სატელევიზიო ბაზრიდან გამომდინარე ფინანსური კრიზისი, რომელიც „მილანსაც“ შეეხო და თავად სთხოვა კლუბის პრეზიდენტს ხელფასის შემცირება.

ამ განცხადების შემდეგ „კორიერა დელო სპორტის“ ჟურნალისტებმა დაიანგარიშეს, რა იყო „მილანის“ ცალკეულ ფეხბურთელთა წლიური შემოსავალი და რისი იმედი უნდა ჰქონდეთ მათ ხელფასის შემცირების შემთხვევაში მომდევნო „სეკვესტრირებულ“ სეზონში. რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, ბიუჯეტის სეკვესტრი თურმე მხოლოდ საქართველოში არ ხდება და იგი იტალიის დონის ქვეყანაშიც შესაძლებელია.

გაზეთის მონაცემებით, „მილანის“ მეპატრონეები გადასახადების ჩათვლით კლუბის შესანახად წელიწადში 118 მილიონ ევროს ხარჯავენ. აქედან მოთამაშეები 59,3 მლნ ევროს იღებენ. საინტერესოა, რომ „მილანი“ სატელევიზიო კონტრაქტებიდან 60 მილიონ ევროს იღებს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში კი 20-25 მილიონი გარანტირებული აქვს. და ბოლოს, აბონემენტების გაყიდვით კლუბის სალარო კიდევ 15 მილიონით მდიდრდება.

როგორც ხედავთ, „მილანის“ შემოსავალი გასავალს დიდად არ აღემატება და ამიტომაც გადაწყვიტა ანჩელოტიმ კლუბის სხვა წევრებისთვის მაგალითი მიეცა.

აი, აქ მივადექით ამ იტალიური ისტორიის საინტერესო დეტალს: მართალია, კახა კალაძე სისტემატურად ხვდება „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ წლიური შემოსავლით თერთმეტ საუკეთესოთა შორის მაინც ვერ დაიმკვიდრა ადგილი. საქართველოს ნაკრების კაპიტნის შემოსავალი წელიწადში 1,6 მილიონი ევროა და „სეკვესტრი“ მის სალაროს 200 ათასით გაღარიბებას უქადის. კახაზე მეტი შემოსავალი აქვს ერთბაშად თორმეტ მოთამაშეს, მათ შორის ყველაზე მეტი — უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს (5 მილიონი ევრო). შემდეგ მოდიან რივალდო (4,7 მილიონი), მალდინი, რუი კოშტა, რედონდო (თითოეულს 4,2 მილიონი) და ა.შ.

სამაგიეროდ, კახა კალაძე ზოგიერთ მეტად ცნობილ მოთამაშეზე მდიდარი აღმოჩნდა: არგენტინის ნაკრების წევრი შამოტი, „მილანის“ ვეტერანი კოსტაკურტა, დანიელები — ჰელვეგი და ლაურსენი ქართველის ხელფასს ინატრებდნენ.

ერთი შეხედვით, კახა კალაძის შემოსავლები შთამბეჭდავია, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ამ მონაცემით „მილანის“ მცველი ქართველ სპორტსმენებში მხოლოდ მეოთხე ადგილზეა. მას NBA-ში გადასული ნიკა ცქიტიშვილი (2,52 მილიონი დოლარი აქვს წლიური შემოსავალი), შოთა არველაძე (1,92 მილიონი დოლარი) და ვოვა სტეფანია (1,8 მილიონი) უსწრებენ.

თურმე კალაძეს „მილანში“ მხოლოდ მწვრთნელი როდი სწყალობს. იგი იტალიელი ქალების გულთამპყრობელიც ყოფილა. ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა იტალიურმა ქალთა ჟურნალმა თავისი საიტის დახმარებით ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანიც სერია A-ში მოთამაშე ყველაზე სექსუალური მამაკაცის გამოვლინება გახლდათ.

წინასწარ გეტყვით, რომ შედეგი სენსაციურია: ათეულში მხოლოდ ორ უცხოელს ხვდა იტალიელ ქალბატონთა აღიარება, ბატისტუტასა და კალაძეს. ქართველი მცველი, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით იტალიის ნაკრებისა და „რომას“ ლიდერ ფრანჩესკო ტოტიზე წინ დააყენეს. გამოკითხვით კახის მერვე ადგილი ხვდა წილად, ტოტის მეცხრე. გამარჯვებული კი იტალიელ ქალთა უბერებელი რჩეული, რობერტო ბაჯო გახდა.

ორიოდე დღის წინ ფიფამ ეროვნული ნაკრებების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგზე გავლენა იქონია 12 თებერვალს ჩატარებულმა შეხვედრებმა და ბუნებრივია, სტატისტიკოსებსაც ახალი საქმე გაუჩნდათ. სამწუხაროა, რომ ალექსანდრე ჩივაძეს კარგად დაწყებული საქმე სულ უფრო აერია, რაც ზემოთ ხსენებულ რეიტინგშიც აისახა. თუკი 2001 წლის შემოდგომაზე „შინდისფერმა ლეგიონმა“ რამდენიმე წარმატებული თამაშის შემდეგ 55-ე პოზიციამდე აღზევება მოახერხა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებისა და ამხანაგური შეხვედრების წარუმატებლად გამართვის შედეგად, 92-ე ადგილზე ჩამოვქვეითდით.

არ იკითხავთ, რომელი ქვეყნები გვისწრებენ? ომით გათანგული ერაყი, კატარი, კუბა, ჰაიტი, მალი, ბურკინა-ფასო, კენია, ტოგო და ა.შ. საქართველოს ნაკრებს ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სხვა წევრებზე დაბალი მაჩვენებელიც გააჩნია და მხოლოდ 98-ე ადგილზე მყოფ ალბანეთს უსწრებს.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნაკრებებს შორისაც ვერ გამოვირჩევით. მათ შორის ამჯერად მხოლოდ მეექვსე ადგილი გვხვდა წილად. რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია რომ გვისწრებენ, ამის მიზეზი გასაგებია, გულდასაწყვეტია, რომ ესტონეთსა და ლატვიასაც ჩამოვრჩით.

თუმცა ეს ყოველივე ნაკრების ბოლოდროინდელი დასუსტების ლოგიკური შედეგია და სანამ რეიტინგის ფსკერზე არ აღმოვჩნდებით, უპრიანი იქნება ქართული ფეხბურთის კრიზისზე საუბარი.

საქართველოს ნაკრებს ხშირად არ უწევს საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარება. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია „შინდისფერთა“ თავკაცებს ამ პრობლემის მოგვარებაში დახმარებას სთავაზობს.

საქმე ისაა, რომ მარტის შუა რიცხვებში ებრაელები საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ჩატარებას აპირებენ და უკვე ჩილესა და სერბია-ჩერნოგორიის (ყოფილი იუგოსლავიის) ნაკრებებისგან თანხმობაც მიიღეს. ახლა ისინი ქართველთა თანხმობას ელიან.

ისრაელის ფედერაციას სურს დაამტკიცოს, რომ მიუხედავად პოლიტიკური დაძაბულობისა, ამ პატარა ქვეყანას შეუძლია საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობა და გულშემატკივართა უსაფრთხოების დაცვა.

***ზვიად კალანდაძე***



CHAMPIONS LEAGUE

გასულ სამშაბათს ევროპაში თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩები განახლდა, გაიმართა მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტური. განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა, შედარებით მოულოდნელი იყო „დეპორტივოს“ მარცხი სტუმრად „ბაზელთან“ და ლონდონის „არსენალის“ მიერ ორი ქულის დაკარგვა შინ ამსტერდამის „აიაქსთან“. სანახაობრივად „ბარსელონასა“ და „ინტერის“ შეხვედრამ აშკარად დაჩრდილა სხვა მატჩები. როგორც ჩანს, კატალონიურმა კლუბმა რადომირ ანტიჩის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კრიზისი დაძლია. „ინტერის“ განადგურებით „ბარსამ“ ლიგის რეკორდი დაამყარა — აქამდე ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ცხრა მატჩი არც ერთ კლუბს არ მოუგია. საშინლად ითამაშა იტალიურმა „რომამ“, ფაბიო კაპელოს გუნდმა ერთი საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნა და დამსახურებულად დამარცხდა. „მილანმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შესაბამისად, მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „იუვენტუსის“ ძლევით, ფაქტობრივად გაინაღდეს მეოთხედფინალში გასვლა, თუმცა „ლოკომოტივმა“ „სან სიროზე“ ჯგუფიდან გასვლის ბოლო შანსი დაკარგა, „იუვენტუსს“ კი მანჩესტერში მარცხი ალბათ ვერაფერს დააკლებს, ამ ჯგუფიდან სავარაუდოდ, „მანჩესტერი“ და „იუვე“ გავლენ. ამ ტურამდე ფრიად რთულ ვითარებაში იყო მადრიდის „რეალი“. „ბორუსიას“ ძლევით „სამეფო კლუბმა“ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაიორმაგა, თუმცა სავარაუდოა, რომ „რეალის“ ბედი „დორტმუნდთან“ საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება, მადრიდელებს ფრეც აძლევთ ხელს.

### A **ჯგუფი**

ბარსელონა – ინტერი 3:0

ლევერკუზენი – ნიუკასლი – 1:3



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| **ინტერი** | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| **ნიუკასლი** | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| **ლევერკუზენი** | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

### B **ჯგუფი**

არსენალი – აიაქსი 1:1



რომა – ვალენსია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| **აიაქსი** | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| **ვალენსია** | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| **რომა** | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### C **ჯგუფი**

რეალი – დორტმუნდი 2:1




მილანი – ლოკომოტივი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| **რეალი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| **დორტმუნდი** | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| **ლოკომოტივი** | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

### D **ჯგუფი**

ბაზელი – დეპორტივო 1:0

მანჩესტერი – იუვენტუსი 2:1



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| **იუვენტუსი** | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| **ბაზელი** | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| **დეპორტივო** | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

## უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი შეხვედრები

**ჰერთა (გერმანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) 3:2**
**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) 3:0**
**სლავია (ჩეხეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0**
**ლაციო (იტალია) — ვისლა (პოლონეთი) 3:3**
**ოსერი (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი) 0:1**
**მალაგა (ესპანეთი) — აეკი (საბერძნეთი) — 0:0**
**პორტუ (პორტუგალია) — დენიზლი (თურქეთი) 6:1**
**სელტიკი (შოტლანდია) — შტუტგარტი (გერმანია) 3:1**



შაბათს, ღამით, მემფისში მაიკ ტაისონმა 49 წამში გაანადგურა „შავ მარტორქად“ წოდებული კლიფორდ ეტიენი და კრივის სამყაროს შეახსენა, რომ ჯერ კიდევ შეუძლია მსოფლიო კრივის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობისათვის ბრძოლა. გაისმა თუ არა ბრძოლის დაწყების გონგი, „რკინის მაიკი“ ჯიქურ ეცა მოწინააღმდეგეს, ეტიენმა ტაისონის მუშტებს მხოლოდ 49 წამი გაუძლო და მოცელილივით გაიშოტა რინგზე. ამ გამარჯვებით „რკინის მაიკმა“ ლენოქს ლუისთან ბრძოლა გაინაღდა. მსოფლიოს ორი უძლიერესი მძიმეწონოსანი პლანეტის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ზაფხულში, სავარაუდოდ, ივნისში იბრძოლებს.



მორიგი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა. შაბათს — დათოვლილ ეროვნულ სტადიონზე კლოდ სორელის „ბორჯღალოსნებმა“ ერთა თასის შეხვედრაში ესპანელებს უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით — 34:3 დაამარცხეს. შეხვედრა 15 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა უამინდობის გამო თითქმის ერთი საათით გვიან დაიწყო. ატალახებულ მინდორს ქართველთათვის ხელი არ შეუშლია. რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნის მიუხედავად, მასპინძლებმა პირველივე წუთებში გადაწყვიტეს თამაშის ბედი და მეცხრე წუთზე უკვე ორი ლელო ჰქონდათ გატანილი. პირველი ტაიმი ჩვენებმა 22:0 მოიგეს, რითაც ფაქტობრივად ფორმალობად აქციეს მეორე ტაიმის გამართვა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კლოდ სორელმა განსაკუთრებით მისი გუნდის ახალწვეულები შეაქო, ესპანელთა კაპიტანმა ალვარ ენსისომ კი საქართველოს ნაკრები ჯგუფის ფავორიტად დაასახელა.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.**

## №7 (333) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 743 მკითხველი გამოეხმაურა. ორი ბარათი არასწორად იყო შევსებული. 276-მა ქალმა და 465-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი პიროვნებაა საქართველოში რუსეთის ინტერესების დამცველი ყველაზე მეტად?“**

თუ საუკუნეების წინ რუსეთის ინტერესებს საქართველოში აზიური ქვეყნები ელობებოდნენ, დღეს მისი მეტოქე აქ დასავლეთია. დასავლეთი, რომელსაც, წინა რეიტინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი პოლიტიკოსები უჭერენ მხარს, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიან საქართველოში.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც რუსული ინტერესებია „უპატრონოდ დარჩენილი“, ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად კი ასლან აბაშიძე გვევლინება — რესპონდენტთა 43,6%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური — 1 ქულა მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა. **7,00** საშუალო ქულით აბაშიძე პირველ ადგილზეა.

მკითხველთა 36,3%-ის აზრით კი, რუსეთის ინტერესების საუკეთესო დამცველი პანტელეიმონ გიორგაძეა, საშუალო ქულაა 6,80.

საპრიზო სამეულს ღირსეულად აგვირგვინებს ვახტანგ რჩეულიშვილი საშუალო ქულით 6,18.

გამოიკვეთა რუსული ინტერესების შედარებით ნაკლებად დამცველთა სამეულიც — ავთანდილ ჯორბენაძე, ბადრი პატარკაციშვილი, ნინო ბურჯანაძე. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (39,7%) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ხვდა წილად და შესაბამისად, 2,14 საშუალო ქულით ბოლო ადგილზეა.

### რუსეთის ინტერესების დამცველნი




საპრიზოს ზუსტად ექვსი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ექვსივე გამარჯვებული თბილისელია — 31 წლის **თამილა მიქელიშვილი,** 44 წლის **ვენერა რამინიშვილი,** 32 წლის **დათო გაგნიძე,** 61 წლის **ტრისტან ლალიაშვილი,** 54 წლის **ანზორ პასიკაშვილი** და 53 წლის **ზურაბ დოლიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 26 თებერვალს, 17 საათზე.

## №8 (334) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№8 (334) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 26 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 27 თებერვლის 13 საათამდე.** © თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

თემა №8 (334) — სამართლიანი პროტესტი

**რომელი პიროვნების საპროტესტო ნაბიჯს ამართლებთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№8(334) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნოდარ მგალობლიშვილი — უარი თქვა ღირსების ორდენზე | |
| 2 | რეზო შავიშვილი — დატოვა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტი | |
| 3 | ზურაბ მურვანიძე — პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა | |
| 4 | დათო მაღრაძე — დატოვა პარლამენტი | |
| 5 | გიორგი თარგამაძე — დატოვა „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტი | |
| 6 | მიხეილ სააკაშვილი — დატოვა იუსტიციის მინისტრის პოსტი | |
| 7 | დათო დოიაშვილი — „ჯინსების თაობის“ გამო დატოვა მარჯანიშვილის თეატრი | |
| 8 | მიხეილ მაჭავარიანი — დატოვა სახელმწიფო შემოსავლების მინისტრის პოსტი | |

**დამატებითი კითხვა**

**როგორ აფასებთ ერაყის წინააღმდეგ აშშ-ისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ტერიტორიის შეთავაზებას**

| დადებითად | უარყოფითად | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემია-ში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**მკითხველის აზრით, ფინანსურად ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტიები:**

| | |
|---|---|
| 1. სმკ | 49,4% |
| 2. ახალი მემარჯვენეები | 21,9% |
| 3. დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 12,2% |
| 4. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 9,4% |
| 5. ნაციონალური მოძრაობა | 2,9% |
| 6. ლეიბორისტული პარტია | 1,9% |
| 7. სოციალისტური პარტია | 0,8% |
| 8. გაერთიანებული დემოკრატები | 0,3% |
| 9. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი | 0,2% |

1,0%-ს გაუჭირდა ფინანსურად ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტიის დასახელება.

***მკითხველის რეიტინგში 629 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

### მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ეთერ ერაძე** — „როცა 18 წლის ბიჭები ომში კვდებიან...“ — 139 ხმა



2. **გაგა გაგაშელი** — „როდის გაიტაცეს პირველად მანქანა გაყიდვის მიზნით“ — 104
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „ეული ნაძვი „გოფილექტის“ ბაღში“ — 92
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „უფროსს არ აინტერესებს — მისატანი უნდა მიუტანონ“ — 61
5. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „როდემდე უნდა გამდიდრდნენ ხალხის კუთვნილი მიწით?“ — 42

თქვენს პრემიას — 50 ლარს ჟურნალისტი **ეთერ ერაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 550-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

## ფოტოანეკდოტი © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

...სხვებში არ შეგეშალოთ!

**საკრებულოში ყურმოკრული დიალოგი:**

*ახლა ერთ ჭერქვეშ არიან*
*მანუჩარი და მიშაო,*
*იმან სპორტს თავი ანება,*
*ამან პრეზიდენტს სთხლიშაო.*
***მ.მ.*** *— მიშა, ვიტალის რა ვუყოთ*
*სახეს „მოქკავშირისაო“?*
*ან მამალაძე რას გერჩის,*
*გუბერნატორი მხრისაო?*
*ორივეს ერთად ტვინი აქვს*
*ბავშვის ამ სიმაღლისაო (უჩვენებს).*
*ვითომ ქვეყანას მართავენ*
*„ძენი“ შევარდნაძისაო.*
***მ.ს.*** *— მაგათთვის პალოც კარგია,*
*ასე, ამ სიმაღლისაო (უჩვენებს).*
*არც „გლავნი“ მინისტრს აწყენდა,*
*შვილსა ჯორბენაძისაო.*

**(ჩამოიარა ვანო ზოდელავამ და დიალოგი შეწყდა...)**

***„რაჭველო“, თბილისი***

**ჰიპნოზის სეანსი:**

**მ.ს.** — გრძნობ, მანუჩარ, რა ძალა გადმოდის ჩემგან შენში?

**მ.მ.** — ჩე-მო პრე-ზი-დენ-ტო!..

***კოკა დარახველიძე, ქუთაისი***

**მ.მ.** — შარშანდელი თოვლია, უშგულში ვიყიდე საიმედო კაცისგან, როგორც დამაბარე.

**მ.ს.** — (აკეთებს შელოცვას) — როგორც შენ დაგივიწყა ხალხმა და გადნები, ისე წავიდეს და დაივიწყოს ხალხმა ეს პრეზიდენტი და მთავრობა!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**მ.ს.** — მანუჩარ, მომე ეგ ხურდა ფული და ფიფას პრეზიდენტად დაგნიშნავ!

**მ.მ.** (ფიქრობს) — რისი მაქნისი ხარ, მაგრამ უნდა მოგცე, თორემ იტყვი, — შენი გატანილი გოლები სულ უკანონო იყოო.

***დათო ჯავახიშვილი, თბილისი***

**მ.ს.** — რას იტყვი, მანუჩარ, ფეხბურთელად არ გამოვდგებოდი?

**მ.მ.** — როგორ არა, ჩემო მიშა, რაც მთავარია, მოტყუება გამოგდის მაგრად...

***მათე სულწაძე, წყალტუბო***

**მ.ს.** — მანო, ერთი შენი „უდარით“ ამომარტყმევინა პანღური მამალაძისთვის.

***ზურაბ ხუნწელი, ქუთაისი***



მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ სააკაშვილი

**მ.ს.** — მანუჩარ, ბიჭო, მე ხომ გაცდიდი ფეხბურთის თამაშს, ახლა მეც დამაცადე ლაპარაკი.

**მ.მ.** — ჯერ სიტყვაც არ მითქვამს!

***მარინა, თბილისი***

**თამაშობენ:**

**მ.ს.** — აფრინდა, აფრინდა, შევარდნაძე აფრინდა!

**მ.მ.** — წავაგე.

**მ.ს.** — აფრინდა, აფრინდა, მამალაძე აფრინდა!

**მ.მ.** — მოვიგე, ქათმები არ დაფრინავენ.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

## ფოტო განწყობისთვის



უკომენტაროდ

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



23/II უკანასკნელი მეოთხედი
მაგნიტური დღეა
26/II 22-დან 24 საათამდე

# ეკრანული სექსი საერთოდ არ ჰგავს რეალურს



ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ტემპერამენტიანი ვარსკვლავი ჯულიანა მური სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ეკრანული სექსი სრულიად არ ჰგავს რეალურს, ანუ იმას, რაც ნამდვილად ხდება ცხოვრებაში. „ჩვენ არასოდეს ვეძლევით სიყვარულს ისე, როგორც ეს კინოში ხდება. არ ვსიყვარულობთ იატაკზე, ან ფეხზე მდგომი. ერთი ხელის მოსმით არ ვაგლეჯთ ტანსაცმელს პარტნიორს და არც სექსუალური თეთრეულის ჩაცმაა აუცილებელი. ალბათ შემომაკვდებოდა ის, ვინც გაბედავდა და ტანსაცმელს შემომაფხრეწდა“, — არ ფარავს თავის შეხედულებებს მოზღვავებული ტემპერამენტით დაჯილდოებული ვარსკვლავი.

ფირმა „ბერმუხა“
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



სვანი გინეკოლოგთან მივიდა გასასინჯად.
ექიმი ეუბნება:
— გილოცავთ, ფეხმძიმედ ხართ.
— ექიმო, დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვი ჩემია?!



ქმარი ეკითხება ცოლს:
— საყვარელო, აბა გულახდილად მითხარი, მღელავ როცა მივლინებაში ვარ?
— არც კი ვიცი... როცა შენ შინ არ ხარ, ძალიან უგუნებოდ ვარ. ლამის კედლებზე გავიდე, მერე იქიდან ვვარდები, თავით იატაკზე ვეცემი, გონებას ვკარგავ... და... შესაძლოა, ამით ვიღაც სარგებლობს კიდეც...



შეადგინა რამაზ ალანიამ




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 8 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ___

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№8 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 27 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ⓒ518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.